



ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

8 მარტი 2013 №5(187)

კრწანისის უცნობი გმირი
იოსებ ჭუმბურიძის ჩანაწერები
რუსუდან ჭუბაბრიას მოთხრობა
კოტეტიშვილთა არტისტული ჯიში
შოთა ბოსტანაშვილის პრინციპული ლაპარაკი
ილია ჭავჭავაძის დაბადების თარიღი
დაკარგულ პერსონაჟთა ძიებაში
გიორგი მირზაშვილის ლექსები
ვარლამ შალამოვის ნოველა



შინაარსი

ერი და გადისწერა	2	პაატა ჩხეიძე ოიკოფოგია
წუთები და წლები	3	ვაჟა შუბითიძე, შადიმან ბინაძე პრნანისის უცნობი გმირი და მისი შთამომავალი (ვეზირიშვილები)
მსურავს-ინტერვიუ	8	ნანა ხურთი „ვეპროლო უსამართლობას“ (მოამზადა ნინო ჩხიკვიშვილმა)
არღვა	9	რუსუდან ჭუბაბრია მასა
პოეზია	17	გიორგი მირზაშვილი პეიზაჟი და სხვა ლექსები
პოეზის ერთი ლექსი	20	შოთა ბოსტანაშვილი პრინციპული ლაპარაკი
უსსოთის სსოვრებიდან	21	ალან კირბი პოსტმოდერნიზმის სიკვდილი და შემდგომი ამბები
სად წაიყვან სადაურსა	26	ნიმნის ქარბად — რევაზ გაბაშვილის ეპისტოლეები
რეპორაჟი	27	ეკა ბუჯიაშვილი ტრაგიზმი და რწმენა „ნაპრკალისა“ (ოთარ ჩხეიძის რომანის წარდგინება)
კრიტიკა	30	მურმან ჯგუბურია „ერთი... ერთი. რამდენი ვიქნები. ერთი“ (ანუ ცოტა რამ რომანის ერთი მონაკვეთის ირგვლივ)
	31	სოფიო წულაია პოსტმოდერნიზმისაგან თავდასაღწევად (შოთა იათაშვილის მოთხრობა „ფორმალისტები“)
ლიბრაბურული სსოვრება	34	თამარ ყალიჩავა მომავლის პოეტი (თამაზ ბაძაღუას „100 ლექსის“ პრეზენტაცია)
ისტორიის თათრი ლაქები	39	როსტომ ჩხეიძე დაკარგულ პერსონაჟთა ძიებაში (ლევან ბერძენიშვილის მხატვრულ-დოკუმენტური რომანი „წმინდა წყვდიადი“)
აი, ისტორია?!	45	გურამ ყორანაშვილი სპარტოპელოს ისტორია ასე არ უნდა იწერებოდა (ლია წერილი გაზეთ „ახალი თაობის“ რედაქციას)
ქიწმე	46	საბა სულხანიშვილი კოტატიშვილთა არტისტული ჯიჟი (გუგა კოტეტიშვილის სამსახიობო დებიუტი)
ილიას გვით	47	ქეთევან პაპუნაშვილი ილია ჭავჭავაძის დაბადების თარიღის დადგენისათვის
გამოხმაურება	48	მურმან თავდიშვილი არა ორიგინალი, არამედ თარგმანი (ილიას ერთი ლექსის წარმომავლობა)
ანონსი	48	გურამ პეტრიაშვილი ბავშვები
სალალო	50	სტანისლავ ეჟი ლეცი ადამიანის არჩევანი — გოლომდე ადამიანად დარჩენა
ახალგაზრდობა, აწ კი თქვენ	52	გიორგი გუჯეჯიანი მატრო
ფიქრი და განჯა	54	იოსებ ჭუმბურიძე ჩანანერები
უსსოური ნოველა	56	ვარლამ შალამოვი უზანბთან
ნაპესები	61	მასვილსიტყვაობის ნიშუბები
მოზაიკა	63	კრილოვის ქუჩა

ორკვირული ჟურნალი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 322) 96_20_62

რეკლამა – (995 93) 65_93_68

გავრცელება – (995 92) 25_94_94

ფაქსი: (995 322) 96_20_62

E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ნანა ხურთი დულსინეას როლში („ლამანჩელი“)

მერაბ შალიკაშვილის ფოტოგრაფიული

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 22 მარტს



პაატა ჩხეიძე

ოიკოფობია

როჯერ ვერნონ სკრუტონი (დ. 1944 წლის 27 თებერვალს) თანამედროვეობის ერთ-ერთი გავლენიანი ფილოსოფოსია; იგი ესთეტიკის საკითხებზე მუშაობს, მაგრამ არც რელიგია და პოლიტიკური ფილოსოფიაა მისთვის უცხო; ამ მხრივ საგულისხმოა მისი ნიგნი, პოლიტიკური ფილოსოფია: *არგუმენტები კონსერვატიზმისათვის*.

ამ ნიგნის ერთი თავის კითხვისას ტარიელ ქანტურიას ლექსი წამომიტყვივდა გონებაში, სადაც ბიჭების, მშვიდობის და ერისათვის საშიში საგნები თუ მოვლენებია ჩამოთვლილი, აქედან ნაწილს საშიშად აცხადებდა კომუნისტური ხელისუფლება და ოფიციალი და ერთი კი, პოეტის აზრით, მართლაც საშიში გახლდათ („ერთადერთი რამეა ქვეყნისათვის საშიში: ტაში შინ და ტაში გარეთ! ტაში გარეთ! ტაში შინ!“).

ლიბერალური დემოკრატიაც ჩამოთვლის საზოგადოებისათვის საშიშ მოვლენებსა თუ განწყობილებებს და მათგან ერთი ყველაზე საშიშთაგანია ქსენოფობია; იმდენად საშიშია, რომ როცა საუბარი ეროვნებასა, რასასა და ეთნიკურ ჯგუფებზე ჩამოვარდება, შიშით ენა გვებმის, აცა, არაპოლიტიკორექტული არაფერი წამოგვცდესო!

აი, როჯერ სკრუტონს კი ერისათვის ყველაზე საშიშად სულ სხვა რამ მიაჩნია და ამ, ქსენოფობიის საწინააღმდეგო მოდას, მოვლენასა თუ განწყობილებას **ოიკოფობიას** უწოდებს, რაც **შინაურობისაგან და ეროვნული მემკვიდრეობისაგან განდგომას ნიშნავს**.

როჯერ სკრუტონი შენიშნავს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ინგლისში გაჩნდა ერთგვარი — დამცინავი და ამთვალისწინებელი — განწყობილება ეროვნული გრძნობებისა და სამშობლოსადმი ერთგულების მიმართ. და კიდევ კარგი რომ ომის შემდგომ გაჩნდა, თორემ ინგლისელებს ეგება თავიც აღარ გაეწირათ სამშობლოსათვისო.

შეუძლებელია არ გაგვახსენდეს ეროვნული ნიჰილიზმი, პატრიოტულ გრძნობათა აღორძინებას რომ აადვენეს საქართველოს ახდელმა თუ ფარულმა მტრებმა, რამაც სწრაფად გაიღდა ფესვები ჩვენს სწობებში და თავისი როლი შეასრულა დიდ ეროვნულ ტრაგიკომედიაში.

ყველაზე მეტად მედიასა თუ განათლების სისტემაში გაბატონდა ჩვეულება — დაეცინათ და განექიქებინათ ეროვნული ერთგულება, რაც ხალხს ყოველდღიურ ცხოვრებაში სჭირდება და გაუცნობიერებელ სპონტანურ სოციალურ ქმედებაში გადადისო, — წერს როჯერ სკრუტონი. ინგლისელთა ხელოვნება, ლიტერატურა და მუსიკა მეტ-

ნაკლებად ამოგლეჯილია სასწავლო გეგმებიდან, ხოლო ფოლკლორი, ადგილობრივი ჩვეულებანი და ადათ-წესები კი ყოველდღიურად იყრება ნაგავშიო.

როჯერ სკრუტონის აზრით, ეროვნული იდეისაგან განდგომა შედეგია გონების ერთგვარი წყობისა, მეორე მსოფლიო ომმა რომ მოიტანა მთელ დასავლურ სამყაროში და მეტწილად ინტელექტუალებსა და პოლიტიკურ ელიტებში გავრცელდა.

ოიკოფობიის გამოცნობა იოლია. ისინი ყოველ კონფლიქტში „იმათ“ მხარეზე დგებიან „ჩვენ“ წინააღმდეგ, ლაფს ასხამენ ჩვენ ადათებს, კულტურასა და ეროვნულ, მხოლოდ ჩვენთვის დამახასიათებელ, ინსტიტუტებს.

როჯერ სკრუტონი ფიქრობს, რომ **ოიკოფობია** გარკვეულია ეტაპია, მოზარდმა გონებამ რომ უნდა გამოიაროს,



როჯერ ვერნონ სკრუტონი

თუმცა ინტელექტუალებს მოგვიანებითაც ატყვევებს. ჯორჯ ორუელი ხომ ამბობდა, მემარცხენე ინტელექტუალები ეროვნული ნიჰილიზმისაკენ არიან მიდრეკილნი და ხალხისთ ხდებიან უცხო ხელისუფლებათა აგენტებიო; ამის ნიმუში კემბრიჯელი ჯაშუშები არიან და BBC-ს ამ თემაზე გადაღებული „დოკუმენტაც“ (დოკუმენტური სტილის დადგმები თუ ფილმები, რეალურ ისტორიულ მოვლენებზე) ამისი ნათელი ილუსტრაციაა, როცა არც გამცემლობის რეალური სურათი მიმოუხილავთ და არც ამ გამცემლობის მსხვერპლი მილიონობით აღმოსავლეთ ევროპელი უხსენებიათ; მხოლოდ **ოიკოფობია** დაადასტურეს, რამაც აღძრა ჯაშუშები, ჩაედინათ ის, რაც ჩაიდინესო.

იფ, რა კარგია! ჩვენშიც ხომაა გავრცელებული ეს ფრაზა:

კი არ ვულაბატე, კი არ დავეცი, კი არ გადავგვარდი, არამედ ჩავიდინე ის, რაც ჩავიდინე... და მერე ყველაფერი სოციალურ ვითარებას გადაბრალდება. ჩვენს ახალგაზრდობაში ასე გვასწავლიდნენ, სოციალურ-ეკონომიკურმა გარემომ განაპირობაო, და გასოცარია, რომ დღესაც სტუდენტები ხშირად ახსენებენ თხზულებებში ამ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოს; — ნეტავ ვინ ასწავლათ?! ალბათ მარქსისტულ-ლენინური გავლენისაგან ჯერაც ვერ დაგვიღწევია თავი და სტუდენტებს ვერ ვასწავლით, რომ უბედურება კუჭის წყლულისა კი არა, ზნეობის დაქვეითების შედეგია.

ოიკოფობია არც სპეციფიკურად ინგლისურია და არც ზოგადად ბრიტანული, სკოტლენდური ხომ სულ არ არის, მათ მეტი იმუნიტეტი აქვთ ამ სწეულების მიმართო, წერს როჯერ სკრუტონი. როცა სარტრმა და ფუკომ ფრანგული „ბურჟუაზიული“ მენტალიტეტი აღწერეს, დახატეს „უცხო თვისსავე უცხოობაში“, მათ განირეს რიგითი, წესიერი ფრანგი კაცი და ზიზლი შეაფრქვიეს ფრანგულ კულტურასო.

ოიკოფობიის ქრონიკული ფორმა ამერიკის უნივერსიტეტებშიც გავრცელდა პოლიტიკური კორექტულობის სახით და მთელი ძალით ამოხეთქა 11 სექტემბრის შემდგომ,

რათა სიძულვილი გადაენთხია ამერიკულ კულტურაზე, რამაც თითქოს შეგნებულად გამოიწვია თავდასხმა და ოიკოფობები, შეფარვით, ტერორისტთა მხარეს დადგენო, განმარტავს როჯერ სკრუტონი.

ჩვენს მშობლიურ პარლამენტში ოიკოფობების გაბატონება ერთ-ერთი მიზეზია ინგლისურ კონსტიტუციაზე თავდასხმებისა, სუბსიდირებული იმიგრაციის მხარდაჭერისა და ინგლისელთა ცხოვრების განუყოფელ ნაწილის, ადათებისა და ტრადიციების დაკნინებისაო, განგამის ზარებს შემოჰკრავს როჯერ სკრუტონი.

ოიკოფობები უარჰყოფენ ერისადმი ერთგულებას, ქადაგებენ ტრანსნაციონალური ინსტიტუტების უპირატესობას, შემოაქვთ და ნერგავენ კანონებს, ევროკავშირი და გაერთიანებული ერები რომ გვახვევენ თავსო. **ოიკოფობები** აცხადებენ, განათლებული უნივერსალიზმის მომხრენი ვართ ადგილობრივი შოვინიზმის წინააღმდეგო.

შეუძლებელია აქ ჩვენი **არქიოიკოფობი** ედუარდ შევარდნაძე, მის მიერ ანათემას გადაცემული „პროვინციული ფაშიზმი“ და მისი რეჟიმის დროს გამოზრდილი **ოიკოფობები** არ გაგვახსენდეს.

ოიკოფობიამ გამოუთხარა ძირი ეროვნული სახელმწიფოების ლეგიტიმურობას ევროპაში, მძიმე უღლად დაანვა ევროპელ ხალხებს, მისგან გამოწვეული უკმაყოფილება დრო და დრო იფეთქებს ხოლმე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და შედეგი იმგვარი იქნება, **ოიკოფობები** სულაც რომ არ ელიანო, წინასწარმეტყველებს როჯერ სკრუტონი.

ჩენ ხომ ისედაც ვიცოდით, რომ ქართული ქსენოფობია არც არსებობს და არც არის საშიში არავისათვის...

ისიც ვიცოდით, რომ ეროვნული ნიჰილიზმია საშიში, საშიშია ის, რასაც ინგლისელი როჯერ სკრუტონიც კი შეუშინებია, რაც ფილოსოფიურად გამოკვლეული და შესწავლილია და **ოიკოფობია** ენოდება.

წუთები და წლები

ვაჟა შუბითიძე

შადიმან ბინაძე

კრწანისის უცნობი გმირი და მისი შთამომავალი

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ბევრი თავდადებული მამულიშვილია, რომელთა ცხოვრება და მოღვაწეობა ხშირად ჩრდილშია მოქცეული და მაღლიერ შთამომავლობას უჭირს მიაგოს მათ ღირსეული პატივი.

მათ რიცხვს მიეკუთვნება გიორგი ვეზირიშვილი — ერეკლე მეორის თანამედროვე და მისი უერთგულესი თანამებრძოლი

პირველად ვეზირიშვილები იხსენიებიან იოანე ბატონიშვილის შრომაში „შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“, სადაც ვკითხულობთ: „ესენი არიან ძველადვე სპარსნი და მუნებურნი ბეგის გვარისანი და რომელიცა ყიას-ბეგ ვეზირად წოდებული იყო მეფისა როსტომისა თანა განუშორებელ და მიილო ქართლისა მეფობაი როსტომ მეფესა წელსა ქრისტეს აქეთ 1634-სა ესე ყიას ბეგ ვეზირად თანა ჰყვა და მიღებული იყო თავადად. ისინიცა გვართვე იყვნენ ვეზირიშვილები და ბეგები და ესრეთვე ნადირაშასა დროსაცა იყო საქართველოსა შინა ვეზირიშვილი იბრაიმ, თანაშემწე მეფისა თეიმურაზისა შემდგომ მათ სიკვდილისა იბრაიმისა მიიღეს მისთა შვილთა ქრისტეანობა მართმადიდებლობისა სარწმუნოებისა, რომელნიც მოსახლეობენ ქართლში“.

იბრაიმის შესახებ საინტერესო ცნობას გვანდის ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი : „მოვიდა იასაული ხელმწიფისა და დაებარებინა ქართლსა და კახეთს ოსმალები, მაშინვე წაასხეს მირზა-იბრეიმა რომელი იყო ვეზირი ქართლის ბატონისა, ვეკილები, ვეზირი მუსტაფა, ყოველივე მოხელენი ქართლისა და კახეთისანი. თვითონ გაა-

კეთა არბაბი ქართლსა და კახეთსა, ორასი თუმანი დაანესა და ქართლის ბატონის ვეზირს მირზა-იბრეიმს, ვეკილებს, ვეზირს მუსტაფას ყველა თუ რამ ჰქონდა წაართვა, თვალების დათხრა ბრძანა, დათხარეს ყველას და ეგრეთვე ბრმანი ქართლში გაისტუმრა“.

ვეზირიშვილების სპარსულ წარმოშობას აღიარებს თვით გიორგი ვეზირიშვილი 1803 წლით დათარიღებულ „თავადის გიორგი ვეზირიშვილისაგან უმდაბლეს მოხსენებაში“ (გამოაქვეყნა შოთა მესხიამ 1940 წელს), სადაც აღნიშნავს: „მამაჩემი ვეზირი ნადირ ყენისაგან წარმოგზავნილა საქართველოდ მეფე თეიმურაზსთან ვეზირად და ამ ხარისხითა და მოადგილეობით ემსახურებოდა მეფეს თეიმურაზს და მეფეს ირაკლის“.

ამკარაა, რომ მირზა-იბრეიმი ერთგულად ემსახურებოდა თეიმურაზს და ერეკლეს, რისთვისაც დაისაჯა ნადირშაჰისაგან ასე სასტიკად 1747 წელს. ამ დროისათვის გიორგი მცირეწლოვანი გახლდათ. მაღლიერმა ერეკლემ გიორგი თავისი მფარველობის ქვეშ აიყვანა და 1772 წელს უზოძა თავადობა და საკუთრებაში გადასცა სოფელი ოსიაური (აღნიშნული წყალობის სიგელის ასლი სხვა საბუთებთან ერთად ინახება ქალბატონ დოდო ვეზირიშვილის ოჯახში, ხოლო დედნები ცნობილმა იურისტმა, ბატონმა შალვა ვეზირიშვილმა თავის დროზე გადასცა საქართველოს ისტორიის მუზეუმს).

ერეკლემ გიორგი ვეზირიშვილს სოფელ ოსიაურის გარდა ნასახიზბაშის ნაიბობაც, ანუ საიდუმლო პოლიციის უფროსის თანამდებობაც უზოძა. გიორგი ვეზირიშვილის ერთგულებისა და მხედრული სიმამაცის შესანიშნავი



ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და მიხეილ ვეზირიშვილი

დასტურია 1796 წლით დათარიღებული სიგელი, რომელიც უფლისწულს ვახტანგს (ალმასხანი) ეკუთვნის.

„ქ. წყალობითა ღვთისათა ჩუენ დავითიან ბაგრატიონ-მან ყოვლის საქართველოს მეფის ირაკლის მეორისა ძემან ვახტანგ ალმასხან, ესე წყალობისა და მონმობის წიგნი ამისად ნიშნად გიბოძეთ შენ თავადს ვეზირიშვილს გიორგის ნასახჩიბაშის ნაიბს:წელსა ჩლტე აღამაჰმადხან ურიცხვის ჯარით საქართველოს აღსაოხრებლად ტფილისს დიდად მახლობლად მოვიდა. მაშინ სეკდემბერს ათს ორშაბათს დღეს მათის უმაღლესობის ბრძანებით კრწანისის ბაღებთან თოფხანასთან ვიდევით და მოხდა იმგვარად რომ ჯარი არ გვახლდა ასე მცირედ ვიყავით რომ იმ ორს მაიორსა და ხუთსა ექვს თოფის გარდა თორმეტი თუ იქნებოდნენ ჩემის ამალით და სხვით. მოგვიხდა ყიზილბაშის ჯარი ორპირად ერთი დასტა სოლანლულის გზიდამ და მეორე კრწანისს ზემოთ კლდეებზედ იმდროს ჩვენთან მოხველ და მანამდის ქალაქიდამ ჯარი გამოგვეშველებოდა ერთი საათი მეტი გასწია შეგვექმნა დიდი ბრძოლა და შენ იმ ომში დიდად მხნედ და სახელოვნად გაისარჯე, და ამჟამად მოხველ და ამ შენის სისხლით ნამსახურობის დაუწინეებლობას დაგვეაჯე.“

და ჩვენ არ დავინყებთ მეთანამდებენი, არამედ სხვათაცა მოთხრობათ მოვალენი გაძღვეთ შენით დიდის სიმხნისა და გარჯის მონამენი, რომ ჩვენ და სახლი ჩვენი

დიდად მოვალენი ვართ შენნი, და მოიმედეც იყავ მაგიერის წყალობისა...“

სიგელიდან კარგად ჩანს გიორგი ვეზირიშვილის დიდი დამსახურება 10 სექტემბრის ბრძოლაში, რომელიც ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. კრწანისის გარდა გიორგი ვეზირიშვილს სხვა ბრძოლებშიც გამოუჩენია თავი. აი რას ვკითხულობთ გიორგი XII -ის სიგელში:

„...ესე წყალობის წიგნი და ნიშანი გიბოძეთ შენ ჩვენს დიდად ერთგულსა და თავდადებით მრავალგვარად ნამსახურს ვეზირიშვილს გიორგის შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა.“

მის უწინარეს ქალაქის პირში საბურთალოზედ ოსმალთა და ლეკის ჯარი მოვიდა და ჩვენ გავედით იმათზე საომრათ. და დიად ცოტას შემოვხვდით იმათ და შენც იქ ჩვენთან დაესწარ და სახელოვნად ხელი გამოღვევი და სისხლის დასათხევეად ჩვენს წინ

თავი შენი არ დარიდე და იმჟამად ხვთის მოწყალებით ესძლიეთ იმ მტერთ და უკუჟაქციეთ. შემდგომად მისსა კურთხეული მეფე ბატონი მამაჩვენი ერევანზედ ჯარით ნაბრძანდა და ერევანს შემოგდა და იქაც ერევნის ციხესთან პირველად ჩვენ ომი მოგვიხდა და იქაც სახელოვნად გაისარჯე და ჩვენს წინ შენი თავი არ დაზოგე სასიკვდილოდ.

ამ შენის ერთგულებისა და სახელოვნად დამსახურების სამაგიეროდაცა და კურთხეულის მეფის ბატონის მამის ჩვენისაგანაც წყალობა გჭირდა და ჩვენც შეგიწყალებთ და გიბოძეთ ნასახჩიბაშის ნაიბობა და წელიწადში 10



დოდო ვეზირიშვილისა და ვაჟა მაისურაძის ხელისმონერა მეჯვარე მირანდა გამსახურდია (კონსტანტინე გამსახურდიას მეუღლე)

თუმანი და შესაფერი ულუფა ყოველს წელიწადს ჩვენის სარქარიდამ. ჩვენი მოხელეები უნდა მოგცემდნენ მიუკლებლად. გქონდეს და გებედნიეროს ჩვენსა ერთგულებასა და სამსახურსა შინა მოგეხმაროს და არაოდეს არ მოგეშალოს ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩვენთა მეფეთა და მეპატრონეთაგან. ანუ გიბრძანებთ გვარისა ჩვენისა მოსაქმე მოხელენო, ჩვენგან ბოძებული წყალობა ესე თქვენს ასე დაუმტკიცეთ და წურვინ შლად ხელჰყოფთ თვინიერ შეწევნისა...”

გიორგი ვეზირიშვილის მიერ არის აგებული საბრძოლო კოშკი სოფელ ოსიაურში. 1929 წელს სერგი მაკალათიამ კოშკიდან ჩამოვარდნილი წარწერიანი ფილა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეპიგრაფიკის განყოფილებას გადასცა.

წარწერა შემდეგნაირად იკითხება: „...აღვაშენე კოშკი ესე დროსა დიდებულისა ყოვლისა საქართველოსა მეფისა ირაკლის მეორისასა მისგან ნაწყალობელსა საყოფელსა ამას შინა წყალობითა მან ვეზირიშვილმან თვესა მისისა წელსა. ჩღჟზ. ვინცა წაიკითხოთ შენდობა მიბრძანეთ“.

გიორგი ვეზირიშვილმა თავი დიპლომატიურ ასპარეზზე გამოიჩინა — სწორედ ის აწარმოებდა მოლაპარაკებებს სოლომონ მეორესთან რუსების დავალებით ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ. ეს ფაქტი დადასტურებაა ამ ღირსეული მამულიშვილის დიდი განათლებისა და ფართო ერუდიციისა. გიორგი ვეზირიშვილს ოთხი ვაჟიშვილი ჰყავდა — გიორგი, დავითი, ივანე და დიმიტრი. გიორგი გიორგის ძე ვეზირიშვილი გახლდათ სამხედრო პირი, მსახურობდა შტაბსკაპიტნის ჩინით. გარდაიცვალა 1830 წელს სრულიად ახალგაზრდა. გიორგის უფროსი ვაჟი გახლდათ დიმიტრი ვეზირიშვილი, გენერალ-მაიორი, 1853-1856 ყირიმის ომისა და 1877-1878 წწ რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე. სიცოცხლის ბოლომდე იგი მსახურობდა ქართველ გრენადერთა პოლკში ბათუმში (მისი მოადგილე იყო გამოჩენილი მწერალი დავით კლდიაშვილი).

დიმიტრი ვეზირიშვილს ცოლად ჰყავდა ბარბარე ბართაშვილი — ნიკოლოზ ბარათაშვილის და. აღსანიშნავია, რომ გაღარიბებულმა მეღვინეებმა ბარათაშვილმა სიცოცხლის ბოლო წლები სიძე-ქალიშვილთან გაატარა და აქვე აღესრულა 1862 წელს. დაკრძალულია სიძის გვერდით, სოფელ ოსიაურის სასაფლაოზე. ოსიაურელთა საამაყოდ უნდა ითქვას, რომ საფლავი შესანიშნავადაა მოვლილი!



ვეზირიშვილების ოჯახი

დიმიტრი ვეზირიშვილი გარდაიცვალა 1898 წელს. მის გარდაცვალებას გამოეხმაურა გაზეთი „ივერია“ (1898 წ. 19 აპრილი 84). დიმიტრი და ბარბარე ვეზირიშვილებს სამი შვილი შეეძინათ: გიორგი, ნინო და ელისაბედი. გიორგი ვეზირიშვილი მსახურობდა გუბერნატორის მრჩეველად. მას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის საკუთარი ბიძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების პოპულარიზაციის საქმეში. 1915 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით პოეტის თხზულებათა პირველი გამოცემა სწორედ მისი თაოსნობით შედგა.

გიორგის ქალიშვილი ქეთევანი ცოლად გაჰყვა ბაქოში მცხოვრებ ნავთის მრეწველს მირზა იბრაგიმის ძე კასიმოვს. შეეძინათ ორი ქალიშვილი: აიდა და ჯეირანი. აიდას ბედმა არგუნა ყოფილიყო აზერბაიჯანელი მომღერლისა და კომპოზიტორის „ბულბულის“

(მურთუხ მამედოვი) ცხოვრების თანამგზავრი ეყოლა ორი ვაჟიშვილი: ჩინგიზი — ცნობილი ბიზნესმენი, და ფოლადი, ცნობილი მომღერალი, აზერბაიჯანის ყოფილი კულტურის მინისტრი, დღეს აზერბაიჯანის სრულუფლებიანი ელჩი რუსეთში.

ტრაგიკულად წარიმართა გიორგი ვეზირიშვილის დის — ნინოს ცხოვრება. იგი ცოლად გაჰყვა ვასილ მაჩაბელს, ცნობილ იურისტსა და საზოგადო მოღვაწეს, ილიას უახლოეს მეგობარსა და თანამებრძოლს, ივანე მაჩაბლის ძმას.

1892 წელს სოფელ თამარაშენში ხოლერამ იფეთქა. შეშინებულმა ხალხმა გადასარჩენად ტყეს შეაფარა თავი. ნინო ვეზირიშვილმა საკუთარ თავზე აიღო სოფელში ბედის ანაბარად მიტოვებულ ავადმყოფთა მოვლა-პატრონობა, რა დროსაც თვითონ დაავადდა და გარდაიცვალა.

სწორედ ამ ოჯახში აღიზარდა და საქართველოს ისტორიაში უზარმაზარი კვალი დატოვა გიორგი ვასილის ძე მაჩაბელმა. მან განათლება უცხოეთში მიიღო — დაამთავრა ბერლინის სამთო აკადემია. 1914 წელს თანამოაზრეებთან ერთად დააარსა „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“. აღსანიშნავია მისი დიდი როლი გერმანიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების საქმეში. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ იგი დიპლომატიურ სამსახურშია — ჯერ ავსტრიაში, შემდეგ კი იტალიაში. 1922 წელს საცხოვრებლად გადავიდა აშშ-ში, სადაც დააარსა მსოფლიოში განთქმული სუნამოების ფირმა „პრინცი მაჩაბელი“, რომლის ოფისი დღესაც არსებობს კონკეტიკუტის შტატში.

ვეზირიშვილთა გვარის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ნიკოლოზ ივანეს ძე ვეზირიშვილი. დაიბადა 1824 წელს, დაამთავრა გორის საქალაქო სასწავლებელი 1853 წელს რუსეთ-თურქეთის ომის დროს მსახურობდა ე. წ. ქართულ „დრუჟინაში“. ახალციხის აღებისას გამოჩენილი სიმამაცისათვის დაჯილდოვდა წმინდა გიორგის ჯვრით.

როგორც ლიტერატორი, იგი მოღვაწეობდა ჟურნალ „ცისკარსა“ და გაზეთ „დროებაში“. მისი შემოქმედების ხასიათი კარგად ჩანს ლექსში „ბუხართან საუბარი“, რომელიც ეძღვნება რაფიელ ერისთავს:

**გაფრინდა იგი მწყაზარი, დრო სიყმანვილის დარგია,
თან წარიტანა ჩემგან რაც “პირველია და კარგია”,
რას არ გავიღებ, ოღონდ კი ვპოვო ის დანაკარგია,
მაგრამ მნამს ველარ ვენევი, წუხილი რაღას მარგია,
შენლა მშთენიხარ ბუხარო, გაძვრცნილი გულის
შემთმობი,
ვუსმენ გუგუნსა სიამით და გულის ნაგრძნობს
გენდობი,
გვერდსა გიზივარ, შეგყურებ, ვით საყვარელსა
შემტრფობი,
მაგონებ ჩემთა წარსულთა, ვფიქრობ ...
და მითი ვერთობი.**

ასეთივე სულითაა გაჟღენთილი ლექსები „განთიადი“, „ვუძღვნი ქეიფის მოყვარულთ“ და სხვა.

გარდაიცვალა 1897 წელს, დასაფლავებულია სოფელ ოსიაურში. საფლავის ქვაზე დღესაც გარკვევით იკითხება ეპიტაფია:

**აღსრულდა წესი განგების
მეცა შევძინდი მიწასა,
ვეზირიშვილი ნიკოლოზ
გთხოვთ შემართოდ ღმერთსა ცისასა.**

ნათელი კვალი დატოვეს იმდროინდელი საქართველოს ცხოვრებაში ნიკოლოზის შვილებმაც.

უფროსი ვაჟი სვიმონი მსახურობდა გუბერნატორის კანცელარიაში, გახლდათ ცნობილი აგრონომი, ეწეოდა სამეცნიერო მოღვაწეობას. მის კალამს ეკუთვნის მეტად საინტერესო ნაშრომი „დღევანდელი მდგომარეობა მევენახეობისა და ღვინის წარმოებისა გორის მაზრაში“ („ივერია“, 1900, ნაპრილი, 75), სადაც ვკითხულობთ:

„ჩვენ, ქართველები უმთავრესად მხვნელ-მთესველი ხალხი ვართ. ძველის დროიდანვე მიწა იყო ჩვენი ერის მკვებავი, ამიტომ ქართველს მისთვის დედის სახელი უწოდებია. იგი ჭეშმარიტად ჩვენი ნამდვილი, ტკბილი მოამაგე დედაა. ქართველი კაცი ამას მუდამ კარგადა გრძნობდა, ყოველ წამს მზად იყო მისთვის თავი გაენირა, მისი ველ-მინდორი, მთა და ბარი თავისი სისხლით წითლად შეეღება. თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ყოველი კუთხე სამშობლო ქვეყნისა მამა-პაპათა სისხლითაა გაჟღენთილი. მიტომაც ვგონებ მთლად დედამიწის ზურგზედ არ მოიპოვება მეორე ერი, ისე შესისხლხორცდებოდეს თავის მიწა-წყალს, როგორც ქართველობა.“

თუ ქართველი მიწა-წყალზე გამაგრებულია, მას არაუშავს რა, მაგრამ უკეთუ ეს მტკიცე, ერთგული ნიადაგი ფეხქვეშ გამოეცალა, მაშინ იგი წუთისოფლის ჭირ-ვარამს ველარ უმაგრდება, ეცემა, გადაშენების გზას ადგება... რომ ეს საზა-



ვეზირიშვილების სასახლე ოსიაურში

რელი ამბავი მომავალში არ შეგვემთხვეს, ამისთვის საჭიროა, რომ მინა ხელიდან არ გავუშვათ, შევინახოთ ერთგულად მოვუაროთ, ამაგი გადავუხადოთ! ამას მაშინ მოვახერხებთ, უკეთუ შევიძინო შესაფერის სწავლა-ცოდნას, სამეურნეო განათლებას. ამგვარ სწავლა-ცოდნას და განათლებას მოგვცემს ჩვენ სამეურნეო სკოლა, რომლის გახსნას უნდა შევალეთ ყოველის ჩვენის ძალი და ღონე”.

1902 წლის 5 მაისის „ივერიაში“ გამოქვეყნებულია „გორის მაზრის თავადაზნაურთა წლიური კრების“ ანგარიში სადაც ვკითხულობთ: „ეს სიტყვა მომეტებულად ქართულად წარმოთქმული მეორე ნახევარი, საუცხოო რამ იყო! ბ. ვეზირიშვილი, როგორც შუამავალი, მუდამ ქართველობაში ტრიალებს და ამ კეთილ გარემოებას მისი ლაპარაკის კილოსათვის თავისი მადლიანი ბეჭედი დაუსვამს. ლაპარაკობს იგი ადვილად გასაგები ენით და ისეთი წმინდა ქართული კილოთი, რომლის მზგავს ჩვენს უბადრუკ, არეულ-დარეულ დროში ხშირად ვერ გაიგონებთ. ხომ გინახავთ, ჩემო ბატონო, როგორ სტანჯავენ, ჰგრეხენ, აწამებენ საბრალო ქართულ ენასა სხვადასხვა ჩვენებრ კრებებზედ! ხომ გაგიგონიათ, როგორ ამახინჯებენ უშვერის რუსიციზმებით ტკბილს დედა-ენას, ამ ძვირფას ძეგლს მამა-პაპათა სულიერი ცხოვრება-მოქმედებისას! და ყველა ამის შემდეგ სულსა და გულში ნათელი გედებათ, როდესაც უტკეპის ს.ვეზირიშვილისთანა კაცის ლაპარაკი გეყურებათ“.

მომდევნო ძმა კონსტანტინე უნდა ჩაითვალოს მოპასუნისა და სენკევიჩის პირველ მთარგმნელად ქართულ ენაზე (2011 წლის მაისში ჩატარდა თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, სადაც სტუდენტმა ნ. ბერნაცკიმ წაიკითხა მოხსენება თემაზე „კონსტანტინე ვეზირიშვილი — შ. სენკევიჩის პირველი მთარგმნელი“).

მის მიერ თარგმნილი სენკევიჩის „ჩალის სკამების მწველი ქალი“ („ივერია“, 1897, 13 აპრილი, 6) და მოპასანის „ბიჭო ერთი ჭიქა ლუდი“ („ივერია“, 1898, 5 ივნისი, 117) შესანიშნავ შთაბეჭდილებას ტოვებს.

კონსტანტინე ვეზირიშვილის კალამს ეკუთნის ეთნოგრაფიული ხასიათის ნაშრომიც „სომხების დახასიათება“, რომელიც ქალაქ შუშაში ყოფნის დროს დაიწერა („ივერია“ 1898 წ. 4 აგვისტო, 166).

დიდი კვალი დააჩნია XIX ს-ის II ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებას მიხეილ ვეზირიშვილმა — ცნობილმა პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ.



ფოლად ბულ-ბულ ოღლი ქეთო ვეზირიშვილის შვილიშვილი (აზერბაიჯანის ელჩი რუსეთში)

მიხეილ ვეზირიშვილი გახლდათ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების პირველი მკვლევარი და სათავადაზნაურო ბანკის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი ხელმძღვანელი. სწორედ ბანკს უკავშირდება მისი გახმაურებული დუელი ილია ჭავჭავაძესთან.

მიხეილ ვეზირიშვილის ქალიშვილი გახლდათ ცნობილი ბოტანიკოსი, მეცნიერებათა დოქტორი ელისო ვეზირიშვილი. ამ ოჯახის ღირსეული შვილები იყვნენ ნიკოლოზის უმცროსი შვილებიც: გიორგი — გორის მაზრის მომრიგებელი მოსამართლე — და ირაკლი — პოლკოვნიკი, კადეტთა კორპუსის სასწავლო კლასების ხელმძღვანელი.

მეტად მძიმე ბედი ხვდა წილად დავით იოსების ძე ვეზირიშვილის ოჯახს 1918 წელს — გაბოლშევიკებული ოსების ბანდა თავს დაესხა მათ ოჯახს. მეზობელმა სანდრო ძულიაშვილმა დიდი რისკის ფასად დავით ვეზირიშვილის

ოჯახი გააპარა სოფელ ოსიაურიდან ჩარდახიანი ურმით და ზესტაფონის რაიონის სოფელ საქარაში დიმიტრი ვეზირიშვილის მეუღლის ქრისტინე აბაშიძის მამის ტარას აბაშიძის ოჯახში მიიყვანა. დავით ვეზირიშვილის უმცროსი ვაჟი სიმონი იმ დროს 9 წლისა გახლდათ. მიიღო რა შესანიშნავი განათლება, იგი ექიმ-სტომატოლოგის პროფესიით პირნათლად ემსახურებოდა ხალხის ჯანმრთელობის კეთილშობილურ საქმეს.

სიმონ ვეზირიშვილს ორი შვილი დარჩა - დოდო და თემური, დოდო ვეზირიშვილი ცოლად გაჰყვა მწერალ ვაჟა მაისურაძეს. აღსანიშნავია, რომ დოდო ვეზირიშვილის მეჯვარე გახლდათ ქალბატონი მირანდა ფულავანდიშვილი.

გულისტკივილით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვეზირიშვილების საგვარეულო სახლი სოფელ ოსიაურში უპატრონოდაა მიტოვებული და ნადგურდება. კარგი იქნება თუ შენობას ჩაუტარდება რესტავრაცია და გაიხსნება მემორიალური მუზეუმი, რითაც კიდევ ერთი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა შეემატება ხაშურის რაიონს (ვეზირიშვილთა ნაქონი ნივთები დღემდე ინახება რამდენიმე მოსახლესთან და ისინი მზად არიან საჭიროებისთანავე ეს ნივთები დათმონ).

იმედი გვაქვს რაიონის ხელმძღვანელობა, სოფლის გამგეობა, ოსიაურის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და განსაკუთრებით სოფლის ახალგაზრდობა მხარს დაუჭერს ამ ნაშრომებს — წარსული-სადმი პატივისცემა და დაფასება ხომ მომავალი ძლიერი საქართველოს სანინდარია!

სამშაბათს, 12 მარტს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება
განხილვა

იკა ქადაგიძის
ესეისტურ-კრიტიკული
კრებულისა

„ქართული კორიდა“

მომხსენებელი
ნათია მეგრელიშვილი
დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

ნანა ხურითი

ვებრძოლო უსამართლობას!

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

- სულიერი შიმშილი.
- სად ისურვებდით ცხოვრებას?
- საქართველოს გარდა, არსად.
- რა არის უმაღლესი ბედნიერება?
- ბედნიერება წამიერად გეწვევა ხოლმე და მინდა ეს წამი ყველამ განიცადოს!

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

- დათა თუთაშხია, დონ-კიხოტი,
- თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟი?

— ქუჯი, დავით აღმაშენებელი, პეტრე პირველი, ცოტნე დადიანი, ნაპოლეონი.

- თქვენი საყვარელი მხატვარი?
- ფიროსმანი
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

- მოცარტი
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— სიმამაცეს, ზრდილობას, ერთგულებას, გულუხვობას, ინტელექტს, იუმორს.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

- ქალშიც იგივე მომწონს.
- რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის ყველაზე მომხიბლავი?

- თავმდაბლობა.
- თქვენი საყვარელი საქმიანობა?
- მსახიობობა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

- არცერთი.
- თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?
- ერთგულება.
- რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?
- ერთგულებას.
- თქვენი მთავარი ნაკლი?
- სიფიცხე.
- თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?
- როცა ჩემს გარშემო ყველა გახარებულია, მეც ბედნიერი ვარ...



— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

- ახლობელი ადამიანების დაკარგვა. ომი.
- როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?
- უფრო თავისუფალი.
- თქვენი საყვარელი ფერი?
- ზღვისფერი.
- ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— გვირილა.

- თქვენი საყვარელი ფრინველი?
- თუთიყუში.
- თქვენი საყვარელი მწერალი?
- ჭაბუა ამირეჯიბი.
- თქვენი საყვარელი პოეტები?

— ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი, ომარ ხაიამი, ესენინი, ლადო ასათიანი.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

- დულსინია, ესმერალდა,
- საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— არა მყავს.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

- მაია წყნეთელი, ჟანა დ'არკი.
- საყვარელი სახელები?
- თეონა, გირშელი.
- რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— უტიფრობას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

- შიტლერი.
- საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები ალტაცებისა?

— სამამულო ომი.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

- საბჭოთა კავშირის დაშლა.
- ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?
- ხატვის.
- როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?
- მინდა მშვიდად გარდავიცვალო.
- თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?
- განონასწორებული.
- ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

- სიფიცხე.
- თქვენი დევიზი?
- ვებრძოლო უსამართლობას!
- თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?
- კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!!!

რუსულან ჭუბაბრია

მაკა

I

მაკას დაბადება არ მახსოვს. ამ სახლში რომ გადმოვედი, ის უკვე 3-4 თვისა იქნებოდა. პირველად ეზოში ვნახე, ასაკოვანი ჭალარა, წარმოსადეგი ქალი ხელით დაატარებდა და ღლინით ეთამაშებოდა; პატარა წამოიჭყვივლებდა და მიყურებდა. როცა გავუხსნორდით, ქალი ხალისიანად მოგვესალმა და იკითხა:

— ახალი გადმოსულები ხართ, არა?

დედამ გაულიმა და დაუდასტურა.

მაშინ მე 7-8 წლისა ვიყავი. სკოლიდან მოსულს ზურგზე მძიმე ჩანთა მეკიდა. ერთი სული მქონდა, შინ მივსულიყავი, ჩანთა დამეგდო და თამაში მომესწრო, ვიდრე გამეზისა და ეტიუდების არცთუ სასურველი დრო დამიდგებოდა. დრო ცოტა მრჩებოდა, ამიტომ დიდად არავისთვის მეცაღლა... მაგრამ ჩემი ყურადღება ამ პატარა მუთაქასავით გახვეულმა არსებამ მიიქცია, უზარმაზარი ცისფერი თვალები ჰქონდა, ერთი — ყურადღებით მომზირალი, მეორის თეთრონში კი ეს ულამაზესი ცისფერი ბურთი უცნაურად ბრუნავდა, უცებ გაჩერდებოდა, მერე კი ხან იქით გადაგორდებოდა, ხან — აქეთ. ასეთი რამ არასდროს მენახა და, ცოტა არ იყოს, დავიბენი.

— მოგნონს? ხომ ლამაზია? — მკითხა ბებიამ, როცა ჩემი მზერა შენიშნა. მე დედას ქვედაბოლოს ჩავებლაუჭე და მის ზურგს მორცხვად ამოვეფარე.

მერე კიდევ ერთხელ მალულად გავხედე პატარას. ახლა უკვე ორივე თვალი სწორად და დაჟინებით მიმზერდა. — აი მაკაც გაიზრდება და იმეგობრებთ, — თქვა ბებიამ.

სწორედ მაშინ გავიგე, რომ ეს მუთაქა ქალბატონი გახლდათ და სახელად მაკა ერქვა და, მიუხედავად იმისა, რომ სულაც არ მეპიტნავებოდა ასეთ პატარა ბავშვებთან მეგობრობა, თანხმობის ნიშნად თავი დაუყოვნებლივ დავუქნიე და შინსაკენ მოვკურცხლე.

მაღე მაკას პოეზიები ამოწვევრა... ყვითელი, ყვითელი. ოქროსფერი თმები დაეხვა და დაუკულულდა. უყვარდა ხალხი, ყველას უღიმოდა, ჭყვივლით ესალმებოდა და ხელში ასაყვანად ინევდა, მაგრამ სხვები დიდად არ ანებივრებდნენ: ხანდახან თავზე თუ მიეფერებოდნენ ან ღიმილით დაუქნევდნენ ხელს და გაეცლებოდნენ. მაკა ამითაც კმაყოფილი იყო. სამაგიეროდ, ბებია არ შორდებოდა, გულზე მიკრული დაჰყავდა და პირზე ულევ ნაკადად მომდგარ დორბლს გულისყურითა და სიყვარულით წმენდდა.

გვიან, მაგრამ მაინც აიდგა ფეხი მაკამ. ფეხის ტერფს მინაზე არ დგამდა, ფეხის წვერებზე დადიოდა და უცნაურად ქანაობდა. ბებია ხელით დაატარებდა, იმედს არ კარგავდა, რომ მისი სანუკვარი შვილიშვილი მაღე სხვა ბავშვებისგან დაინყებდა სიარულსა და ხტუნვას, მაგრამ ამაოდ, ვის აღარ უჩვენა, მაგრამ, საუბედუროდ, ყველაფერი უშედეგო აღმოჩნდა. მაკა კვლავ ფეხის წვერებზე იდგა და, ბებიას ხელს ჩაფრენილი, გაღიმებული დაბანცალებდა ეზოში. მაღე ყავარჯენი და ჯოხი მაკას მუდმივ საყრდენად და

ცხოვრების განუყოფელ ატრიბუტად იქცა.

მაკას დედა ირინა ორმოცს გადაცილებული ლამაზი ქალი იყო, მოხდენილი აღნაგობა ჰქონდა: თხელი და ლამაზი კიდურები, თმა ყოველთვის მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი და ნითლად შეღებილი. სახის ოვალი მრგვალი, წინ წამოწეული ყვრიმალეებით, ცხვირი ოდნავ კეხიანი, რალაცით ალტმანის ანა ახმატოვას ჩამოჰგავდა. დათლილი თითები ჰქონდა, მუდამ განუყრელი სიგარეტით. ნითელი პომადა — იშვიათად შემხვედრია ადამიანი, რომელსაც ასე მოხდენოდეს ეს მჭახე ფერი. ხმა ცოტა ბოხი ჰქონდა, მაგრამ მე მომწონდა მისი საუბრის ტემბრი... აი, მის მზერას და მასთან შეხვედრას კი მუდამ გავუბრბოდი, და არა მარტო... მე... ცარიელი თვალები ჰქონდა, რალაცნარად არასასიამოვნოდ უტცხო, არაკეთილი. ხან სულ არ მოგაქცევდა ყურადღებას, ხან კი ისე აგებინებოდა და ჩაგაცივებოდა, ვერ დაეხსნებოდი... გვიან გავიგე, რომ შიზოფრენიით იყო ავად და ამ მძიმე ავადმყოფობის შეტევები ასაკთან ერთად უფრო ხშირი და საშიში ხდებოდა.

მაკას მამა არასდროს მინახავს, იქნებ არც არასდროს მოუკითხავს, იცოდა კი მისი არსებობა, ალბათ. ჩვენს ქალაქში ვის რა დაემალება?! ჩვენ, ბავშვები, ინტერესით ვკვებოდით, მაგრამ ბავშვური სისასტიკე დავძლიეთ, მადლობა ღმერთს, ჭკუა გვეყო და მაკასთვის ამ საკითხზე არასდროს ჩამოგვიგდია სიტყვა.

ახლა რომ ვფიქრობ, ასე მგონია, რომ მაკას ამქვეყნად მოსვლას არც არავინ ელოდა და არც მოელოდა... მაკამ თითქოს უფლის „დაკავებულობით“ ისარგებლა, საუფლოდან გამოეპარა და ამ ქვეყნის ზღვარს გადმოიხვევულმა გამარჯვების ყიჟინა დასცა. უფალმაც შეუწდო თავის „უძღებ“ შვილს ეს ურჩობა და დროებით აქ ყოფნის ნება დართო...

მაკა გაზაფხულის თქეშვივით მოულოდნელად მოვიდა, მოვიდა ხმაურით, მხიარული, ბედნიერი, პირლიმილიანი, მიმნდობი და მიმტყეველი, მისი ტვინი და გახსნილი გული არ იყო მზად ამქვეყნიურ სინამდვილესთან პირისპირ შესაყრელად. გულწრფელ ალტაცებას და მადლიერებას გამოხატავდა ყველას მიმართ, ვინც კი გაულიმებდა, მის სატკივარს გულთან მიიტანდა და დახმარების სურვილს გამოთქვამდა, თუ თბილ სიტყვას გაიმეტებდა.

მიუხედავად ფიზიკური უძღურებისა, ქარგავდა, ქსოვდა, კითხულობდა, ჩვენზე მეტი ლექსი იცოდა ზეპირად; მერე კი მუსიკამ გაიტაცა. მთელი საათობით თვალდახუჭული და გარინდებული უსმენდა რადიოს. ბებიამ გიტარა უყიდა და კერძო მასწავლებელიც დაუქირავა. შედეგი განსაცვიფრებელი აღმოჩნდა. მაკა მეტად გულმოდგინე მონაფე გამოდგა. მთელი დღეები მეცადინებოდა, აწყობდა სიმღერებს. სმენა კარგი ჰქონდა, ხმა ცოტა მჭახე, ოღონდ მა-



ინც ძალიან საინტერესო და სასიამოვნო იყო მისი მოსმენა, მაგრამ რამდენიმე თვეში მისი რეპერტუარი სულ ზეპირად ვისწავლეთ და ერთი და იმავეს მოსმენით თავმოებურებულები ხანდახან ყურებზე ხელებსაც კი ვიფარებდით, თუმცა ვცდილობდით, მაკას ეს არ შეემჩნია.

ხანდახან ბებიას გარეთ გამოჰყავდა, იქვე ეზოს გრძელ სკამზე ჩამოსვამდა და თვითონაც გვერდით მიუჯდებოდა. ჩვენ ყირაზე გადავდიოდით, რას აღარ ვთამაშობდით — კლასობანას თუ დახუჭობანას, ლაფტას თუ შვიდ ქვას... ახლა წარმომიდგენია, რა ხდებოდა ბებიას გულში, მაკა კი იცინოდა და თავისი უზარმაზარი ხელებით ტაშს ვვიკრავდა, გვახელებდა და გვამხნევებდა. რა ვიცოდი მაშინ, რა საოცარი გული ფეთქავდა ამ კაფანდარა ავადმყოფი გოგონას გალუულ მკერდში.

ბებია იყო ის ერთადერთი ადამიანი, რომლის ცხოვრებაშიც მაკას დაბადებამ დიდ ფორიაქთან ერთად დიდი ნათელიც შემოიტანა: ბებია კარგად იცოდა თავისი შვილის მძიმე ავადმყოფობის ამბავი და გული უკვებოდა მისი მომავლის გამო; სინათლე კი იმიტომ, რომ მაკა იყო თვით სინათლე. რას აღარ აკეთებდა, რომ თავისი უდღეური პენსია ისე გაენაწილებინა, რომ მის სანატრელ შვილიშვილს არაფერი მოჰკლებოდა, მაკას გაჭირვება არასდროს ეგრძნო. განა რას ითხოვდა?

მაგრამ ცხოვრებას თავისი კანონები აქვს და ბებია თავისი აღსასრულის მოახლოება იგრძნო. მაკა თავისთან მოიხმო, უზარმაზარ ხელისგულში რაღაც პატარა ჩაუდო და უთხრა:

— ეს შენია, შენთვის ვინახავდი.

მაკამ ხელისგული გაშალა. პატარა ოქროს ბეჭედი იყო, შუაში ვარდისფერი მოზრდილი თვლითა და ირგვლივ ბრჭყვიალა გამჭვირვალე ქვებით.

მაკას ეს ბეჭედი არასდროს ენახა და გაკვირვებულმა შეხედა ბებიას.

— შენია, უბრალო არ გეგონოს, დედაშენს ნუ აჩვენებ, — ძლივს გასაგონად უთხრა ბებია და გამხდარი ხელით მუჭი დაუხურა.

ბებია გამთენიისას გარდაიცვალა. გარეთ საშინელი ქარი იყო და ხმელი ფოთლები ხმაურით აწყებოდნენ ფანჯრის მინებს.

მაშინ შეიგრძნო პირველად მაკამ სიკვდილის გრილი სუნთქვა და შეძრწუნდა.

ბებიას გარდაცვალებამ მაკას ცხოვრება თავდაყირა დააყენა. ირინამ ნელ-ნელა შინიდან ყველაფერი გაზიდა, ზოგს კაპიკებად ყიდდა, ზოგს კი ჩუქნიდა უცნობ თუ ნაცნობ ადამიანებს. შინ მხოლოდ ლურჯი სადილის სერვიზი დარჩა — სერვიზი, რომელიც განსაკუთრებით ძვირფასი იყო მაკასთვის. ისიც სასწაულებრივ გადაურჩა ირინას — მეგობარმა არ დაანება. მაკას ბავშვობიდან ახსოვდა ეს თევზები მათზე ნადირობის სხვადასხვა სცენა იყო გამოსახტული. ბებია გადმოიღებდა ხოლმე და რას აღარ უამბობდა. თევზებზე არსებული გმირებიც უმალ ცოცხლდებოდნენ და მაკასაც იმ სამყაროში ეპატიჟებოდნენ. იქ მაკას ბევრი მეგობარი ჰყავდა, ცხენსაც უმალ შემოეყვებოდა და მათთან ერთად აჭენებდა, უკან კი ძაღლების ხმაურიანი ყეფა მოსდევდა.

ბებიას მონათხრობი ამბები მაკას დღესაც კარგად ახსოვდა, იმდროინდელი სილაღისა და უდარდელობის შეგრ-

ძნება დღესაც სისხლს უმღვრევდა და ბედნიერების ცრემლს ადენდა.

კედლები გადაიყვლიფა და დასკდა, ფილები დაიბზარა, იატაკიდან ფიცრები ამოცვივდა, თვეობით გაურეცხავი ფარდები ჭუჭყიანი ტილოებით ეკიდა ფანჯრებზე.

სტუმრები მოდიოდნენ და მიდიოდნენ. მაკა კუთხეში იჯდა და თავისი უზარმაზარი ცისფერი თვალებით ადევნებდა თვალყურს უაზრო სმასა და დროსტარებას. დედას ვერაფერს ეუბნებოდა. ირინა შეუვალი და აგრესიული ხდებოდა, ხმის ჩახლეჩამდე უყვიროდა მაკას, ყველა ცოდვაში ადანაშაულებდა და სახლიდან აგდებდა. საშინელი მოსასმენი იყო ეს ყველაფერი, მითუფრო — სანახავი... მაკა ცდილობდა გასცლოდა და ამით მინც დაეცხრო დედის რისხვა. რამდენჯერ მინახავს დაკეტილ კარს მიღმა ატირებული. დიდ ხელისგულს გამეტებით ურტყამდა კარს და ემუდარებოდა:

— დედა, დედიკო!.. ყველაფერში მართალი ხარ, ოღონდ არსად წახვიდე... მაპატიე, მე ვარ დამნაშავე ყველაფერში, მხოლოდ მე!..

ამ დროს მეზობლებს მიჰყავდათ მაკა, ეცოდებოდათ. ხან ასადილებდნენ, ხან ფულს ჩაუკუჭავდნენ ჯიბეში. რცხვენოდა მაკას, ძალიან რცხვენოდა, მაგრამ რა ექნა.

ირინა გონს მოეგებოდა და ახლა ქუჩა-ქუჩა და მეზობლებთან დაუწყებდა ძებნას. ტიროდა და მუხლებზე დამხობილი ფეხებს უკოცნიდა და პატიებას სთხოვდა, მაკა კი ეხვეოდა, ჰკოცნიდა და ამშვიდებდა, უყვარდა: დედა იყო, როგორც არ უნდა ყოფილიყო.

მეტად მძიმე საყურებელი იყო ეს ყველაფერი, მითუფრო — გადასატანი.

მაკამ ეკლესიაში სანთლის გამყიდველად დაიწყო მუშაობა და ცოტა სული მოითქვა. მაგრამ ზამთარში, როცა ქუჩები მოიყინა, დაღმართზე დაშვება გაუჭირდა და რამდენჯერმე დაეცა კიდეც.

ახალგადმოსულმა მეზობელმა ზაალმა, თავის სართულზე ყველა ბინის შესყიდვა რომ მოამთავრა, ეზოში ჯიხური ჩადგა და „დიდსულოვნად“ (ასეთ ხალხს როგორც სჩვევია) მაკას სამსახური შესთავაზა. რაღაც კაპიკებს უხდიდა „სულგრძელად“, მაგრამ მაკა მანც ცას ენია სიხარულით. ჯიხური სახლიდან ხუთი წუთის სავალზე იყო, აქედან დედასთანაც ახლოს იქნებოდა და, ასეა თუ ისე, მანც სამსახური ერქვა.

თითქოს ყველაფერი მოგვარდა. მაკა ბედნიერი იყო. ირინასაც რაღაც მშვიდი ხანა დაუდგა, ხანდახან ეზოში მსხდომ ბიჭებს სიგარეტს თუ სთხოვდა და ისინიც დაუყოვნებლივ აძლევდნენ: ეცოდებოდათ.

მაკამ ჯიხური დაკეტა და ნელ-ნელა სახლის გზას გაუდგა. შიმშილისგან კუჭი უყურყურებდა, მაგრამ დედასთან ერთად უნდოდა ეჭამა. თან ზაალის მოტანილი მარწყვის კომპოტი მიჰქონდა ორი ქიმიშიანი ფუნთუშით. ხუმრობაა ამ გაჭირვების ჟამს?

მაკამ სველი კიბე ძლივს აათავა და კარი გააღო.

— დედა, მე ვარ! ნახე, რა მოვიტანე...

ხმა არავის გაუცია. ალბათ, სძინავს, — გაიფიქრა მაკამ და საძინებლისკენ წაბნაცაღდა. — დე, მოვედი! — თქვა კიდეც და საძინებლის კარი შეაღო. მარწყვის კომპოტის ქილა ზრიალით დაასკდა იატაკს. ჰაერში უმოძრაოდ ეკიდა ორი ფეხი.

II

მაკა ტახტზე მოკუნტული იჯდა, ბეზიას ნაქონი შალი მხრებზე ეხურა და ხელის ფათურით გაუთავებლად ისწორებდა, ბოლოებს გამალებით ექაჩებოდა, თითქოს უნდოდა, მთლად დაპატარავებულიყო და ამ შალში ერთიანად შემალულიყო, სამუდამოდ გაქცეოდა იმ სამყაროს, რომელშიც მოსვლას ასეთი დაუდევარი შემართებითა და შეუპოვრობით ლამობდა.

ამდენმა მისვლა-მოსვლამ და თანაგრძნობის გამომხატველმა ჩურჩულმა მთლად გამოფიტა და დაქანცა.

ხალხი მიდიოდა და მოდიოდა, კარი იღებოდა და იკეტებოდა, ციოდა. იატაკზე წყლიანი ნაფეხურები რჩებოდა, სახლი ქუჩის ერთგვარ გაგრძელებად იქცა. მაკა ძილ-ბურანში იყო, თითქოს ეძინა. სულ ერთი იყო ყველაფერი. ყვავილების სუნი გულს ურევდა, ჰაერი აღარ ჰყოფნიდა. აი, კიდევ გაიღო კარი, ნაკადს ახალგაზრდა კაცი შემოჰყვავა, მალალი, ოდნავ მხრებში მოხრილი, უცნობი. მორიდებით ნამოვიდა მაკასკენ, მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— ძალიან ვწუხვარ!

მაკამ ქვევიდან ამოხედა, ხმა ეცნო, ვერაფრით გაიხსენა — საიდან. უცნობს თვალი გაუსწორა. ეს უცნაური ღრმად ჩამჯდარი თვალის ჭრილიც ახსოვდა, ეს გამჭოლი მზერაც, მაგრამ საიდან?

— ძალიან ვწუხვარ, — გაიმეორა უცნობმა და მიიმედ გაჰყვავა ხალხის ნაკადს..

მაკა თითქოს ბურანიდან გამოერკვა, ნამოინია და მზერა დაადევნა.

უცნობი ეზოს ბიჭებთან ცოტა ხნით გაჩერდა და მალევე დატოვა ოთახი.

დასაფლავება მაკას ბუნდოვნად ახსოვს. სახლში ეზოს ბიჭებმა და გოგიტას ახალშერთულმა ცოლმა ლიამ მოიყვანეს, შუალამემდეგ ისხდნენ და მაკას გამხნევებას ცდილობდნენ. მაკაც უსმენდა. ილიმებოდა თავისი სუფთა ბავშვური ღიმილით, მაგრამ არაფერი ესმოდა.

ღმერთო, როგორი ცარიელი იყო სახლი, როგორი ცივი და მიუსაფარი! განყდა ბმული. უკანასკნელი რგოლი ზრილით დაასკდა ცივ ფილაქანს. აღარავინ იყო მის გარშემო.

მაკას ბოლოს და ბოლოს სავარძელზე ჩამოეძინა. ბიჭების დახმარებით ლიამ მაკა სანოლზე დაანვინა და საბანი დაახურა.

— გმადლობთ, — ჩუმად თქვა მაკამ და, როცა ყველანი გაიკრიფნენ და სახლში სიჩუმემ დაისადგურა, მაკას მესხიერებაში უცბად გაკრთა უცნობის მზერის მწვანე ნათება და მაკამ გარკვევით გაიგონა ხმა:

— კარგი სიგარეტი ხომ არ გაქვთ?

ეს აჩიკო იყო, აფხაზეთიდან ლტოლვილი ახალგაზრდა კაცი, მხატვარი. ლამაზი ხელის მტევნები ჰქონდა, გრძელი დაძარღული თითებით, ნახატებს რუსთაველზე, ხან კი მშრალ ხიდთან ყიდდა. ერთხელ გადავანყდი, ვერ მიცნო, არც გამკვირვებია — საკუთარ თავში ჩაკეტილი და მარტოსული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. თვალი შევავლე სურათებს, შავ და რუხ ფერებში დახატულმა ატუხულმა ფიგურებმა მიძიმე შთაბეჭდილება დამიტოვა, მალე გამოვერიდე. კაცია და გუნება.

აჩიკო ჩვენი სახლის მოპირდაპირე სახლში ცხოვრობდა, ბინა ჰქონდა ნაქირავები. ცხოვრობდა თავისთვის, თავისი

არსებობით თითქოს არავის აწუხებდა. ბიჭებთან იშვიათად ნახავდით, ყველასთან ზრდილობიანი იყო და ძალიან თავშეკავებული. მზერას იშვიათად თუ გაუსწორებდა ვინმეს, ასე რომ, მარტო მაკამ თუ იცოდა, როგორი ლამაზი მწვანე თვალები ჰქონდა აჩიკოს და ამ მწვანე თვალების შემონათებას მაკა ყოველ დილით გულისფანცქალით ელოდა.

აჩიკო მოდიოდა თითქმის ყოველდღე და მაკაც ახვედრებდა მისთვის საგანგებოდ გადანახულ „კარგ სიგარეტს“.

აჩიკო ჯიხურის სარკმელიდან ამოხედავდა მაკას, გაუღიმებდა, ხან ვაშლს შეუგორებდა, ხან ბრჭყვიალა ქალაქიდან კამფეტებს დაუყრიდა, ხან თბილ სიტყვას შეაგებებდა და მაკას უსახური ცხოვრებაც ათასფერად იწყებდა ლივილივს... — ოცნებობდა მაკა, — ოოო, რამდენს ოცნებობდა, რა ვეებერთელა და დაუნდობელი ფრთები აქვს ოცნებას, და რა დიდი ნეტარების მომნიჭებელია... და დაჰქროდა მაკა აღმა-დაღმა, არ დარჩენია სიმაღლე დაუპყრობელი და ზღუდეგადაულახავი... თავის მტკიცე ფეხებს სწრაფ-სწრაფად მიაბაკუნებდა დილდილობით, გული მირბოდა და ფეხები ვერ ენეოდნენ, გულისცემა ყელში ებჯინებოდა, საცაა ბუდიდან ამოუხტებოდა, მაგრამ რა კარგი იყო.

იმ დღეს აჩიკომ თავისი მომუშტული ხელის მტევანი ძლივს შეაცურა ჯიხურის სარკმლის ღრიჭოში.

— რა გაქვს ხელში? — იკითხა მაკამ.

— გაშალე და ნახავ.

მაკამ აჩიკოს ხელს თითები შეახო და უკან დაიხია. იგრძნო, როგორ აასხა სისხლმა და შებრუნდა.

— შენ თვითონ გახსენი, — თქვა ყრუდ.

— გავხსენი! — თქვა აჩიკომ სიცილით.

მაკა მობრუნდა, მის წინ ენძელების თაიგული იდო.

სუნთქვა შეეკრა და დააბალუპით იწყეს ცრემლებმა დენა.

— ტირი? — გაოცდა აჩიკო.

— დედას უყვარდა ენძელები, — იცრუა მაკამ.

მაკა ორი დღე რუდუნებით უვლიდა ენძელების კონას და, როცა თავები ჩამოკიდეს, სათითაოდ დაკოცნა, ჩაანყო წიგნის ფურცლებს შორის, მერე წიგნი გულთან მიიკრა და პირველად თქვა:

— მიყვარს!!!

ირინას გარდაცვალების შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა მაკას ცხოვრებაში, მოხდა ის, რასაც ჩვენს ეზოში არავინ ელოდა. ეზოს ბიჭები გვერდიდან არ მოსცილებიან მაკას, მისი არარსებული ოჯახის ნამდვილ წევრებად და მის თავგამოდებულ ქომავებად იქცნენ. ბინა განმინდეს, პარკეტის ამოვარდნილი ფიცრები ახლით ამოავსეს, დაბზარული ფილები ჩაუსვეს, ფანჯრის ჩარჩოს ღრიჭოები დაგმანეს და ძველი მინები ახლით შეცვალეს.

ლიამ ძველი ფარდები ჩამოხსნა, საგულდაგულოდ დაარეცხა და დააუთოვა, სამზარეულოს კარადები გამოუსუფთავა და ყველაფერი დამტვრეული სანავაგემო მოისროლა. ერიდებოდა მაკას, არ იყო ჩვეული ასეთ ყურადღებას, მაგრამ გული სიხარულით ჰქონდა სავე. ყოველ საღამოს ათუხთუხებდა თავის დიდ მწვანე ჩაიდანს და ბიჭებაც არ აყოვნებდნენ. მოდიოდნენ და ხან მურაბას მოუტანდნენ, ხან სახლში გამომცხვარი ღვეზელით გაანებვირებდნენ, თვითონაც რა ჰქონდათ რო... სამსახურიდან მოსულები დაღლილ-დაქანცულები ხშირად სტუმრობდნენ, რომ მისთვის მარტობა არ ეგრძნობინებინათ და ცხოვრება რალაცნაირად მაინც გაეხალისებინათ. მაკაც ტრიალებდა,

როგორც შეეძლო და სულ იმას ნატრობდა, აჩიკოსაც შემო-
ელო ერთხელ მისი სახლის კარი, და ეს დღეც დადგა...

ლიამ მაკას დაბადების დღეზე ტორტი გამოაცხო, დიდი
ტორტი იყო, ორსართულიანი, ყავის კრემით. უგემრიელესი.
ლიამ თავზე შოკოლადის მთელი ფილა დაახეხა და სანთლე-
ბიც ჩაარჭო. ბიჭებიც შემოიკრიბნენ, ერთი ბოთლი კონიაკი
და ყვავილები მოუტანეს მაკას და აფუსფუსდნენ. მაკამ თა-
ვისი ათადანბაბამდელი მწვანე ჩაიდან შემოდგა ქურაზე და
აჩიკოს ფანჯრებს მალულად გახედა. სინათლე არ ენთო.

კარზე ვილაცამ დააკაკუნა. ლევანმა კარისკენ გასწია:

— ვა, შენ აქ საიდან? — მოესმა მაკას ლევანის ხმა.

გულში თითქოს ზარმა მძიმედ ჩამორეკა, სისხლი გაეყინა,
თავს ძალა დაატანა და კარისკენ გაბაკუნდა.

აჩიკო იდგა წვიმისგან გალუმპული, სველი თმით და
იღიმებოდა თავისი შეუდარებელი ღიმილით.

— მაკა, სტუმარი გყავს, — თქვა ლევანმა, — შემოდი.

მაკა გაოგნებული იდგა და ხმას არ იღებდა.

— რა ზუსტად გაარტყი, თუ იცოდი, რომ დღეს მაკას
დაბადების დღეა? — იკითხა გოგიტამ.

— არ ვიცოდი, — მშვიდად თქვა აჩიკომ, — მაგრამ...
როგორც ჩანს... მცოდნია, ეს კი შენთვისაა, მაკა, სწორედ
შენი თვალების ფერია, გამომართვი.

მაკამ საჩუქარს ქალაღი შემოაცალა, დიდი ცისფერი
კერამიკული ჭიქა იყო ზედაპირზე ამოტვიფრული ყვავი-
ლებითა და კოხტა ყურით.

ლია კარს მიყრდნობლი ადევნებდა თვალყურს ამ უჩ-
ვეულო შეხვედრას. მასაც უკვირდა აჩიკოს მოულოდნელი
სტუმრობა, მაგრამ როცა მაკას თვალებს შეხედა, ამ
უზარმაზარ ბედნიერებისგან გაფართოებულ თვალებს და
მისი გულიდან ვულკანივით ამოხეთქილი ბედნიერების
ტალღის წამლეკავი ძალა თითქმის ფიზიკურად იგრძნო,
იქურობას უმაღლესად და ლევანი და გოგიტაც თან გა-
იყოლა.

— მოგნონს? — ჰკითხა აჩიკომ

— ძალიან, სად მონახე ასეთი ლამაზი? — ძლივს ამოთ-
ქვა მაკამ.

— იქ ჩვენთან ერთმა კერამიკოსმა მოიტანა და... ძალი-
ან გგავდა.

იმ საღამოს გვიანობამდე ჰყავდა სტუმრები. ბიჭები
ხუმრობდნენ, მღეროდნენ. მაკას გიტარამ ისევ ამოიღდა
ენა. აჩიკო ჩუმად იჯდა, სიგარეტს ეწეოდა და კონიაკს
წრუპავდა. მაკას თავის დიდ ხელისგულეებში მოექცია აჩი-
კოს ნაჩუქარი ჭიქა და ჩაის სმით ვერ ძლებოდა, მერე გაუ-
ბედავად მოჰკიდა გიტარას ხელი და სიმები აახმაურა.
ოთახში უხერხეული სიჩუმე ჩამოწვა. არავის არასდროს
ენახა ასეთი მაკა — ულამაზესი, წელში გამართული, და
ყელმოღერებული, სად იყო ის ავადმყოფი გოგონა, რომე-
ლიც მხოლოდ თანაგრძნობასა და შეცოდებას აღძრავდა
სხვებში? მაკა სხვა ადამიანად ქცეულიყო... მის ცისფერ
თვალეებში აქამდე არნახული ცეცხლი გიზგიზებდა, მის
ხმას კი ხავერდოვანი ტემბრი და გულის ძირამდე ჩამწე-
დომი ძალა მისცემოდა.

**ასე შორად რად მაფრინე,
ნიავის მესხა ფრთები,
რა გინდა, რას მიპირებ?
ფრთებმა რომ მიმუხტონ, მოგიკვდები.**

მღეროდა მაკა. ჩაქრა მისი ხმა. სიჩუმე არავის დაურღ-
ვევია.

მაკამ მორცხვად გადადო გიტარა და გაიღიმა ისევ ძვე-
ლებური თბილი და ბავშვური ღიმილით. ბიჭებმა ერთმა-
ნეთს გადახედეს, არც კი იცოდნენ, რა ეთქვათ.

მარტო ლიას არ გაჰკვირვებია მაკას ასეთი გარდასახ-
ვა. თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე და გული გამაღებით
უცემდა. ორი რამ კარგად შეიგრძნო იმ საღამოს ლიამ: ერ-
თი ის, რომ მაკას აჩიკო სიცოცხლეზე მეტად უყვარდა, და
მეორე — მის და გოგიტას დიდი ხნის ნანატრ შვილს ამქ-
ვეყნად მოსვლა ელოდა.

12 საათისთვის გაიკრიფნენ სტუმრები. მაკა კიდევ
დიდხანს უჯდა მაგიდას და აჩიკოს ანთებულ ფანჯარას
უმზერდა. მერე ცისფერი ფინჯანი ჩაბლუჯა და თავის
ოთახში წაბანცალდა.

გარეთ ოქტომბერი იდგა და გადაუღებლად წვიმდა. მა-
კა დიდ ძველ კარადასთან მივიდა და კარი გამოაღო. დიდ,
მღვრიე ლაქებით დაფარულ სარკეში დააკვირდა თავის სა-
ხეს, შემდეგ გაიხადა და ახლა შიშველი დადგა სარკის წინა-
შე. მართლაც რომ ლამაზი თვალები ჰქონდა, მარმარილო-
სავით თეთრი და პრიალა კანი, დედასავით მაღალი და სავ-
სე მკერდი, ყოველთვის მოხრილ მხრებს შორის რომ მა-
ლაგდა. მერე მზერა თავის აცაბაცა ფეხებისკენ გაექ-
ცა, სარკე უსიტყვოდ მიხურა და გრილ სანოლში შეწვა.

წვიმას დიდი რაკარუკი ჰქონდა ატეხილი. უყვარდა მა-
კას წვიმის ხმა, ინვა ხოლმე და აყურადებდა, ახლა კი მალე
წაართვა ძილმა თავი.

ეძინა მაკას ცისფერი ფინჯნით ხელში. სიზმრად კი ენ-
ძელების უზარმაზარ მინდორს ხედავდა, ენძელები კი პა-
ტარები როდი იყვნენ, მაკას მკერდამდე სწვებოდნენ და
პურის ყანასავით ირწეოდნენ... აღარაფრის ეშინოდა მაკას,
მის სხეულს წონა არ ჰქონდა. ბუმბულივით მსუბუქი იყო
და ჰაეროვანი. მაკა სავსე მკერდით ისრუტავდა ენძელების
გამაბრუნებელ სურნელს და ლალად მიაბიჯებდა გაუკვა-
ლავ მინდორზე.

იმ წელს ზამთარი მეტისმეტად ჭინჭყლი გამოდგა. ქა-
რიან დღეებს თოვლიანი წვიმა ენაცვლებოდა. შინ ციოდა,
გარეთ კი სუსხი ძვალსა და რბილში ატანდა.

მაკა ყოველდღე დადიოდა ჯიხურში, გამათბობელს
ხანდახან მთელი დღე ვერ ანთებდა, შუქი არ იყო, მაგრამ
მაკა რის მაკა გახლდათ — ძველ პალტოში შეფუთული, ხე-
ლებზე ხელთათმანებნამოცმული იჯდა, ყველას ღიმილით
პასუხობდა და ელოდა, ელოდა აჩიკოს... ეს მოლოდინი
გულს უხარებდა და გათოშოვლ სხეულში თბილ უწყვეტ ნა-
კადად ეღვრებოდა.

იმ დილითაც სახლი მიაღაგ-მოაღაგა, ძველი პალტოს
დიდი შავი ლილები ნიკაპამდე შეიკრა და კარისკენ გასწია.
კაკუნი გაისმა.

— შემოდი, — თქვა მაკამ და გასაღები ჯიბეში თითე-
ბით მოსინჯა.

გოგიტას ლევანი შემოჰყვა, ლევანს — მიხა, მიხას —
ლექსო.

მაკას ღიმილი პირზე შეაშრა. რალაც უცნაური იყო მა-
თი ასე ერთად გამოჩენა, თან დილით, ამ დროს ყველანი
სამსახურში უნდა ყოფილიყვნენ.

— მოხდა რამე? — იკითხა მაკამ ჩუმად და პირში სისხ-
ლის გემო იგრძნო.

ბიჭები ხმას არ იღებდნენ და ძალიან ერთნაირად უცნაურად იმშუშნებოდნენ.

— მოხდა რამე? — ახლა უკვე ხმამაღლა იკითხა მაკამ და გოგიტას თვალი გაუსწორა.

ბიჭები ანურული იდგნენ და მაკას მზერას თვალს არიდებდნენ.

— აჩიკო? — ყრუდ იკითხა მაკამ

— ხო, — თქვა... ლევანმა, — აღარ არის... გული გაუჩერდაო, ასე თქვეს.

ვერავინ გაბედა მაკასთვის აჩიკოს სიკვდილის ნამდვილი მიზეზის გამჟღავნება.

აჩიკოს დაცხრილული სხეული სალამოს ექვსი საათისთვის შემთხვევით მისულმა ბინის პატრონმა აღმოაჩინა.

III

ამ დღის შემდეგ მაკასთვის დრომ სვლა შეწყვიტა. მისი ისედაც დაცხრილული გულისთვის აჩიკოს სიკვდილი სრულიად შეუგუებელ და დაუჯერებელ ამბად იქცა.

ეკლესიის სამრეკლოსთან მტრედები ფრთხილდებდნენ.

აჩიკოს ცხედარი სწორედ იმ ეკლესიაში ესვენა, სადაც მაკა ერთ დროს სანთლებს ჰყიდდა...

მაკა აქ იყო, ეკლესიის კუთხეში გაუნძრევლად მდგარი. მის წინ უამრავი ხალხი ირეოდა, მაგრამ მარტოობისა და მიუსაფრობის უსაშველო და უძირო ტკივილი სულს უხუთავდა. თაფლის სანთელი ხელით ჩაებლუჯა და ალზე ალიცილიცებულ ხატებს გაშტერებით უმზერდა თავისი უზარმაზარი ცისფერი თვალებით. სანთლის ნალღენით ხელს უწვავდა, მაგრამ მაკა თითქოს ვერც გრძობდა ამას, რალაცნაირად ყველაფერი სულერთი იყო მისთვის. ყვაილებლისა და საკმევლის სუნი ნესტოებს უწვავდა. იდგა გახევებული, თვალმშრალი. ბიჭებმა არაერთხელ სცადეს სკამზე დაესვათ, მაგრამ არ დაჰყვა, თითქოს არც გაუგონია მათი ნათქვამი. მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა გასვენების დრო დადგა და ხალხმა გარეთ გაკრეფა იწყო, ყრუდ აარაკუნა თავისი ყვარჯენი და თავანუული გასასვლელისკენ დაიძრა. გარეთ გავიდა და კარისკენ ზურგით დადგა, ლევანმა ხელი მოხვია და მკერდისკენ მიიზიდა. მაკა იოლად დაჰყვა. ცრემლი არ ჩამოვარდნია. არც ეკლესიაში და არც სასაფლაოზე არ უტირია, არც მანქანიდან გადმოსულა, ეს იყო მხოლოდ — ჯიბიდან რალაც ამოიღო და გოგიტას გაუწოდა. ენძელების კონა იყო. გოგიტამ მინაში ჩააყოლა აჩიკოს ენძელებად ქცეული მაკას მდულარე ცრემლი. ბიჭებმა ჭიქა წაუქციოთო, და გოგიტასთან ავიდნენ, ლიას ბიჭებისთვის სუფრა უკვე გაეშალა. მაკას დანახვაზე ცრემლები წასკდა, მაგრამ თავი შეიკავა. რაც შინ ჰქონდათ, დაუზარებ-

ლად გამოიტანა და დატრიალდა. ფეხმძიმობა უკვე კარგად დასტყობოდა, მაგრამ კობტა მუცელი ჰქონდა. ლიამ მაკა დასვა და მხრებზე შალი მოახურა:

— ალბათ, გაიყინე! — უთხრა ლიამ.

— მე? არა!!! — თქვა მაკამ.

მერე ლიას მუცელს ფრთხილად ხელი დაადო და ჩუმად თქვა:

— ტყუპია!

— საიდან იცი? — გაეცინა ლიას.

— ვგრძნობ!

— მართლა რომ იყოს...

— აი ნახავ...

ბიჭებმა ჭიქები შეავსეს და აჩიკოს ჭიქა წაუქციეს. გარეთ ნელ-ნელა ლამდებოდა. ბარდნიდა მშვიდად, დიდი, დიდი ფანტელებით. სინათლე ისევ ჩაქრა და ლიამ თუნუქის ღუმელს შეშა შეუქცეთა, ბიჭებმა სანთელი აანთეს. მაკა გაუნძრევლად იჯდა, არაფერი უჭამია, ბიჭებსაც არ დაუტანებიათ ძალა. ლიამ რამდენჯერმე სცადა გამოლაპარაკება, მაგრამ ამოად, მაკა საუბარში არ აჰყვა. შეშა ატკაცუნდა და სახლში სასიამოვნო სურნელი დატრიალდა. მაკა ღუმელთან გადაჩოჩდა, უზარმაზარი ხელები ცეცხლს მიუფიცხა და მიყურდა. ბიჭები სვამდნენ და ლაპარაკობდნენ. ლიამ დაინახა, როგორ აიფარა მაკამ სახეზე ხელები და როგორ დაინყეს ხტუნვა-თამაში მისმა გამხდარმა მხრებმა. მაკა ტიროდა ჩუმად, ყრუდ, გულამოსკვნით, მისი სულის კივილი, ნება რომ მიეცა, ალბათ, ყველაფერს წალეკავდა ირგვლივ და მტვრად აქცევდა, მაგრამ...მაკამ, ბავშვობიდან მარტოსულმა და მიუსაფარმა, კარგად იცოდა, რომ მისი ტკივილი მხოლოდ მისი ტკივილი იყო, ტვირთი, რომლის არსებობითაც არავის შეანუხებდა და დაუმძიმებდა და არც ტარებით მხრებს ვინმეს.

— ნავალ, — თქვა ჩუმად და წამოდგომა სცადა, ლექსომ ხელი შეაშველა.

— დარჩი, აბა რა უნდა აკეთო სახლში?

— რასაც ყოველთვის ვაკეთებდი, — გაეცინა მაკას და ხელები გაშალა... — ახლა საფიქრალიც მეტი მაქვს... სადარდებელიც... ესეც საქმეა...

ლევანის მკლავს დაყრდნობილი მაკა ნელ-ნელა მიუყვებოდა ჩაბნელებული სადარბაზოს ვინრო კიბეს. დათოვლილი ეზო გადაჭრეს და მაკას სახლის კიბესთან მივიდნენ.

— აქედან მე თვითონ მივალ, — თქვა მაკამ და კიბეს მიიმედ აუყვა.

გამჭოლ სადარბაზოში მიძინებულ ქარს მაკას ყვარჯენის რაკარუკზე გამოელვინა და აშრიალდა.

სახლში ციოდა და ბნელოდა, როგორც ყოველთვის, მაგრამ მაკას თავისი ბინა ახლა განსაკუთრებით გამოყრუებულ-გამოცარიელებული ეჩვენა.



მხატვარი ნინო ზალიშვილი

ლევანი ბიჭებთან აღარ დაბრუნებულა. შინ წავიდა და დანვა. დაძინება სცადა, მაგრამ თითქოს მაკას სატკივარმა მასთან გადმოინაცვლა: ადგილს ვერ პოულობდა, წრია-ლებდა, ბოლოს ჩათვლიმა, მაგრამ შუალამისას გამოეღვი-და. ეკლესიის ზარების რეკვის ხმა ესმოდა, ხედავდა, ნის-კარტებით როგორ ექაჩებოდნენ თოვლივით თეთრი მტრე-დები ზარის ენაზე გამობმულ ბაგირს, ჩამორეკავდნენ ზარს და უსულოდ ცვიოდნენ გაუფალ თოვლში. ზარი ისე მკაფიოდ ჟღერდა, ვერ გაერკვია, ცხადი იყო თუ სიზმარი.

ლევანი წამოჯდა, გული გამალბებით უცემდა, ფარდა გადაწია. თოვლს კარგად დაედო. უჩვეულო ღამე იყო, დიდ-ფანტელა და მშვიდი. ყველას ეძინა. ამ უზარმაზარ შენობა-ში, მარტო მაკას ფანჯარა იყო სანთლის შუქით განათებუ-ლი და ეს სინათლე რალაცნაირად თვალს აბრმავებდა.

აივანზე გავიდა. ფანტელესაც კი ეძინათ, ზანტად ემ-ვებოდნენ, ტრიალიც კი ეზარებოდათ. ლევანი აივანს და-ეყრდნო და სიგარეტს მოუკიდა. მაკას არ ეძინა. რა დააძი-ნებდა. შორს, სადღაც მთის წვერზე, სველ, გაყინულ მიწაში აჩიკო პირველ ღამეს ათევდა...

მაკამ სამზარეულო გადაჭრა და მისი ჩრდილი უზარმა-ზარი გამოჩნდა სანთლის შუქზე.

— ჩემო პატარა მაკა, რამდენი სიმწარე გარგუნა ბედმა, — გაუელვა თავში, ასეა ცხოვრება. მარტო უფალმა უწყის, ვის რა გვინერია... „Помолись, дружок за бессонный дом, за окно с огнем“, — გაახსენდა ცვეტაევა. ციოდა, საფეხურები თოვლის თხელ შეყინულ ფენას დაეფარა. ფეხი სხლტებოდა.

მაკამ ხის ყავარჯენი ილიის ქვეშ ამოიჩარა, გაქექილი ხელთათმანები მაჯაზე ჩამოიქაჩა და ნელ-ნელა ჩაუყვავა კიბეს. ხის ყავარჯენი ყრუდ ახმაურდა შეყინულ ასფალტზე.

მაკა ჯიხურთან მივიდა, გასაღები კარის ღრიტოს მოარ-გო, ძველი პალტოს გრძელი კალთები აიკრიფა და ჯიხურ-ში შეიმალა. ხელისცეცებით უმაღლე მიაგნო გადამალულ სიგარეტის კოლოფს და კუთხეში სათუთად დადო.

— მოვა და მეც მზად მექნება! — გაუელვა ჩვეულმა აზ-რმა. დარაბა გახსნა და რძისფერ ცას ახედა.

„ალბათ, ისევ მოთოვს, ან არ მოთოვს. გაზაფხულამდე ჯერ შორია“.

ჯიხურში, როგორც ყოველთვის, ყინავდა, სინათლე არ იყო, მაკამ გამათბობელი ფეხით სკამის ქვეშ შეაცურა და შუშა ასწია.

- დღევანდელი გაზეთები არ გაქვთ? — მოესმა უცებ.
- ჯერ ადრეა, ალბათ, თერთმეტისთვის მოიტანენ.
- ასე გვიან?

— დაახლოებით ამ დროისთვის მოაქვთ ხოლმე, თუ გნებავთ, შეგინახავთ.

— მნებავს, — გაეცინა უცნობს, — სულ ჩემს ნებაზეა აწყობილი ეს ქვეყანა, აი!.. მაგრამ ორი პროგრამა შემინახე (მაშინვე „გადიდკაცდა“ პატარა კაცი, შენობით დაიწყო ლაპარაკი, ტონიც „გაუდიდკაცდა“).

— შეგინახავთ, არ დამავინყდება! — თქვა მაკამ.

— აბა შენ იცი, პატივისცემა ჩემზე იყოს, — გაიღრიაა „ბა-ტონი“ და ჩამომდგარ ავტობუსს ძუნძულ-ძუნძულით აედევნა. ჯიხურს პატარა სატვირთო მანქანა მოადგა, კეპიანი კაცი მკვირცხლად ჩამოხტა და ზაალთან მივიდა.

— მოვიტანე, დავცალ?

— სამი ყუთი აქ დატოვე, დანარჩენს სანყოში და-ანყო.

- კარგი... ისე, შენთან ხომ მშვიდობაა?..
- თითქოს, რატომ მეკითხები?
- გავიგე, ვილაც მოუკლავთ აქ, თქვენთან უბანში...
- ხო, ბევრი ხმაურია ამ ბიჭის ირგვლივ.
- იცნობდი?

— რა მაქვს მაგისთანებთან საერთო, ისე ვიცოდი... ერ-თი ნარკომანი იყო, ძალღვივით ჩაკლეს.

მაკა გაირინდა, სისხლი გაუჩერდა.

— საიდან იცი, რომ მოკლეს...

— ჩემი შვილისგან.

მაკა ძლივს წამოდგა.

— მილიციაში დარეკეს, — არ ცხრებოდა ზაალი.

— როგორ თუ მოკლეს?

— აი ასე... ექვსი ტყვია ჰქონია მოხვედრილი. ახია მა-გისთანებზე, სულ წავიდნენ ხელიდან, საწყალ და პატიოსან ხალხს ყველფენ და ძარცვავენ, — თქვა ზაალმა და კეპიანს ბოთლებიანი ყუთის ჩამოდგმაში ხელი შეაშველა.

— ეს ვინაა პატიოსანი, თქვენ? — იკითხა მაკამ და თვითონვე შეაკრთო თავისმა ხმამ. ისეთი გრძნობა შეექმ-ნა, თითქოს ვილაც გვერდით ედგა და მისი ხმით ლაპარა-კობდა.

ზაალმა გაოგნებული ამოხედა ქვევიდან.

— მოხდა რამე, მაკა?

— აჩიკო არავის მოუკლავს...

— მოკლეს-მეთქი, ახლა მე მასწავლე.

— ყველა თქვენნაირი ნუ გგონიათ...

— რაო? — ყურთან ხელი მიიტანა ზაალმა, — რა თქვი?

— ყველა თქვენნაირი ნუ გგონიათ-მეთქი, — ყრუდ გა-იმეროა მაკამ და თვალი გაუსწორა.

— ამანაც რომ ხმა ამოიღო, რასაა, რომ ამბობ, შე ღვთის გლახა, შენა, აააააააა! სულ დამავინყდა... ესენი ხომ შენი უახლოესი მეგობრები არიან.

— თავი დაანებე, — თქვა კეპიანმა, — ვერ ხედავ?..

— რომ ვხედავ, იმიტომ ვეხმარები... მე რომ თავი დავა-ნებო, ვინ ეყოლება პატრონი, ესენი? — ზიზლით მიმოიხე-და ზაალმა, — მე რომ არ ვიყო, მიმშლილთ ამოსძვრებოდა სული, ვაიიიიიი. ვირო, მაღლიო, ხომ გაგიგია?..

მაკა გათეთრებული იდგა, კრიჭა შეჰკვეროდა, კანკალს აეტანა. ზაალს სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ვი-ლაცის ღონიერი ხელი მოხვდა სახეში. შეტორტმანდა, მაგ-რამ დაცემისგან კეპიანმა იხსნა.

გოგიტა იყო.

— შენა ხარ ამის პატრონი, შე მათხოვარო?.. ეს საცო-დავი გოგო დღე და ღამე ამ გაყინულ ყუთში გიზის და იმ კა-პიკებსაც არ უხედი, რასაც დაპირდი. კაცი ხარ შენ? კაცი კი არა, სალახანა ხარ, შენი...

ზაალი გოგიტასკენ გაქანდა, მაკამ შუაში ჩადგომა სცა-და, მაგრამ ფეხი დაუსხლტა და მთელი ძალით დაასკდა გა-ყინულ მიწას. კიდევ კარგი ძველმა პალტომ იხსნა დამტვ-რევისგან.

ატყდა ერთი ამბავი, განეე-გამონევა. მალაზიებიდან ხალხი გამოიშალა და გაშველებას შეუდგა.

— დავაჭერინებ შენს თავს, აი ნახავ, არ გეგონოს, შენი ფეხმძიმე ცოლის გამო დაგინდობ!

— შენი დიტო კარგი კაცი რომ იყო, შენისთანებს დაი-ჭერდა პირველ რიგში, — თქვა გოგიტამ და გახეთქილი ტუჩიდან სისხლი მუშტით მოიწმინდა.

მაკა მიწაზე იჯდა და თვალეზე ხელაფარებული ყრუდ სლუკუნებდა. სახე ტალახით ჰქონდა მოსვრილი და ღვა-რად სდიოდა შავი ცრემლები...

ბიჭებმა ფეხზე წამოაყენეს, სუნთქვა უჭირდა, თითქოს ერთიანად დამძიმდა, ფეხებს ვერ იმორჩილებდა. ჩოჩიალ-ჩოჩიალით მაინც მივიდა გოგიტასთან და ჩუმად თქვა:

— მაპატიე, არ მინდოდა. წამოდი, სახე მაინც დაიბანე, ასე ლიას ნუ დაენახვები...

გოგიტა და მაკა ნელ-ნელა აუყვნენ სადარბაზოს კიბეს.

სამი დღის შემდეგ, დაახლოებით ღამის 1 საათზე ისევე ერთი ამბავი ატყდა ეზოში. ზაალის ჯიხურს ცეცხლი ეკი-და, ხეს ტკაცა-ტკუცი გაუდიოდა და ალი ცისკენ სულ ნა-პერწკლებს ცვენით იწვედა. გამწარებული ზაალი თავისი ვაჟით დიტოთი და სხვა ოჯახის წევრებით წყლიანი კასრე-ბით დარბოდა აქეთ-იქით და ხალხს დასახმარებლად უხ-მოზდა. არავინ გამოსულა. ეზოს ბიჭები ჯიბეებში ხელ-ჩანყობილები იქვე შორიახლოს იდგნენ და ადგილიდან არ იძროდნენ.

— თქვენი მონყობილია ეს ყველაფერი, — დაისისინა ზაალმა.

— როგორ მიხვდი, — შეეპასუხა მიხა.

— არ შეგარჩნით.

— აბა, შენ იცი...

ლევანმა აივნიდან გადმოიხედა.

— რა ხდება?

— „ქაჯანას“ ახალ ვერსიას ვიღებთ, ჭიაკოკონობის სცენას ამჯერად. ჩამოდი, თუ გინდა გადაგახტუნებთ, — ამოსძახა თედომ.

— მართლაც რომ კარგადაა დადგმული... შთამბეჭდა-ვია, — გაეცინა ლევანს.

— აბა, რა გეგონა, „პროფესიონალი“...

ზაალს დიდხანს სირბილი არ დასჭირვებია. მისი ჯიხუ-რი ბოლომდე ჩაიწვა და ჩაიფერფლა.

— მორჩა კინო, — თქვა ლექსომ, — მთავარი გმირი მართლაც რომ მაგრად თამაშობდა, ჰა, რას იტყვით?

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს და უხმოდ დაიშალნენ. ღამით მოთოვა.

ღილით გამოსულ მეზობლებს ზაალის თავმომწონე ჯი-ხურის ნაცვლად აგურით ამომეხებული სამი გაჭვარტლუ-ლი საფეხურილა შერჩათ ხელში.

IV

ის დღე იყო და მაკამ გარეთ გამოსვლა შეწყვიტა, შინ ჩაიკეტა. გარე სამყაროს გაემიჯნა, რალაცნაირად თით-ქოსდა ერთიანად დაპატარავდა, თვალეები ჩაუჭრა, თით-ქოს ფერიც კი შეეცვალა და უღრუბლოდ ცისფერი თვალე-ბი ნაცრისფერი გაუხდა.

სალამობით მისულ ბიჭებს ისევ ხალისით ხედებოდა, უთუხთუხებდა თავის მწვანე ჩაიდანს და ღიმილით ეპატი-უებოდა სუფრასთან, მაგრამ ძირითადად ჩუმად იჯდა მაგი-დის კუთხეში და ვითომდა მათ საუბარს ადევნებდა თვალ-ყურს. თუმცა აშკარა იყო, რომ მაკას გონება სულ სხვაგან იყო. არიკო არასდროს უხსენებია, არც ბიჭებს დასცდენიათ სიტყვა, მაგრამ დიდ ხელისგულეებში მოქცეული ცისფერი ფინჯანი და ქრისტეს ჯვარცმასთან მუდმივად მოლიცლი-

ცე სანთელი არიკოს არათუ ხსოვნის, არამედ მაკას ცხოვ-რებაში ცოცხლად არსებობის ნათელი დასტური იყო.

ერთ დღესაც სანახავად მოსულ ლიას მაკა უცნაურად აფუსფუსებული დაუხვდა. მაკა ტრიალებდა და რალაცას მეტად საქმიანად ფუთავდა. ლიას მაკას ისედაც ცარიელი სახლი მთლად გამოშიგნული ეჩვენა.

— რას აკეთებ? — ჰკითხა გოციტულმა.

— სწორედ შენი და გოგიტას ნახვა მინდოდა, დროზე მოხვედი...

ლიამ ოთახს მოავლო თვალი, სერვანტის თაროები ცა-რიელი იყო...

— სადაა შენი ლურჯი სადილის სერვიზი... გაყიდე? — გაოცდა ლია

— აქ, — მიუთითა მაკამ მუყაოს მოზრდილ ყუთზე.

— კი მაგრამ, რატომ ფუთავ?

— მივემგზავრები... ცოტა ხნით და მინდა თქვენთან იყოს.

— სად... მივემგზავრები? ვისთან?

— ახლობლებმა დამირეკეს და თავისთან დამპატიყეს.

— ვინ ახლობლებმა, მაკა, სად?

ლია აწრიალდა, გრძნობდა, რომ მაკა რალაცას არ ეუბ-ნებოდა...

— დედას გარდაცვალება ახლა გაუგიათ და...

— და რა?

— დამპატიყეს...

— შენ იცნობ?

— რა თქმა უნდა, ძალიან კარგი ხალხია, ისე როგორ წა-ვიდოდი.

აი, ერთ გასაღებს გიტოვებ, ხანდახან დახედე ხოლმე აქაურობას...

— კი მაგრამ, ვინ შემოვა აქ, ვინ წაიღებს ამ სერვიზს?

— ლია, შენც კარგად იცი, რომ ამის მეტი არც არაფე-რია წასაღები ამ სახლიდან, თქვენზე ახლობელი კი მე არა-ვინ მყავს და უფრო მშვიდად მექნება გული. შენთვის მიძი-მეა, ხელი არ მოჰკიდო, გოგიტა აიტანს.

— როდის მიდიხარ, რითი და როდის აპირებ დაბრუნე-ბას? — ლია მექანიკურად უსვამდა შეკითხვებს, გული კი ფორიაქით ჰქონდა სავსე.

— ხვალ, მატარებლით, ბილეთი უკვე დაჯავშნულია, დაბრუნებით კი მალე... ორ, სამ კვირაში...ნეტავ ვის რაში ვჭირდები ან აქ და ან — იქ, — გაეცინა მაკას.

— ჩვენ გვჭირდები და ეს შესანიშნავად იცი!

— ვიცი, — თქვა მაკამ და ლიას მოეჩვენა, რომ მაკამ მზერა აარიდა, ცრემლი დამალა.

— შენს პატარებს მიხედე, მე მალე ჩამოვალ!

— გოგიტა გაგაცილებს!

მაკამ მხრები აიჩჩია.

— კარგი! ხვალ 6 საათისთვის შემომიაროს, თუ დრო ექ-ნება. მატარებელი 8-ის ნახევარზე გადის, თუ არადა, ტაქ-სის გამოვიძახებ...

— არა, მაკა, გოგიტა ან ლევანი აუცილებლად მოვლენ.

ლია მაკას მიუახლოვდა და მოხვევა სცადა. მაკა თით-ქოსდა დაჰყვა, მაგრამ მოულოდნელად ხელიდან დაუსხლ-ტა და თავისი ოთახისკენ ჩქარი ნაბიჯით გაბაკუნდა.

ლია მიხვდა, რომ მაკა ტიროდა. ამიტომ ჩუმად გაიხურა კარი და გაეცალა.

მეორე დღეს საღამოს 6 საათზე მოსულ გოგიტას კა-რებში მაკას წერილი დახვდა. თავისი ბატიფეხურით მაკა

წერდა: „ადრე მომინია გამგზავრება, ძალიან მომენტატრე-ბით, დიდი მადლობა ყველაფრისთვის, თქვენი მაკა“.

გოგიტამ გასაღები გადაატრიალა და ოთახში შევიდა. ოთახის შუაგულში მუყაოს მოზრდილი ყუთი იდო...

მართლაც რომ უცნაური იყო ეს ყველაფერი...

განვლო ორმა კვირამ, სამმა. მაკა არ გამოჩენილა. ბიჭები აწრიალდნენ, მილიციის მივიდნენ და განცხადებაც დატოვეს.

— თქვენ მისი ვინა ხართო? — ჰკითხეს.

— ახლობლებიო, — უპასუხეს....

— „ახლობელი“ ფართო ცნებაა, იმ ქალს ნათესავი და კანონით თქვენზე მეტი გულშემატკივარი არავინ ჰყავსო? — დაინტერესდა მილიციელი.

— რამდენადაც ვიცით, არაო, — მხრები აიჩჩინეს ბიჭებმა.

— აბა თქვენ, ბინა გაინტერესებთო, — სიტყვა შეაგება თავისი გამჭრიახობით კმაყოფილმა მილიციელმა.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს და უსიტყვოდ დატოვეს მილიციის განყოფილება.

თებერვალს მარტი მოჰყვა, მარტს — აპრილი. გოგიტას და ლიას ტყუბები შეეძინათ — გოგო და ბიჭი, სანდრო და ელენე.

მაკა მართლაც უყვალოდ გაქრა, მის შესახებ არავინ არაფერი იცოდა, მაგრამ ღია და ბიჭები მაინც არ კარგავდნენ იმედს და მის დაბრუნებას ყოველდღე ელოდნენ.

ერთ საღამოს შინ დაბრუნებულ გოგიტას ღია ფანჯარასთან ზურგით მდგარი დაუხვდა. მისი მოსვლა ღიას თითქოსდა არცკი გაუგია. პატარა ელენე სანოლში იდგა და ბუქნავდა, სანდრო კი ფეხშიშველა დაბაჯბაჯებდა და მანოვარას პატარა თითებით ჭმუჭნიდა.

შუშაბანდში მუყაოს თავახდილი ყუთი იდო. გოგიტამ მაშინვე იცნო მაკას ლურჯი სადილის სერვიზი.

— ღია! — დაუძახა გოგიტამ, — მაკა დაბრუნდა?

ღიას მოულოდნელად მხრები აუთამაშდა და სახეზე ხელი აიფარა.

— არ მეტყვი, რა მოხდა? — შეშინდა გოგიტა, — რატომა მაკას ყუთი გახსნილი? დაბრუნდა?

— არა! — თავი გააქნია ღიამ, — არ დაბრუნებულა და... არც დაბრუნდება.

— საიდან იცი, რამე შეიტყვე, აღარ იტყვი?

ღიას ლაპარაკი უჭირდა.

მაკას სერვიზის გარეცხვა და ხელახლა ჩალაგება გადავწყვიტე და აი, რა ვიპოვე, — ძლივს თქვა ღიამ და მუჭი გაშალა — ღიას ხელისგულზე ოქროს ბეჭედი იდო, შუაში მოზრდილი ვარდისფერი ქვითა და ირგვლივ გამჭვირვალე ბრჭყვიალა თვლებით გარშემორტყმული და ელვარებდა.

„ბედნიერი ვიქნები, თუ ატარებ ჩემს მოსაგონებლად. მაკა.“ — ეწერა პატარა ქალაღზე.

სანდრომ და ელენემ ფეხი კარგად აიდგეს და ენაც ამოიდგეს.

მაკა კი არ ჩანდა.

გაზაფხულის პირს მიხას და ლევანს მუხათვერდის სასაფლაოზე მოუწიათ ასვლა. გზად აჩიკოს საფლავეზე შევლა გადანწყვიტეს.

— ქვემოთ ნამდვილი გაზაფხულის სურნელი ტრიალებს, აქ კი... თითქოს ისევ ზამთარი დგას. არ მიყვარს აქ მოსვლა, — თქვა მიხამ

ვის უყვარს რო?

— არც არავის, მაგრამ აქაურობა რალაც ნამეტანი მოწყვეტილია.

— სამაგიეროდ, ხედია ღამაზი, ნახე, ჯვარი ხელისგულივით მოჩანს, ზაფხულში არაჩვეულებრივი სანახავია.

— ხედი „აქაურებს“ დიდად არაფრად სჭირდებათ... რაც შემეხება მე, სულ არ მხიბლავს, ხედი კი არადა... კარგი იყო, სასმელი წამოგველო....

— სხვა დროს იყოს.

მიხა და ლევანი მძიმედ მიაბიჯებდნენ თოვლში.

— აი, ეს უნდა იყოს აჩიკოს საფლავე.

— ხო, ესაა, ნეტავ, ვინმე თუ მოდის.

— ნახე, ენძელები, — გაოცებულმა თქვა მიხამ.

— აბა?...

თოვლიდან თავი ამოეყვით ენძელებს.

— მართლა საოცრებაა, სანყალი მაკას ცრემლი უნდა იყოს....

— ვინ იცის, იქნებ მართლაც ასეა....

მიხამ ჯიბიდან სანთლები ამოაძვრინა და ასანთს გაჰკრა.

— მაინც რა ბედი ჰქონია ამ უბედურს!..

— ვის?

— აჩიკოს.

— რას გულისხმობ?

— საცოდავად იცხოვრა და საცოდავად წავიდა...

— ხო, მაგრამ როგორ უყვარდა მაკას!

— ხო, უყვარდა, მართლა ძალიან უყვარდა და სულ მიკვირს, რატომ?

— აბა, რა ვიცი. შენ თუ ჰყვარებიხარ ასე ვინმეს?

— არ ვიცი, არავის არაფერი უთქვამს და... ალბათ, არა. ეტყობა, არ ვიმსახურებ, — თქვა ლევანმა, — ისე ცუდი არ უნდა იყოს.

— „დამსახურება“ აქ არაფერ შუაშია, გენატრება მაკა?

— იცი, მენატრება, ძალიან მენატრება, მაგისთანა სუფთა და ხალასი ადამიანი არც შემხვედრია და, ალბათ, აღარც შემხვდება „ჯანსაღ სხეულშია მარტო ჯანსაღი სული“, რა სისულელეა.

— ისე მართლაც რა უცნაურია, რომ ენძელები მარტო აჩიკოს საფლავეზე მიმოხეული, — თქვა ლევანმა.

ლევანს ბათინკის ძირზე აკრულმა თოვლიანმა ტალახმა ფეხები დაუმძიმა, მიმოიხედა, იქვე, საფლავის შორიანხლოს, მიწიდან ამოჩრილ ხის ნაგლეჯს მოჰკრა თვალი, მიუახლოვდა და ღონივრად დაჰკრა ფეხი. თოვლიდან ამოტყორცნილი სველი მიწის გორბი პირდაპირ სახეში ეცა ლევანს.

— რას შერები ბიჭო, გაგიჟდი? — ამოსძახა მიხამ და სახელოების ბერტყვას შეუდგა.

— ფეხსაცმლის ძირის განმენდა მიწოდდა და, — სიტყვა გაუწყდა ლევანს, — მიხა... მოდი, — თქვა და ჩაიფხულა.

— რა იყო?

— მოდი, რალაც უნდა გაჩვენო.

მიხა და ლევანი უხმოდ დასცქეროდნენ მიწას. თოვლიან მიწაზე ყავარჯენი იდო. სამი სანთელი ჩუმად ილვებებოდა თოვლიდან თავნამოყვლელებზე ენძელებს შორის...

მაკას მალევე გამოუჩნდნენ „უახლოესი ნათესავები“. მათ დიდი მონდომებით, „დიდსულოვნად“ ეხმარებოდნენ და მფარველობას უწევდნენ ზაალი და მისი ვაჟი დიტო.

პროზა

ბინაში დაუყოვნებლივ გაკეთდა ევრორემონტი და მალევე სარეცხის თოკები ბავშვების ჭრელა-ჭრულა სარეცხით დაიხუნძლა და დამძიმდა.

ბიჭებს იქით გახედვაც კი უჭირდათ. მაკა მათ მეხსიერებას სისუფთავის, ერთგულებისა და თავდადებული სიყვარულის განსახიერებად შემორჩა. მაკას ხატება მათ სულელებში ჩაიკირა და განუყოფელ ნაწილად იქცა.

ახლა ღია გადმოიღებს ლურჯი სადილის სერვიზის თევზებს და სანდროსა და ელენეს უამბობს მამაცი მხედარი ქალის მაკასა და მისი მეგობრების შესახებ. თან თითო

აჩვენებს, რომ ეს არაჩვეულებრივი ადამიანი აი იიიიიიიიიიიმ ფანჯარაში ცხოვრობდა. არ ვიცი, რამდენად ესმით ეს ყველაფერი სანდროსა და ელენეს, მაგრამ დედის ნაამბობს პირდალბული უსმენენ, კოხტა თავებს ატრიალებენ და თითქოს აი იიიიიიიიიიიმ ბნელ ფანჯარაში მაკას დანახვას ცდილობენ.

ასე იყო და ასე იქნება...

იყო და არა იყო რა... იყო მაკა.

ისე, მართლა... „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული“ — ვინ თქვა ეს? სისულელეა ეს ყველაფერი.

ჰუმორი



ვისაც უნახავს გიორგი მირზაშვილის ფერწერული და შერეული ტექნიკით შესრულებული ნამუშევრები, მისთვის გასაგები იქნება ამ ლექსების სტილისტიკა: ხედვა საგნობრივი, ემოცია მძაფრი, კომპოზიცია დეტალური.

საგანი აქ ყველაფერია, უპირობოდ მბრძანებლობს მისთვის გამოყოფილ დროსა და სივრცეში. მაკაცი კონტურები, ზუსტი აღწერა, ბუნებრივი მოტივები — თავისუფალი გზა იმპრესიონისტულიდან ნატურალისტურამდე.

მეტალის სიმტკიცით გამოირჩევა აპლიკაციის წესით დალაგებული დეტალები. ლექსი იქმნება ტემპერამენტის ქურაში გატარებული სიცოცხლის ფრაგმენტებით. თვალშისაცემია მოძრაობა და სივრცე, პარალელური ხაზები და თავბრუდამხვევი რიტმი.

წერს ისე, როგორც ხედავს და როგორც გული კარნახობს — არა თვითნებურად, არამედ თავისუფლად.

თუმცა ფორმა არც ისე იოლად ესადაგება შინაარსს, როგორც ერთი შეხედვით ჩანს; დიდხანს ეძებს, სინჯავს, ამოწმებს — „გვარიანი ფერის პოვნა კვლავაც მაცლის არაქათს“ („პეიზაჟი“).

ასეა თუ ისე, მაინც დაცულია ბალანსი ნახატსა და ლექსს შორის. სინთეტიზმის დინამიკა — პოეზიის წარმოშობა მხატვრობის სულიდან.

გიორგი მირზაშვილი

* * *

ჯანაშიას ქუჩა მყუდრო
ხეზარდა და აკაცია,
ქვაფენილი რიგიანი
ვერაფერმა დააქცია.
სურნელება ჰუგო ბოსის,
უსაბუთო ლაყაფი,
სიგარეტით გაბულული
ყავლგასული ლაზათი.
ფიქრი ლექსად გამოთქმული
დაძლეული დარდი,
ნაგრძნობია შეუცდომლად
ალალი და ნაღდი.

ბროწეული გადმოსულა სკოლის გალავანზე,
ქვა წისქვილის დატრიალდა თმაგაცვენილ თავზე.
მანანნალა მურა ძალლი აღარ დაჰყეფს ბედს,
მომწვანო და მომელნისფრო კისერი აქვს მტრედს.

ჯიბრი

ფშატი. სიმინდი. ხრეში.
მახათა ხაკისფერი.
ვერედან მოვარდნილი
სიო — აგვისტოს თვეში.

ჯამში — ნიგოზი, თხილი.
თეფშზე — ქარხნული ყველი.
ჯანგატეხილი რიხი.
ძღვევამოსილი ხერხი.

ჩაი. თამბაქო. სევდა.
მძივი. ღიმილი თბილი.
ალიანდაგებს ნება
ფიქრებს ამღვრეულს ჟინით.

მივინყებელი ქალი.
ამჩატებული ტვირთი.
ჯიბრი. ლოდინი. ქარი.
გუბედ ქცეული ზვირთი.

ანაზად თქმული

შუშის გამჭვირვალე თასში ჩამიჩია ნიგვზით,
სიგარეტის ღერი შავი, ოქროსფერი ფილტრით,
მოვერცხილი ჩარჩო ნაძვის ეკვრის

ქალის პორტრეტს,
ლურჯად შეფერილი ტილო ხელთ უპყრია მოლბერტს.
საფერფლეში ნამწვებია შეწირული მსხვერპლად,
მაგიდაზე წიგნთა გროვა აღმართულა ძეგლად.
გარეთ ბებერ გაზონებში — მარადმწვანე ტუია,
ეს ქალაქი უძლეველი — საქართველოს გულია.

საზონის მშენება

სულს ლაფავს ხვატი
 აგვისტოს მიწურულს
 სპარსულად — მირზა
 ნიშნავს მწერალს და
 დიდებულს.
 ჰოდა, მეც დავწერე
 სტროფები ახოვანი,
 ოდნავ უხამსი და
 ხატოვანი.
 საქსოფონის მღერა ლალი
 ქარად დამატარებს.
 ქრონომეტრი უფანგავი
 მარდად ითვლის წამებს.
 შავი ბოთლი ლიქიორის,
 ღვინის უცხო ბუკეტი.
 დალასლასებს ესტრადაზე
 შანსონიე უდრეკი.
 კვამლის ბოლქვებით დაბურავს
 გადაქანცულ სახეს.
 დამცინავად ააჟღერებს
 სულისშემძვრელ შლაგერს.
 თეთრი ჭიქა ფაიანსის,
 პასკა სააღდგომო.
 ალიანსი განყვეტილი
 უნდობლობის გამო.
 დაუბერა სიომ. აშრიალდა ფარდა.
 რალა დამრჩენია, სიყვარულის გარდა.
 ხელგანვდილი ზანგი —
 მშენებარე სახლთან.
 ჩაეცინა გოგოს
 სიგარეტის დახლთან.
 მედგრად შეველიე
 ხურდას საფულეში.
 ვერ ვიქნები კარგად
 ამ მთავრობის ხელში.
 იმძლავრეს ქარებმა
 აგვისტოს მიწურულს.
 სპარსულად — მირზა
 ნიშნავს მწერალს და
 დიდებულს.
 ჰოდა, მეც დავწერე
 სტროფები არიფული,
 ცამდე მართალი და
 ნელში გამართული.

* * *

გზაჯვარედინზე დამემგზავრება
 ქალი-სუმბული, მდგარი ფარდულთან,
 გამეგზავნება მქრქალი ზმანება
 გარდასულ წამთა მოსალანდებლად.
 გზად მაგონდება უღვთო ლოთობა....
 ნაშთი გრძნობების გამოცოცხლდება.

ასე მარჯვედ და ასე უღონოდ,
 ასე მძიმედ და ასე უგონოდ,
 თავგამოდებით ველტივი განცხრომას,
 დაახლოებას, შემდეგ — განდგომას.

* * *

გაბნეული სხივი
 ტანმალალი ლამპის
 გაიტაცებს უკუნს
 უსიცოცხლო ლამის.
 იკმეოდა ღვარძლი,
 აიღენა დილა,
 დარდი უნუგეშო
 ფიქრში ჩაიძირა.

„SUITE BERGAMASQUE“

ფიქრის გორა.
 შუალამე.
 გაძარცული კედლები.
 ატმის დარი მასპინძელი,
 ნარბშეკრული სტუმარი.
 სული სხეულს განეცალოს -
 განწმენდილი - გადაღლილს,
 განცხრომისთვის მოიცალოს,
 ითარეშოს მარადის.
 თვალისმომჭრელ დაფიონზე
 რწმენა აღმოცენდება,
 შეუპოვრად მქროლავ მერცხალს
 ძერა თავს დაეცემა.
 ენკენისთვე იღბლიანი,
 აღზევების წამები,
 სურათები სანაქებო,
 გაღებული ვალები.
 შუალამე.
 ფიქრის გორა.
 ძველებური ოთახი.
 მომწუსხველი მასპინძელი,
 მომლიმარი სტუმარი.
 იდუმალი ქალბატონი
 აისრულებს გულისთქმას -
 როიალზე შეასრულებს
 დებიუსის სიუიტას.

სამოგლო

გზა გაინაღდა კაცმა,
 მწარე ინვინია გემო.
 ვინ შეაყვარა ოდით -
 ვენახის ატმის გემო?
 მედგრად გატეხავს ღამეს,
 დუნედ მონრუპავს ჩიფირს,
 სიგარას გააბოლებს —
 თვალს გაუსწორებს სიკვდილს.

ხარბად ირეკლავს სარკე
ნელსაცხებლების შუშებს.
ფარვანა ცრიატ ქალთან
ესწრაფვის ღამის გუშავს.

მზე ზურგს შეგვაქცევს მწველი,
ხვარშაკს დანისლავს სუსხი.
დაუდგრომელი ჟინით
სადგომს ვენწვევი მყუდროს.

ტარა ჟარმონის პალტო,
კოკო შანელის ამბრით.
აჰმად ჯამალის ტრიო –
ბასი, პიანო, დრამსი.

კვიპაროზები ქარში,
ცეცხლოვანი ხის ჩერო,
რტოებგაშლილი პალმის
გოფირებული ღერო.

გზა გაინალდა კაცმა,
მწარე ინვნია გემო
მე შემაყვარა მამამ
ვენახის ატმის გემო.

მთაბრეხილი

მაკა ჩარკვიანს

ჟამმა ხანჯლით გამოჩორკნა
კაცის მტკიცე არსება,
ნანდაური ჯეილობის
უსათუოდ ახდება.

აფხაზეთის ზღვის ტალღებში
მოლივლივე კატარლამ
საღერღელი ამიშალა,
გარდიგარდმო მატარა.

ნავსადგურთან თეთრი გემის
მხიარული რახრახი,
მოარშიყე ასულეების
თავგასული ხარხარი.

მალ-მალ მისვამს არაყი და
იშვიათად — ზედაშე,
მთაგრეხილით უდაბურით
მოვალნიე შენამდე.

შავგვრემანო ლამაზმანო,
დაგიჯდები ვიზავი,
მოვიგონოთ წარუშლელი
ჰაფეზი და ნიზამი.

ჟამი ხანჯლით გადასერა
სევდით სავსე გულმა,
სანადელი აისრულა
კაცმა მოწიფულმა.

პიიზაჟი

სექტემბერმა აგვისტო ნებსით ჩამოილოცა.
ხელოვანმა ნახატი მუშტარს გადაულოცა.
ვარდისფერი ღრუბელი ეხამება გარიჟრაჟს.
გამალებით ეძალეა ჯადოქმნილი — ნაგიჟარს.

მათხოვარი ნაღვინევი არ იშურებს რევერანსს,
ძალღი პატრონს ჩაანაცვლებს, დეკადანსი — რენესანსს.
გაანგრეე ზღუდეები, გადანიე სამანი,
შეეხიდე გაჭირვებულს, გაამხნევე მავანი.

გზატკეცილი ხორკლიანი შეეხება საბურავს,
დროსტარება უდარდელი დღეს რუტინულს დაბურავს.
კარ-მიდამო მიგდებული მონასმს ითხოვს ქათქათას,
გვარიანი ფერის პოვნა კვლავაც მაცლის არაქათს.

ჭაობისფერ უდრეკ ხეებს ნისლი შემოეხვია,
იდუმალ სახლს ღობედ ეკვრის ალვაა თუ ვერხვია
მიყუდებულს კაკლის სკამზე ვუცქერ ტილოს დალილს,
მქისედ მესმის ჰორიზონტზე აფეთქება ნალმის.



არა, პატრონო!

„პალიტრამ“ 2012 წელს გამოსცა ილიას თხზულებანი, I ტომში დაბეჭდილია თარგმნილი ლექსი „ზედა მქადაგებელი“, როგორც გოეთეს ქმნილება /გვ. 232/.

მსგავსი სახელწოდებისა და შინაარსის ლექსს გოეთეს ნაწერებში საერთოდ ვერ მოძებნით.

არაერთხელ დავბეჭდე /მიუთითეს სხვებმაც/, რომ ეს გახლავთ იაკობ პოლონსკის ცნობილი ნაწარმოები.

პოლონსკიმ რომ პირველი კრებული გამოსცა, ბელინსკიმ სასტიკად გააკრიტიკა. განაწყენებული მოშაირე საქართველოში / „რუსთა იტალიაში“ / გამოემგზავრა. აქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1841-1851 წლებში, შეისწავლა ქართული, აღწერდა ჩვენებურ გარემოს. რუსებს შორის პირველმა უძღვნა ლექსი რუსთაველს. მოგვიანებით გაიცნო ნ.ნიკოლაძე, ა.წერეთელი, ი.ჭავჭავაძე; აქაურმა ადამიანებმა და ბუნებამ ისე კეთილისმყოფელი ზეგავლენა იქონიეს მასზე, რომ შექმნა საგულისხმო ნიმუშები. ის რუსეთში დიდებით მოსილი დაბრუნდა.

სწორედ ილიას ჭაბუკობაში /1857 წელს/ გახლდათ დიდების ზენიტში რუსი მგოსანი და პეტერბურგში მყოფმა ახალბედა კალმოსანმაც მისი ქმნილება დიდის მონადინებით გადმოაწინა.

მივმართავ რედაქტორებს:

ამიერდან მაინც გაასწორეთ ეს კუროიზი!

მურმან თავდიშვილი



შოთა ბოსტანაშვილი

პრინციპული
ლაპარაკი

როცა რამე არ გამოდის (მაგალითად ლექსი),
ვატყობ რო პრინციპებზე გადავდივარ.
დავინწყებ თუ არა პრინციპებით მოქმედებას —
ფიქრს, წერას ან ლაპარაკს —
ყველა პრინციპი პეშვით ამოღებული წყალივით
თითებშუა მექცევა:

- მექცევა — მეღვრება;**
- მექცევა — ასე მეპყრობა;**
- მექცევა — თითებში მომემწყვდევა;**
- მექცევა — სხვა რამედ გადაგვარდება.**

ეს ყველაფერი ერთად ხდება და ერთდროულად.
იქნებ ერთდროულობაა პრინციპი —
განსხვავებათა ერთდროულობა.
ამიტომ ხელს ვიბან პრინციპებზე
და ცოდნის პირსახოცზე ვიმშრალებ;
მერე კი სუფთა ხელებით და “არცოდნით” ვმუშაობ.
ყველაზე საინტერესო პრინციპი უპრინციპობაა, —
შემთხვევითი, ისე რამე...
კანონი და ზომიერება კი
თავად ემთხვევა შემთხვევას.
საინტერესოა ის, რაც კანონს ეურჩება
(პოეზიად ის რჩება);
ურჩობა ხო ერესია, ანდა ინტ/ერესია,
ან უბრალოდ ის, რაც საინტერესოა,
რადგან

საინტერესო საინტერესო საინტერესობის გამო.

საინტერესოა რა ხდება, რა ამბავია:
როცა ენის მეტყველება სჭარბობს ენით მეტყველებას;
როცა ვაცნობიერებ, რომ ენა ჩვენზე ხანდაზმულია და
ჩვენზე დღეგრძელია;
როცა ვიცი, რომ ენამ მეტი იცის;
როცა სიტყვასთან გაუცხოება-გამინაურება თამაშად იქცევა,
ხოლო თამაში —
ხდომილებათა მონტაჟის ხელობად და ვნებად;
როცა დავინწყებ და განმეორებ, გაქცევა და დაბრუნება
ამავე ხელოვნების ექსპოზიციაა;
როცა დაისი და ალიონი ორივე ბინდბუნდია
(და მგონი ვერლენს უყვარდა);
როცა ტრაგედია ვეღარ მუშაობს;
როცა სიტყვებმა და საგნებმა — სახელებმა და სახეებმა
კავშირი განწყვიტეს,
როცა მხოლოდ სახელები ურთიერთობენ —
როცა სიტყვები ურთიერთობენ — საიდან იციან

როგორ უნდა მოიქცნენ,
რომელი ბრუნვით იბრუნონ,
ან საიდან მოდიან ართრონი —
წინდებულნი და თანდებულნი —
საკვირველია?!...

რა ხდება, რა ამბავია?!
როცა სიტყვა ემიჯნება ფიზიკას, ან, მეტადრე, მეტაფიზიკას;
როცა ტექსტი თავისი თავის წარმოჩენაა და
ალარსად გაგზავნის,
ხელოვნება კი ვეღარ ძლებს მეტაფიზიკის გარეშე;
როცა საგანთა დაფარული ბუნება მაინც რჩება პოეტური
ინტერესის საგნად, მაგრამ
იმ ფილტრის გავლით, რომ
“მეოცე საუკუნე უკვე მოხდა”;
როცა კულტურის მზა შესაძლებლობების გამოყენებით
ვთამაშობ და რაიმე წინმსწრები იდეა აღარ არსებობს,
მაშინ პოეზიაც იქ იწყება, სადაც სათქმელი მთავრდება;
როცა სახე ვერ აგნებს სახელს;
როცა ვხედავ, რომ არაფერი მაქვს სათქმელი,
უფრო ზუსტად სათქმელი “არარა” მაქვს,
თვალსა და ხელს შუა
სწორედ მაშინ აღმოცენდება რაღაც,
რასაც ვერ განმარტავ;
როცა სიტყვა ქანცგანწყვეტილი მუშაობს თავისივე
უსხეულო სიმარტოვეში
როცა იცი, რომ ამ მუშაობაში ხელისშემშლელი
გულწრფელობაა;
და თუ ასე იმუშავა შეიძლება არქაულში ჩაიძიროს
და შეიძლება სამოთხეშიც დაბრუნდეს...

როცა ხედავ დეკონსტრუქციის მუდმივობას
ნაკითხულსა და მოსმენილს შორის
და რწმუნდები:
რომ განსხვავებული საინფორმაციო საშუალებები
ერთი და იგივეს ვერ გამოხატავენ,
რომ ყოველი საშუალება უწინდელი მიზანია,
რადგან მთავარი მიზანი — მმმმ?...
როცა პოეტმა და თეორეტიკოსებმა ადგილები გაცვალეს;
როცა კაცის განსიტყვება და სიტყვის განკაცება
ურთიერთმექცევადა;
როცა მესმის, რომ ლაპარაკის იდეალური ფორმა ლოცვაა;
როცა ბნელისა და ნათლის განწვალვა,
როგორც ქაოსის დეკონსტრუქცია,
გრამატიკის სივრცეში მარადიულ ანწყოდ იქცევა;
როცა სიტყვიდან აღმოცენდება საზრისი და
ეს უკანასკნელი ისევ სიტყვის ძმობას ეძებს;
როცა ევფონიური ენერგია და
გრამატიკული დინამიკა მნიშვნელობს;
როცა ვხედავ, რომ სამყაროს კოორდინირება შეუძლებელია
და საყოველთაო დასწრება მხოლოდ ტექსტებშია;
როცა ვიცი, რომ ისტორიის რეკონსტრუქცია შეუძლებელია
სწორედ იმიტომ, რომ ამ პროცესის თანმდევი აწყობა;
როცა ვწერ იმ შეგნებით, რომ გავიხსენო
ნაწერი, რომელიც სამყარომ დაკარგა...

მე მომწონს ენის ქართული საწარმო
არტიკლის უქონლობის გამოც.

პოეტის ერთი ლექსი

მომწონს:

როცა ენაში არ არის იდეოლოგია,
როცა ენაში არ არის ნიშანი, ან

ნიშნის გადალახვის მცდელობა.

ერთადერთი მნიშვნელობაც ჩემი ყოფნის
(რაც მე მყოფნის)

მნიშვნელობების ძიებაა.

მე ვიზიარებ აზრს:

ლიტერატურამ რომ იცოცხლოს,

გამუდმებით უნდა გდევდეს

მისი დასასრულის განცდა.

“რაც შეიძლება მეტი იმედგაცრუება დაავგროვეთ,
ისწავლო პოეტობა — ეს ნიშნავს
ცხოვრებას გადაეჩვიო”.

ეს, უემბლექის უემბლემო რეცეფციას (და ჩემიც)

რა ხანია განზილებებს ვავგროვებ...
ბავშვობიდან

გვარიანად დამიგროვდა —

გორად დადგა — დამიგორდა,

ზოგიერთი დამეკარგა — დამიგორდა.

გელირსებაო — მეუბნებიან...
მე ხომ ლუხუმი არა ვარ?!...

მე ხომ ლუხუმი არა ვარ?!...

რა ამბავია, რა ხდება,

როცა არაფერი არ ხდება,

როცა ამდენი “როცა” დაგროვდა —

როცა, როცა, როცა, როცა, როცა, როცა...
ცა რო მოიქუფრება,

ცა რო მოკრიალდება,

ეს სხვა საქმეა.

მთავარი პრინციპი კი ის არის,

რომ ტექსტი არ უნდა ცდილობდეს

წინმსწრებ იდებესა და პრინციპებს მოერგოს.

სიტყვა თავად მოიძიებს თავის ევფონიურ სამწყსოს,

აუცილებლად მოიძიებს,

რადგან ის იქაც აღწევს თავისი ხივით,

სადაც ვერ აღწევს სხივი.

27.05.2008

უცხოეთის ცხოვრებიდან

ინგლისური ლიტერატურის დოქტორი ალან კირბი, რომელიც ამჟამად ოქსფორდში ცხოვრობს, თანამედროვე ანუ პოსტპოსტმოდერნული ეპოქის უმნიშვნელოვანესი მკვლევარია. მისი როლი ისევე უკავშირდება მის მიერვე შემოტანილ და ბრწყინვალედ დასაბუთებულ ცნებებს: ფსევდომოდერნიზმი და დიგიმოდერნიზმი, როგორც დერიდას სახელია დაკავშირებული დეკონსტრუქციასთან, ბოდრიარისა — სიმულაკრთან, დელიოზისა და გვატარისა — მიზანაღიზთან... კირბი არა მხოლოდ პოსტმოდერნის დასასრულზე საუბრობს, რაშიც ახალი არაფერი იქნებოდა, არამედ უშუალოდ, თანამედროვე სულიერ სიტუაციას აღწერს. მისი დასკვნები მკვეთრად პესიმიზტურია და კულტურასა და სოციოლოგიაში დამკვიდრებული მრავალი სტერეოტიპისა და სააზროვნო მოდელის გადაფასებას მოითხოვს. კირბი უარს ამბობს მორალურად განზემდგომ მეცნიერულ ნეიტრალიზმზე. „ადამიანი-მასის“ თანამედროვე მდგომარეობას იგი განიხილავს ვითომ თანამემოქმედის, თანამემქმნელის, ვითომ უსაზღვროდ ძალმოსილის, სინამდვილეში კი დაჩლუნგებული და ყოველმხრივ იოლად მანიპულირებული ადამიანის ჩამოყალიბების პროცესს. ეს კი საშურს ხდის თაობებს შორის ურთიერთობის, მოჩვენებითი აქტიურობის, მოჩვენებითი დემოკრატიისა და ბევრი სხვა საკითხის სრულიად ახლებური ინტერპრეტაციის საჭიროებას. კირბი დაასკვნის, რომ ფსევდო-მოდერნიზმის ტიპური ინტელექტუალური ფორმებია უცოდინრობა, ფანატიზმი და განგაშის განცდა, და რომ ჩვენი ეპოქა ფანატიზმის საგანგაშო იდეოლოგიის უდიდეს წნეხს განიცდის. ეს სტატია პირველად 2006 წელს გამოქვეყნდა.



ალან კირბი

პოსტმოდერნიზმის სიკვდილი და შედგომი აგებულები

თვალწინ მიდევს ერთი ბრიტანული უნივერსიტეტის ინგლისური ენის ფაკულტეტის მოდული, რომელიც მისი უეხსაითიდან გადმოვქაჩე. ის შეიცავს დავალებებსა და ყოველკვირულად წასაკითხი მასალის სიას ფაკულტატური სასწავლო კურსისა „პოსტმოდერნული ლიტერატურა“, და თუ უნივერსიტეტის სახელწოდება აქ დასახელებული არ არის, არა იმიტომ, რომ მოდული ერთგვარად სამარცხვინოა, არამედ იმიტომ, რომ მარჯვედ ასახავს მოდულებს ან მოდულთა ნაწილებს, რომლებიც უნდა ისწავლონ, პრაქტიკულად, მთელი მსოფლიოს ინგლისური ენის ყველა ფაკულტეტზე მომავალ სასწავლო წელს. მოდულის აზრით, პოსტმოდერნიზმი ცოცხალია, ჰყვავის და აქტიურობს: მოდულში ნათქვამია, რომ იგი წარმოაჩენს

„პოსტმოდერნისა და პოსტმოდერნულობის“ მთავარ საკითხებს და განიხილავს მათ ურთიერთობას თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურასთან. ეს შესაძლოა ნიშნავდეს, რომ პოსტმოდერნიზმი ჩვენი თანამედროვეა, მაგრამ სინამდვილეში გვიჩვენებს, რომ ის მკვდარია და დასაფლავებული.

პოსტმოდერნის ფილოსოფია ხაზს უსვამს ცოდნისა და მნიშვნელობის მოუხელთებლობას. ეს ხშირად გამოიხატება პოსტმოდერნულ ხელოვნებაში, როგორც ირონიულ თვითშემეცნებასთან დაკავშირებული საკითხი.

აზრი პოსტმოდერნიზმის დასრულების თაობაზე ფილოსოფიურად უკვე დასაბუთებულია. არიან ადამიანები, რომლებმაც ძირითადად დაამტკიცეს, რომ რომელიც დროის

განმავლობაში გვეჯეროდა პოსტმოდერნის იდეებისა. მაგრამ ან უკვე აღარ, და ამიერიდან ვაპირებთ კრიტიკული რეალიზმისა ვირწმუნოთ. ამ მსჯელობის სისუსტე ის არის, რომ ის ყურადღებას ამახვილებს სამეცნიერო წრეებზე, იმ ფილოსოფოსთა პრაქტიკასა და ვარაუდებზე, რომელთაც ძალუძთ ან არ ძალუძთ პოზიციის თითქმის ან მთლიანად შეცვლა, და ბევრი მეცნიერი უბრალოდ გადაწყვეტს, რომ ურჩევნია ფუკოსთან (არქიპოსტმოდერნისტთან) დარჩეს და შემდეგ რაიმე სხვაზე გადავიდეს. თუმცა იმ შეუვალ დასკვნამდე მისვლაც შეიძლება, რომ პოსტმოდერნიზმი მოკვდა, თუკი სამეცნიერო წრეების მიღმა გავიხედავთ და თანამედროვე კულტურულ პროდუქტს შევაგვებთ თვალს.

ბევრი სტუდენტი, რომელიც ამ წელს „პოსტმოდერნულ ლიტერატურას“ აირჩევს, 1985 ან შემდეგ წლებში უნდა დაბადებულიყო. მოდულის ყველა ძირითადი ტექსტი, ერთის გარდა, გამოქვეყნებულია სხვა სამყაროში, მანამ, სანამ სტუდენტები დაიბადებოდნენ: „ფრანგი ლეიტენანტის საყვარელი“, „ცირკში გატარებული ღამეები“ თუ „მოგზაური ზამთრის ერთ ღამეს“, „ოცნებობენ თუ არა ანდროიდები ელექტრონულ ცხვარზე“ (და „ბასრი მორბენალი“), „თეთრი ხმაური“: ეს დედოკოებისა და მამიკოების კულტურაა. ზოგი ტექსტი („ბაბილონის ბიბლიოთეკა“) დაწერილია ჯერ კიდევ იმ დროს, როცა მათი მშობლები დაიბადნენ. შეცვალეთ ეს მარაგი პოსტმოდერნის სხვა მიმდევართა ნაწარმოებებით — „საყვარელი“, „ფლობერის თუთიყუში“, „წყლის ქვეყანა“, „ლოტი 49“, „გაფითრებული ალი“, „სლოთერპაუსი-ხუთი“, „ლანარკი“, „ნეირომანტი“, ბ. ს. ჯონსონის რომელიღაც ნაწარმოები — და იმავე სურათს იხილავთ. ყოველივე ეს იმგვარადვე თანამედროვეა, რავგარადაც „სმიტები და სამხრეები“, იმგვარივე მხატვრული მოვლენაა, როგორიც — ბეტამაქსის ვიდეომატინიტოფონი. ეს ის ტექსტებია, რომლებიც როკმუსიკისა და ტელევიზიის შესავიწროებლად გაჩნდნენ. მათ ოცნებაც კი არ შეეძლოთ ტექნოლოგიებისა და მედიაკომუნიკაციების იმ შესაძლებლობებზე — მობილურ ტელეფონებზე, ი-მეილზე, ინტერნეტზე, კომპიუტერზე ყველა სახლში... (ეს ადამიანის მთვარეზე გაფრენის ტოლფასი იყო) — რომლებიც დღევანდელ სტუდენტობას საჩუქრად ერგო.

პოსტმოდერნული მხატვრული ლიტერატურის ამსახველი ბრიტანული მოდულების მოძველებულობის მიზეზი ის არის, რომ ისინი არავის განუახლებია. თვალის შეავლეთ კულტურულ ბაზარს: იყიდეთ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში დაბეჭდილი რომანები, ნახეთ XXI საუკუნის კინო, მოუსმინეთ ბოლოდროინდელ მუსიკას — ბოლოს და ბოლოს, უბრალოდ, დაჯექით და უყურეთ ტელევიზორს ერთი კვირის განმავლობაში — და თქვენ ძლივს თუ აღმოაჩენთ პოსტმოდერნიზმის კრიტიკას. ამგვარადვე, მავანი შეიძლება დაესწროს ლიტერატორთა კონფერენციას (როგორც მოვიქეცი მე ივლისში) და ყური მიუგდოს მოხსენებებს, რომლებშიც არაფერია ნათქვამია თეორიულ საფუძვლებზე, დერეიდაზე, ფუკოზე, ბოდრიარზე. მოძღვრებათა უგულვებლყოფის, უძლურებისა და არარეlevanceანტურობის განცდის გარდა სწავლულთა შორის პოსტმოდერნიზმის ჩავლაც დასტურდება. ადამიანებს, მწარმოებელთ კულტურული მასალისა, რომელსაც კითხულობენ, უყურებენ და უსმენენ სწავლულები და არასწავლულები, პოსტმოდერნიზმისთვის უბრალოდ თავი გაუნებებიათ. ისეთი შემთხვევითი მეტამხატვრული თუ თვითშემეცნებითი ტექსტიც კი, რომელიც ფართოდ გავრცელებულ გულგრილობას გამოხატავს,

როგორცაა ბრეტ ესტონ ელის „ლუნაპარკი, მოდერნისტული ნოველები“, შემდეგ რომ გამოჩნდნენ და დიდხანია გადავიწყდათ, ასევე 1950 და 60-იან წლებში დაიწერა.

ერთადერთი ადგილი, სადაც პოსტმოდერნიზმი შენარჩუნებულია, საბავშვო მულტფილმებია, ისეთი, როგორებიცაა „შრეკი“ და „ურვეულონი“. ეს გახლავთ მშობლებისათვის გაღებული ხარკი, რომელთაც თავიანთ ჩვილების გვერდით დროის გატარება უვალდებულებიათ. ეს ის დონეა — სადაც პოსტმოდერნიზმის დაცემა მოხდა — პოპულტურაში შემორჩენილი მარგინალურ მასხარათა ნყარო, რომლის სამიზნეც რვა წლამდე ბავშვები არიან.

რა არის პოსტმოდერნიზმი?

მნამს, რომ ეს უფრო მეტზე მიანიშნებს, ვიდრე კულტურული მოდის უბრალო ცვლილებაა. ენა, რომლის მეშვეობითაც ძალაუფლება, ცოდნა, ინდივიდუალობა, რეალობა და დრო შეიცნობოდა, შეიცვალა, უეცრად და საბოლოოდ. ახლა წყალვარდნილი ჰყოფს ლექტორთა უმრავლესობას და მათ სტუდენტებს, რომლებიც ენათესავებოდნენ იმით, ვინც 1960-იან წლების ბოლოს გამოჩნდნენ, მაგრამ არა ამავე სახის მიზეზის გამო. მოდერნიზმიდან პოსტმოდერნიზმზე გადასვლას საფუძვლად არ დასდებია რომელიმე ღრმა კულტურული პროდუქციისა და რეცეპციების გადასხვაფერება. ყოველივე, რაც მოხდა, რიტორიკულად რომ გავაზვიადოთ, ის იყო, რომ ზოგმა, ვინც ერთხელ წაიკითხა „ულისე“ და „მუქურისაკენ“, სანაცვლოდ დაწერა „გაფითრებული ალი“ და „სისხლიანი დარბაზი“. მაგრამ დაახლოებით 1990-იანი წლების ბოლოსა თუ 2000-ის დამდეგს ახალი ტექნოლოგიების წარმოჩენას ავტორისა და მისი ბუნების, მკითხველისა და ტექსტის, მათ შორის ურთიერთობის ნაძალადევი და სამუდამო რესტრუქტურირება მოჰყვა.

პოსტმოდერნიზმმა, ისევე, როგორც მოდერნიზმმა და მანამდე — რომანტიზმმა, გააფეტიშა (ანუ უაღრესად დიდი მნიშვნელობა მიანიჭა) ავტორს, მაშინაც კი, როცა ავტორმა არჩია, გაეკრიტიკებინა ან თავი მოეჩვენებინა, რომ გააუქმა საკუთარი სტატუსი. დღევანდელი კულტურა კი აფეტიშებს ტექსტის მიმღებს, რამდენადაც ის იქცა ნაწილობრივ ან სრულ ავტორად. ოპტიმიზტმა შესაძლოა ეს კულტურის დემოკრატიზაციად მიიჩნიოს. პესიმიზტი კი ყურადღებას გაამახვილებს მტანჯველ ბანალობასა და ახალწარმოქმნილი კულტურული პროდუქტის სიცარიელეზე (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც).

ნება მომეცით, აგისხნათ. პოსტმოდერნიზმმა თანამედროვე კულტურა გაიგო როგორც სანახაობა, რომელსაც უძლური ინდივიდი უცქერს და რომლითაც რეალობისადმი დასმული კითხვები პრობლემად იზდება. შესაბამისად, ეს აქცენტირდებოდა ტელევიზიასა და კინოეკრანზე. მისი მემკვიდრე, რომელსაც ფსევდო-მოდერნიზმს დავარქმევდი, კულტურული პროდუქტის შესაქმნელად ინდივიდის ქმედებას აუცილებლად პირობად მიიჩნევს. ფსევდო-მოდერნიზმი გულისხმობს ყველა ტელე თუ რადიოპროგრამას ან პროგრამების ნაწილს, ყველა „ტექსტს, რომელთა შინაარსს და დინამიკას იგონებს ან წარმართავს მონაწილე მყურებელი და მსმენელი“ (თუმცა ეს უკანასკნელი ტერმინები, თავიანთი პასიურობითა და „მიღებაზე ხაზგასმით“, მოძველებულია: ვგულისხმობ რომელიმე „Big Brother“-ის ყურებისას ტელეფონით ხმის მიცემას ან ფეხბურთის გულშემატკივრის

სატელეფონო ზარს 6-0-6-ზე: ამ დროს მაცურებელი ან მსმენელი მხოლოდ მაცურებელი ან მხოლოდ მსმენელი არ არის).

განსაზღვრების თანახმად, ფსევდო-მოდერნული კულტურული პროდუქტი შეუძლებელია არსებობდეს, და ის არც არსებობს, თუ მასში ინდივიდი ფიზიკურად არ არის ჩართული. „დიდი მოლოდინი მატერიალურად მაინც იარსებებს, ვინმე მას ნაიკითხავს, თუ არა“. როცა დიკენსმა მისი წერა დაასრულა და გამომცემელმა მზის სინათლე ახილვინა, მისი მატერიალური ტექსტუალიზება — სიჭყვიათა მისივე შერჩევა — შედგა და დასრულდა იმის მიუხედავად, ხალხი ტექსტის როგორ ინტერპრეტაციას აიტაცებდა, ნებისმიერი დაიმახსოვრებდა თუ არა. მისი მატერიალური პროდუქტულობა და მისი შედგენილობა დაადგინეს მხოლოდ მისმა მომწოდებლებმა, ანუ ავტორმა, გამომცემელმა და ა.შ. მკითხველი მხოლოდ შინაარსის მბრძანებელი გახდა. **Big Brother** კი, როგორც ტიპური ფსევდომოდერნული ტექსტი, მატერიალურად ვერ იარსებებდა, თუ კონკურსანტთა სასარგებლოდ ვინმე არ დარეკავდა და ხმას არ მისცემდა. ამგვარად, ხმის მიცემა პროგრამის მატერიალური ტექსტუალიზების ნაწილია — მაცურებელი, რომელიც ტელეფონით რეკავს, ამავე დროს, პროგრამის „შემქმნელიცაა“. ასე რომ არა, იგი ზებუნებრივი ქმედების ძალით ენდი უორპოლის ფილმს დაემსგავსებოდა: ნევროზული, ახალგაზრდა ექსპიზიციონისტი ინერტულად მოჰყვებოდა გინებას და ოთახში უმიზნო საუბარს საათობით. ამგვარად, რაც **Big Brother**-ს იმად აქცევს, რაც არის, მაცურებლის სატელეფონო ზარია.

ფსევდო-მოდერნიზმი ასევე მოიცავს თანამედროვე საინფორმაციო პროგრამებს. მათი არსი დიდწილად გულისხმობს მიიღება და ტექსტურ მტყობინებებს, რომლებიც კომენტარულ ახალ ამბებს ახლავს. ტერმინი „ინტერაქტიურობა“ ამ შემთხვევაში თანაბრად შეუსაბამოა, ვინაიდან აქ არ არის „გაცვლა“: ამის ნაცვლად მაცურებელი ან მსმენელი „შემოდის“ — წერს პროგრამის სევმენტს — შემდეგ კი „გადის“, თავის პასიურ როლს უბრუნდება. ფსევდო-მოდერნიზმი ასევე შეიცავს კომპიუტერულ თამაშებს, რომლებიც, წინარეს მსგავსად, ინდივიდს კონტექსტში ათავსებს, სადაც, წინასწარ მოფიქრებული სქემით, იგი კულტურულ შინაარსს იგონებს. ყველა ამ ინდივიდუალური ქმედების თამაშის შინაარსის ცვლილება ცალკეულ მოთამაშეზეა დამოკიდებული.

ფსევდო-მოდერნული კულტურის ფენომენის ტიპური გამოვლინებაა ინტერნეტი. მისი ცენტრალური ქმედება ის არის, რომ ინდივიდი ანკაპუნებს თავის მათს ერთი გვერდიდან მეორეზე გადასასვლელად, თანაც ისე, რომ ამის ზუსტად გამეორება შეუძლებელია, გზას იკვლევს კულტურულ პროდუქციაში, რომელიც მანამდე არასოდეს არსებულა და ვერც იარსებებს. ეს კულტურული პროცესის ისეთი ინტენსიური კავშირია, რომელსაც ვერანაირი ლიტერატურა ვერ შემოგვთავაზებს, და ჰბადებს უცილო ზარს (ან ილუზიას) ინდივიდუალური კონტროლისა, მართვისა, მუშაობისა, ინდივიდის ჩართულობისა კულტურული პროდუქციის შექმნაში. ინტერნეტგვერდები ისე არ ავტორიზდება, რომ ვინმე შეიტყოს, ვინ შექმნა ისინი ან ვინ ზრუნავს მათზე. მათი უმრავლესობა ან სთხოვს ინდივიდს, რომ მათზე იმუშაოს **Streetmap**-ისა და **Rout Planner**-ის მსგავსად, ან ნებას რთავს, დაამატოს რამე, როგორც ვიკიპედიაში, ფილბეკში ან, მაგალითად, უებსაითის შექმნისას. ყველა შემთხვევაში, ინტერნეტისთვის ნიშანდობლივია, რომ თქვენ იოლად შექმნათ თქვენი გვერდი (ანუ ბლოგი).

თუ ინტერნეტი ანდა მისი გამოყენება განსაზღვრავს და აბატონებს ფსევდო-მოდერნიზმს, ახალმა ერამ უკვე განაახლა მოძველებული ფორმები. ფსევდო-მოდერნული ხანის კინო უფრო და უფრო ემსგავსება კომპიუტერულ თამაშებს. კინოსახეები, რომლებიც ოდესღაც სინამდვილიდან მოვიდნენ ჩარჩოში ჩასმულები, განათებული, გასააუნდრეკებულნი და გარედაქტირებულნი გონებამახვილ რეჟისორთა მიერ, რომლებიც მაცურებლის ფიქრებისა და ემოციების გზამკვლევობას კისრულობდნენ, ახლა დიდწილად კომპიუტერის მეშვეობით იქმნება. და ადამიანები უყურებენ ამას. თუ სპეციალური ეფექტები იმიტომ გამოიგონეს, რომ დაუჯერებელი დამაჯერებლად ექციათ, **CGI** ხშირად (გაუაზრებლად) იმისთვის ირჯება, რომ შესაძლებელი ხელოვნურად გამოიყურებოდეს, როგორც ეს ხდება „ბეტდების მბრძანებელსა“ და „გლადიატორში“. ბრძოლები, რომლებშიც ათასობით ინდივიდი იყო ჩართული, მართლაც მოხდა; ფსევდო-მოდერნული კინო კი მათ ისე წარმოაჩენს, თითქოს მათი მოხდენა მხოლოდ ვირტუალურ სივრცეში ყოფილიყო შესაძლებელი. და ამრიგად, კინომ კულტურული საფუძველი მხოლოდ უბრალოდ კომპიუტერს კი არ ჩაუყარა, როგორც მის სახეთა გენერატორს, არამედ — კომპიუტერულ თამაშებს, როგორც მაცურებელთან მისი ურთიერთობის მოდელს.

ამის მსგავსად, ფსევდო-მოდერნული ხანის ტელევიზიის პატივში ჰყავს არა მხოლოდ **Reality TV** (ეს კიდევ ერთი უცხო ტერმინი!), არამედ კომერციული არხები, ან ვიქტორინები, რომლებშიც ფულის მოგებით დაიმედებული მაცურებელი სწორი პასუხის სათქმელად რეკავს. ტელევიზია ასევე სწყალობს ისეთ ფენომენებს, როგორებიცაა **Ceefax** ან **Teletext**. მაგრამ ამ ახალი ვითარების გამო მოთქმა-გოდების ნაცვლად გაცილებით გამოსაადეგი იქნებოდა, თუ თანამედროვე საინფორმაციო საშუალებებს კულტურულ მიღწევებად გარდაქმნილით. საგულისხმოა იმის შემწვევაც, რომ ფორმა შეიცვლება თუ არა (**Big Brother** შეიძლება გამოიფიტოს!), მნიშვნელობა არა აქვს: ტერმინები, რომლებითაც ინდივიდები დაკავშირებულნი არიან თავიანთ ტელეეკრანსა და იმასთან, რასაც ხშირად მაუნყებლები გვიჩვენებენ, უდავოდ შეიცვალა. ტელევიზიის უბრალო მაცურებელი ფუნქცია, ისევე, როგორც ხელოვნების ყველა სხვა დარგისა, მარგინალურად იქცა: ახლა მაცურებელს, ოდესღაც რომ მიმღებს ეძახდნენ, ევალება დაკავებული, აქტიური გამოვლენების იყოს. ყოველივე ამით იგი თავს ძალმოსილად გრძნობს, და ეს მართლაც აუცილებელია; ტრადიციული „ავტორი“ დაყვანილ იქნა იმის სტატუსამდე, ვინც ან ადგენს პარამეტრებს, რომელთა ფარგლებშიც სხვები მოქმედებენ, ან ხდება უბრალოდ არარელევანტური, უცნობი, მეორეხარისხოვანი; ამასთან, „ტექსტისთვის“ ნიშანდობლივია როგორც ჰიპერ-ეფემერულობა, ისე — არასტაბილურობა. ეს „მაცურებლის“ დამსახურებაა. ეს რომ არ მომხდარიყო, თქვენ ვერ ნაიკითხავდით „მიდლ-მარჩს“ 118-ე გვერდიდან 316-მდე, 401-მდე 501-მდე, მაგრამ თქვენ შეძლებდით **Ceefax**-ის ნაკითხვას.

ფსევდო-მოდერნული ტექსტი განსაკუთრებულად ცოტა ხანს ძლებს. ასე რომ არა, ვთქვათ, „**Fawity Towers**“, სატელევიზიო რეალითი პროგრამები თავიანთი ორიგინალური ფორმით აღარ განმეორდებოდა, სატელეფონო გადაცემა ხელმეორედ აღარ წარმოიქმნებოდა, სატელეფონო შესაძლებლობათა გარეშე კი რეალითი შოუ განსხვავებულ და გაცილებით ნაკლებმომხიბლავ არსებად გადაიქცეოდა. **Ceefax** ტექსტი

რამდენიმე საათის შემდეგ კვდება. თუ მეცნიერები დამოწმებულ ინტერნეტგვერდებს ათარილებენ, მხოლოდ იმიტომ, რომ გვერდები უჩინარდება ან რადიკალური სისწრაფით იცვლება. ტექსტუალური მესიჯების ან ი-მეილების თავიანთი ორიგინალური ფორმით შენახვა უკიდურესად რთულია. ი-მეილთა ამოღებულ მათ თითქოს წერილის მსგავს სტაბილობას ჰმატებს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მათი არსობრივი, ელექტრონული მდგომარეობა ნადგურდება. რადიოში ტელეფონით დარეკვის, კომპიუტერული თამაშების შენახვის ვადა მცირეა, ისინი ძალიან მალე ძველდება. ასეთ რამეებზე დამყარებულ კულტურას მახსოვრება არ გააჩნია — რასაკვირველია, არ ვგულისხმობ ნინამავალ მძიმედსატარებელ კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც მიიღო მოდერნიზმმა და პოსტმოდერნიზმმა. ბერნი და აქროლვადი ფსევდო-მოდერნიზმი, ამგვარად, ამნეზიურიცაა: ეს არის ამ მომენტში (ამჟამად) მიმდინარე კულტურული ქმედებანი, რომელთაც არც წარსული გააჩნიათ, არც მომავალი.

ფსევდო-მოდერნული კულტურული პროდუქცია ასევე გამორჩეულად ბანალურია, რაზეც უკვე მივანიშნე. ფსევდო-მოდერნულ ფილმთა შინაარსი, არსებითად, იმ ქმედებების კენაა მიდრეკილი, რომლებიც წარმოქმნიან და ამთავრებენ ცხოვრებას. სცენართა უმნიშვარი პრიმიტივიზმი თანამედროვე კინოს ტექნიკურ ეფექტთა გამოცდილების მკაცრი კონტრასტია. მესიჯებისა და ი-მეილების ტექსტთა უმრავლესობა მოსაწყენია იმასთან შედარებით, რითაც განათლებული ადამიანები თავიანთ წერილებს ავსებენ. ყველგან ტრივიულობა და სიმწირე ბატონობს. ფსევდო-მოდერნული ერა, ჯერჯერობით მაინც, კულტურული უდაბნოა. თუმცა ჩვენ შეგვიძლია ავაყვავოთ იგი ახალი ტერმინების გამოყენებით, რომლებსაც შევუთანადებთ მნიშვნელოვან არტიკულ მხატვრულ გამოთქმებს (რის შედეგადაც დამაკინებელი იარლიყი, რომლითაც ფსევდო-მოდერნიზმი შევამკე, უკვე შესაბამისი აღარ იქნება). ახლა ჩვენ ადამიანური ქმედების ის ქარიშხალი გვებრძვის, რომელიც, რომელიმე მყარი განგრძობითი ან თუნდაც წარმომქნელი კულტურული ფასეულობის თვალსაზრისით, ისეთი რაიმეს მნიშვნელობით, რომელსაც ადამიანები ორმოცდაათი ან ორასი წლის განმავლობაში არაერთხელ შეაფასებენ, ვერაფერს შობს.

ფსევდო-მოდერნიზმის ფსევდო შეიძლება წლების წიაღში, პოსტმოდერნიზმის ბატონობის ხანაში დაიხვეწოს. საცეკვაო მუსიკა და ინდუსტრიული პორნოგრაფია, მაგალითად, უკანასკნელი 70-80-იანი წლების პროდუქცია, ეფემერულობისაკენ, მნიშვნელობის სიფუყისაკენაა მიდრეკილი. იგი არავტორიზებულია (ცეკვა უფრო მეტად, ვიდრე პოპი ან როკი). ასევე, წინა პლანზე გამოაქვთ მათი „რეცეპციის“ ქმედება: საცეკვაო მუსიკა საცეკვაოდ არსებობს, პორნო კი არ უნდა წაიკითხო ან უყურო, არამედ უნდა გამოიყენო. ამ თვალსაზრისით, ის წარმოქმნის ფსევდო-მოდერნულობის მონაწილეობის ილუზიას. მუსიკაში ფსევდო-მოდერნი ჩანაცვლებულია რომელიმე ცნობილი შემსრულებლის ალბომით, როგორც მონოლითური ერთიანი ტექსტით; მსმენელის მიერ ინდივიდუალური ტრეკების იოდ-ზე ატვირთისა და დამიქსვის ნამდვილი პროტოტიპი იყო ერთი თაობის წინ მუსიკის მოყვარულთა მიერ შეგროვებული მუსიკალური კომპილაციები. მაგრამ ცვლილება მოხდა იქ, სადაც ფანის მარგინალური დროისტარება გაბატონებულად იქცა. ეს არის მუსიკის მოხმარების გარკვეული საშუალება, როცა რომელიმე ალბომის რენდე-

რიზების იდეა ხელოვნების ნიმუშად ითვლება, როცა ინტერალური მნიშვნელობის მქონე სხეული ქრება.

ამ თვალსაზრისით, ფსევდო-მოდერნიზმი სხვა არაფერია, თუ არა იმ რალაცის ტექნოლოგიურად მოტივირებული განაცვლება კულტურულ ცენტრზე, რაც უკვე არსებობდა (ამის მსგავსად, მეტალიტერატურა უკვე არსებობდა, მაგრამ ისე გაფეტიშებული არ ყოფილა, როგორც ეს პოსტმოდერნიზმმა მოახდინა). ტელევიზია ყოველთვის იყენებდა აუდიტორიის მონაწილეობას, ისევე, როგორც თეატრი ან სხვა პერფორმაციული ხელოვნება; მაგრამ როგორც ერთ-ერთ ვარიანტს, და არა — აუცილებლობას: ფსევდო-მოდერნულმა ტელეპროგრამებმა აუდიტორიის მონაწილეობა საკუთარ თავზე დააფუძნეს. ასევე, დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა ძალზე „აქტიური“ კულტურული ფორმებიც, კარნავალიდან ვიდრე პანტომიმამდე. მაგრამ არცერთს არ უგულისხმია დაწერილი ან რამენაირი მატერიალიზებული ტექსტი, და ამგვარად, ისინი ცხოვრობდნენ იმ კულტურის პერიფერიაში, რომელმაც გააფეტიშა ასეთი ტექსტები — მაშინ, როცა ფსევდო-მოდერნული ტექსტი, მისთვის ნიშანდობლივი ყველა თავისებურებით, დგას, როგორც ცენტრალური, გაბატონებული, პარადიგმატული ფორმა დღევანდელი კულტურული პროდუქციისა, თუმც კულტურამ, მიუხედავად მისი მარგინალურობისა, მაინც იცის სხვა ფორმები. ამ სხვა სახეობათა „პასიურობა“ უნდა გაექცეს სტიგმას ფსევდო-მოდერნული „აქტიურობის“ ფონზე. კითხვას, მოსმენას, ყურებას ყოველთვის ჰქონდა მოღვაწეობის საკუთარი არსი და ბუნება. მაგრამ ფსევდო-მოდერნულ ტექსტთა წარმომქნელის ფიზიკურობამ და იმ გარემოებამ, რომ მან აუცილებლად უნდა შექმნას ტექსტთა კრებული, ის გააბატონა: ამან შეცვალა ძალაუფლების კულტურული ბალანსი (გაითვალისწინეთ, წარსულის ეს გიგანტები — კინო და ტელევიზია — როგორ უზრიან ქედს მათ). იგი აყალიბებს ოცდამეერთე საუკუნის სოციალურ-ისტორიულ-კულტურულ ჰეგემონიას. მეტიც, ფსევდო-მოდერნის საქმიანობა საკუთარი სფეციფიკურობით ხასიათდება: ის ელექტრონული და ტექსტუალურია, მაგრამ — ეფემერული.

დანკაპუნება ცვლილებებზე

პოსტმოდერნიზმში მავანი კითხულობდა, უყურებდა, ისმენდა, როგორც ადრე. ფსევდო-მოდერნიზმში მავანი რეკავს, ანკაპუნებს, ღილაკს აწვება, ერთი საიტიდან მეორეზე გადადის, ირჩევს, მოძრაობს, ტვირთავს. საქმე გვაქვს თაობებს შორის ინტერვალთან, რომელიც დაუდევრად აცალკევებს ხალხს, ვინც 1980 წლამდე ან მას შემდეგ დაიბადა. ვინც უფრო გვიან იშვა, თავისი ტოლები შეეძლო მიეჩნია თავისუფლებად, ავტონომიურებად, ექსპრესიულებად, დინამიკურებად, ძლიერებად, დამოუკიდებლებად, მათი უნიკალური ხმა ისმოდა და ისმინებოდა: პოსტმოდერნიზმი და ყველაფერი, რაც მანამდე იყო, პირიქით, შეფასდება ელიტურ, მოსაწყენ, გაუცხოებულ და უნდოდ მონოლოგად, რომელიც თრგუნავს და ნიღბავს ადამიანებს. 1980 წლამდე დაბადებულები შესაძლოა განხილულ იქნენ არა ადამიანებად, არამედ — თანამედროვე ტექსტებად, რომლებიც ხან სასტიკნი არიან, ხან — პორნოგრაფიულნი, ხან ირეალურნი, ხან — ბანალურნი, ხან უგემოვნონი, ხან — კონფორმისტები, ხან მომხმარებელნი, ხანაც — უაზრონი და უგუნურნი (იხ. სიბრიყვეები, ვთქვათ, ვიკიპედიის რომელიმე გვერდზე ან უშინაარსობანი Ceefax-ზე). ის, რაც ფსევდო-მოდერნიზმამდე იყო,

დიდნილად შეფასდება გონიერების, შემოქმედების, ამბოხი-სა და ჭეშმარიტების ოქროს ხანად. აქედან გამომდინარე, სახელწოდება „ფსევდო-მოდერნიზმი“ ასევე შეიცავს დაძაბულობას ტექნოლოგიურ საშუალებათა სინატიფესა და მათ მიერ გადმოცემული შინაარსის ბანალობასა თუ უგუნურებას შორის — კულტურული მომენტი შეჯამებულია მობილური ტელეფონების მომხმარებელთა გონებაშეზღუდულობით, რომელიც დაახლოებით ასე უღერს: „ავტობუსში ვარ“.

პოსტმოდერნიზმი „რეალობას“ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა, ფსევდო-მოდერნიზმი კი სინამდვილეს განსაზღვრავს მთლიანად ჩემ-ად, ახლა-დ, საკუთარ ტექსტებთან „ინტერაქციად“. მაშასადამე, ფსევდო-მოდერნიზმის აზრით, რასაც იგი ქმნის ან აკეთებს, მხოლოდ ის არის სინამდვილე, და ფსევდო-მოდერნულ ტექსტს თითქოს რეალურად ძალუძდეს გაფურჩქვნა ძალზე მარტივი ფორმით: ხელის კამერით გადაღებული დოკუმენტური სახნის ოპერებით (რომელიც აჩვენებს შემოფოტებულ ინდივიდებს და მათ ყურებელს თანამონაწილეობის ილუზიას უქმნის); „ოფისით“ და „ბლერის მოჯადოებული პროექტით“, ინტერაქტიური პორნოგრაფიითა და რეალიტი ტე-თი; მაიკლ მურისა და მორგან სპარლოკის ესეისტური კინოთი.

სინამდვილის ამგვარ ხედვასთან ერთად, ცხადია, რომ ინტელექტუალურ შეხედულებათა დომინანტური სისტემა შეიცვალა. როცა პოსტმოდერნიზმის კულტურული პროდუქტი გადაეცა იმავე ისტორიულ სტატუსს, როგორებიც მოდერნიზმი და რომანტიზმი იყო, მისი ინტელექტუალური ტენდენციები (ფემინიზმი, პოსტკოლონიალიზმი და ა. შ.) ახალ ფილოსოფიურ გარემოში იზოლირებულნი აღმოჩნდნენ. სამეცნიერო წრეები, განსაკუთრებით, ბრიტანეთში, დღესდღეობით ისე გაუტაცია საბაზრო ეკონომიკაში ძალთა მოსინჯვასა და ვარაუდების გამოთქმას, რომ გამორიცხულია, ლექტორებმა თავიანთ სტუდენტებს განუცხადონ, რომ ისინი პოსტმოდერნულ სამყაროში ცხოვრობენ, სადაც იდეოლოგიათა, მსოფლალქმათა და ხმათა სიმრავლეში ვინმემ შეიძლება მათიცი გაიგონოს. მათ ყოველ ნაბიჯს საბაზრო ეკონომიკა განსაზღვრავს, ლექტორებს არ ძალუძთ იქადაგონ მრავალფეროვნება, როცა მათ სიცოცხლეზე განსხეულებული ფანატიზმი ბატონობს. უკანასკნელ ათ წელიწადს სამყარო ინტელექტუალურად დაეწინაურდა. ლიოტარმა დიდი ნარკოტიკთა გაფერმკრთალება შეამჩნია, ფსევდო-მოდერნიზმი კი ხედავს, გლობალიზებული მსოფლიო ეკონომიკის იდეოლოგიამ როგორ მიაღწია ერთპიროვნულის დონეს და ყოველგვარი სოციალური მოღვაწეობის უძლიერეს რეგულატორად — ყოვლის შთანთქმელ, ყოვლის ამხსნელ, ყოვლის სტრუქტურებად დამნაწევრებელ — მონოპოლიზმად ჩამოყალიბდა, რასაც უსიამოვნოდ შენიშნავენ სწავლულები. ფსევდო-მოდერნიზმი, რა თქმა უნდა, მომხმარებელი და კონფორმისტია, ის არის მიზეზი, რომლის გამოც სამყაროს გარს ისე უნდა უარო, თითქოს ის გაეჩუქებინოთ ან გაეყიდოთ.

მეორეც: მაშინ, როცა პოსტმოდერნიზმმა გააღმერთა ირონიულობა, ინფორმირებულობა და თამაში, თავიანთი ალუზიებით ცოდნაზე, ისტორიასა და ამბივალენტურობაზე, ფსევდო-მოდერნიზმის ტიპური ინტელექტუალური ფორმებია უცოდინრობა, ფანატიზმი და განგამის განცდა: ბუში, ბლერი, ბინ ლადენი, ლე პენი და მისი მსგავსნი, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, უფრო მრავალრიცხოვანი, მაგრამ უფრო

ნაკლებძალმოსილი მასები. ფსევდო-მოდერნიზმი მიეკუთვნება სამყაროს, რომელიც აღსავსეა ამერიკის შეერთებული შტატების რელიგიურ ფანატიკოსთა სეგმენტის, თითქოს სეკულარული, მაგრამ სინამდვილეში ჰიპერ-რელიგიური ისრაელისა და მთელ პლანეტაზე მიმოფანტულ მუსლიმთა ფანატიკური ქვეჯგუფის ურთიერთქმედებით: ფსევდო-მოდერნიზმი არ შობილა 2001 წლის 11 სექტემბერს, მაგრამ პოსტმოდერნიზმი კი დაიბარხა იმ ნანგრევებში. ამ კონტექსტში, ფსევდო-მოდერნიზმი მუჯღუგუნით აქეზებს ფანტასტიკურად ნატიფ ტექნოლოგიას, მისდობს შუასაუკუნეობრივ ბარბაროსობას — ინტერნეტში თავისკვეთის სცენებით აღსავსე ვიდეოების ატვირთვითა და მობილური ტელეფონით ციხეებში მოწყობილი ტანჯვა-წამების გადაღებით.

ამას გარდა, ყველას უნევს ორცეცხლშუა ყოფნა და ამ ძრწოლის გამოცდა. მაგრამ ეს ფატალისტური ძრწოლა გეოპოლიტიკასა და თანამედროვე ყოფის ყველა ასპექტს სწვდება; ეს გახლავთ სოციალური დაცემისა და იდენტობის დაკარგვის შში; ჯანმრთელობასა და დიეტაზე ლელვა; კლიმატურ ცვლილებათა დესტრუქტიულობის გამო ტანჯვა; საკუთარი უუნარობისა და უსუსურობის შეგრძნება იმ ტელეპროგრამათა შედეგად, რომლებიც გვასწავლიან, როგორ დავავალავთ სახლი, როგორ აღვზარდოთ ბავშვები და როგორ დავრჩეთ გადახდისუნარიანები. ეს ტექნოლოგიური სიბრყვე უაღრესად თანამედროვეა: ფსევდო-მოდერნიზმი გამუდმებით ეურთიერთება პლანეტის მეორე მხარეზე მცხოვრებთ, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ უთხრან, ჯანმრთელობისთვის ბოსტნეული სასარგებლოა. ეს ბრინჯაოს ეპოქის აშკარა ფაქტია. ფსევდო-მოდერნიზმი მამაკაცი თუ ქალი წარმართავს ნაციონალურ სატელევიზიო პოლიტიკას, მაგრამ არ იცის, რა ჭამოს — ამ დახასიათებათა ნაზავში ბავშვიც ჩანს და მოზრდილიც, ძლიერიც და უსუსურიც. სხვადასხვა მიზეზთა გამო, ეს გახლავთ ხალხი, რომელსაც არ ძალუძს „დიდ ნარატივთა ურწმუნობა, ლიოტარი ტიპურ პოსტმოდერნიზტებს რომ არწმუნებდა.

ფსევდო-მოდერნული ეპოქა, ასეთი ძრწოლისმომგვრელი და თითქოს, გაუკონტროლებელი, უცილოდ შეუპყრია სურვილს, დაუბრუნდეს სათამაშობით ინფანტილურ გართობას, რაც ასევე ნიშანდობლივია ფსევდო-მოდერნული კულტურული სამყაროსათვის. ეს ტიპური ემოციური სიტუაცია, რომელიც რადიკალურად უსწრებს ირონიის ჰიპერგონივრულობას, ტრანსია — ისეთი მდგომარეობა, როცა საკუთარსავე საქმიანობას გადაუსანსლიხარ. მოდერნიზმის ნეკროზულობისა და პოსტმოდერნიზმის ნარცისიზმის სანაცვლოდ ფსევდო-მოდერნიზმს ეს სამყარო სადღაც მიაქვს, როდესაც იგი ახალ, უწონად, ჩუმი აუტიზმით აღსავსე „არსაით“-ს ქმნის. მთავარია, დაანკაპუნოთ, ლილას დაანვეთ, და უკვე „ჩართულები“, შთანთქმულები, გადაწყვეტილები ბრძანდებით. თქვენ ტექსტი ხართ, ირგვლივ არავინაა, არც „ავტორი“; ირგვლივ არაფერია, არავითარი სხვა დრო და ადგილი; თქვენ თავისუფალი ხართ: თქვენ ტექსტი ხართ: ტექსტი იკავებს თქვენს ადგილს.

**ინგლისურიდან თარგმნა
ბია ჯონსაქი**

**ჯონ ფაულზი, „ფრანგი ლეიტენანტის საყვარელი, გამოქვეყნდა 1969 წელს.
ანგელა კარტერი, „ციროკში გატარებული ღამეები, გამოქვეყნდა 1984 წელს.
იტალიო კალვინო, „თუ მოგზაური ზამთრის ერთ ღამეს, გა-**

მოქვეყნდა 1979 წელს.

ფილიპ ქ. დიქი, „ოცნებობენ თუ არა ანდროიდები ელექტრონულ ცხვრებზე?, გამოქვეყნდა 1968 წელს (მის მიხედვით გადაიღეს ფილმი „ბასრი მორბენალი, 1982).

დონ დელილო, „თეთრი ხმაური, გამოქვეყნდა 1985 წელს. ხორხე ლუის ბორხესი, „ბაბილონის ბიბლიოთეკა, გამოქვეყნდა 1941 წელს.

ტონი მორისონი, „საყვარელი, გამოქვეყნდა 1987 წელს. ჯულიან ბარნსი, „ფლობერის თუთიყუში, გამოქვეყნდა 1984 წელს.

გ. სვიფტი, „წყლის ქვეყანა, გამოქვეყნდა 1983 წელს. თომას ფინჩონი, „ლოტი 49, გამოქვეყნდა 1966 წელს. ვლადიმერ ნაბოკოვი, „გაფითრებული ალი, გამოქვეყნდა 1962 წელს.

კურტ ვონეგუტი, „სლოთერჰაუსი-ხუთი ანუ ბავშვთა ჯვაროსნული ლაშქრობა: ცეკვა სიკვდილთან, გამოქვეყნდა 1969 წელს. ალასდერი გრეი, „ლანარკი, გამოქვეყნდა 1981 წელს.

უ. გიბსონი, „ნეირომანტი, გამოქვეყნდა 1984 წელს. ბრაიან სთენლი ჯონსონი (1933-1973) — ინგლისელი ექსპერიმენტული რომანისტიკის წარმომადგენელი, პოეტი, კრიტიკოსი, ტელეპროდიუსერი, რეჟისორი.

„სმიტები (The Smiths)- ინგლისური ალტერნატიული როკ-გუნდი; პირველი ალბომი გამოუშვა 1984 წელს.

ბრეტ ესტონ ელისი (დაბ. 1964 წ.) — ამერიკელი რომანისტი და სცენარისტი; მისი რომანი „ლუნაპარკი გამოქვეყნდა 2005 წელს. „შრეკი (2001) და „უჩვეულონი (2004) — კომპიუტერული გრაფიკით შექმნილი ამერიკული მულტფილმები.

ვირჯინია ვულფი, „შუქურისაკენ, გამოქვეყნდა 1927 წელს. ანგელა კარტერი, „სისხლიანი დარბაზი, გამოქვეყნდა 1979 წელს.

Big Brother — ამერიკული რეალითი შოუ, რომლის დროსაც ადამიანთა ჯგუფი სამი თვის განმავლობაში კამერების მეთვალყურეობის პირობებში ერთად ცხოვრობს; მასურებელი ტელეფონით რეკავს და ხმას მათ წინააღმდეგ აძლევს, ვის გაძევებასაც ისურვებდა.

6-0-6 — საფეხბურთო ტელეფონ-შოუ, რომელსაც გადასცემს BBC ბრიტანეთის საფეხბურთო სეზონის დროს; მსმენელს საშუალება აქვს დარეკვისა და საკუთარი აზრის გამოთქმისა.

ჩარლზ დიკენსი, „დიდი მოლოდინი, გამოქვეყნდა 1861-1862 წლებში.

ჯორჯ ელიოტი, „მიდლმარჩი: პროვინციული ცხოვრების მოძღვრება, გამოქვეყნდა 1871-1872 წლებში.

Ceefax — მსოფლიოს პირველი ტელეტექსტი (1947, BBC).

Streetmap; Route Planner — ქუჩების რუკა და გზამკვლევი. **CGI Computer Generated Imagery** — კომპიუტერული გრაფიკული ეფექტები ფილმებში, ტელევიზიასა და სხვა ვიზუალურ მედიაში.

Teletext — საინფორმაციო მომსახურება, განვითარებული დიდ ბრიტანეთში 1970 წლიდან.

iPod -პორტატიული მედია-ჟღერევი.

The Office — ამერიკული კომედიური ტელესერიალი.

The Blair Witch Project — ამერიკული ფსიქოლოგიური საშინელებათა ფილმი.

Grand Narratives — ფრანგი ფილოსოფოსი ჟან-ფრანსუა ლიოტარის ნაშრომში „პოსტმოდერნის მდგომარეობა (1979) ამტკიცებს, რომ ჩვენი დრო გამოირჩევა სკეფსისით მეტანარატივებისადმი, დიდი თხრობებისადმი, გრანდიოზული, მსხვილმასშტაბიანი მოძღვრებებისა და ფილოსოფიისადმი, როგორცაა, ვთქვათ, ისტორიული პროგრესი, მეცნიერების მეშვეობით ყველაფრის შეცნობის მოძღვრება ანდა აბსოლუტური თავისუფლების შესაძლებლობა... ლიოტარის მტკიცებით, ჩვენ დიდხანია აღარ გვწამს, რომ ამ ტიპის თხრობებს ძალუძთ თითოეული ჩვენგანის წარმოჩენა ან დატყვა; თანამედროვეობა, პირიქით —

ნიგნის ქარბად — რეკავს გაბაშვილის ეპისტოლეები

13 თებერვალს, საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრმა უმასპინძლა ციციო ჯერვალის ნიგნის „პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით“ მეორე ტომის წარდგინებას.

ეს მეორე ტომიც ეპისტოლარული ფანრიასა, რითაც გრძელდება ფრანგული და ამერიკული ემიგრაციის უხუცესი წარმომადგენლის პეტრე ხვედელიძის პირადი არქივის გამოქვეყნება.

პირველი ნიგნი მოიცავდა საფრანგეთში ქართული ემიგრაციის თავაკაცის ლევან ზურაბიშვილის პირად წერილებს, ამჯერად კი მკითხველთა ფართო წრე გაცნობა ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ილია ჭავჭავაძის ერთგული თანამებრძოლის, მწერალ ეკატერინე გაბაშვილის ვაჟის, 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტის წევრის, საფრანგეთის ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლის რევაზ გაბაშვილის წერილებს, მინეროს უმცროსი მეგობრის, ვაშინგტონში მცხოვრებ პეტრე ხვედელიძისადმი.

სალამოს უძღვებოდა ივანე ჯავახიძე. საზოგადოებას მიმართა ნიგნის რედაქტორმა სოფიკო ჯერვალაძემ. მან ხაზი გაუსვა დარბაზში არსებულ ხალხმრავლობას, რაც იმას მიანიშნებდა, რომ ნიგნი საინტერესოა საზოგადოებისათვის იმ სულიერ ღირებულებათა გამო, რომელიც მასშია თავმოყრილი. მისივე თქმით, ციციო ჯერვალაძემ და პეტრე ხვედელიძემ — ორმა შესანიშნავმა ადამიანმა — გვაჩუქა დღევანდელი საღამო.

მანანა გაბაშვილის თქმით, ამ დღეს სიმბოლურად შეხვდა ერთმანეთს ახალგაზრდობა და რუზო გაბაშვილი. მისი უდღესი აქტუალობაც განპირობებულია იმით, რომ იგი გახლდათ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანი. განათლება იყო ის დიდი საფუძველი, რაც ხელს უშლიდა იმპერიას მოეხდინა დეზორიენტირება, და მეორე, რითაც რუზო გაბაშვილი გამოირჩევა, იყო მისი ზნეობრიობა. რუზო გაბაშვილი დღეს არ შემოსულა ქართულ პოლიტიკაში, ეროვნული მოძრაობის დროს ის იყო გზამკვლევი და ყოველთვის დარჩება ქართულ ცნობიერებაში.

თითქოს ავტორის გული გვეჭირო ხელში, — ასე შეაფასებს ნიგნს როსტომ ჩხეიძე. მისივე თქმით, რუზო გაბაშვილი იყო სახელმწიფოებრივად მოაზროვნე კაცი, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო დამოუკიდებელი საქართველოს ჩამოყალიბებას, 26 მაისის გამოცხადებას. ნიგნი წარმოგვიდგება არა ეპისტოლეთა კრებულად, არამედ დოკუმენტური რომანის შესანიშნავ ნიმუშად. ეს არის ღრმა სულიერებით აღვსილი ნიგნი, სადაც საქართველოს უდღესი ტულიები ისევე სისხლმდენია.

„დღეს რუზო გაბაშვილი ბრუნდება და ჩვენც ღირსეულად ვხვდებით“, — ასე შეაფასებს საღამოს გოგი დოლიძე.

ნათელა არველაძის თქმით, დღეს ხელთ გვიპყრია ორი შესანიშნავი გამოცემა. ნიგნი ისეა შედგენილი, რომ შევყავართ იმ ქსოვილში, რასაც ისტორია შქვია, და სამი ადამიანი გამოიკვეთა ისტორიის ბინდიდან: ლევან ზურაბიშვილი, რუზო გაბაშვილი და პეტრე ხვედელიძე. ამ მიმონერამ დაგვიდასტურა, როგორი უნდა იყოს სახელმწიფო მოღვაწე.

სიტყვით გამოვიდნენ: პაატა ნაცვლიშვილი, ია მუხრანელი, ემიგრაციის მუზეუმის დირექტორი რუსუდან კობახიძე, ჯუმბერ ჯიშკარიანი, ოთარ ჯანელიძე, გელა საითიძე.

საზოგადოებას მიმართმა პოეტმა თინათინ მღვდლიაშვილმა და წაიკითხა ლექსები პეტრე ხვედელიძისადმი მიძღვნილი „შავ ზღვასთან რას მოვა ოკეანე“ და „ხმალი ავლესოთ...“

პეტრე ხვედელიძის ღვაწლზე ისაუბრეს თბილისის სკოლა „მნივნობართუხუცესის“ მოსწავლეებმა (მასწავლებელი: ქეთევან ქიქოძე), რომლებიც აწარმოებდნენ კვლევებს აშშ-ში ქართველ ემიგრანტთა ცხოვრებაზე. მათ და დამსწრე საზოგადოებას საჩუქრად ეს ნიგნი დაურიგებია.

სალამოს მეტ ემოციას სძენდა ანსამბლ „ერქვანის“ მიერ შესრულებული ქართული სიმღერები.

ეკა ბუჯიაშვილი

ტრაგიზმი და რწმენა „ნაკრძალისა“

ხუთი წლის წინათ სწორედ ამ დღეს მიაბარებდნენ ოთარ ჩხეიძის ნეშტს დიდუბის პანთეონის მიწას. ბარბარობასა და ნიკოლოზობას შუა.

18 დეკემბერს.

და ახლა სწორედ ამ თარიღს დაუკავშირებდნენ მწერლის რომანის „ნაკრძალის“ გამოცემასა და წარდგინებას ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ლიტერატურულ სალონში.

ოცდაოთხი რომანის დაწერა მოესწრო — როგორ წინააღმდეგობათა და დაპირისპირებათა ფასად.

თვითონ მწერალს უნდოდა, ცალკე გამოქვეყნებულიყო ეს რომანები და აკი მისივე სიცოცხლეში დაინყო გამოცემა ფოლკნერის „ჯიბის სერიის“ ანალოგიით — სულაც ამერიკულ გამოცემათა ფორმატადაც რომ დამკვიდრებულიყო.

აქამდე ცხრა რომანი მომზადებულია და აი, „ნაკრძალიც“ ახლებური სიცოცხლით მოვლინებოდა ლიტერატურულ სივრცეს.

თავის დროზე როგორღაც ჩაკარგულა ეს რომანი ოთარ ჩხეიძის სხვა თხზულებებს შორის, რატომღაც კრიტიკის თვალს მიღმა დარჩენილა, არადა ამ რომანსაც, ისევე როგორც სხვებს, თავისი ბიოგრაფია ჰქონდა, თავისი მნიშვნელობაც და ადგილიც, რადგან ოთარ ჩხეიძე ხომ ის მწერალია, რომელსაც ჩავარდნა არ აქვს.

„ჩვენი მწერლობის“ სალონში გამართულ პრეზენტაციაზე სწორედ ასე წარადგენდა ამ წიგნს **როსტომ ჩხეიძე**, ვინც შეხვედრაზე რამდენიმე ფრაგმენტს წაუკითხა შეკრებილ საზოგადოებას და არაერთი საინტერესო რამ უამბო ამ რომანის ირგვლივ.

„სადა ნაყოფიერებაი ბოროტთაი, მუნ უნაყოფობაი კეთილთაი“ — იოვანეს სახარების ეს ციტატა უძღვის რომანს, რომელიც 50-60-იანი წლების მკაცრი სატირისაა ყოველგვარი უკეთურობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ.

ბატონი როსტომის თქმით, პოლიტიკური მიზანდასახულებაც ჰქონდა რომანს — „ნაკრძალი“ სიმბოლოა საქართველოსი და მთელი რომანი მიმართულია იქით, რომ შენარჩუნდეს ქართული სულიერება, ფესვები, ისტორია...

ერთ-ერთი მთავარი გმირი სოფრომ ბროძელი თავის გამოკვლევებში ამტკიცებს, რომ საქართველო უნდა გამოცხადდეს ნაკრძალად, არ შეიძლება ამ ქვეყნის გადაშენება, ის უნდა შენარჩუნდეს, როგორც უძვირფასესი გარემო — იგულისხმება არა ლანდშაფტი, არამედ ადამიანები, ქართველობა საერთოდ.

ერთ-ერთი ხაზი რომანისა კი ისაა, თუ როგორ მიითვისებენ მის ნაშრომს პლაგიატორები.

ეს უნდა დასრულდეს.

უნდა აღიკვეთოს.

არ შეიძლება ასე ურცხვად მიითვისო ნაშრომი და გახდე პროფესორი, აკადემიკოსი, მოიარო მსოფლიო, წარდგე საერთაშორისო ფორუმებზე... ადრე

ცოცხალი ადამიანის შრომის მითვისებას მაინც ერიდებოდნენ, ახლა გვერდით მყოფთ აცლიან ხელიდან, კიდეც ესალმებიან, შესაძლოა დახმარებაც სთხოვონ, მერე კი მათი მონვდილი მასალები ერთმანეთს დაადონ და თავიანთი სახელით გამოაქვეყნონ.

სამწუხაროდ, ეს ისტორია არ არის, რეალობაა, და იმედია, რომ ოდესმე ამ ყველაფერს გავისხენებთ როგორც აბსურდულ რეალობას — კაფკას თხზულებებივით — და ველარც კი წარმოვიდგენთ, რომ ასეთი რამ სინამდვილეში შეიძლებოდა მომხდარიყო.

— აქ ისეთი სამკუთხედი იკვრება და ისე ვითარდება პროცესები, ტრაგიზმთან ერთად, ღიმილსაც კი იწვევს და ასე ტრაგიკომიკურად ასახავს ჩვენს რეალობასო, — ამას მოგვიანებით **დავით წერეთლი** იტყვის „ნაკრძალის“ შესახებ, მანამდე კი როსტომ ჩხეიძე რომანში აღწერილი ამბების ქარგასა და წიგნის საერთო კონცეფციაზეც ისაუბრებს:

— „ნაკრძალს“ რამდენიმე წერილი ერთვის.

ერთი — პაატა ჩხეიძისა, რომელმაც გახსნა, თუ რას ნიშნავს ნაკრძალი და რა სიმბოლური დანიშნულება აქვს მას.

ნინო ვახანიას წერილი ვრცელი ანალიზია „ნაკრძალის“, როგორც ფაუსტური პარადიგმის შესახებ.

ევროპულ მწერლობაში ფაუსტურ-მეფისტოფელურ ნაკადსა და პარადიგმებზე არსებობს მიხეილ კვესელავას ორტომეული, რომელიც დღესაც აქტუალურია და თავის დროზე ხომ გამორჩეული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ავტორმა სწორედ ამ სახით შემოიტანა 60-იან წლებში დიდძალი ევროპული ლიტერატურა ჩვენს სინამდვილეში. მიხეილ კვესელავას წიგნში ქართული მასალაც მოაქვს და ოთარ ჩხეიძეს სულ სწყდებოდა გული, რომ აქ არ იყო ვასილ ბარნოვის „მიმქრალი შარავანდედი“ — კლასიკური ნიმუში იმისა, თუ რას ნიშნავს ფაუსტური მოდელი... „ნაკრძალიც“ სწორედ ამ ნაკადის განუყრელი ნაწილია... და თუ ვინმე გააგრძელებს ამ მიმართულებით კვლევას, ეს რომანიც უთუოდ გამოადგება.



მანანა გაბაშვილი

წინასწარ ასევე ერთვის ჩემი წერილიც, ერთ ყოფით ამბავს რომ ეძღვნება — ნაშრომის მითვისების თავგადასავალს, რომელმაც ხელი შეუწყო მწერალს, განეზოგადებინა თავის რომანში და სულაც მისთვის შემოექსოვა მთავარი ქარგა.

ამბავი კი ასეთი გახლდათ:

* * *

— ჩემი წერილიაო...

ჩემია თავიდან ბოლომდეო, — ამბობდა და ჩიოდა იპოლიტე ვართაგავა, შესანიშნავი მკვლევარი, ლამის საუკუნემდე რომ მიეღწია.

ლიტერატურის ისტორია უნინარესად ვაჟა-ფშაველას კრიტიკით იცნობდა — აი, იმ წერილით, შემდეგ თვითონ ვაჟა რომ გამოხმაურებია და ისეთი რამეები დაუწერია, მთლიანად გაუხსნია თავისი შემოქმედებითი ლაბორატორია.

ხომ გამოვიწვიე ვაჟაო, — ამაცობდა თურმე იპოლიტე ვართაგავა, — ხომ ნამოვიკიდე, რომ გამოხმაურებოდა, ეს ყველაფერი დაენერა თავისი შემოქმედებითი ლაბორატორიის შესახებ და უძვირფასესი მასალა დარჩენოდა ლიტერატურის ისტორიასო.

რაკი ვაჟასთან პოლემიკით იცნობდნენ, გარდაცვლილიც ეგონათ უკვე და შალვა რადიანი, პროფესორი — აკადემიკოსი რატომ არ გახდა, მიკვირსო, ბატონი როსტომი იტყვის — ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი, წერა რომ უჭირდა ცოტა, ძირითადად სხვების ნაშრომებით სარგებლობდა და რაკი ჩათვალა, რომ იპოლიტე ვართაგავაც ცოცხალი აღარ იქნებოდა, პირნმინდად გადმოუწერია მისი გამოკვლევა რაფიელ ერისთავზე, თავისი კორექტურული შეცდომებითაც კი, ოღონდ მცირე შესავალი დაურთავს:

— ადრე რალაც ვერ იკვლევდნენ რაფიელ ერისთავს კარგადო.

წერილბურჟუაზიული თვალსაზრისით უღრმავდებოდნენ, აი, მარქსისტულ შუქზე კი სულ სხვაგვარად მოჩანს ეს ყველაფერიო.

დაინტერესებულიყო ამ წერილით საუკუნეს მიღწეული იპოლიტე ვართაგავა, მარქსისტულ შუქზე როგორღა მოჩანდა რაფიელ ერისთავის შემოქმედება და...

— ჩემი წერილიაო, — ჩიოდა გაკვირებული.

თავიდან ბოლომდე ჩემიაო და... ეს თუ მარქსისტულია, აბა ჩემი რატომღაა წერილბურჟუაზიულიო...

გახმაურებულა ეს ამბავი.

იქ, „ზემოთაც“ მიუღწევია და შეშფოთებულან, უნდა მოეხსნათ, ცოტა ხნით მაინც, სხვა გზა აღარ იყო.

— ეს როგორ დაგემართაო, — უსაყვედურებდნენ შალვა რადიანს, ის კი:

— გარდაცვლილი მეგონაო, — იმართლებდა თავს.

მეტი უხერხულობა ვერ ეგრძნო, გარდა იმისა, რომ მითვისებული ნაშრომის ავტორი ცოცხალი აღმოჩნდა.

ეს ამბავი დაედება საფუძვლად „ნაკრძალს“.

სოფრომ ბროძელი წამოაყენებს კონცეფციას საქართველოს ნაკრძალად გამოცხადების შესახებ, ოღონდ გამოქვეყნებას ვერ მოახერხებს და დევს არქივში, იმტვერება სხვა მასალებთან ერთად.

მთავარი გმირი დიტო გორდაძე, რომელსაც წერა არ შეუძლია, მაგრამ პროფესიონალი და აკადემიკოსობა სურს, მეგობარს სთხოვს, იქნებ დამინერო სამეცნიერო გამოკვლევაო.

მეგობარი კი იმით დაეხმარება, რომ არქივიდან ამოიღებს ერთ ძველ ნაშრომს, გადაბეჭდავს და მისცემს.

...და წარადგენს დიტო გორდაძე, როგორც საკუთარი კვლევა-ძიების შედეგს.

დაიცავს დისერტაციას.

დაბეჭდავს პოპულარულ ჟურნალში და...

აღმოაჩენს თავის გამოკვლევას სოფრომ ბროძელი.

კიდევ უჩივლებს.

კიდევ იბრძობებს სიმართლის დამტკიცებისათვის, მაგრამ...

ვერაფერს გახდება.

სწორედ ამაზე გაამახვილებს ყურადღებას თავის გამოვლაში **ნინო ვახანია**:

— რომანში ისეა განზოგადებული ეს ყველაფერი, რომ დგება საერთოდ ძალადობისა და ზნეობის პრობლემა ღმერთსმოკლებულ საზოგადოებაში, ამ უზნეობას ხელს უწყობს არა მხოლოდ სახელმწიფო, თვითონ საზოგადოებაც კი, რადგან მეგობრებიც, გარშემომყოფნიც, სოფრომ ბროძელს ურჩევენ: თავი დაანებეო, ნულარ უჩივიო, იყოს პროფესორი, ბოლოსდაბოლოს ისეთიც რა დაშავდებაო...

რატომ ეკუთვნის, კაცმა არ იცის, თუმცა — როგორც ვაჟას პოემებშია — მართალია, ფიზიკურად ნადგურდება ადამიანი, მაგრამ სულიერად ვერ ერევინან, რჩება მისი ღვანლი, რომელსაც დრო და საზოგადოება ადრე თუ გვიან თავის ადგილს მიუჩენს.

ეს მარტო XX საუკუნის ამბები კი არ არის, კაცობრიობას გასდევს და არავინ იცის, მოიშლება თუ არა ოდესმე, მაგრამ...

ასეთი წიგნები და ასე გააზრებული რეალობა იმედს გვიტოვებს, რომ საზოგადოება ამ ყველაფერზე დაფიქრდება და თავის არჩევანს გააკეთებს ზნეობასა და უზნეობას, ძალადობასა და სიკეთეს შორისო.

ამას გამოხატავს რომანის ფინალიც, კაცობრიობის ამ ორი გზის გადაკვეთას —

ორი პროცესია ხვდება ერთმანეთს — ერთი მხრივ, დიტო გორდაძეს — დიდი მეცნიერების გზაზე ფეხმედგმულს, უკვე სახელმძოვფეჭილს, მარადისობასთან ზიარებისათვის გამზადებულს — ცოლი მოჰყავს, მეორე მხარეს კი სოფრომ ბროძელს მიასვენებენ...

სწორედ ამ პასაჟის ამსახველი ნახატი, **ბადრი გაგნიძის** მიერ შესრულებული, დაამშვენებს წიგნის ყდას, ასე შთამბეჭდავად რომ გამოხატავს რომანის კონცეფციას.

— სადა ნაყოფიერებაი ბოროტთაი, მუნ უნაყოფობაი კეთილთაიო, — ამ ფრაზაში ამოეხვია კაცობრიობის მარადიული ნუხილი სახარების ავტორს.

ასწლეულების შემდეგ კი:

— ჩემი წერილიაო.

თავიდან ბოლომდე ჩემიაო...

და ეს თუ მარქსისტულია, მაშინ ჩემი რატომღაა წერილბურჟუაზიულიო, — თავისი გაჰკვირვებოდა და თავისი სტკიოდა იპოლიტე ვართაგავას.

* * *

— მართალია, ეს პრობლემა უცხო არ არის, როგორც ბევრი სხვა რამ კაცობრიობის ისტორიაში, მაგრამ... ყოველთვის იმას გააჩნია, როგორია საზოგადოების დამოკიდებულება და რეაქცია მის მიმართ, — იტყვის შეხვედრაზე მანანა გაბაშვილი, ვისაც სულაც საკუთარ თავზე გამოუცდია მსგავსი რამ, თავის გამოსვლაში კი აღნიშნავს:

— „ჩვენი მწერლობის“ რედაქციას უკვე წარუვდგინე გამოსაქვეყნებლად წერილი, სადაც ქართული მეცნიერების ბოლო 20 წლის ხანა გავაანალიზე და ოთარ ჩხეიძის ეს რომანიც თავისთავად შემოდის მსჯელობაში. ასეთი პრობლემები სულ არსებობდა, მაგრამ დღეს სწორედ საზოგადოების რეაქციაა საშიში — მისი სრული გულგრილობა ამ ყველაფრის მიმართ.

მეცნიერების შეფასებისას პარალელს ვავლებ პოლიტიკასთან. ხშირად გაიგონებთ, რომ მეცნიერება უნდა იყოს პოლიტიკისგან დაცლილიო, თუმცა ეს ორი რამ ერთმანეთის გარეშე ვერ იარსებებს. ამ რომანში ნაკრძალი სიმბოლური საქართველოა და მწერალი გვაფიქრებს იმაზე, თუ ვის ხელში აღმოჩნდება ისიც და მეცნიერებაც — ერთ-ერთი საფუძველი პოლიტიკისა. სწორედ ეს არის რომანის გასაღებიც.

ოთარ ჩხეიძე დიდ ყურადღებას აპყრობს ახალი თაობის თემას — როგორ გამოჩნდნენ თავნება ახალგაზრდები, არავის და არაფერს რომ აღარ უნევენ ანგარიშს — და ამაში ძალიან დიდ საფრთხეს ხედავს. მე კი ამ ყველაფრით დავინახე არა მხოლოდ შორსმჭვრეტელი მწერალი, არამედ პოლიტიკოსიც, რადგან სწორედ ამის შედეგებს ვიმიტოვებ დღეს.

ქალბატონი მანანა ოთარ ჩხეიძის „ჩემს სავანესთან“ გაავლებს პარალელს, უფრო სწორად, ერთ პასაჟთან ამ თხზულებიდან, ცნობილი მოღვაწენი რომ წუხან:

— გაივლის დრო, ჩვენ აღარ ვიქნებით, ახალგაზრდობა კი ისეთი მოდის, ყველაფერს გააქრობენ და გააცამტვერებენო.

და შემდეგ შეკრებილ საზოგადოებას ნიგნიდან იმ ეპიზოდსაც შეახსენებს, უფლისციხეზე ერთი მხრიდან სერგი მაკულათიას რომ აპყავს სტუდენტები და საქართველოს ისტორიაზე, მის წარსულზე ესაუბრება, მეორე მხრიდან კი ცნობილ პუნებისმეტყველს, თედო ჟორდანიას, და ქვენარმავლების წარმოშობასა და განვითარებას უხსნის ახალგაზრდებს.

ისინი მაღლა, თამარის დარბაზთან ხვდებიან ერთმანეთს და ამით მწერალი არა მხოლოდ პრობლემაზე გვესაუბრება, არამედ გამოსავალსაც გვიხატავს.

გამოსავალს, რომელსაც თაობათა კავშირში ხედავს.

დალილა ბედიანიძე კი „ნაკრძალზე“ ფოლკლორული მალის თვალსაზრისით ისაუბრებს. მისი თქმით, „ოთარ ჩხეი-



დალილა ბედიანიძე

ძის მდიდარ და საკვლევად საინტერესო შემოქმედებას არაერთი წყარო აქვს, რომელთა შორისაც გამოირჩევა მითოსურ-ფოლკლორული ნაკადი. მწერალი არაერთგზის მიმართავს როგორც ქართულ, ასევე ანტიკურ მითოსსა და ფოლკლორს, იყენებს მათ რიგ შემთხვევებში შექმნილი სიტუაციის განსამარტავად, ზოგჯერ ამა თუ იმ პერსონაჟის დასახასიათებლად, ზოგჯერ კი ღრმააზროვანი ქვეტექსტის შესაქმნელად.

ყველაზე ხშირად მის რომანში გვხვდება ქართული ანდაზები. ანდაზათა მხატვრული ფუნქცია რომანში „ნაკრძალი“ ნაირგვარია. ქართული ანდაზებით ლაკონიურად არის გამოხატული რომანში შექმნილ პერსონაჟთა განწყობაცა და სიტუაციაც. ამით კი აღრმავებს იქვე გამოყენებულ ქართულ ხატოვან სიტყვათქმებს ანუ იდიომებს. გვხვდება ხალხური რწმენა-წარმოდგენებიც, დღეთა და ხეთა (მუხის) სიმბოლიკა. ქართული ხალხური ლექსებიდანაც აუღია რამდენიმე სტრიქონი მწერალს (ლექსი კაი ყმის შესახებ). ზოგჯერ სიტუაციის განსამარტავად გამოცანასაც იყენებს და იქვე თვითონვე ასახელებს თავის პირველწყაროს (დავკარ ხმალი, არ დააჩნდა კვალიო). მწერალს არსენას ლექსიც გამოუყენებია, ხალხური ზღაპართქმულებაც (აბესალომ და ეთერი) და ამირანიც მოუხსენებია თავისი მითოსური მნიშვნელობით. ოთარ ჩხეიძე მიმართავს ანტიკურ მითოსსაც (სატირები, ამური, ზევსი, ორფეოსი, ტროას ომის გამოძახილი). ამრიგად, მითოსურ-ფოლკლორული ნაკადი ამდიდრებს ოთარ ჩხეიძის ამ რომანსაც, სიღრმეს სძენს მას, კოლორიტუალობას ანიჭებს და მწერლის მრავალმხრივ ნიჭსა და ერუდიციაზე მიგვანიშნებს.

გამოყენებული მასალა ორგანულად ერწყმის რომანის მხატვრულ ქსოვილს და საინტერესო სტილურ ნოვაციებს ქმნის“.

საინტერესოცა და ნოვაციურიც ჩვეული რამ არის „ჩვენი მწერლობის“ ლიტერატურული სალონისათვის.

ამიტომაც იყო თავისი გამოსვლა ასე რომ დაამთავრა **მანანა გაბაშვილმა**:

— ძალიან ხშირად, როცა ამ სალონზე ვფიქრობ, მედიმება: ყველამ კარგად ვიცით, რა ქარტეხილებიან დროშიც ვცხოვრობთ, ირგვლივ ხან იჭერენ ვილაცას, ხან ათავისუფლებენ, იცვლება ხელისუფლებანი, ერთნი მიდიან, მეორენი მოდიან, ინანილებენ ადგილებს, ფულებს, სახელსა და დიდებას...

ეს სალონი კი... იყო დრო, თვითონაც რომ აღმოჩნდა ქარცეცხლის შუაგულში, მაგრამ კვლავაც ჩვეული სიმშვიდით აგრძელებს თავის საქმესა და გზას —

ვიკრიბებით ორ კვირაში ერთხელ და ვსაუბრობთ ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე, კულტურაზე...

მაღალ მატერიებსა და მარადიულ ღირებულებებზე ვსაუბრობთ.

მურმან ჯგუბურია

„ერთი... ერთი. რამდენი ვიქნები. ერთი“

ანუ
ცოტა რამ რომანის
ერთი მონაკვეთის ირგვლივ

1. ოთარ ჩხეიძის რომანი „ნაკრძალი“ 1970 წელს გამოქვეყნდა. მე ახლა წავიკითხე. ასე სცილდება ერთიმეორეს (საკუთარ თავზე ვსაუბრობ) წიგნი და მკითხველი. ოთხი ათეული წელიწადი გავიდა ამ რომანის შექმნიდან, მაგრამ რაზედაც მიგვანიშნა მწერალმა, ახლაც დღის წესრიგში დგას, ანუ ახლაც მოუგვარებელია. სხვა კუთხითაც რომ შევხედოთ, ასედაც შეიძლება ითქვას, რა ბედენაა, ეს რომანი რომ მაშინვე გამეცნო, რა შეიცვლებოდა? (პოეტის გამოხატულება: „რადგან ვერავინ ვერ შევცვალე, თვით შევიცვლები“, სხვა შინაარსის მომცველია), მე შევიცვლებოდი? ქვეყანა შეიცვლებოდა? ხომ წაიკითხა ეს რომანი მრავალმა მკითხველმა, რა შეიცვალა? არაფერი. „ყველაფერი როდი მოჩანს სარკმლიდან“. სინამდვილეში მოჩანსო, იგულისხმება, მაგრამ ჩვენთვის არ მოჩანს, მსგავს ვითარებაზე მიგვანიშნებს ერთი უცხოელი პოეტის გამოხატულება: „მაგრამ მისი თვალთ სხვაა ეს მინდვრები და ეს სანახები“. ჩვენი თვალთ არ მოჩანს (ჩემი თვალთ), ანუ, მწერალმა გაგვასწრო ოთხი ათეული წელიწადით, და კიდევ ერთმა ღმერთმა იცის, რამდენზეც გაგვასწრებს, ანუ როდის აღსრულდება მისეული ჩანაფიქრი, როდისღა დაემგვანება ერთიანი საქართველო ნაკრძალს. ეს იცის ერთმა ღმერთმა, გავიმეოროთ, და ერთმა ღვთისწინებმა მესიტყვემ.

2. ადამიანი, თავისთავად, იმდენად არის ერთი ადამიანი, ანუ სრული, მთელი ადამიანი, რომ მეორე მე, ანუ კიდევ ერთი ადამიანი მასში ვერ ეტევა, რადგან ღმერთმა ადამიანი შექმნა თავისი თავის მსგავსად და ანაგებად. რაც დაირღვა ადამი და ევადან მოკიდებული, რაც ღვთის მიერ იმთავითვე დაუშვებელი იყო, მაგრამ რაკილა კაცს გაუჩნდა მეორე ნახევარი, მისი ერთობა-მთლიანობა დაირღვა, და ჩვენ უკვე ჩვენი მეორე ნახევრის გარეშე ვართ ნახევარი ადამიანი, და არა სრული, მთელი ადამიანი.

რა მალაპარაკებს? მთელი (ერთი) ადამიანია „ნაკრძალის“ მთავარი მოქმედი პირი (გმირი) სოფრომ ბროძელი. ერთი. ერთადერთი, რომელთანაც შედარებით, სხვანი, არათუ ერთი, არცა ნახევარნი არიან და არცა მესამედნი, და არცა მეოთხედნი და არცა მეხუთედნი თუ მეათედნი,

რაზედაც არის აგებული, ჩემი გაგებით, ამ საკვირველი რომანის მთელი სიმბოლიკა.

ერთხელაც ამ მოხუცებულმა კაცმა სოფრომ ბროძელმა, მეცნიერმა-ბუნებისმეტყველმა, საქართველოს „ნაკრძალად“ გადაქცევისათვის თავგადაკლულმა მეოცნებემ და მზრუნველმა ადამიანმა, გზად თავის მეგობარ ჩანთასთან საუბრით გული რომ მოიჯერა („შეთანხმდნენ თუ გადასდეს კამათი“), დანაყრება მოინდომა, ერთი ლიტრა წითელი ღვინო მოინდომა. „საამისო სანიშნოც გამოჩენილიყო, წამომდგარიყო ძველი რესტორანი სამთავროსი, ჰოდა, შევიდა და იქვე ჩამოჯდა რკინისა თუ ალუმინის ხრიკინა სკამზედა, ასევე ხრიკინა პლასტმას-ალუმინის მაგიდასთანა“...

რა თქმა უნდა, კინკლა ბერიკაცს არავინ მიაქცია ყურადღება, ხმამალა ჩაახველა, გაიხმაურა, „პატივცემულნო“, გაბეზრებულმა ლოდინისაგან, და აჰა, როგორც იქნა, გამოეხმაურა მიმტანი თუ მომტანი თუ ოფიცინტი თუ მოსამსახურე:

— რამდენი ხართ?
— ერთი.
და რო აღარაფერი უთხრეს, ისევ გაიმეორა:
— ერთი... ერთი. რამდენი ვიქნები. ერთი!..
— ერთი?!
— ერთი.
— ერთი?!
— ერთი.
— ერთი?! — ჩაიხითხითა მოხითხითემა და მორჩა, გადაავიწყდა ეს სტუმარი.
— მომართვით რამე! — ბრძანა სოფრომმა.
— ერთი ვარო და...
— მერე ვითომ რაო, ქამა არ უნდა ერთსა?!
— რას გვიბრძანებთ?
— მწვადი!
— ერთი?
— მა რამდენი?! ერთი-მეთქი.
— ერთი... ერთი მწვადისთვის ვერ გავალვივებ ქურასაო.
— რა გაენყობა, ორი იყოს...
— ვერც ორისთვისო...
— სამი, ოთხი... ხუთისთვისაც არაო?!
— ძვირი დაგიჯდება.
— რაც უნდა დამიჯდეს!
— ხუთ მწვადსაც ხუთი ბოთლი მაშინვე უნდა მიჰყვეს.
— მე ერთი მინდა, ისიც წითელი...
— რო არა გვაქვს?!
არ არის და რას იზამ, თუ არ არის, რას იზამ?! ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო. რას იზამ. არ არიო. ერთი ბოთლი წითელი ღვინო. ერთი. ერთადერთი“.

როგორ ფიქრობ, ძვირფასო მკითხველო, აქ მარტო ერთ ბოთლ ღვინოზეა საუბარი და ერთ ბერიკაცზე?.. და ერთ დაწესებულებაზე, მხოლოდდამხოლოდ მოგებაზე რომ ფიქრობს?

ჩემი გაგებით, აქ ყველა ჩვენგანზეა საუბარი, შენზე, ჩემზე, იმაზე.

იმაზე, რომ ჩვენ ყველამ უნდა ვეცადოთ, რათა ერთი შევიქნეთ, და არა — ორი, ან — სამი...



3. სოფრომ ბროძელი ერთია.

ერთი იყო.

ერთად დარჩა.

და ერთად მიიცვალა.

და რაკილა მთელ ამ წიგნში ამ ერთი გმირის გარდა არავინ არ არის (არ იყო) ერთი, რა გინდა სასწაულად მოგვეჩვენოს, ამ ერთი კაცის წასვლით ქვეყანა (საქართველო) დაცარიელდა. კაცი არ შეგვრჩა. იყო ერთი კაცი და გარდაიცვალა. და დარჩა გაორებული, გასამებული, გაათებული ადამიანებისაგან შემდგარი საქართველო. ასეთი „სასტიკი“ რომანი მოუძღვნა მწერალმა სასტიკი ჟამსა და ჟამიანობას. ბოლშევიზმს, ანუ უმრავლესობას. უმცირესობა არ არის. გათავდა. მორჩა. ერთი კაცი იყო, ვინც შეადგენდა უმცირესობას და ისიც გაქრა. გარდაიცვალა.

საშველი? — იკითხავს მკითხველი.

საშველი არ არის.

საშველი მეცნიერისა და ბუნებისმეტყველის ჩანთაშია. იმ წიგნშია, ჩანთაში რომ ძევს. „წიგნს გიტოვებ“ (სიმონ ჩიქოვანი). მაგრამ იმ წიგნის მკითხველი ჯერხნობით არავინაა. არიან იმ წიგნის ქურდები, გადამწერლები, სხვებთან შედარებით, უმთავრესად „კანონიერი ქურდი“ — დიტო გორდაძე. და მისი დამქაშები, მისი მეგობრები და მისი მეორე ნახევარი (არანაკლებ გათახსირებული), მაგრამ მკითხველები არ არიან.

არც მე. არც შენ. არც ის.

ამგვარია მწარე სიმართლე.

ამგვარი მწარე სიმართლის მთქმელია ჩვენი (გასული) საუკუნის ჟამთააღმწერელი და ნყობილსიტყვაობის უბადლო ოსტატი. ცხონებული ოთარ ჩხეიძე.

ცხონებული სოფრომ ბროძელი.

ბროძელი, ცოტათი, დედა-ბოძსაც რომ მოგვაგონებს? აქედან გამომდინარე, სოფრომ ბროძელის გარდაცვალება, ერისათვის დედა-ბოძის გამოცლასაც უახლოვდება.

P.S.

ამას წინებში ერთი ასეთი ლექსი ჩამოვწერე (ლექსი?):

**თუმცა ღმერთი არის ერთი
გუშინ, დღეს, ხვალ, მარადჟამს,
ადრე ჩუმად გვწამდა ღმერთი,
ახლა ჩუმად არა გვწამს.**

ოთარ ჩხეიძის მთელი შემოქმედება სიჩუმის მტერია. იშვიათია სიტყვა დუმის რამ სჯობდეს. ოთარ ჩხეიძის სიტყვა (სათქმელი) მუდამჟამს დუმის მჯობნია. ხოლო ეს საყოველთაო გამოწვევაში, მართალი თქვით და მკვდარი ადგებაო, მთელი მისი შემოქმედების გასაღებია.

სოფრო ნულაია

კოსტომდერნიზმისაგან თავდასაღწევად

(შოთა იათაშვილის მოთხრობა „ფორმალისტები“)

სიტყვა „ფორმალისტი“ უცხო სიტყვათა ლექსიკონში განმარტებულია, როგორც იდეალისტური მიმართულება ხელოვნებაში, რომელიც მხოლოდ ფორმას ანიჭებს მნიშვნელობას, იდეურ შინაარსს კი მთლიანად უგულებელყოფს. ფორმისა და შინაარსის დამოუკიდებელ მნიშვნელობებსა და როლზე ხელოვნებაში, ერთის უპირატესობაზე მეორესთან მიმართებით, ბევრს ფიქრობენ, საუბრობენ და კამათობენ როგორც ხელოვნების თეორეტიკოსები, ისე თვით ავტორები. რა არის მთავარი — ის, რასაც წერ, თუ ის, როგორ წერ — შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა და ერთგვარი დილემის წინაშე აყენებს ამ საკითხით დაინტერესებულებს. წერის პროცესში ფორმისთვის მიზანმიმართულად უპირატესობის მინიჭება და ასევე მიზანმიმართულად შინაარსის უგულებელყოფა საბოლოოდ რთულ ინტელექტუალურ-ფილოსოფიურ ექსპერიმენტამდე, გნებავთ, თამაშამდე დივიანება და ხორცს ასხამს იდეას — კონკრეტულმა ფორმამ ზოგჯერ კონკრეტული შინაარსის ნაცვლად არაფერი გამოხატოს.

„არ არსებობს ინტელექტუალური ვარჯიში, რომელიც საბოლოოდ ფუჭი არ იყოს“ — წერს ხორხე ლუის ბორხესი — ინტელექტუალური ვარჯიშის საშუალებით ინტერტექსტუალური ლაბირინთების ერთ-ერთი ფუძემდებელი მსოფლიო ლიტერატურაში, რომელსაც სწორედ ვერბალურ-ინტელექტუალური სავარჯიშოთა და ფორმაზე ორიენტირებულ ექსპერიმენტთა საშუალებით შეჰყავს ჩიხში საკმაოდ

გამოცდილი და ერთგული მკითხველიც კი... ერთი რამ ფაქტია: შემოქმედებითი ძიების პროცესი არ არსებობს ინტელექტუალური სავარჯიშოების გარეშე, რაც, თავის მხრივ, რეფლექსიისა და ექსპერიმენტთა საშუალებით მიიღწევა.

„ფორმალისტები“ — ასე ჰქვია შოთა იათაშვილის 2011 წლით დათარიღებულ მოთხრობას, რომელიც წერის დროს ავტორის მხატვრულ ძიებათა ურთულეს და დამქანცველ შემოქმედებით პროცესს გამოხატავს.

შინაარსს — გამოიხატოს წერის პროცესის სირთულეები — ფორმის თვალსაზრისით, ფაქტობრივად, ხორცი ორგვარად შეიძლება შეესხას — პირველი: ავტორი აკვირდება საკუთარ პერსონაჟს, რომელიც პროფესიით მწერალია, ან სურვილი აქვს, რამე დაწეროს, და კალეიდოსკოპური სიზუსტით აღწერს მის შინაგან განცდებს, ცნობიერების ნაკადს, ლიტერატურულ მიგნებებს, შინაგან განწყობასა თუ სულიერ მდგომარეობას, პედალირებას ახდენს გარეშე პირობებსა და წერის სურვილის მაპროვოცირებლებზე; მეორე — ავტორი თვითრეფლექსიის გზით თვითვე გარდაისახება საკუთარი ტექსტის მთავარ პერსონაჟად და თანმიმდევრულად აღწერს საკუთარივე ტექსტის ქმნადობის პროცესს — შოთა იათაშვილი ამ უკანასკნელს ირჩევს.

მკითხველისთვის მოთხრობის შინაარსი, ანუ ის, თუ რაზეა „ფორმალისტები“, პირველივე აბზაციდანვე ცნობილი ხდება — მაშინვე ვიგებთ, რომ ტექსტში მხატვრული ნა-

წარმოების შექმნის რთული შემოქმედებითი პროცესია აღწერილი — მთელი თავისი ძიებებით, სირთულეებითა და წინააღმდეგობებით, ამდენად, აქ მთავარი ფორმაა, რომლის საშუალებითაც მოთხრობაში პირველივე აბზაცში გაცხადებული ნარატივი პრეზენტირდება.

მოთხრობის ტექსტი, როგორც ზემოთაღნიშნული შინაარსის გამომხატველი ფორმა, მკითხველის თვალწინ იბადება და ამას ხელს არანაირად არ უშლის ამბის მოსათხრობად გამოყენებული ზმნების წარსული დროის ფორმები. მოთხრობელი, რომელიც პირველივე სიტყვიდან შედის დიალოგში მკითხველთან, არც ავტორის პროტოტიპი და არც ალტერ-ეგო არ არის, მოთხრობაში პროტაგონისტი თავად ბელეტრისტი, პოეტი, მთარგმნელი და კრიტიკოსი შოთა იათაშვილია. „დასაწყისზე ვფიქრობდი. არაფრით არ გამომდიოდა. მაღიზიანებდა პირველსიტყვად დაწერილი ნებისმიერი სიტყვა“ — გვიმხელს იგი, რის შემდეგაც ჩვენს თვალწინ სიტყვებზე მონადირე არსებად გარდაისახება, ანბანური თანმიმდევრობით რომ ეძებს მისთვის საჭირო, სასურველ და მოსაწონ პირველ სიტყვას ტექსტისთვის, რომლის დაწერასაც აპირებს; როცა საკუთარ ცნობიერებაში დაღექილ მარაგს ამოწურავს, სახლის ბიბლიოთეკის პროზაული განყოფილებისკენ გადაინაცვლებს — ასე წარმოგვიდგება სხვისი ტექსტები ერთგვარ შემოქმედებით გამტარად და მუხტად ახალი მხატვრული ტექსტის შექმნის ურთულესსა და წინააღმდეგობრივ პროცესში.

უცხო ტექსტები ერთდროულად იქცევა სხვის გამოცდილებათა და მიგნებათა საკუთარ ცნობიერებაში გატარების, გააზრების, გადაფასებისა და ინტერპრეტირების საშუალებად — ნედლ მასალად ახალი ტექსტის შესაქმნელად და უსასრულო და უთავბოლო ლაბირინთად, მუდმივად ჩიხში რომ შევყავართ, საიდანაც თავის გამოღწევა სულ უფრო და უფრო წარმოუდგენელი ხდება. სხვების ტექსტებში გაუთავებელი ქექვის პროცესს ავტორი აფასებს სიტყვით „საშინელება“, და ძნელია არ დაეთანხმო ამ შეფასებას, მითუმეტეს მას შემდეგ, რაც ამას წაიკითხავ: „ძალიან დიდი ხანი ვათვალისწინებ ჩემი ბიბლიოთეკა. თვალები ამომიღამდა, გული შემიღონდა, ფეხზე ძლივს ვიდექი, ხელები დაღლილობისა და ნერვიულობისგან მიცახცახებდა, უკვე მექანიკურად ვიღებდი ნიგნებს, გადავშლიდი, ნავიკითხავდი პირველ წინადადებას, სახე მომეჯღანებოდა, ვხურავდი და ისევ უკან ვდებდი. ასე ნატანჯი და მოქანჯელი ვერც კი მივხვდი, რადის გავითიმე, ჩავიკეცე და თაროსთან ჩამეძინა“. მოთხრობის ტექსტში აღწერილ ამბავს მოთუხთუხე დრამად აქცევს ცხადიდან სიზმარში გადანაცვლებული გამოსასვლელის ძებნის პროცესი უგრძესი ტექსტუალური ლაბირინთიდან, რომელიც საკუთარი არეალის საზღვრებში ავტორის ბიბლიოთეკაში არსებული თითოეული ნიგნის ტექსტს აერთიანებს და საიდანაც გამოსავალი იმიტომ არ არსებობს, რომ არ არსებობს კეთილი არიანდენ და მისი ჯადოსნური ძაფი.

„სიზმრების არათანმიმდევრული და გამაბრუებელი მასალისგან რაიმეს გამოძევრნვა უძნელესი სამუშაოა, რომელიც ადამიანმა შეიძლება შეასრულოს; გაცილებით ძნელი, ვიდრე თოკის დაწვნა ქვიშიდან, ან მონეტების გამოჭედა უსახური ქარისგან“ — წერს ბორხესი. ავტორის ამოცანაც ანალოგიურად რთულდება — მრავალმოქმედებიანი და ძნელად ამოხსნადი ხდება, პარალელურად, უფრო და უფრო დიდ უტოპიად იქცევა მიზანი — მილიონი სიტყვიდან კონკრეტულისა და საჭიროს ამორჩევა, რადგან ავტორის

სიტყვებითვე რომ ვთქვათ: „ფრაზა თვალსა და ხელს შუა ლპებ(ოდ)ა, ასო-ასო იშლებ(ოდ)ა, თვალსა და ხელს შუა პარტახდებ(ოდ)ა, ძალა ეკარგებ(ოდ)ა“.

„რაღაც გამოსავალი უნდა ვიპოვო, თორემ ცუდადაა ჩემი საქმე“ — ასკვნის გადაღლილი შემოქმედი — ძეხვის, არაჟინისა და პურის ეტიკეტებშიც რომ ისტერიულად და მექანიკურად ეძებს მისთვის სასურველ სიტყვებს — უთავბოლო ლაბირინთის გავლის ურთულესი პროცესიც ხელახლა იწყება. ამჯერად ავტორი თვითვე იგონებს „არიადნეს ძაფს“ ჩიხიდან გამოსაღწევად — მისთვის ამ ფუნქციას კალმისტარი ითავსებს, რომელიც გავლილ გზას (ერთხელ ნაკითხულ სიტყვებსა და წინადადებებს) უმონყალოდ ჯღაბნის და შლის იმ მიზნით და იმედით, რომ ერთხელ განვილილ (ნაკითხულს) უკან აღარასოდეს მიუბრუნდება. „პირველი ნიგნი, რომელიც ხელთ მომხვდა, გადავფურცლე და ტექსტის საწყისი ფრაზა პასტით გადავშალე. პირველი წინადადება უკვე აღარ არსებობდა“ — წერს ავტორი. გადაშლილ წინადადებათა სახით უზარმაზარ, უწყვეტ და ერთიან ტექსტში ნიშნულების დასმამ ერთგვარად ამშვიდებს სასონარკვეთილ მწერალს. ეს ოპტიმისტური განწყობა ყველაზე მეტად ტექსტის პირველი თავის ბოლო ფრაზაში იკითხება: „გული მიგრძნობდა, რომ სწორ მე-თოდს მივაგენი და ბოლომდე უნდა მივყოლოდი მას“...

მოთხრობის მეორე თავში პირველადი და ძირითადი სამუშაო უკვე შესრულებულია — მორფემები ნაპოვნია; როგორც ვიცით, მორფემათა ჯამი სინტაქსს უდრის, სინტაქსი კი, თავის მხრივ, მწერლის ენასა და სტილის განსაზღვრავს. შოთა იათაშვილს სხვა ავტორების ტექსტუალური ლაბირინთებიდან თავის გამოღწევის, ანუ მათი გავლენებისა ან გადაკოპირებისგან თავის დაღწევის ერთადერთ გზად სინტაქსის დეკონსტრუქცია ესახება, რაც კიდევ უფრო ართულებს ისედაც რთული და ამოუხსნელი ამოცანის ამოხსნას, რომლის პირობის სირთულე ვერბალურად დაახლოებით ასე შეიძლება ფორმულირდეს: „მასწავლა დოჩანაშვილმა გურამ მეთოდი ეს კითხვის კორექტურის“ („კორექტურის კითხვის ეს მეთოდი გურამ დოჩანაშვილმა მასწავლა“).

„ვცდილობდი, წინადადებების ამ ნაწარგვეებში ახალი საინტერესო სინტაქსური გადაწყვეტები მეპოვა და მათ ნიდაგზე თავიდან ამეგო ფრაზები, ამ ფრაზებიდან კი ახალი ტიპის ნაწარმოები გამომეყვანა“ — წერს საკუთარი ტექსტის ქმნალობაში სულ უფრო და უფრო ღრმად ჩაძირული ავტორი, რომელსაც მტკიცედ სწამს, რომ ასე თუ არ მოიქცა, ახალ სიტყვას ვერასოდეს იტყვის ლიტერატურაში და რიგით, საშუალო დონის მწერლად დარჩება (თავს ვერასოდეს დააღწევს ნიგნებიდან ტინში გადანერგილ სხვა ავტორთა მიერ შექმნილ ტექსტუალურ ლაბირინთებს).

მესამე ეტაპი სიტყვების გაფერადებაა, რაც ერთმანეთზე ოსტატურად მიწყობილი მეტყველების ნაწილთა გარშემო ერთგვარი სიმბოლურ-ემოციური ველის შექმნასა და მათ განსხვავებული კუთხით აღქმას უწყობს ხელს. ავტორსაც ღრმად სწამს, რომ „ეს მეთოდი ტექსტს ელფერს შეუცვლის, რის შედეგადაც იგი უფრო შთამბეჭდავი და მრავლისმთქმელი გახდება“, მაგრამ როდესაც ერთი შეხედვით მიზანმიმართულ და რაციონალურ მოქმედებაში ბავშვები ერთვებიან, რომლებიც თვითონაც ითხოვენ მამის მიერ დაწერილი სიტყვების გაფერადებას, ერთი შეხედვით ორიგინალური ლიტერატურული მიგნება თუ მეთოდი სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდება, თამაშად ან გართობად გარ-

დაისახოს, თუმცა შემოქმედი თვითვე აღკვეთს ამ საფრთხეს, რასაც ტექსტში პროფესიულ ტერმინთა დახვევებით აღწევს, რომელთა საშუალებითაც მის მიერ აღმოჩენილ მეტოდს მთლიანად შემოაცლის გულუბრყვილობისა და თამაშის ელფერს: „ტექსტის რალაც ფრაგმენტს რომ ვაფერადებ, ზოგიერთი სიტყვა უკვე თავისთავად იცვლება. ანუ რალაცა სიტყვა ფერთა მოცემულ გამაში ვერ ჯდება და რომელიმე სინონიმს, ან ანტონიმს, ანდა რალაც სხვა ლექსიკურ ტერმინს ითხოვს თავისი სემანტიკური სივრციდან“ — წერს იგი; შემდეგ მხატვრულ ტექსტში შენაკადივით იჭრება ესეისტიკა, რომელიც ავტორის მიერ შექმნილი ფიქციისთვის არსებობის უფლების მინიჭების მიზნით ასკვნის: „გაფერადება ავტორს სჭირდება, რათა სიტყვები და წინადადებები ბოლომდე შეიგრძნოს, ყოველი უზუსტობა თვალნათლივ დაინახოს და ჩაასწოროს, მეტ სიღრმეებს ჩასწვდეს... და როცა ტექსტს უზადოს გახდის, მერე კვლავ გააშავეთერთოს და ძველებური წესით დაბეჭდოს სტამბაში“.

როგორც ბორხესი იტყოდა, „ყველა ფიქციაში ადამიანი ხვდება მრავალგვარ ალტერნატივას, რომელთაგანაც ერთს ირჩევს, დანარჩენებს კი უკუაგდება“. მოთხრობის „ფორმალისტები“ მკითხველის წინაშე ორი ალტერნატივაა — ენდოს ან ექვი შეიტანოს ავტორის დასკვნის სისწორეში, დაუჯეროს ან არ დაუჯეროს; გასათვალისწინებელია, რომ მწერლის დასკვნა ემპირიულადაა დადასტურებული, ამდენად, ბევრად მომგებიანი იქნება, თუკი მის სისწორეში ექვის შეტანის ნაცვლად, მომდევნო გვერდების კითხვას იმ იმედით გავაგრძელებთ, რომ ავტორის მხარდამხარ ჩვენც გამოვალნეთ უცნაური ტექსტუალური ლაბირინთიდან.

მოთხრობის მეოთხე თავი ცალკე რომ ავიღოთ და მთლიანი ტექსტისგან იზოლირებულად გავაანალიზოთ, ის ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელოს დეკონსტრუქციად, ან ახალი ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელოს შექმნის მცდელობად შეიძლება აღვიქვათ, სადაც ავტორი კონვენციური ლექსის ფორმების წინააღმდეგ ილაშქრებს და ცდილობს შეძლებისდაგვარად დააკნინოს სონეტებისა და ტრიოლეტების მნიშვნელობა და როლი (მნიშვნელობათა დაკნინების მცდელობა, რალა თქმა უნდა, ირონიულ-სარკასტულ კონტექსტში უნდა აღვიქვათ და გავიგოთ, რადგან იგი რეალურად სულაც არ აკნინებს საუკუნეების წინათ დამკვიდრებულ სალექსო ფორმებს და მხოლოდ და მხოლოდ ავტორის მიერ წამოწყებული უცნაური ექსპერიმენტის ერთ-ერთ საფეხურად გაიაზრება. აღსანიშნავია ისიც, რომ ირონიულ-სარკასტული ტონი ავტორის სხვა ექსპერიმენტებისთვისაც არ არის უცხო, ამიტომ ისინი ბოლომდე სერიოზულად არ აღიქმება, ეს კი დასაწყისშივე ამყარებს ბორხესის ზემოთმოყვანილ მოსაზ-

რებას იმის თაობაზე, რომ ყველა ინტელექტუალური ექსპერიმენტი საბოლოოდ ფუჭი და არაფრისმომცემია).

შოთა იათაშვილი საუბრობს მის მიერ შექმნილ ახალ სალექსო ფორმებზე მეტად უცნაური სახელწოდებებით — ზონეტი, დეკადეტი და დოდეკაეტი, თუმცა არ გვთავაზობს არცერთის დეფინიციას, ამდენად, ვერ ვიგებთ, რითი განსხვავდებიან ისინი კლასიკური სონეტისა და ტრიოლეტისგან, ამიტომაც თითოეული ფიქციადვე რჩება. ამასთან დაკავშირებით შეუძლებელია არ გავგახსენდეს პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი — სიმულაკრუმი. მოთხრობაც, ალბათ, ყველა სხვა მიმდინარეობაზე უფრო ახლოს პოსტმოდერნიზმთან დგას

— თავისი ეპისტემოლოგიური დაექვევებით, ირონიით, თვითრეფლექსიით, ესეისტურობითა და არალინეალურობით... თუმცა კლასიკური პოეტმოდერნიზმისგან განსხვავებით, შიგადაშიგ მოდერნიზტული არტისთვის დამახასიათებელი ელემენტებიც გვხვდება და პოსტ-პოსტმოდერნიზტული ლიტერატურის ძირითად ტენდენციებსაც ავითარებს.

მოთხრობის მე-5 თავში ავტორი, ერთი შეხედვით, პოსტმოდერნიზტული რომანის ალგორითმს გვთავაზობს, სადაც პროტაგონისტები მუდმივად იცვლებიან და მათთან ერთად იცვლება ტომოგრაფიული სახელები და მოქმედების დრო. თუმცა პოსტმოდერნი XX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის პირმშოა, აქ კი საუბარია პოსტ-პოსტმოდერნიზმსა და მომავლის ფორმალისტურ, კიბერ-რომანზე, სადაც

შოთა იათაშვილი



მოქმედება ვირტუალურ განზომილებაში, კომპიუტერული პროგრამების დახმარებით ვითარდება და ისევე, როგორც ნებისმიერი კომპიუტერული პროგრამა, ქმნადობის პროცესში მომხმარებლის (მკითხველის) ჩართულობასაც გულისხმობს, რაც ნიშნავს, რომ მკითხველი თვითვე გააკონტროლებს მოქმედების განვითარების პროცესს, თვითვე განსაზღვრავს, რისი წაკითხვა სურს — თვითვე შეუძლია ცენზორის ფუნქციების შეთავსებაც („თუ მკითხველი შუა საუკუნეებს ირჩევს, ალგორითმის ხეში მიწევს რომანის ისტორიულ ჟანრში ტრანსფორმირება, თუ 25-ე საუკუნეს — სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრში... თუ მიუთითებს ოპცია „ცენზორს“, ინტიმური სცენები მთლიანად ამოიჭრება“).

რომანის ნახევრად პოსტმოდერნიზტულ ბუნებას კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს ფრაზა: „მე მინდა, ჩემგან არაფერი დარჩეს და ავტორობა მთლიანად მკითხველმა ჩაიგდოს ხელში“, თუმცა, კლასიკური პოსტმოდერნიზტული ტექსტებისგან განსხვავებით, სადაც ავტორი დიდი ხნის წინათ მოკვდა, მომავლის კიბერ-პოსტ-პოსტმოდერნიზტულ რომანში ავტორის სიკვდილი მხოლოდ ილუზიაა, რადგან შოთა იათაშვილს თუ დაუფუჯერებთ, „გარეგნული ფორმების ცვალებადობა (რომელიც მკითხველის სურვილებზეა დამოკიდებული-

ლი) ტექსტის შინაგან ბუნებას, მის შინაგან სათქმელს ვერაფერს უზამს. ჩემი რომანის ალგორითმი მაინც იქამდე მიმიყვანს, სადამდეც მე მინდა“.

მომავლის კიბერ-რომანი ზოგადად ვირტუალური რეალობისა და კომპიუტერული პროგრამების სიმბოლოდაც შეიძლება აღვიქვათ, რომელიც ასე აქტიურად იჭრება თანამედროვე ადამიანის ყოფიერებაში და გვიქმნის ილუზიას, რომ ვქმნით, სინამდვილეში კი ელექტრონული მანქანები თვითონ ქმნიან ჩვენს რეალობას, რის შედეგადაც მთელ კაცობრიობაში საერთო ფიქრებისა და იდეების ჩანერგვა და მათი თანდათანობითი ტირაჟირება ხდება.

მოთხრობის მეექვსე თავში ტექსტის შექმნა მთავრდება, ისევე, როგორც მეექვსე დღეს დაგვირგვინდა სამყაროს შექმნა ადამისთვის უკვდავი სულის შთაბერვით. ამ თავში რეალური ადამიანები პერსონაჟებად ტრანსფორმირდებიან, რომლებიც რომანშიც და რეალობაშიც თანამედროვე ქართველი მწერლები და პოეტები — ე.წ. „90-იანელები“ არიან (შოთა იათაშვილიც ამ თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია).

ტექსტში პირველად ბესო ხვედელიძე ჩნდება — ტექსტის ავტორის მსგავსად ტექსტუალურ ლაბირინთებში ჩაფლულ-ჩაკარგული და მისი ერთ-ერთი ყველაზე ახლო მეგობარი; მხატვრულ ტექსტებში რეინკარნირებული რეალურ პერსონაჟთა პალიტრა კიდევ უფრო მრავალფეროვნდება, როცა ზარის რეკვის ხმა ისმის და წიგნებით სავსე სივრცეში სინტაქსურად უცნაურად აგებული წინადადებებით მოსაუბრე დავით ქართველიშვილი შემოდის; თავდათან მათ გვერდით ჩნდებიან ზვიად რატიანი და შალვა ბაკურაძე. ახსენებენ გარდაცვლილ კოლეგასა და მეგობარს, ცნობილი რომანის „სიტყვები“ ავტორს — ზაზა თვარაძეს და ტექსტის დასაწყისში დანყებული ერთი ავტორის შემოქმედებითი ძიების პროცესი, მისი უსასრულო მოგზაურობა ტექსტუალურ ლაბირინთებში — ტექსტის ბოლოსკენ უკვე მთელი თაობის შემოქმედებითი ძიების პროცესად აღიქმება.

სამყაროში მილიონობით ტექსტია, თანამედროვე მწერალს ნამდვილად აქვს იმის ფუფუნება, გაეცნოს ამ ტექსტებს, თვალის ადევნოს თანამედროვე ლიტერატურის უახლეს მიღწევებს, შეისწავლოს ახალი მიმდინარეობანი და ამ მიმდინარეობებისთვის დამახასიათებელი ძირითადი თავისებურებანი, თუმცა მედალს ორი მხარე აქვს და ტექსტუალურ ლაბირინთებში დაკარგული თანამედროვე ავტორიც საკუთარი ინდივიდუალობის შენარჩუნების პრობლემის წინაშე დგას, თან მუდმივად აწუხებს კომპლექსი, სხვას არ დაემსგავსოს, არ განმეორდეს, თავი დააღწიოს მის ცნობიერებაში დალექილ ტექსტებს და დამოუკიდებლად თქვას საკუთარი სიტყვა... და თუ პოსტმოდერნისტი აცხადებდნენ, რომ სულაც არ იყო აუცილებელი ახალი ტექსტების გამოგონება, რადგანაც ყველაფერი უკვე ითქვა და უმთავრესი მათი ხელახალი გადაწერა, პოსტმოდერნიზმიდან თავდაღწეული თაობისთვის უკვე ერთგვარი დისკომფორტია უცხო ტექსტებიც და ზოგადად პოსტმოდერნიზმიც, რომელმაც ფაქტობრივად ამოწურა საკუთარი შესაძლებლობანი.

ერთ-ერთი პირველი პოსტმოდერნისტი ქართულ ლიტერატურაში, უარს ამბობენ ინტერტექსტზე, მართალია, მისგან ამოზრდილები, ბოლომდე ვერ თავისუფლდებიან მიმდინარეობისთვის დამახასიათებელი ძირეული საფუძვლებისგან და ეს ბუნებრივიცაა, რადგან წარმოუდგენელია წარსულისგან საბოლოოდ გათავისუფლება, მაგრამ რადგანაც კლასიკური პოსტმოდერნისტული ლიტერატურული აზროვნება თანამედროვე ეპოქაში უკვე ანაქრონიზმია, ავტორები განახლებული ფორმების შექმნისკენ ისწრაფიან.

როგორც ყველა გარდამავალი პროცესი, ეს პროცესიც მტკივნეული და რთულია, მაგრამ ამავედროულად ძალიან საინტერესოც. შოთა იათაშვილის მოთხრობა „ფორმალისტები“ კი ამ იდეის ერთგვარი ვერბალურ-ფორმალისტური გამოხატულება და ხორცმცხსმამა, სადაც მაქსიმალური ფორმალისტიკა კი კონკრეტული შინაარსის გამოხატულებაა.

დაბოლოს: „ნებისმიერი უწესრიგობა საბოლოოდ წესრიგამდე დაიყვანება“ — ისე ვბორხესი, ამჯერად უკომენტაროდ!

თამარ ყალიჩავა

მომავლის პოეტი...

(თამაზ ბაქალუას
„100 ლექსის“ პრეზენტაცია)

თამაზ ბაქალუას ღრმა განცდებისა და ტკივილების პოეზია განსაკუთრებული სიიოლით ახალგაზრდების გულებში იმკვიდრებს ადგილს. მისი ლექსები საწუთროს წარმავლობას, ჭეშმარიტების მარადიულობას ათვალსაჩინოებენ და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ხვალისდელი დღის იმედით გავსებენ. მარად ჭაბუკი პოეტის შემოქმედებას ასე აფასებს ივანე ამირხანაშვილი: — „...მან შექმნა მეტაფიზიკური ლექსის თავისებური სახე“, — რომლითაც „ახალ სივრცეებში გააღწია, დროს გაუსწრო“.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ისტორიულ 93-ე აუდიტორიაში 60-იან წლებში დამკვიდრებული ტრადიციული შეხვედრების აღდგენა ორგანიზატორებმა სიმბოლურად თამაზ ბაქალუას „100 ლექსის“ პრეზენტაციას დაამთხვიეს.

ამ ეპოქალურ თავყრილობათა ადგილას არაერთ შემოქმედს ნაუკითხავს პირველი ნაწარმოები, აქვე ჩაჰყრია საფუძველი ეროვნულ მოძრაობას. თამაზ ბაქალუას „100 ლექსის“ პრეზენტაციამ 93-ე აუდიტორიის მნიშვნელობის საზგასმის საშუალებაც მისცა გამომსვლელთ, რადგანაც ყველანი იმ ისტორიულ პროცესთა მონაწილენი იყვნენ, რომელიც შემდეგ ეროვნულ მოძრაობაში გადაიზარდა. ღონისძიება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ზურაბ ბანიპარაშვილმა გახსნა და ბიბლიოთეკის სახელით „კლუბი 93-ე აუდიტორიის“ სამომავლო გეგმებზე, ჩაფიქრებულ პროექტზე ესაუბრა საზოგადოებას.

— ამ აუდიტორიაში იმართებოდა მნიშვნელოვანი სტუდენტური ღონისძიებანი. განსაკუთრებით გამოვყოფდი ახალგაზრდა მწერალთა წრის სხდომებს, რომელიც ყოველ სამშაბათ საღამოს ტარდებოდა. პირველ ნაწარმოებებს მაშინდელი სტუდენტები თავიანთ მეგობრებს, სტუდენტებს, საზოგადოებას აცნობდნენ: იყო განხილვა, კამათი, იყო ახალგაზრდული რომანტიკა. მერე ესეც მოიშალა, მაგრამ იმ ახალგაზრდა მწერალთა წრემ, მაშინდელმა „პირველმა სხივმა“, ქართულ მწერლობას დაუტოვა ძალიან საინტერესო სახელები, ძალიან საინტერესო შემოქმედება.

ჩვენს ბიბლიოთეკაში, გარდა ტრადიციული საბიბლიოთეკო საქმიანობისა, განზრახული გვაქვს რამდენიმე პროექტი განვახორციელოთ. ერთ-ერთი სწორედ „კლუბი 93-ე აუდიტორია“.

პროექტის ფარგლებში ჩაფიქრებული გვაქვს მოვიწვიოთ მწერლები, ლიტერატორები, რომლებიც პირველ ნაწარმოებებს ამ აუდიტორიაში კითხულობდნენ. ეს მათი ალმამატერში, სახლში მობრუნებაც იქნება. ჩვენი მიზანია დღევანდელი უნივერსიტეტის ახალგაზრდებს საკუთარი შემოქმედების წარმოჩენის, წიგნთან დაახლოების საშუალება მივცეთ.

პირველი საღამო, გარკვეული თვალსაზრისით, სევდიანია, რადგანაც 80-იანელთა თაობის იმ პოეტს ეძღვნება, რომელმაც სამწუხაროდ, ძალიან ადრე, ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე. ვისაც თამაზ ბაძალუა ახსოვს, ახსოვს მისი საოცარი შემოქმედება და პიროვნული ხიბლი, დამეთანხმება: იგი გამორჩეული იყო თანატოლებში, გამორჩეული იყო საუნივერსიტეტო წრეში.

ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანს, **დარეჯან თვალთვაქეს** ბევრი შთამბეჭდავი ეპიზოდი აგონდება თამაზ ბაძალუასთან გატარებული წლებიდან:

„17 წლისაც არ იყო, როდესაც უნივერსიტეტში ჩაირიცხა და თავისი გარეგნობითაც და საოცარი, განსხვავებული თვალებითაც, სახის ფერთაც, ბავშვური გამომეტყველებითაც, მაშინვე იქცეოდა ჩვენს ყურადღებას. ისეთი გულწრფელი, ხალასი და ბუნებრივი იყო თავიდან ბოლომდე, როგორც პიროვნება, ასევე მისი შემოქმედება. ჩვენ ცოტა უფრო ადრე ვიცოდით, რომ თამაზი პოეტი იყო, მას ასე მოვიხსენიებდით — ეს პოეტი ბიჭი! მერე მართლაც ყველას აჩვენა, რომ ძალიან კარგი პოეტი იყო და პოეზიაში თავისი სათქმელი ჰქონდა.

არ შემიძლია არ ვახსენო, ასევე ჩვენი კურსელი, უმშვენიერესი ნატო ჯალალონია, რომელიც თამაზის მეუღლე გახდა. ყველაფერი ნათელი მათთვის, ვინც ორივეს იცნობდა, ეს მონათესავე სულთა კავშირი იყო. ნატოსა და თამაზის ოჯახი ერთ-ერთი გამორჩეული იყო ჩვენს თაობაში და გამორჩეულად რომ დაგამახსოვრდება, ისეთი ტრაგიკული გარდაცვალებაც ერგოთ ბედად — უმშვენიერეს, მხოლოდ ანგელოზს რომ შეადარებდი, ისეთ თუთასთან ერთად. ეს სამინელი ტრაგედია იყო, რომლის შესახებაც ახალგაზრდები აუცილებლად გაიგებენ ამ წიგნიდან.

გარდა იმისა, რომ კრებულში წარმოდგენილია მისი ლექსები და შეიძლება ეს სულაც პირველი შეხება იყოს ბევრისთვის მის ლექსებთან, არის აგრეთვე შესანიშნავი წერილები თამაზის შესახებ, რომლებიც პოეტური ნიშნით არიან დალდასმულნი. თითოეულში განსაკუთრებით თამაზ ჭილაძის წერილში, რომლითაც იწყება ეს წიგნი, სულყველასი, როსტომ ჩხეიძის, ანდრო ბუაჩიძის, თამაზ ვასაძის, ივანე ამირხანაშვილის, ვინც აქ არიან წარმოდგენილნი, თამაზი არის დანახული თავისებურად, სხვადასხვა კუთხით და ყველა შემთხვევაში დადებითი კუთხით, რა თქმა უნდა“.

დარეჯან თვალთვაქემ მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს და ალუთქვა, რომ სამომავლოდ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიცა და უნივერსიტეტიც სიამოვნებით მიიღებენ მათში მონაწილეობას.

ღონისძიებას გამომცემლობა „**ინტელექტის**“ დამფუძნებელი და პროექტ „**100 ლექსის**“ ავტორი **კახმეგ კუდავა** ესწრებოდა. გამომცემლობის ქველმოქმედება არაერთხელ



გახმიანებულა და არც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მესვეურთ დაუმალოვთ, რომ „ინტელექტში“ დასტამბული წიგნები მათაც უსასყიდლოდ გადაეცემათ. კახმეგ კუდავამ თავის გამოსვლაში პროექტ „100 ლექსის“ შესახებ ისაუბრა:

— სერია ითვალისწინებს ასი ქართველი პოეტის ას კრებულს. ჯერჯერობით გამოცემულია დაახლოებით 72-73 კრებული, ყველა დანომრილია, 58-ე გახლავთ თამაზ ბაძალუას კრებული. ამას ვაზუსტებ, რადგანაც ხშირად მეკითხებიან, პირველი ვინ არისო, მეორე ვინ არის? ეს აბსოლუტურად პირობითია. ვთქვათ, თვით გიორგი ლეონიძის კრებული ოცდამეათეა. ასე რომ, პირველად რომელი წიგნიც რა დროს მზადდება, ის ნუმერაცია ენიჭება.

კახმეგ კუდავას განსაკუთრებით უნივერსიტეტის დამოკიდებულება ახარებს: როცა საღამოს ჩატარება დაუგეგმავთ, მათ ისეთი ენთუზიაზმი გამოუჩენიათ, „ინტელექტის“ ახალ ოფისში საჭირო ინვენტარის არსებობის მიუხედავად, ფაქტომცემლებს არჩევანი ამ აუდიტორიაზე შეუჩერებიათ:

— ეს სიმბოლიკაა და სიმბოლიკას თამაზის შემოქმედებაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. დიდი მადლობა უნივერსიტეტს, დიდი მადლობა ბატონ ზურაბს. განცვიფრებული ვარ იმ თაობის თანადგომით, რომლებიც თამაზ ბაძალუას მეგობრები იყვნენ. ვინც გინდა იყოს, როგორი ნიჭიერიც უნდა იყოს, მას სჭირდება თანადგომა, მას სჭირდება პატრონი, მი-თუმიტეს, ისეთ დროს, როცა კაცი მიდის ამ ცხოვრებიდან.

მადლობა თაობებს, ვინც არამარტო აქ ხართ წარმოდგენილნი, არამედ ყველა ღონისძიებაზე. აღარაფერს ვამბობ მაღაზრ ბაძალუაზე, ვინც მისი ალალი ბიძაშვილია და ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ეს არის მაგალითი, როგორი უნდა იყოს ნათესაობა და მეგობრობა, როგორი უნდა იყოს გატანა იმისათვის, რომ ნიჭიერი კაცის სახელი შესაფერისადაც დარჩეს ქართულ პოეზიაში.

როსტომ ჩხეიძე გამორჩეული თვისებების ახალგაზრდა კაცზე ესაუბრა აუდიტორიას, ვისთან მეგობრობამ და ურთიერთობამ საშუალება მისცა წიგნისათვის დართულ სტატიაში გამოთქმული ფსიქოლოგიური დაკვირვებისა, სადაც შთამბეჭდავად წარმოაჩინა მწერლის შემოქმედებით ბუნებასა და მის გარეგნულ მანერათა შორის არსებული კონსტრასტი.

„ლიტერატურა ძალიან მკაცრია, მას არ აინტერესებს ადამიანმა ადრე დაასრულა სიცოცხლე თუ გაუხანგრძლივდა, ტრაგიკულად დაასრულა თუ ბედნიერად ცხოვრობდა, ოჯახთან ერთად დაიღუპა თუ არა, მაგრამ ლიტერატურის მკაცრი მოთხოვნების ფონზეც, თამაზ ბაძალუა აგრძელებს სიცოცხლეს, რადგანაც ის რაც ნამდვილია, ის რაც ფასეულია, ასე ადვილად ვერ მიინავლება.

გულდასმით ვადევნებ თვალს ახალგაზრდების ცხოვრებას, მათ ლიტერატურულ ინტერესებს და შემთხვევითი არ არის, რომ მათ წრეში ძალიან ტრიალებს თამაზ ბაძალუას სახელი: მისი ლექსები, მისი პიესები... ახალგაზრდები ძალიან მკაცრები არიან, ისევე როგორც ლიტერატურა, და ასე ადვილად არ მიიკარებენ გულზე არავის, თუ თავისიანად არ სცნეს. თამაზ ბაძალუა დღევანდელი პოეტია. მათთვის ისეთივე შინაური, როგორც ჩვენთვის იყო, იმ განცდებით

წარმოდგენილი, იმ ფიქრით, იმ განსჯით, რაც მათთვის ძალიან ბუნებრივია და თამაზს აღიქვამენ როგორც თანატოლს. რამდენი წიგნიც უნდა გამოსცეს ადამიანმა, თუ მას არა აქვს შინაგანი სიცოცხლე, მაშინ ის წიგნი იქცევა აგურად და თამაზ ბაძალუას პოეტური კრებულები არის დასტური იმისა, რომ იგი ჩვენი დღევანდელი და ხვალისდელი პოეტია. ხშირად დასჭირდებათ დამონება მისი ცალკეული სტრიქონებისა, როცა შეაფასებენ XX საუკუნის ქართულ ლიტერატურას.

ძალიან კარგი პროექტია ეს „100 ლექსი“, ძალზე გემოვნებით შედგენილი, და როცა საბოლოოდ მონესრიგდება XX საუკუნის ქართული პოეზიის მდინარეებზე, ეს კრებულები აუცილებლად დასჭირდებათ, რადგანაც აქ არის ერთგვარი ფუნდამენტური შექმნილი იმისა, თუ როგორ უნდა ვუყურებდეთ ქართულ პოეზიას, მის მდინარეებს, მის სიცოცხლისუნარიანობას.

რამდენიმე წლის წინათ თამაზ ბაძალუას გახსენების საბაბი გახდა, კრებული, რომელშიც 50-მა ლექსმა მოიყარა თავი. 50 ლექსი მისი ორიგინალური, 50 — თარგმანი, სწორედ მაღაზ ბაძალუას თაოსნობით მოხდა ეს და საღამოებიც მისი თაოსნობით გაიმართა მარტვილსა და თბილისში. დღეს უკვე „100 ლექსი“ შედგა. ყველა მკითხველს თავისი თამაზ ბაძალუა ეყოლება, ზოგი ლექსი უფრო მახლობელი იქნება მისთვის, ზოგი — ნაკლებად, მაგრამ არის ლექსები, რომლებიც უდავოდ იქნება საანთოლოგიო. ჩინებული ლექსი არაერთი მოიძებნება ამ კრებულში. იმ 50 ლექსში, ამ 100 ლექსშიც, და უფრო დიდი კრებულებიც რომ შედგეს, არც იქ დაგჭირდება ძებნა კარგი ლექსის მისაგნებად.

ტრაგიკული და დრამატული განცდები, რაც მის პოეზიაში ტრიალებს, თურმე წინასწარი ხილვით თავისი ბედისწერისა, გამოტირება თავისი ნაადრევად წასული ახალგაზრდობისა, მაგრამ დადასტურება იმისა, რომ ეს პოეზია ნამდვილია, ფასეულია და ამის გამეორება მინდა ხშირად. ნუ გადავიტანთ აქცენტს თამაზ ბაძალუას ტრაგიკულ ბედზე. ბოლოსდაბოლოს, ტრაგიკული ბედი ნათესავეების, ახლობლების სანუხარი და განსაცდელია. როგორც გითხარით, ლიტერატურას თავისი კანონები აქვს და ამ კანონებში მოიკვლევს გზას თამაზ ბაძალუა — ეს ყოველგვარი ნოსტალგიის გარეშე მინდა ვთქვა, ყოველგვარი პირადი მეგობრობისა და ურთიერთობის გარეშე. იმიტომ, რომ ცალკეა ჩვენი ურთიერთობები და ცალკეა ის, რასაც თამაზ ბაძალუას პოეზია აქვია, და დრამატურგიაც“.

როსტომ ჩხეიძე გამოეხმაურა საღამოზე წარმოდგენილ, დავით ბაძალუას მიერ შესრულებულ თამაზის პორტრეტს, რომელიც იმ სურათიდან გადაუხატავთ, თამაზის მეგობრებს რომ გამორჩეულად უყვართ. მწერლის თქმით, ეს თემა ამ პორტრეტით არ უნდა ამოინუროს და მხოლოდ ბიძგის მიმცემი გახდეს თამაზ ბაძალუას სახის გადანაცვლებისათვის მხატვრობაში:

— სხვათაშორის, თამაზი არამარტო კრიტიკოსთა თემაა, არამედ იგი პერსონაჟადაც გამოჩნდა. ეს არის ნაირა გელაშვილის რომანი, სადაც თამაზი სწორედაც პერსონაჟია, პორტრეტი ისე მარჯვად დახატული... არ წერია გვარი და სახელი, მაგრამ როცა იხატება ხელშესახებად პორტრეტი, ვფიქრობ იმას გვარ-სახელი აღარ სჭირდება. არ არის გამორიცხული, თამაზი სხვა რომანთა ფურცლებზეც მოხდეს, იმიტომ, რომ ეს ხასიათი, თავისთავად ძალიან კოლორიტულია.

ნოდარ გრიგალაშვილი თამაზ ბაძალუას პირველი ნაბიჯების განმსჯელიც იყო და მასთან ერთადაც შემოვიდა ლიტერატურულ სივრცეში — სტუდენტობისას თვითონაც

წერდა ლექსებს. მას დღესაც უჭირს პროფესიული საუბარი მეგობრის შესახებ, მაგრამ სიამოვნებით იხსენებს ერთად გატარებულ წლებს, იმ ლამაზ 5 წელიწადს. მოფერებით თურმე „ჭიჭეს“ ეძახდნენ, რაც მეგრულად პატარას ნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე უმცროსი იყო, ყველას შეკავშირებას ახერხებდა. ამდენი წლის შემდეგაც სწორედ მისი ხსოვნის გარშემო შეკრულა სამეგობრო წრე:

„რატომ არის, რომ ძველ თაობას ახალი არაფერი მოსწონს, ძველს მისტირის... ახლა ეს აუდიტორია ბევრად ლამაზია, მაგრამ მაქვს განცდა, რომ ნეტავ ისევ ის აუდიტორია დამხვედროდა: იქ ყველაფერი ჩვენივეს მშობლიური იყო, ის ტრიბუნა იყო მშობლიური. სხვათაშორის, ეს ის წლებია, როცა ტრიბუნები უკვე არ მოგვწონდა, გვეჯავრებოდა პრეზიდენტები... ამაზე ქირქილით ვსაუბრობდით. საქართველოში ალბათ ერთადერთი ეს — ახალგაზრდა მწერალთა კავშირის წრის ტრიბუნა გვიყვარდა.

აქ ჩამოვყალიბდით, აქ იყო ორატორულ ხელოვნებაში გაჯიბრება. ეს წლები ჩვენი ლიტერატურული დაფრთხილების წლები იყო, ამ ტრიბუნასთან მომზადდა ის დიდი ეროვნული მოძრაობა, რომელმაც შემდეგ ამ ქვეყანაში დიხასაც ყველაფერი შეცვალა...“

თამაზი მისაღებ გამოცდებზე გაცივანი. ვინც ხუთიანეში მივიღეთ ქ-ნ მზექალასთან, უცებ გახმაურდა. იქიდანვე დავუკავშირდით ერთმანეთს და ისე მოხდა, რომ პირველივე ლექციაზე, პირველივე დღეს მე და თამაზი გვერდი-გვერდ აღმოვჩნდით. ის აუდიტორიაც მახსოვს, 108-ე, ცხოვრებული არნოდდ ჩიქობავა შემოვიდა და მან წაგვიკითხა პირველი ლექცია. მახსოვს რა თქვა: ისეთი კაცი უნდა შეუშვა უნივერსიტეტში სტუდენტებთან, მისი რომ არაფერი დაამახსოვრდეთ, ის მაინც დაამახსოვრდეთ, პირველი ლექცია ვინ წაიკითხაო. როგორი დასავინყებელია, არნოდდ ჩიქობავა რომ შემოვა და წაგვიკითხავს პირველ ლექციას...“

პირველ ლექციაზე ერთად რომ მოვხვდით, ჩვენს წინ, ერთად ისხდნენ ორნი: თამრიკო ვაშაკიძე და ნატო ჯალალონია. მათი თმა გვეფრქვეოდა სახეში — ახლოს იდგა მერხები. ეს გოგონები ერთად რომ ისხდნენ, ერთად ცხოვრობდნენ — თამრიკოს სახლში ცხოვრობდა ნატო, გარეგნულად რომ შეხედავდით, დები გეგონებოდათ, ერთნაირი თმა, ერთნაირი კოლხური — ხორბლისფერი სახე და ორივე კალმით დახატული. ლამაზი გოგონების დანახვაზე პირველი რაც თავში მოგივა, ის ვკითხე თამაზს, ამათში რომელი ჯობია-მეთქი. მაშინ არც სიყვარული ყოფილა მათ შორის, ისე განვლეს ხუთი წელი. უნივერსიტეტის შემდეგ შეირთო, მაგრამ რატომღაც მოხდა ისე, რომ პირველივე ლექციაზე ამ გოგონას დაადო ხელი. მერე კი მისი ძალიან ხანმოკლე ცხოვრების ბოლო დღეც, მისი ძალიან ხანმოკლე ცხოვრების ბოლო მზეც ამოვიდა და ჩავიდა ამ გოგონასთან ერთად. მაშინ ერთიც ისევ ბიჭი იყო, მეორეც ისევ გოგონა — 28 წლისანი ჯერაც ბიჭები და გოგონები არიან. პატარა თუთასთან ერთად ნავიდნენ მარადიულ საუფლოში...“

...ამ ასაკში ბრძენი რომ ჰგონია თავი ახალგაზრდას, სიკვდილზე ხშირად ლაპარაკობს, რა შინაგანი მოთხოვნების გამო ხდება, ძნელი სათქმელია, მაგრამ იბადებიან ადამიანები, რომლებიც თითქოს წინასწარ გრძნობენ, რომ მისთვის ნუთისოფელი მოკლეა, ამიტომ იყო, რომ თამაზს თითქოს ყველაფერი ძალიან ეჩქარებოდა. დააკვირდით ერთ რამეს — აგერ შესაძლოა გამოცემულიყო მისი „100

ლექსი“, ძალიან ძნელია 100 ლექსი დაწერო ამ ასაკში. მან მოასწრო და ეს ხომ არ არის მხოლოდ ლექსები, მან მოასწრო პიესებიც, თარგმანებიც... ლიტერატურული მემკვიდრეობა, რაც დატოვა, საკმაოდ ნაყოფიერია.

დიდი ხანია აღარ არის ჩვენთან, მაგრამ ისეთი კარგი ბიჭი იყო, ისეთი კარგი სულის ადამიანი იყო, მაგალითად, ჩვენ დამოუკიდებლადაც მეგობრები ვართ, თუმცაღა თამაზის არსებობა გვაერთიანებს: მე და როსტომს, მე და ვანოს, მე და უჩას, ჩვენს თანაკურსელებს, თავისთავად, მე და მალხაზს და ჩვენ, ყველას... და ერთგვარად გვავალდებულებს, რომ პირველად მან გვაგონობინა ის ტრაგედია, ის უბედურება, რაც არის სიკვდილი... მერე დაიწყო ის ომი, მერე დაიწყო კაცთაკვლა და სტატისტიკად იქცა სიკვდილი... ჩვენს ახალგაზრდობაში ეს იყო პირველი შემოჭრა ამ საშინელებისა, რასაც სიკვდილი ჰქვია და ძალიან განვიცადეთ ეს ყველაფერი...

ტარიელ ჭანტურია:

— თამაზის ერთ ლექსში უცნაური სტრიქონებია:

„მე ჯერ მოვკვდები ღმერთების თვალწინ,
და მერე ჩემთვის, ჩემად და მარტო...“

თავის დროზე მქონდა პროექტი და გამოვეცით წიგნი „ერთი ლექსის ანთოლოგია“. უნდა ყოფილიყო პოეტის თითო ლექსი. ისე მოხდა, რომ სრულყოფილი ვარიანტი ვერ იყო, მაგრამ მაინც გამოვიდა... მინდოდა „მოლექსულური პოეზიის ანთოლოგია“ შემედგინა, შუაგზაზე მივატოვე, რადგანაც გივი გეგეჭკორი, ვისთან ერთადაც ვამზადებდი, აღარ იყო და დავანებე თავი.

ახლა, როცა ეს ორი სტრიქონი ვნახე წიგნში, ისევ მომინდა ეს ისტორიული პროექტი როგორმე განხორციელებულიყო, მითუმეტეს, აქ არის კაცი, რომელიც ყველა კარგ ნაშრომს, კარგ წიგნს მხარში დაუდგება.

როსტომ ჩხეიძე:

— ბატონი კახმეგი ხელიდან არ გაუშვებს!

ტარიელ ჭანტურია:

— ხშირად ვიცი ხოლმე გუმილოვის გახსენება. მას უნერია: იცით, კარგი ლექსი რომელია, არამარტო ლექსზე ამბობს, საერთოდ, მუსიკაზეც... კარგი ლექსი რომელიაო, რომელსაც ნაიკითხავ, მოისმენ, და გულში რაღაც ჩამორეკავს: რატომ მე ვერ მივხვდი, რატომ მე არ მომაფიქრდა, რატომ მე არ დავწერეო, აი, ეს ორი სტრიქონი მიჩენს ასეთ გრძნობას.

ღმერთების თვალწინ მოკვდა, მაგრამ საკუთარი თავის წინაშე არ მომკვდარა. ის უბრწყინვალესი პოეტია. ჩვენ გაგვაჩინა გულსტკივილი მისი ნაადრევი აღსასრულის გამო, მაგრამ როსტომმა სწორად ბრძანა, არანაირი პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს ამას, ბოლოსდაბოლოს ყველა ვკვდებით.

თამაზ ჭილაძემ თარგმნა თურქი პოეტის ლექსი: პატარა ბიჭი იყო ძალიან, 16-17 წლისა, უყვარდა მთელს ეზოს, მთელს უბანს, სამხაკაცოს, ომში წავიდა და მოკვდა, არაფერი მისგან არ დარჩენილა, ოღონდ ყავახანის ფერნასულ კედლებზე მისი ნაფიქრალი სიტყვები წერია: სიკვდილი რაა, ჩვენ ყველა მოვკვდებით, ოღონდ განმორებება ძნელიო...

ამ ადამიანებსაც უჭირთ ძვირფას თამაზ ბაძალასთან განშორება. მეც ძალიან მიჭირს, იმიტომ, რომ ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა. მეჩვენება, რომ ჩემი მეგობარი იყო: უფროსი ვიყავი, უმცროსი იყო, ამას არავითარი მნიშვნელობა არ ვანიჭებდი... ის არსად წასულა, სულ იქნება ქართულ პოეზიაში და ეს პატარა საქმე არ არის.

როსტომ ჩხეიძე:

— ლექსი, რომელიც ახსენა ბატონმა ტარიელმა და კიდევ ორი ლექსი, დაკარგულად ითვლებოდა, მიყრუებულად და საგანგებოდ აღნიშნავს ივანე ამირხანაშვილი წინასიტყვაობაში ეს სამი ლექსი მოგვანოდეს ტრისტან მახაურმა და ამირან ლოლაძემო. მართლაც არ შეიძლებოდა ეს ბრწყინვალე სტრიქონები დაკარგულიყო. თამაზ ბაძალას პიესები ახსენეს რამდენჯერმე... პიესის ბედი მაშინაც ასეთი იყო და ახლაც ასეთია: შეიძლებოდა დაგენერა და გქონოდა შენთვის, არსად არ დადგმულიყო, შენახული გქონოდა და მარტო რამდენიმე მეგობარს ნაეკითხა. თამაზს ჰქონდა ჟინი იმისა, რომ თუმცა გაძნელებულიყო დადგმაც და დაბეჭდვაც, მაინც დაენერა პიესები... თანამედროვე თემაზეც, ისტორიულ, ანტიკურ თემაზეც. მის სიცოცხლეშიც დაიდგა ორი პიესა და სიკვდილის შემდეგაც. ის პიესებიც, ისევე როგორც მისი ლექსები, ფორმითაც, შინაარსითაც ძალიან საგულისხმოა. ძალიან კარგი იქნება, დღეს არა ხვალ, თუ კიდევ რომელიმე რეჟისორი მოჰკიდებს ხელს.

დრამატურგი თამაზ ბაძალა **გურამ ბათიაშვილის** თვალწინ ყალიბდებოდა. ეს ახალგაზრდა კაცი მასაც აოცრებდა გამორჩეული სიბრძნითა და გონიერებით:

— სულ მქონდა შეგრძნება, რომ თამაზი 60-ის, ის კი არა, 70 წლისაც იყო. ამ უნივერსიტეტის კედლებში ერთი მასწავლებელი მყავდა, ბ-ნი სერგი ჯიქია, რომელიც მასწავლიდა თურქულ ენას, ძალიან გონიერი, ბრძენი კაცი იყო. მაშინ 70 წლისა გახლდა. დიდხანს იცოცხლა, 90 წელს გადაცილებული გარდაიცვალა, შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ თამაზში ყოველთვის ვხედავდი ბ-ნ სერგის.

მეც სამეგრელოდან ვარ და ის ოდიშური სიბრძნე, 25-23 წლის კაცზე ვლაპარაკობ ამას, ინვევდა გაოცებას. თამაზი ჩვენთან მოვიდა როგორც დრამატურგიის სემინარის მონაწილე...

თეატრალურ საზოგადოებას დასასვენებელი სახლი ჰქონდა სოხუმში და მეორე სემინარი ჩატარდა იქ.

ძალიან მტკივნეული რამ უნდა გითხრათ, მთარგმნელობით კოლეგიაში რაღაც არეულობა იყო, რაღაც მოხდა და თამაზი იქ აღარ მსახურობდა, წამოვიდა იქიდან. ხშირად მოდიოდა ჩემთან, ჩვენი რედაქციის, „თეატრი და ცხოვრების“ ქვეშ იყო მსახიობის სახლი „დურუჯი“. მოდიოდა და მერე იქ ჩავდიოდით ხოლმე, იქ ვმუსაიფობდით.

5 თუ 6 ნოემბერი იყო, შევთანხმდით, რომ თამაზი მოვიდოდა და ჩვენთან დაინწყებდა მუშაობას, იქნებოდა პასუხისმგებელი მდივანი. ნატო და თუთა უნდა წავიყვანო სოფელში და 10-ისთვის ჩამოვალო. 1-2 საათით ჩავედით „დურუჯში“, მერე დამემშვიდობა და წავიდა. მგონი, იქიდან — პირდაპირ სოფელში, მეორე დღით, გამთენიისას მითხრეს, ასეთი ამბავი მოხდაო...

ლიკა გოცირიძეს ძალიან ახარებს იმ აუდიტორიაში დაბრუნება, სადაც თავის დროზე აკაკი ბაქრაძის ლექციებს ისმენდა:

— უნდა გენახათ რა ხდებოდა ამ აუდიტორიაში. ფანჯრის რაფაზე ადგილი არ იყო — ჩვენ ვისხედით ზევიდან, გარედან სკამებს მოადგამდნენ, ისე ვუყურებდით, ისე ვუსმენდით. ეს პატარა აუდიტორია იყო კერა ჩვენი დიდი ქართული სულის გამოხატულებისა. ვიბრძოდით რაც შეგვეძლო. ჩემს მეუღლესთან — გია ჭანტურიასთან — ერთად, მეც გახლდით ეროვნული მოძრაობის წევრი თამაზთან ერთად, რომელიც ჩემი მეუღლის, ჩემი ოჯახის უსაყვარლესი ადამიანი გახლდათ. მქონდა ბედნიერება ძალიან ხშირად ჩემი ოჯახის

კარი გამელო თამაზისათვის, გაგვემართა დაუფინყარი სა-
ლამოები, დაგვეტენებია ხშირად მისი ლექსების მოსმენაში,
ძალიან უყვარდა ჩემს მეუღლეს და დღე არ იყო, ერთად არ
ყოფილიყვნენ. მივდიოდით ერთად და როცა ამ თაობას, ჩე-
მი შვილების თაობას ვუყურებ, გული მწყდება, მიკვირს,
რომ ისინი ვერ ცხოვრობენ ისე, როგორც ჩვენ ვცხოვრობ-
დით. რაღაც სხვანაირად ვიყავით შედუღაბებულები. არ ვი-
ცი, რა გვაერთიანებდა, ამდენი ნიჭიერი ადამიანი, დრო, ის
სანყისები... დიდი იმედი მაქვს, რომ მათი ლამაზი სულები
იზიებენ და დაინახავენ ისეთ საქართველოს, რომელიც
ჩვენ გვინდოდა, რომელიც თქვენთვის გვემეტება...

გული მწყდება, რომ ვერ დაავიწყებინეს დაწყებული
საქმე. თამაზი ალბათ ჩემთან ერთად წავა ამ ქვეყნიდან.
იყო სულ ჩემად და თუ იტყოდა, ყოველთვის რამე ისეთს,
რომელიც უნდა მოგესმინა, დაგემახსოვრებინა. და კიდევ
მისი მისი არაჩვეულებრივი ღიმილი... უფალს მადლობას
ვნირავე, რომ ვიყავი მათი თანამედროვე, ვიყავი მათთან
ერთად, ვიზიარებდი მათი თითოეული დღის სიხარულს.

თამაზ ბაძალუას „100 ლექსის“ შემდგენელს განსაკუთ-
რებული მადლობა გადაუხადა გამომცემელმა. **ივანე ამირ-
ხანაშვილის თქმით**, მას, მის მეგობრებს სტუდენტობისას
ჰქონდათ სიერცე, რომელიც ახალგაზრდებს თავისუფლე-
ბის სულისკვეთებით ავსებდათ, კულტურული ყოფიერების
ნაწილად აგრძნობინებდათ თავს. ამიტომაც, რომ 93-ე აუდი-
ტორიაში დაბრუნება დეჟავიუს განცდით მსჭვალავს.

„ერთი საინტერესო რამ ახლდა. აქაურობას, ეს იყო
პროკრუსტეს სულისკვეთება: აქ მოდიოდნენ 18-19 წლის
გენიოსები გვირგვინოსნებად, მაგრამ განგენიოსებულნი
მიდიოდნენ. თითქოს ჩვენი ეს პრეზიდენტი რალაცნაირი
სამსჯავრო იყო. სამაგიეროდ, მართალია ნიჭიერ ხალხს
აფასებდა ეს დარბაზი. ასე მგონია, ამ დარბაზში პროკრუს-
ტე ისევ შემოვა, ეს ისე, სხვათაშორის...“

თამაზის წიგნის შედგენა არ ყოფილა ადვილი, მინდოდა
ყველა ლექსი შესულიყო. ალბათ პიესებიც მალე დაიბეჭდე-
ბა და თამაზი უფრო სრულყოფილად წარმოსდგება ჩვენს
წინაშე; 1986 წლის 7 ივნისს გადავიღეთ სურათი, ერთად
ვიყავით და მერე თქვა, მოდი, სურათი გადავიღოთო. რა სა-
ჭიროა-მეთქი, ჩვენ სულ ერთად ვიქნებით... არაო, მაინც
გადავიღოთო, ძალით მიმიყვანა ფოტოატელიისთან ალექ-
სანდროვის ბაღში. ხელში უჭირავს „ჩირაღდანში“ ნაყიდი
„მარიოტა“ — თამაზ ჩხენკელის თარგმანების კრებული...

ამბობდა, სხვა ცხოვრებას ვინყებ, უნდა გარდავიქმნა
და იმ გარდაქმნილ ცხოვრებაში ყველას გეპატიუებითო.
ალარ დასცალდა. თამაზი 93-ე აუდიტორიის ერთ-ერთი გა-
მორჩეული ფიგურა, მისი ხელმძღვანელი იყო. ჰქონდა ეს
სტატუსი, მაგრამ არასოდეს უგრძნობინებია, რომ რაღა-
ცას ხელმძღვანელობდა. ლიტერატურაზე საუბარი არ უყ-
ვარდა, ფიქრი ერჩივნა, და ახლა ეს ლაპარაკი რომ მოესმი-
ნა, მიტყოდა, არ ვინდაო...

მინდა მადლობა ვუთხრა ამირან ლოლაძესა და ტრის-
ტან მახაურს, რომელსაც 30 წლის შემდეგ მომანოდეს ლექ-
სი, რომელთაც ტარიელ ჭანტურიამაც მიაქცია ყურადღე-
ბა. ტრისტან მახაურს ზეპირად სცოდნია ეს ლექსი, თამაზ
ბაძალუას ყველა ლექსი ზეპირად სცოდნია და, რომ ვთხო-
ვე, კი ბატონო, არ დაგზარდებით:

როცა ის ტრაგედია დატრიალდა, **დათო ბაძალუა** მარ-
თალია ძალიან პატარა იყო, მაგრამ ბაბუა ხშირად იხსენებ-

და თამაზს და ეს ტრაგედია მუდმივად ცხოვრობდა მასში.
მხატვარს ახარებს, რომ თამაზმა საგულისხმო კვალის და-
ტოვება მოახერხა და როგორც ამ გვარის წარმომადგენე-
ლი, მადლობას უხდის ყველას, ვინც თამაზის შემოქმედე-
ბაზე სასაუბროდ იყრის ხოლმე თავს.

— ჩვენი გვარი ძალიან პატარაა და მალხაზ ბაძალუას-
თან ერთად თამაზის დაწყებულ საქმეს, გვარის ისტორიის
კვლევას ვაგრძელებთ, რომელსაც ახლო მომავალში შევ-
თავაზებთ საზოგადოებას.

წარმოდგენილი პორტრეტი, საღამოს თაობაზე რომ შე-
უტყვივა, მაშინ შეუქმნია. მხატვარმა იგი სამახსოვროდ
ოჯახს გადასცა.

ყველა გამომსვლელის მოხსენება, მოგონება მნიშვნელო-
ვანი, განსაკუთრებული იყო თამაზ ბაძალუას დისთვის, **დო-
ლო ბაძალუასთვის**. მან მადლობა გადაუხადა ერთგულ მე-
გობრებს, რომლებიც არ ივიწყებდნენ და მუდამ ახსოვთ მისი
ძმა, საღამოს ორგანიზატორებსა და დამსწრე საზოგადოებას:

— ხშირად იგონებენ, წერენ და 25 წლის მანძილზე მრავ-
ალი ღონისძიება მიუძღვენს თამაზის ხსოვნას. არ დავიწყე-
ბათი მისი დაბადების დღე და ხშირად ეხმარებოდა პრესის
ფურცლებიდანაც. ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია
ჩვენი ოჯახისთვის. თამაზისადმი მათი დამოკიდებულება
მეგობრობის საუკეთესო მაგალითია. დიდი მადლობა მინდა
ვუთხრა ჩემს ბიძაშვილს, მალხაზ ბაძალუას, რომელიც ამ
წლების მანძილზე სულ ფიქრობს, რა შეიძლება გაკეთდეს
თამაზისთვის. მადლობა საღამოს ორგანიზატორებს და
თქვენ, დრო რომ გამონახეთ და მოზრდანიდით.

მაია ხუხალაშვილმა სვედიანი მოგონება გაახშირანა:

— ბ-ნი ედიშერი ახსენეს რამდენჯერმე და არ შემიძლია
არ გავისხენო მისი სიტყვები. მისთვის თამაზს უთქვამს,
რად მინდა ისეთი სამოთხე, სადაც ცოლ-შვილი არ მეყო-
ლებო, ანუ გრძნობდა გარდაცვალებას, თანაც ერთობლი-
ვად — და მთელი ოჯახით წასვლა მოუხდა. ეს იმდენად
მნიშვნელოვანი სიტყვებია, გონებიდან არ ამომდის.

ლიკა გოცირიძე:

— სხვათაშორის, ედიშერ ჭელიძეც ოჯახით წავიდა.
ორგანიზატორებს თავდაპირველად მსახიობების მონ-
ვევა განუზრახავთ საღამოზე, მაგრამ შემდეგ არჩევანი
სტუდენტებზე შეუჩერებიათ. მართლაც ძალიან გაალამა-
ზა ღონისძიება **სალომე უსტარაშვილისა** და **რეზი ჯო-
ლოყუას** მიერ ნაკითხულმა ლექსებმა. ხოლო როდესაც
აუდიტორიას თამაზ ბაძალუას შთამომავალმა, პატარა **სა-
ბა სანაიამ** სახელოვანი წინაპრის ლექსი წაუკითხა, მსმე-
ნელთა თვალზე აკიაფებული ცრემლი ნუგემის, მომავლის
იმედის სიმბოლოდ გარდაიხაზა.

დასასრულს **ზურაბ გაიპარაშვილმა** ბიბლიოთეკის სა-
ინტერესო ტრადიცია გაახშირანა:

— ასეთი ტრადიცია გვაქვს, ყოველ წელს წავახალი-
ნებთ ხოლმე ახალგაზრდებს, რომლებიც განსაკუთრებით
მეგობრობენ წიგნთან, პოეზიასთან. ასეთ ღონისძიებებს
ვიყენებთ მათთვის მადლობის სათქმელად და სამახსოვრო
საჩუქარსაც გადავცემთ ხოლმე.

ამჯერად უნივერსიტეტის გამომცემლობისაგან დას-
ტამბული „ვეფხისტყაოსანი“, როგორც თვის ყველაზე აქ-
ტიურ მკითხველებს, **დავით ნაჭყებიასა** და **ამირან გოგა-
ტიშვილს** ერგოთ.

ინტელექტისაგან თამაზ ბაძალუას „100 ლექსითა“ და

უნივერსიტეტისაგან „ვეფხისტყაოსნით“ დასაჩუქრდნენ სალომე უსტარაშვილი და რეზი ჯოლოგუაც.

თამაზ ბაძალუას პოეტური ხილვები ამ ღონისძიებაზე კიდევ ერთხელ გაცხადდნენ და დაგვარწმუნეს, რომ ჩვენი ლიტერატურული პროცესების თანამოწმნილ მათი ავტორი აუცილებლად გააღწევს მომავალში.

საფიქრებელია, რომ შემოქმედი ამიერიდან მხოლოდ პოეზი-

აში როდი უმეგობრებს ახალგაზრდებს, არამედ — ამავე საღამოზე გახშიანებული სამომავლო გეგმების მიხედვით — მკითხველს „ინტელექტი“ ძალიან მალე მის დრამატულ ნაწარმოებებსაც შესთავაზებს. დათო ბაძალუას კი ჩაფიქრებული აქვს, ორგანიზება გაუწიოს პროექტს, რომელიც ახალგაზრდა მხატვრებს თამაზის ლექსების მიხედვით ფერწერული და გრაფიკული სერიის შექმნის საშუალებას მისცემს. შესაძლოა ახლო მომავალში მო-

როსტომ ჩხეიძე

დაკარგულ პერსონაჟთა ძიებაში

თუ წიგნებს მართლაც აქვთ თავიანთი ბედი — და ლევან ბერძენიშვილს ეჭვიც არასოდეს შეპარვია ამ რომაული სენტენციის ჭეშმარიტებაში — მისი მემუარული ყაიდის წიგნსაც — „წმინდა ნყვდიალი“ — დაჰყვებოდა თავისი ბედი, და მისი ბედისწერა ის აღმოჩნდებოდა, რომ... შეცდომით დაიბადებოდა.

ოლონდ — არა განგების, არამედ... ექიმის შეცდომით.

უახლოესი ადამიანები წლიდან წლამდე დაბეჯითებით უმეორებდნენ: შენი პატიმრობის ამბები აუცილებლად უნდა აღწერო.

ანკი ვისი რა შეგულიანება სჭირდებოდა, განა თვითონაც არ იცოდა, რომ ის უკიდურესად დრამატული რეალობა ადრე თუ გვიან მისი ხელითაც უნდა შემონახულიყო საზოგადოებრივ ცნობიერებასა თუ ისტორიულ მემსიერებაში?!. ოჰ, ეს „ადრე თუ გვიან“!..

არა ჩქარობდა, მიუხედავად იმისა, რომ გაუწელებლად მოსდევდა პატიმრობის მოლოდინისა და მერე უკვე თვითონ ტუსალობის განცდა-შთაბეჭდილებანი და ახალგაყნობილ ადამიანებთან — ქართველი იქნებოდა თუ უცხოელი — რამდენიმე სიტყვის შემდეგ უთუოდ თავისი პოლიტიკური პატიმრობის ირგვლივ უნდა აღაპარაკებულიყო.

გამოეცლებოდა თანამოსაუბრეს და... საკუთარი თავის ყვედრებას იწყებდა: ასე როგორ ვენინააღმდეგები ჩემს პიროვნულ ხასიათს და მარტივ კაცს ვემგვანები, ვისი მოქმედების პროგნოზირება და გამოცნობაც უიოლეისი საქმე ხდებოდა.

გააბამდა ახალ ნაცნობობას და... საუბარს კვლავ იმ თემისაკენ უნდა შეეხებია.

ეგებ წერას იმიტომაც არა ჩქარობდა, რომ ეს განცდები ცოტაოდნავ განელებოდა და უფრო შორიდან გამოეხედა საკუთარი თავისათვის, რათა თხრობა სუბიექტივიზმში არ ჩაძირულიყო და ამასობაში კი ის რეალები თუ ნიუანსები არ გამოჩენილიყო, რაც გაუწელებელ ტკივილთა ფონზე სრულიად ჩაიკარგებოდა და გაარაფრდებოდა.

და ელოდებოდა შესაფერის დროს, ანუ რაღაც იდუმალ მინიშნებას.

იდუმალი მინიშნება კი არა ჩანდა.

შესაფერისი დრო სადღაც შორს თუ ილანდებოდა. მაგრამ, აი, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სიბლის მემორიალურ ჰოსპიტალში შეწუხებული ექიმი რომ დაასკვნიდა, პაციენტს დიდი ხნის სიცოცხლე აღარ უწერიო, მისი ეს ჩაფიქრალი კი ლევან ბერძენიშვილის იქაურ და აქაურ ახლობლებს ისე ცხადად აღებეჭდებოდათ სახეზე, ორმოცდაორგრადაუსიანი ტემპერატურის მიუხედავად ესეც ნაიკითხავა და მიხვდებოდა, ის დრო დადგაო.

ნეტა ისიც დაკარგული დროის ძიებას უნდა შედგომოდა მარსელ პრუსტივით?

არა, დაკარგული დროისა კი არა, დაკარგული პერსონაჟის ძიებას, იმ არკადი დუდკინის გადარჩენას მოინდომებდა, ვინც ლევან ბერძენიშვილის გარეშე გასაქრობად განწინრულიყო და ვერავინ გაიგებდა, რომ არამარტო არსებობდა ამქვეყნად, არამედ მის არსებობას აზრი და დანიშნულება ჰქონდა.

და ისე შემოენთებოდა ამ ყველასაგან მივიწყებული ადამიანის წიგნისმიერი გაცოცხლების ნადილი, რომ წარმოუდგებოდა, თუ როგორ დაადგებოდა ჰადესში არკადი დუდკინი მას და პასუხსაც მოსთხოვდა — სწორედ ისევე, როგორც აქილევსი დაადგებოდა ოდისევსს იმ მიღმა სამყაროში.

რა იყო მანც, ასე აუცილებელი რატომ შეიქნებოდა ბევრის თვალში სრულიად უმნიშვნელო ადამიანის ხსნა დაკარგვისაგან?

თურმე ეს „სრული უმნიშვნელობა“ მოჩვენებითი ყოფილა, მეტად ზერელე, ზედაპირული შთაბეჭდილება, რადგანაც ამ მოვლენის სიღრმეში ჩახედვა — არკადი დუდკინის წუთისოფელი რომ ერქვა — სულ სხვაგვარ განზომილებაში გადაგიყვანდა და დაგიბეჯითებდა: მის დაკარგვასთან ერთად შენც დაიკარგებიო.

თურმე ამ ადამიანის იდუმალი შემწეობის გარეშე ლევან ბერძენიშვილი სრულფასოვნად ვერ შეიგრძნობდა თავის მეობას და ველარც სხვებს მოსთხოვდა, დაენახათ იმ სახით, როგორც სინამდვილეში გახლდათ, ზერელე შთაბეჭდილებით კი ყველას ეგონებოდა, რომ მართლაც იცნობდა მას, თუკი მის ამა თუ იმ ლექციას დასწრებოდა, ტელევიზიით მისი რომელიმე გამოსვლა ენახა ანდა ინტერვიუ წაეკითხა.

ის კი არა, სულაც გაუიგივებოდა არკადი დუდკინს.

საამისოდ ძალიან წაადგებოდა გუსტავ ფლობერის ის გარეგნულად უცნაური, სინამდვილეში კი საკმაოდ ღრმა ფრაზა: მადამ ბოვარი მე ვარო, — და თუ ამგვარი გაიგივებაც კი — სახტად რომ დაგტოვებდა — შესაძლებელი გახლდათ, ვითომ რატომ არ შეიძლებოდა, რომ შენ თუნდაც დუდკინის ტყავში გამოხვეულიყავი?

მითუმეტეს, რომ ეს ადამიანი განცალკევებით კი არა რჩებოდა, არამედ ძალდაუტანებლად უნდა მოეხმო გრიშა ფელდმანისათვის, გრიშას ყორა ხომიზურისათვის, ყორას

ჯონი ლაშქარაშვილისათვის, ჯონის რაფიკა პაპაიანისათვის, რაფიკას გენრიხ ალთუნიაანისათვის, გენრიხას მიშა პოლიაკოვისათვის, მიშას ბორია მანილოვიჩისათვის, ბორიას ვადიმ იანკოვისათვის, ვადიმს ფრედ ანადენკოსათვის, ფრედს იური ბაძიოსათვის, ბაძიოს ალექსეი რაზლაცკისათვის, რაზლაცკის პეტრე ბუტოვისათვის, ბუტოვს დაინის ლისმანისათვის, და ყველას ერთად უნდა ეხმო დავით ბერძენიშვილისათვის და... კიდევ განათებულიყო ამ მემუარული ქმნილების მომავალი ავტორის მენსიერება, თანაც ისე, რომ სინათლე სიბნელედ ქცეულიყო, წყვილიადი დაწმენდილიყო და წმინდა წყვილიადი ალაპარაკებულიყო.

ეგებ მარტოდენ გუმანით მიხვედრილიყო და მკაფიოდ ვერც გაეცნობიერებინა, თუ რა დამართოდა, რომ არა ვალაკტიონ ტაბიძის ის ქრესტომათიული სტრიქონები, იდუმალების წიაღში რომ გვახედებდა და ჰეგელურ შეხედულებას პოეტურ გზნებასაც ანიჭებდა: წმინდა ნათელში, აზბობს ჰეგელი, წმინდა სინათლის დიად ბადეში ისე ცოტაა გასაგებელი, როგორც რომ წმინდა სინყვიადიშვილი.

და თხზულების სახელწოდებაც აქედან ამოიზრდებოდა, გლაკტიონური ხილვებიდან, თხზულებისა, რომლის კომპოზიციური ქარგაც ლიტერატურული პორტრეტების ირგვლივ მოიქსოვებოდა, ამასობაში ერთიანი სიუჟეტი და ფონი რომ ამოხვევოდა და მოგონებათა ფურცლები ისე მოხდენილად აიკინძებოდა და თხრობაც ისე მარჯვედ შემოიფარგლებოდა, საბოლოოდ მხატვრულ-დოკუმენტური რომანის იერსაც შეიძენდა, რომანისა — ციხე-კატორღის თემასა და ქარგაზე.

ჟანრობრივად ყველაზე უკეთ ეს განსაზღვრება შეეფერება „წმინდა წყვილადს“ — რომანი, თავის დროზე გიორგი ლეონიძის ბელეტრისტული თხზულების ჟანრის დადგენისა არ იყოს, თვითონ მწერალი ყრმობის მოგონებებს რომ შეარქმევდა, მშობლიურ ხეთა ჩრდილებადაც იგულისხმებდა და ვაზფურცელასაც გამოუძებნიდა ქვესათაურად, რაკილა ძალიან მერყობდა და ვერა და ვერ განესაზღვრა ამ ნიგნის მხატვრული რაობა, ვიდრე თამაზ ბიბილური არ მოუძებნიდა იმ ყველაზე ზუსტ ჟანრობრივ სახელწოდებას: „ნატურის ხე“ რომანია და მხოლოდ რომანიო.

დაენანებოდა მარტოდენ მემუარული ჟანრისთვის, რაც მის თვალში გარეგნული ელფერი უფრო გახლდათ, ვიდრე სულისკვეთების წარმმართველი, მხოლოდ პირველბიძგი, რომელსაც დიდი მხატვრული წარმოსახვანი უნდა დაშენებოდა და ქართული პროზის ერთ საუკეთესო მონაპოვრად ამოზიდულიყო.

ნუთუ თავდაპირველად პოეტს მთლად ნათლად არ ესმოდა ფასი თავისი ახალი ნიგნისა, ახალ ჟანრში გადასახლებისაო? — ამ დაჟინებულ ფიქრს მკითხველსაც გაუზიარებდა თამაზ ბიბილური, — ნუთუ უფრო დიდი განზრახვა არა ჰქონია, ნუთუ ვერ გრძნობდა, რა გამოსდიოდა, და რომ ამ თითქოსდა უპრეტენზიო ნიგნში თავს იყრიდა მოგონებებზე უფრო დიდი რამ, უფრო ამაღლებული და მარადიული, ვიდრე წამდვილად მომხდარის გახსენებაზე ავტორული ჩანაწერებიაო?

და ეს კითხვები აუცილებლად რომ ითხოვდა პასუხს, „ჟამი კითხულისას“ შემოქმედის პასუხი ის გახლდათ: არ შეიძლება არ მიმხვდარიყო, არ შეიძლება არ სცოდნოდაო!..

ეგაა, უკეთესის შექმნისაკენ სწრაფვა გიორგი ლეონიძის ამჯერადაც — პოეტურ შედეგრთა დახვავებისა არ იყოს — უკარნახებდა, რომ არ დაკმაყოფილებულიყო მიღწეულით და „ყრმობის მოგონებებს“ ამოფარებული მხატვ-

რული ძიებანი უფრო მეტ სიღრმეში ჩასაძირად და უფრო მეტი განზოგადებისაკენ წარემართა.

გარეგნული სტრუქტურით „ნატურის ხეს“ ჩამოჰგავს „წმინდა წყვილიადი“.

ჩამოჰგავს შინაგანი რყევითაც — ეს ყოველივე მხოლოდ წამდვილად მომხდარის გახსენებაზე ავტორული ჩანაწერებია თუ... უფრო ამაღლებულისა და მარადიულისაკენ მიისწრაფის?!

გიორგი ლეონიძის ამ ბელეტრისტული შედეგის წამოგონება, ცხადია, არ გულისხმობს, რომ ლევან ბერძენიშვილის მემუარული ყაიდის რომანი მაინცდამაინც ამ ქმნილების ტოლფარად მოვლენად შეირაცხოს, თუმც ღრმა და მძაფრი შთაბეჭდილება, რასაც „წმინდა წყვილიადი“ ინვესტ მკითხველში, თავისთავად გამოიხმობს გიორგი ლეონიძის სახელსაც და თუნდ... ვარლამ შალამოვისაც, ვისი გულაგური ნოველებიც გამოირჩევა დოკუმენტალიზმისაკენ იმგვარი სწრაფვით, მხატვრულ საბურველს ლამის კიდევ რომ უარყოფდა. თუმც ეს თეორიულად უფრო, ვიდრე შემოქმედებითად, რაკილა მისი გულაგური ეპოპეა სრულიად გარიდებია პუბლიცისტიკას და დიდი ხელოვნებით წარმოსახული პორტრეტებისა და სიუჟეტების იძენს, მწერალი ასერივად რომ გაუზრბოდა და „მხატვრულობა“ ყავლგასულად მიაჩნდა, ახალი ჟამის სისასტიკის პირობებში გულუბრყვილობად რომ მოჩანდა.

კიდევ კარგი ერთმანეთს ხელს ვერ უშლიან შალამოვი-თეორეტიკოსი და შალამოვი-პროზაიკოსი, და კოლიმური ნოველები სამუდამოდ შეინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას იმ ამაღლებულისა და მარადიულის მიგნებით, ვიდრე წამდვილად მომხდარის გახსენებაზე ავტორული ჩანაწერებია.

ჟანრობრივად ეს უფრო ალექსანდრ სოლჟენიცინის პროზაულ მემკვიდრეობას შეეფერება — პირად მოგონებათა და მეცნიერული კვლევის ნაზავს, თავის დროზე, იმ პირველი გამოქვეყნებისას, ერთბაშად რომ შეძრავდა საზოგადოებრივ აზრს და სალიტერატურო პროცესს თავზეც რომ მოექცეოდა, მაგრამ გულაგის ტრაგიკული რეალობის სულ უფრო და უფრო ხელშესახებად გამჟღავნება-წარმოჩენის კვალობაზე ლიტერატურული ღირებულება შეუსუსტდებოდა და ისტორიკოსთა და სოციოლოგთათვის დიდად საჭირო მასალად უფრო დარჩებოდა.

ქართულ გულაგინანამიც სხვადასხვა მხატვრული თუ ისტორიული ღირებულების თხზულებანია თავმოყრილი, რომელთაგან ზოგი სწორედ მასალის მნიშვნელობას შეინარჩუნებს, მაგრამ მათგან გამორჩეულნი ჩვენი მწერლობის ცოცხლად საკითხავ ნაკადს შეუერთდებიან, იმ გამორჩეულთა შორის კი ამიერიდან ლევან ბერძენიშვილის კატორღული ეპოპეაც უთუოდ უნდა ვიგულისხმობთ.

იყო დრო, როდესაც ქართული გულაგინა დიდად ვერ ბრწყინავდა და მეტად მწირადაც გამოიყურებოდა, მაგრამ თანდათანობით — იატაკქვეშეთის გარღვევა-გადახსნის კვალობაზე — კანთიეულად გამოიკვეთებოდა ჩვენი ლიტერატურის ეს რკალი, რალაც განსაკუთრებული სიმადლისად თუ არა, საკმაოდ თვალსაჩინოდ და მრავალმხრივ საგულისხმოდ, და როდესაც მონოგრაფიულ ნაშრომში დეტალურად გაანალიზდება და შეფასდება გულაგინანას ქართული შენაკადის ღირსებანი, ყველასათვის გაცხადდება ამ მხრივ ჩვენი წვლილი, ის ქართული ელფერი, ურომლისოდაც გულაგის მონუმენტურსა და ტრაგიკულ სახებას რალაც მნიშვნელოვანი მოაკლდებოდა.

წმინდა სინათლის დიად ბადეშიო...

არა, მაინც ვინ გახლდათ ასეთი არკადი დუდკინი, ვინც მოგონებათა ხვეულებს ასე ძალუმად აიყოლიებდა, სხვა პერსონაჟებსაც შემოიკრებდა და მასთან თავის გაიგივებას „წმინდა წყვდიადის“ ავტორი საამაყოდაც მიიჩნევდა?!

ვინ იყო და... ერთი ბელორუსი, წერაკითხვის უცოდინარი და ჭკუასუსტი ბიჭი, ვისაც დაბრალდებოდა გერმანელთა მხარეს გადასვლა და მშობლიურ სოფელში „ნესრების დამყარების“ მცდელობა, ამასთან, პარტიზანების მიმართულებით სროლაც.

პარტიზანები, ცხადია, პასუხს არ მოსთხოვდნენ ჭკუასუსტ ყმაწვილს, ვისაც გონება კიდევ უფრო აერეოდა, თავს დაღუპულ ძმად გასაღებდა, ომის ეპიზოდებს შეთხზავდა და თავის როლსაც იპოვინდა ყველა ეპიზოდში — ამიტომაც: ერთდროულად ლენინგრადის ბლოკადასაც არღვევდა, სტალინგრადშიც იბრძოდა, კურსკის რკალსაც არღვევდა და ბერლინს ხომ იღებდა და იღებდა. თანაც, რაიხსტაგის თავზეც წითელ დროშას ამაგრებდა, თვითონ ეკლესიად იხსენიებდა, რაკილა კინოში ნანახ რაიხსტაგს გუმბათი ედგა, გუმბათი კი, მისი აზრით, მხოლოდ ეკლესიას შეიძლება ჰქონოდა.

ასე უდრტვინველად და ბედნიერად მიედინებოდა მისი სიცოცხლის დღენი — წარმოსახვითი სამყაროთი გაცისკროვნებული და ათასფერად აფერადებული, და ასევე მშვიდად დასრულდებოდა, რომ არა პიონერები, პავლიკ მოროზოვის სულიერი ჩამომავალი, არკადი დუდკინს იმ „სახელმწიფოებრივ დანაშაულს“ რომ აღმოუჩინდნენ, სასწრაფოდაც მთარბენინებდნენ ამ აღმოჩენას სადაც ჯერ არს და უშიშროების კომიტეტი კიდევ უკრავდა თავს ციხე-კატორღაში სამშობლოს მოღალატისა და სამხედრო დანაშავის ბრალდებით.

ასე გამოაცხადებდა საბჭოთა უშიშროება სოფლის უწყინარ გიჟს სამშობლოს მოღალატედ.

დისიდენტები, ცხადია, ხმას აღიმალდებდნენ ამ უსამართლობის წინააღმდეგ და საერთაშორისო ორგანიზაციების თანადგომასაც მოიპოვებდნენ.

მაგრამ ისიც ხომ ცხადია, მოსკოვიდან ყოველწლიურად მოვლენილი კომპეტენტური კომისია, საბჭოთა ფსიქიატრიის ასებით შედგენილი (რომანის ავტორისა არ იყოს, აკადემიკოსსა და პროფესორზე ნაკლებს როგორ შეიყვანდნენ ასეთ კომისიაში, მათ დასკვნებს ხომ მსოფლიო მეცნიერთა ნდობა უნდა მოეპოვებინა), განუხრელად და დაბეჯითებით რასაც დაადგენს: არკადი დუდკინი ფსიქიურად ნორმალური, დანაშაულის ჩადენის დროსაც შეარაცხადი იყო და ახლაც ასეთია; ასე რომ, ვადამდე მისი გათავისუფლების მოთხოვნა სრულიად უსაფუძვლოა, ჩვენი ხალხი ყოველთვის მკაცრად მოჰკითხავს სამშობლოს მოღალატეებსაც და მათაც, ვისაც პირსისხლიანი პოლიციისგან უწყინარი ყმაწვილის გამოყვანა სურთო.

საბჭოთა სისტემა და ფსიქიატრიული საავადმყოფო და მისი პაციენტები თუ პაციენტებად გამწვანებულნი — ეს კიდევ ერთი უზარმაზარი თემა, რომლის თვალსაჩინო ნაწილადაც ქართული მწერლობის ერთი შენაკადიც უნდა ვი-



გულისხმობთ, მონოგრაფიულად ჯერაც შესასწავლი და ცალკეულ დაკვირვებებს შეფარებული, იმ მომავალ მეცნიერულ ნაშრომში კი „წმინდა წყვდიადის“ პირველი ნოველა თუ ლიტერატურული პორტრეტიც საგულისხმო მასალას მიაწვდის მკვლევარს, არკადი დუდკინის კოლორიტული მტრიხებით წარმოსახული ხასიათი, მსახიობადაც რომ წარმოდგებოდა ზონაში და პოეტადაც და მისი ნაამბობები მიუნჰაუზენური სულით სუნთქავდა, მიუხედავად იმისა, რომ არამცთუ ამ მომხიბლავი მოთხრობის ნამკითხველი არ გახლდათ, გაგონებითაც არ გაეგონა თავისი დიდი წინამორბედის სახელი.

ისე ყოფითი რეალობა ხშირად რომ ამოხევევა ხოლმე მხატვრული კომპოზიციასავით და იმგვარ ფინალს გვთავაზობს, წარმო-

სახვით რომ ძლივს მივაგნებთ ანდა ვერცა.

არკადი დუდკინი გათავისუფლებამდე ერთი დღით ადრე უნდა გარდაიცვალოს.

ადგილობრივი ტრადიციის თანახმად, ზონის ადმინისტრაციამ ფეხსაცმელი უნდა გახადოს და უსახელო საფლავს მიაბაროს.

და თხრობის მანერისათვის ნიშანდობლივი ბოლო აკორდი:

— ასე რომ, თავის გმირ ძმასთან, რომლის როლსაც მთელი ცხოვრება წარმატებით ასრულებდა, ფეხშიშველი მივიდა.

თხრობის მანერისათვის ნიშანდობლივიო...

მანერაც ესაა — ღრმა ტკივილსა და სევდაში შემოჭრილი იუმორი, თავისებური და მიმზიდველი, მძიმე, დამთრგუნველ სურათებს შინაგანად რომ ახალისებს და კითხვასაც ძალზე გიოოლებს, მითუმეტეს, დახვეწილ იუმორისტულ პასაჟებს ენაცვლება ირონიაც, პაროდიაც, სარკაზმიც და მთელი ეს მრვალფეროვანი გამა ძალდაუტანებლად ესადაგება თუ ეზავება გაუნელებელ სევდას.

პაროდის ხსენება გეუცნაურათ?

არადა, ჩინებული პაროდის ნიმუშებია ჩართული თხრობაში — პლატონის დიალოგებით შთაგონებული თავისებური სპექტაკლები, ერთში ავტორი სოკრატეს როლში რომ გამოდის, ვადიმ იანკოვი კი სოფისტ ანაქსაგორასი და კამათში კი მსოფლიოში საუკეთესო კერძი უნდა დასახელდეს, ქართული საცივი რომ აღმოჩნდება; მეორეში კი სოკრატე იური ბაძიო უნდა იყოს, ავტორს კი გულუბრყვილო და თვითდაჯერებული იონის როლი უნდა შეხვდეს, ხოლო კამათმა პარტიული მშენებლობის ირგვლივ უნდა იტრიალოს და გამოიკვეთოს კომუნისტური პარტიის ანტიპოდის, ბაძიოს მიერ ჩამოსაყალიბებელი უკრაინის დემოკრატიული პარტიის წინასწარი პორტრეტი.

პაროდის ძალმოსილებას ორივე მონაწილე განსაზღვრავდა და ეს შემთხვევითი სულაც არა ყოფილა, რადგანაც პოლიტიკური პატიმრები მრავალმხრივი და საფუძვლიანი განათლებით რომ გამოირჩეოდნენ, „წმინდა წყვდიადიც“ თვალნათლივ ადასტურებს და სავსებით გვესმის ავტორის წუხილისა, წინასიტყვაობაში რომ გაგვიზიარებდა და სინანულს გამოთქვამდა მისი ცხოვრების იმ საუკეთესო წლების გამო, სადაც შორეთში რომ დარჩენილიყო და განმეორება აღარ ეწერა:

— ამაზე უკეთესი პერიოდი არ მქონია, კაგებეს მიერ დიდი რუდუნებით შერჩეულ ასეთ ხალხს შემდგომში ვინლა მომიგროვებდა.

ამ პერსონაჟთა დაკარგვა არაფრისდიდებით არ შეიძლება და ამ მრავალმხრივსა და კოლორიტულ ადამიანებს, ერუდიციასა და სულიერ სიმტკიცესთან ერთად ახირებანიც რომ არა ჰქვლიათ, სწორედ არკადი დუდკინი მოიყოლებდა და რომანის საერთო სულისკვეთებასა და სტილისტიკასაც მისი ხასიათი და თავგადასავალი განსაზღვრავდა.

ასეთ ხალხს შემდგომში ვილა შემიგროვებდაო...

გრიშა ფელდმანი ყველაზე ხალისიანი და ცოცხალი კაცი აღმოჩნდებოდა იმ ასორმოცდაათამდე პატიმარს შორის, „წმინდა წყვდიადის“ ავტორს რომ ენახა. არადა, სამწუხაროდ, პოლიტიკურ კეთროვნად გადაქცევა ეწერა მას შემდეგ, რაც „ვრემიას“ სიუჟეტში გამოიყვანდნენ და ისრაელს დააგმობინებდნენ: საბრალო არაბებს ანამებენ, შემირცხვენია ეგენიო. გათავისუფლების შემდეგ ოც წელიწადს ამაოდ რომ ეცდებოდა განაწყენებულ თანამემამულეთა გულის მოგებას, მხოლოდ 2006 წელს მიაღწევდა სანადელს და აღთქმულ მიწაზე ავიდოდა მოხუცი, დაღლილი და გამოფიტული, თვითმფრინავიდან ჩამოსული ისრაელის მიწას ფეხს რომ დაადგამდა, ხმამალა იყვირებდა რუსულად: მაპატიეთო, — და იქვე, თელ-ავივის აეროპორტში დაღევდა სულს.

ჟორა ხომიზური კარლ სენდბერგის ლირიკული პერსონაჟის — სებასტიან ბახისა არ იყოს, რიცხვების კაცი აღმოჩნდებოდა და მისი სილუეტის კანთიულად წარმოჩენისათვის რომანის ავტორი ზვიად გამსახურდიას თარგმანს მოიხმობდა: იგი იშვა დედამიწაზე რიცხვთა შესაცნობად, მან შეუფარდა ათიანებს ხუთიანები, დააკავშირა, შეაყვარა მათ ერთმანეთი, სარეცელი უქმნა ზიარიო.

თითქოს მართლაც იმ ლექსიდან გადმოსულიყოს, თორემ რას უნდა აღეტაცა ასე, რომ, ვთქვათ, დღის სამის თხუთმეტ წუთზე მოერბინა შენთან და მშფოთვარედ ეთქვა: ერთ წუთში ქრისტეს ასაკამდე დაგრჩება ზუსტად ერთი მილიონი წუთიო! ანდა ღამით გაეღვიძებინე და ეხარებინა: ზუსტად ორმოცდაოთხ წამში გათავისუფლებამდე დაგრჩება 44 444 444 წამიო!

და კვლავ სენდბერგის სტრიქონები აგიბორიალდება ცნობიერებაში:

**მან გააღვიძა ორიანები, ოთხიანები,
განუფრთხო მათ ძილი ყრმობისა,
კვლავ შეულოცა და დააძინა.**

ჯონი ლაშქარაშვილი დატუსაღებამდე ტაქსისტი მძღოლი რომ გახლდათ, ლევან ბერძენიშვილი ყურადღებას მიგვაქცევინებს, რომ ეს იყო მეტად იშვიათი მოვლენა არამართო საქართველოს ან თუნდაც საბჭოთა კავშირის მასშტაბით, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც, ფრანგული წინააღმდეგობის მოძრაობის გარდა ტაქსისტი დისიდენტებისა და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აქტივისტების შესახებ რაიმე ინფორმაცია არ მოიპოვებაო.

ისე კი გეოგრაფიულად ყოფილა დაბადებული და მხოლოდ თბილისი არ გახლდათ მის გეოგრაფიულ მიდრეკილებათა ერთადერთი საზრუნავი და საფიქრალი, ზეპირად იცოდა ნებისმიერი ქვეყნის როგორც ფიზიკური, ისე ეკო-

ნომიკური გეოგრაფია და შეეძლო მრავალსაათიანი მოხსენება წაეკითხა პარიზის, ლონდონის ან ნიუ-იორკის ცალმხრივ ქუჩებზე, საავტომობილო მარშრუტებსა და სამგზავრო შეზღუდვებზე.

რაფაელ პაპაიანი უაღრესად მრავალმხრივი კაცი გამოდგებოდა: სომხეთისა და, რაც მართლაც გასაოცარია, საქართველოს ისტორიის ბრწყინვალედ მცოდნე მეცნიერი, რუსული ენისა და ლიტერატურის შესანიშნავი სპეციალისტი, დახვეწილი რუსულის მცოდნე რაფინირებული სტილისტი, ნიჭიერი პოეტი, ერუდირებული, ტაქტიანი, ფრთხილი, თავისებურად სევდიანი იუმორის, კოლოსალური შრომისმოყვარეობისა და უდიდესი მოთმინების ადამიანი, ვისაც ჩაით შესმული ერთ-ერთი სადღეგრძელოსას რომანის ავტორი „გადანახული დროშების კავალერად“ მონათლავდა, რაკილა ყველაფერი ჰქონდა გადანახული.

ასეთ ხალხს შემდგომში ვინლა შემიგროვებდაო...

გენრიხა ალთუნიაანი ხარკოვში თბილისიდან გადასახლებულიყო, რუსთაველის პროსპექტზე დაბადებული ირწმუნებოდა: თბილისელიც ვარ და სომეხიც, მაგრამ თბილისელი სომეხი არა ვარ, ეს სხვა ფენომენია, მაგისტვის ჰავაზარში უნდა იყო დაბადებული.

ერთხელ ასეთ თვალსაზრისსაც გამოთქვამდა: რუსთაველი და რიჩარდ ლომგული ერთი ეპოქის ადამიანები იყვნენ და შეიძლება ერთმანეთსაც იცნობდნენ კიდევ, საერთო ნაცნობები ხომ ნაღდად ეყოლებოდათო.

უკრაინის ნარინჯისფერი რევოლუციის დღეებში იგი მოედანზე შეკრებილთ სიტყვით რომ მიმართავდა: ის მოვლენები, რაც ახლა მიმდინარეობს, ცხოვრებაში ერთხელ ხდება. და ერთხელ ცხოვრებაში უნდა იყო ადამიანიო! — და ხალხი აღფრთოვანებით შეხვდებოდა ამ სიტყვების ავტორს, ლევან ბერძენიშვილი თავის მხრივ დასძენს: გენრიხ ალთუნიაანისათვის, მათგან განსხვავებით, „ერთხელ“ კი არ მოხდა რევოლუცია, არამედ ყოველდღე ხდებოდა და „ერთხელ“ კი არა, მთელი ცხოვრება იყო ადამიანი, ყველაზე კარგი ადამიანიო.

მიხაილ პოლიაკოვი, ძველი რუსული არისტოკრატიის შთამომავალი, წელიწადი და ცხრა თვე ემალეობდა მსოფლიოში სახელგანთქმულ საბჭოთა უშიშროებას, რომელიც:

— ერთ სულ მოსახლეზე თანამშრომლებისა და ფარული თუ ღია აგენტების რაოდენობით მსოფლიოში პოლიტიკური დევნის ნებისმიერ ორგანიზაციას უზარმაზარ ფორას მისცემდა. ამ ოცდაერთი თვიდან უკანასკნელი თერთმეტი თვის განმავლობაში საკავშირო ძებნაში იყო — ასეთი მონაცემებით ვერცერთი სხვა საბჭოთა პოლიტიკური პატიმარი ვერ დაიტრახებებდა.

მიხაილ პოლიაკოვი კი არასოდეს ტრახახობდა და ამ ინფორმაციას მისგან წლების განმავლობაში და ნაწილ-ნაწილ თუ მოიპოვებდი. სხვათა შორის, მიმალვისას საქართველოშიც ჩამოედინა, თბილისშიც და სამტრედიამდეც ეველო. საუკეთესოდ რომ იცნობდა მსოფლიო კინოს, განსაკუთრებული სიყვარულით მოიხსენიებდა... ოთარ იოსელიანს, ვისი ფილმებიც მესამე კურსზე გადაღებული სასწავლო სურათით „აკვარელი“ დაწყებული და შედეგებით — „იყო შაშვი მგალობელი“ და „პასტორალი“ — დამთავრებული, გასაოცარი დეტალებით შეეძლო წარმოეჩინა. რა გასაკვირია, ზონაში თავისი პირველი ლექცია ოთარ იოსელიანის თემაზე წაეკითხა. სხვათა შორის, იგი სწორედ იმ სახ-

ლში დაბადებულიყო, სადაც ფიოდორ დოსტოევსკი გარდაცვლილიყო.

ბორის მანილოვიჩი კი კალამბურის კაცი აღმოჩნდებოდა, სიტყვათა თამაშის ისეთი მოყვარული, რომ საკუთარი ენამახვილობის ტყვეობაში ექცეოდა ხოლმე და, ენის უღრანებში შესულს, ხანდახან სამშვიდობოზე გამოსვლა უძნელდებოდა. ხოლო რაკი დაპატიმრებამდე ფსიქიატრად ემუშავა, ზონის მითოსი ირწმუნებოდა: თვითონაც „ვერ არისო“. იგი არამარტო ფსიქოანალიტიკოსი გახლდათ და შესანიშნავად იცოდა მთელი ეს სამეცნიერო ლიტერატურა, იმ იშვიათ ადამიანებსაც მიეკუთვნებოდა, რომელნიც დიდ პატივს სცემენ განსხვავებებს სამეცნიერო ნააზრევს შორის, და საათობით შეეძლო ესაუბრა ფროიდის ფსიქოანალიზსა და იუნგის ანალიტიკურ ფსიქოლოგიას შორის არსებულ ნიუანსურ თუ ფუნდამენტურ განსხვავებებზე.

ვადიმ იანკოვი განათლებით მათემატიკოსი გახლდათ, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში დიდი ტოპოლოგოსიც, ფილოლოგოსიც, ფილოსოფოსიც, პოლიგლოტოსიც, ფიზიკოსიც, ქიმიკოსიც, ტვინიკოსიც, უბრალოდ და სიყვარულით და შემოკლებით კოსს რომ ეძახდნენ ქართველი პოლიტპატიმრები — დავით ბერძენიშვილის მიერ შერქმეულ ამ საიდუმლო თიკუნს სავსებით რომ გაიზიარებდნენ. ინგლისურიც სცოდნია, ფრანგულიც, გერმანულიც, ესპანურიც, იტალიურიც, ძველი ბერძნულიც, ლათინურიც და ძველი ინდურიც (სანსკრიტი), შესანიშნავად ერკვეოდა ზოგადი და ინდოევროპული ლინგვისტიკის, მათ შორის, რომანული ენების საკითხებში, იცნობდა ძველ და ახალ ქართულ ენათმეცნიერებას და შეეძლო საათობით ესაუბრა აბლაუტსა და სონანტა სისტემაზე უძველეს ქართულში. ის კი არა, ლევან ბერძენიშვილს მონაფედაც დაუდგებოდა, სამივე ქართულ ანბანს სწრაფად ისწავლიდა და კითხვაში ჟორა ხომიზურსაც გაუსწრებდა. ხოლო პოეზიის საღამოზე მარინა ცვეტაევას „დასასრულის პოემის“ ფინალს ტომას სტერნზ ელიოტის ლექსის — „ფუტურო ადამიანები“ — დასასრულს რომ შეუდარებდა, როგორც ერთმანეთის კონგენიალურს, ამით დანარჩენ პატიმრებს თავისი სულის ნაწილს გაუზიარებდა: ასე მთავრდება ეს წუთისოფელი, არა გრიალით, არამედ სლუკუნითო.

ფრედ ანადენკოს „წმინდა წყვილიაღის“ ავტორი რობერტ ფიშერს შეადარებდა თავისი ელვარებობაც და ხასიათის უცნაურობებითაც, და კიდევ ერთ საგულისხმო გზასაც გამოძებნიდა მისი პიროვნების წარმოსაჩენად: შეიძლება მისი სიყვარული, სიძულვილი, პატივისცემა, შეურაცხყოფა, იგნორირება, დაცინვა, განდიდება, გაზვიადება, გაღმერთება, მიწაზე დანარცხება, გასრესა, გაბითურება, განადგურება, მოკლედ, ყველაფერი, რაც კი აზრად მოგივა, არ შეიძლება მხოლოდ მისი დავიწყებაო.

ერთ დროს მას გულწრფელად სწამდა კომუნისტური იდეალებისა და პარტიის წევრი საკმაოდ ადრე — ცხრამეტი წლისა — გახდებოდა, ძალიან მალე მაიორის სამხედრო წოდებასაც მიიღებდა და წინ შესანიშნავი სამხედრო კარიერა გადაეშლებოდა, მაგრამ 1968 წლის პრალის ტრაგედია, როდესაც საბჭოთა ტანკები ქალებისა და ბავშვების სისხლით მორწყავდნენ იქაურობას, ანადენკოს პროტესტის ჟინს გაუჩენდა და უყოყმანოდ მიატოვებდა კომუნისტთა რიგებსაც და ელიტურ სარაკეტო ჯარებსაც. და ჩაუჯდებოდა თავის პირველ პოლიტიკურ წიგნს „ნორმალური სვლა“.

იური ბაძიოს მიმართ გამოყენებული ეს შედარება თუ მეტაფორა: შიმშილობისა და პატიმართა უფლებებისათვის ბრძოლის პრომეთეო, — ძალზე ლაკონიურად და ზუსტად წარმოგვიჩენს მის პიროვნულ ბუნებას. ზონაში პირველად შესული პატიმრები გაოგნებულნი მიაჩრდებოდნენ ხოლმე ამ უცნაურ კაცს, რომელსაც მერხზე მაგიდის საათი ედო და თავდავიწყებით მუშაობდა — ორი წიგნი გადაეშალა და გამალებით წერდა და წერდა. მუშაობისას მასთან დალაპარაკება კი არა, სამ ნაბიჯზე მიახლოებაც არ შეიძლებოდა. სამუშაოს ჩამთავრებისთანავე შეუსვენებლივ გადადიოდა ინგლისური ენის შესწავლაზე, ზუსტად 45 წუთის შემდეგ კი ასევე შეუსვენებლივ — გერმანულზე.

ზონაში საათი როგორ ეშოვნა?

ამ უფლების მოსაპოვებლად 675 საათი ანუ ზუსტად ოთხი კვირა და სამი საათი ეშომილა.

ნაშრომსაც შექმნიდა — „პოლიტიკური შიმშილობის პრინციპები“, რომელსაც ლევან ბერძენიშვილი მოიხსენიებს უკვდავად და პოლიტიკური პროტესტის ამ ერთ-ერთი ქმედითი იარაღის სახელმძღვანელოდ, რომლის მთავარი დებულებანიც მრავალგზისი და მრავალდღიანი სველ თუ მშრალ შიმშილობათა დიდოსტატ პატიმარს საკუთარ თავზე გამოეცადა.

ალექსეი რაზლაცკი სტალინისტობის ბრალდებით იხდიდა სასჯელს, და თუმც მკაცრად მოეკითხებოდათ ხოლმე იმ პატიმრებს, რომელთა თმა და წვერ-ულვაშიც ორმილიმეტრიან ზღვარს ასცილდებოდა, იგი ჯიუტად ატარებდა დიდ, ნამდვილ, „სტალინურ“ ულვაშს თავისი ბელადის, მამისა და მასწავლებლის, თავისი ღმერთის ნაბადვით, პროლეტარიატის დიქტატურის პარტიაც რომ შეექმნა იატაკქვეშ და უკვე 70-იან წლებში ეწინასწარმეტყველა „განვითარებული სოციალიზმის“ კრაზი და საბჭოთა კავშირის გარდუვალი კატასტროფა. თავის სიმართლეში ღრმად დარწმუნებული დანარჩენ პოლიტიკურ პატიმრებს ლიბერალებსა და ოპორტუნისტებს ეძახდა და ღიმილით პირდებოდათ: ხელისუფლების სათავეში რომ მოვალ, ყველას დაგხოცავთო.

როდესაც ტუსადები კავკასიური მუსიკის საღამოს გამოთავდნენ და ლევან ბერძენიშვილი „სულიკოს“ შესრულებას იკისრებდა, სიტყვებდა „გულამოსკვნილი ვტოროდ“ რაზლაცკიც აჰყვებოდა მშვენიერი სასიმღერო ქართულით და მეორე ხმას ბოლომდე ისე წაიყვანდა, რომ პირსაბანი ოთახის მთელი აუდიტორია მქუხარე ტაშით დაინგრეოდა და შესანიშნავ პრიზს პირველი ადგილისათვის — ერთ ასანთის კოლოფ შავ ჩაის ქართველი დისიდენტი დაიმსახურებდა (რაზლაცკი პრიზის გაყოფაზე უარს განაცხადებდა!).

პეტრე ბუტოვის დამსახურება დისიდენტური მოძრაობის ისტორიაში — წიგნის ავტორის თქმისა არ იყოს — მართლაც ისე უნდა შეფასდეს, როგორც უზარმაზარი: იგი ვიჩესლავ იგრუნოვისაგან ჩაიბარებდა, გაზრდიდა და ისტორიის მონაპოვრად აქცევდა საბჭოთა იატაკქვეშეთის საოცრებას, სამიზდატისა თუ ტამიზდატის პროდუქციისაგან შემდგარ ანტისაბჭოთა ლიტერატურის ვეებერთელა ბიბლიოთეკას. საბჭოთა ისტორიის განმავლობაში ასეთი იატაკქვეშა ბიბლიოთეკა სულ სამი ყოფილა: მოსკოვის, პეტერბურგისა და ოდესის ანუ პეტრე ბუტოვისა, და ამ საიდუმლო საცავში 20 000-ზე მეტი დასახელების თითქმის 30 000 ბექდვითი ერთეული (წიგნი, ჟურნალი, გაზეთი, პლაკა-

ტი...) და 20 000 მიკროფილმი შედიოდა, მოეპოვებოდა საკუთარი გასამრავლებელი აპარატურა, უნივერსალურ ათობით სისტემაზე ანყობილი ბიბლიოგრაფია, მიკროფილმების დამამზადებელი ლაბორატორია და საკუთარი ფინანსებიც კი.

და ეს ბიბლიოთეკა ბუტოვის ხელში თითქმის ათ წელიწადს იარსებებდა და ათასობით ადამიანს ისე მოემსახურებოდა, რომ თავის არსებობას საფრთხეს არ შეუქმნიდა; და ეს იმიტომაც, რომ პეტრე ბუტოვი საუკეთესო დირექტორი, მენეჯერი და ადმინისტრატორი გამოდგებოდა, ოდესის ბიბლიოთეკაზე მითებიც კი შეიქმნებოდა და ის საზოგადოების ისტორიულ მეხსიერებაში დარჩებოდა შესანიშნავ ილუსტრაციად, თუ რა შეუძლიათ ადამიანებს თუნდაც ბოროტების იმპერიაში.

დაინის ლისმანისი, ლატივიელი ნაციონალისტი და სოციალ-დემოკრატი, ვისაც 12 წელი ჰქონდა მისჯილი სამშობლოს ღალატის ბრალდებით, გამოირჩეოდა მუდმივად კარგ გუნებაზე ყოფნით და ვერავის აეხსნა, როგორ ახერხებდა ამას პოლიტიკურ ბანაკში. და გარდა იმისა, რომ თვითონ იყო კარგ გუნება-განწყობილებაზე, თავის ირგვლივაც ასეთ მსუბუქ და მხიარულ გარემოს ქმნიდა. გერმანული წყაღვით იცოდა და საკმაოდ მოზრდილ ციტატებს მოიხმობდა ხოლმე „ფაუსტიდან“, გოეთეს ძალიან აფასებდა და ხუმრობით იმეორებდა: გოეთე მამაღმერთია, შილერი — სულიწმინდა და თომას მანი — ძეო. უკრაინელები გაურბოდნენ ლისმანისს, მისი მუდმივი ღიმილი დამცინავად ეჩვენებოდათ და რუსებისადმი დაუფარავ ზიზღში ანტილაგერ გამობდომას ხედავდნენ.

ასეთ ხალხს შემდგომში ვინლა შემიგროვებდაო...

და ამ უჩვეულო და მრავალფეროვან ხასიათთა სერია უნდა ამოთავებულყოფილი და ვით ბერძენიშვილით, ვინც თბილისის სუკის იზოლატორის საკანში ტრადიციულ ქართულ საქმიანობას მიჰყოფდა ხელს — მასწავლებლობას, და ლექციების კურსს წაიკითხავდა საქართველოს ისტორიაში (მისი ძმა მსგავს ვითარებაში ლათინური ენისა და ბერძნული მითოლოგიის კურსის წაკითხვას ამჯობინებდა), ყოველდღიური დაკითხვებისას კი ექვსი თვის განმავლობაში მისგან გამოძიებლები საქმესთან დაკავშირებით ერთ კითხვაზეც ვერ მიიღებდნენ პასუხს, რადგანაც იგი თვითნებურად და ვაჟკაცურად ისარგებლებდა იმ უფლებით, რომლის მინიჭებასაც პატიმრისათვის სახელმწიფო მხოლოდ ოცი წლის შემდგომ იწვებდა, ოღონდ სხვა სახელმწიფო, სხვა საუკუნესა და სხვა ათასწლეულში — დუმისის უფლებით.

თავის მებრძოლ ბუნებას კი საკონცენტრაციო ბანაკში იმითაც გამოავლენდა, რომ მისი წამოწყებითა და უშეღავათო თავგამოდებით მოიპოვებდნენ ქართველი პოლიტპატიმრები უფლებას — სამშობლოში წერილები ქართულად მოეწერათ. და ეს უფლება, ცხადია, სხვებზეც გავრცელდებოდა და ასე დაიბადებოდა პოლიტიკურ ტუსაღთა წერილები ნაციონალურ ენებზე.

ეს ერთგვარი კალეიდოსკოპური სურათი, ასერივად მიმზიდველი და შთამბეჭდავი, სახელდახელოდა ამოკრებილი და ასეთი სურათები, სხვა ძაფზე ასხმულები, კიდევ არაერთი შეიძლება ამოირჩეს ხელშესახებ დასტურად იმისა, თუ რაოდენ ტევადია და ფსიქოლოგიურად და ემოციურად ღრმა პორტრეტების ეს სერია, დოკუმენტური ნოველების რანგში გარდასახული.

თვითონ ავტორი კი ხასიათთა ამ წყებაში რომ გაბნეულა, საბოლოოდ თვალნათლივ ამოიზიდება და მის ირგვლივ დატრიალდება ყველა ის კალეიდოსკოპური სურათი, თითქოს დანამდვილებით მომხდარის გახსენებაზე აგებულ ჩანაწერებს ამალგებული სულით რომ განმსჭვალავს და იმ პარადოქსულ მოსაზრებაშიც საესებით დაგვარწმუნებს: ბედის მადლიერი ვარ, გულაგში პატიმრობა რომ მერგოო.

თავის დროზე ამ შეხედულებას გვიბეჯითებდა ფილოლოგი დოსტოევისკი.

გვიზიარებდა მაჰათმა განდიც.

იმეორებდა ალექსანდრ სოლჟენიცინიც.

და ახლა ლევან ბერძენიშვილსაც საკუთარ თავზე გამოეცადა ეს უცნაური, აუხსნელი, იდუმალებით შებურვილი განცდა და მიხვედრილიყო, რომ ამ პიროვნებათა პოზიციას უდავო საფუძველი ჰქონდა, პარადოქსში ღრმა აზრი იფარებოდა და ჭეშმარიტებაც მის წიაღში გახლდათ საძიებელი.

დასაკარგად განწირული პერსონაჟები უეცრად დაბრუნებდნენ თავიანთ არსებობას და „წმინდა წყვდიადის“ ავტორსაც შეუწარჩუნებდნენ იმ მთავარ შტრიხებს, ურომლისოდაც ისიც განიბნეოდა და ჩაიძირებოდა წყვდიადში, ახლა სინათლის იდუმალი ენით რომ ალაპარაკებულყოფი და მოატივტივებდა არკადი დუდკინის სახებას, ამ წიგნისათვის სიცოცხლის მიმნიჭებლისა, რაკილა ლევან ბერძენიშვილისათვის ეგრძობინებინა, ჩემს ტყავში გამოხვევა გადავიხსნის იმ მრუმე, ჩახშული დროის წიაღს და შეგვწევა ყველა იმ პერსონაჟის მოსაკრებადაც, მათ სულში ჩასახედაც და... საკუთარი თავის აღმოსაჩენადაცო.

„დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია“ — წასცდებოდა შენუხებულ ექიმს და, ყველაფერი რომ წარმოედგინა, ამას მაინც ვერაფრისდიდებით ვერ იფიქრებდა, ამ მცდარი დი-აგნოზით წიგნის შექმნის თინით თუ ალაგვებდა იმ კაცს, ვინც თავისი ვალის გადახდას სულ სამომავლოდ სდებდა, რაკილა ეს მომავალი შორეულ ჰორიზონტზე განოლილიყო... მაგრამ როდესაც ამ ჰორიზონტს ზედ მიანყდები ასე უეცრად და მოულოდნელად?!

არკადი დუდკინი ველარაფერს მისაყვედურებს, ველარ წამომადგება, როგორც აქილევსი ოდისევსსო, — ვალმოხდილის შეგრძნებით დახედავდა ლევან ბერძენიშვილი წაწერით გადავსებულ ფურცლებს, მადლიერების დადასტურებას ბედისადმი — გულაგური სინამდვილის თავისებურ მატთანეს, თუმც... აკი ვარლამ შალამოვს თუ რაიმე წყინდა კრიტიკოსთაგან, უპირველესად მისი ეს გამოცხადება გულაგის შემატანედ, რადგანაც მიიჩნევდა, რომ ამგვარი განსაზღვრებით ძალიან იზღუდებოდა და კნინდებოდა მისი კოლიმური ნოველების დანიშნულება და არსი.

წმინდა წყვდიადი, თავისი უჩვეულო გარდასახვებით, ხან უფრო დაკარგული დრო რომ ამოშუქდება და ხანაც უფრო დაკარგული პერსონაჟები.

...ისე ვითომ სინათლის დიად ბადეში რაიმე უფრო მეტია გასაგებელი?!

საქართველოს ისტორია ასე არ უნდა იწერებოდეს (ღია წერილი გაზეთ „ახალი თაობის“ რედაქციას)

თქვენი გაზეთის ფურცლებზე მრავალ ნომერში რეკლამა (ახლა რომ პიარს იტყვიან) უკეთდებოდა საქართველოს ისტორიის ერთგომეულის „უნივერსალურ გამოცემას“, რომლის ავტორები გახლავან: დავით მუსხელიშვილი, მიხეილ სამსონაძე და ალექსანდრე დაუშვილი.

და აი, წავიკითხეთ თქვენს მიერ ერთობ ნაქები წიგნი და აღმოჩნდა, რომ, თუმცა მასობრივ მკითხველთათვის შეიძლება სასარგებლოც იყოს, მაგრამ დანერვილია დაუდევრად, ხშირად სხვა ავტორების მოუსხენიებლად, სავსეა უამრავი შეცდომით. გონებას უჭირს გაიცნობიეროს, თუ რატომ მოხდა, რომ სამეცნიერო ხარისხებითა და ნოდებებით აღჭურვილი პირნი ასეთ უვიცობებს ავლენენ. ვთქვათ, ორ უკანასკნელ ავტორს შედარებით ნაკლები სამეცნიერო რეგალიების გამოისობით დაემართა მსგავსი მიუტყვევებელი შეცდომები, მაგრამ რედაქტორმა, აკადემიკოსის ტიტულს რომ ატარებს, რატომ ვერ შეამჩნია ისინი?

მაგალითების, ფაქტების მოტანას მოითხოვთ? გამაოგნებელ შეცდომათაგან ამჯერად მხოლოდ რამდენიმეზე შევჩერდებით.

76-ე გვერდზე მითითებულია „უძველესი ქართული წარწერა ბოლნისის სიონი“. მაგრამ ხომ საყოველთაოდ ცნობილი, რომ პალესტინაში აღმოჩენილია უფრო ადრინდელი წარწერა, 430-იანი წლებისა?

266-ე გვერდზე ვკითხულობთ: „პეტრე იბერიელი (ერისკაცობაში მურვანოზი) XIV საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწეა, ფილოსოფოსი, რომელიც აღიარებულია როგორც ფსევდო დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილ თხზულებათა ავტორი“. ძვირფასო ავტორებო, შემოკობილნო სამეცნიერო რეგალიებით, ხომ ელემენტარული ფაქტი გახლავთ, რომ პეტრე იბერი ცხოვრობდა V საუკუნეში, უფრო კონკრეტულად 411-491 წლებში? ჩანს, შესაბამისი ტექსტის ავტორმა სადაღაც ყური მოჰკრა, რომ მაკარ ქართველმა „ცხოვრება პეტრე ქართველისა“ დაწერა (უფრო სწორად შეადგინა) XIII თუ XIV საუკუნეში. აქედან გაკეთდა დასკვნა პეტრე იბერის XIV საუკუნეში ცხოვრება-მოღვაწეობაზე.

ცალკე პარაგრაფში, რომელიც XVIII საუკუნის ქართულ კულტურას ეხება, საუბარია ფემანგისა და იოსებ თბილელის თხზულებებზე (გვ. 272), მაგრამ ესენი ხომ წინა საუკუნეში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ? აღნიშნულის გარდა, ისინი, მათი თხზულებებითურთ, ხომ უკვე ფიგურირებენ პარაგრაფში, რომელიც XVII საუკუნის კულტურას ეხება (გვ. 314)?

303-ე გვერდზე ლაპარაკია როსტომ ხანზე, როგორც „გამაჰმადიანებულ მუსრან ბატონის (!) გვარის წარმომადგენელზე“. საიდან სადაო?... პეტრე მელიქიშვილი კი ისტორიკოსთა შორისაა მოხსენიებული (გვ. 425).

408-ე გვერდზე აღნიშნულია: „ილია აღფრთოვანებულ ლექსებს წერდა 1871 (!) პარიზის კომუნის განმათავისუფლებელი იდეით ნასულდგმულები და უფალს სთხოვდა „ღმერთო, ღმერთო ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულში“.

მართლაც რომ პირდაპირ საარაკო უვიცობასთან გვაქვს საქმე — ჩვენი დიდი წინაპარი ოცნებობდა პარიზის კომუნის

მსგავს მოვლენაზე თბილისში! ჯერ ერთი, ამ თემისადმი ილიას „ლექსები“ კი არა, არამედ მხოლოდ ერთი ლექსი აქვს მიძღვნილი და რაც მთავარია, ხსენებული ლექსი ხომ 1860 წელს არის დაწერილი, ასე რომ, 1871 წელს შექმნილ ლექსთან არავითარი კავშირითიერთობა არა აქვს. შინაარსობრივადაც ეხება იტალიელთა ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლას ჯუზეპე გარიბალდის მეთაურობით. პარიზის კომუნაზე დაწერილი ილიასული ლექსი კი, სათაურით 1871 წელი 23 მაისი (კომუნის დაცემის დღე)“, ავტორებს შევახსენებთ, იწყება ასე: „**ტვირთ-მძიმით და მაშვრალთ მხსნელი დიდი დროშა დაიშალა...**“

ავტორებს საპასუხოდ სიტყვებისა: „XX საუკუნის დასაწყისში, ცხოვრებისეული გამოცდილებით დაბრძენებული (ილია — გ.ყ.), უკვე რუსეთის სახელმწიფოს (!) სათათბიროს მიიჩნევდა იმ ასპარეზად, სადაც შეიძლებოდა საქართველოს და მთლიანად კავკასიის ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა“ (გვ. 408), მოვავსებთ შემდეგს. მიუხედავად ჩვენში ილიაზე ფრიად გავრცელებული შტამპისა რევოლუციის მიუღებლობის თაობაზე, „მგზავრის წერილებიდან“ სხვა რამეს ვგებულობთ. მეტიც, ჩვენი დიდი მოაზროვნე და ეროვნული მოღვაწე რუსეთის პირველი რევოლუციის დროს მომხრე იყო რევოლუციისა, ოღონდ მთელი ქართველობის გაერთიანებით რუსეთის ცარისტული ხელისუფლების წინააღმდეგ, ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად.

407-ე გვერდზე ილიას მისამართით აღნიშნულია: „ერთხელ მას, პროგრესული შეხედულებების გამო, განრისხებული თავადი დაედევნა (!), მაგრამ ეს ვერ მოახერხა. ეს განზრახვა სისრულეში გლახმა მოიყვანა, ოღონდ დიდი ხნის შემდეგ“. თითქოს მოხდენილი ფრაზაა, მაგრამ შინაარსის მხრივ მცდარია: ილიას მკვლელობა შორის აზნაური სერგო ორჯონიკიძეც („იმერელი ბიჭი“) ფიგურირებდა, რაც აღნიშნულია კიდეც წიგნში (გვ. 434). გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ მკვლელობის წამქეზებელთა შორის იყვნენ აზნაურები: ფილიპე მახარაძე, ნოე ჟორდანიას.

სხვა მსგავს ისტორიულ, ასევე ენობრივი ხასიათის ლაფსუსების შესახებ უფრო დანვრილებით საზოგადოებას სხვა დროს მოვახსენებთ.

დიდად გამაოგნებელია, რომ, როგორც შესაბამისი ტექსტის ავტორი (ალექსანდრე დაუშვილი), ისე წიგნის რედაქტორი (დავით მუსხელიშვილი) ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებენ სოციალურ ინფრასტრუქტურასა და სოციალურ სტრუქტურას (იხ. გვ. 469, 482-83).

ავტორთა მხრივ დიდი დაუდევრობაა ისიც, რომ წიგნში ერთ საისტორიო რუკასაც კი ვერ ვხვდებით.

დასკვნის სახით ვიტყვით: მისასალმებელია ავტორთა და შესაბამისი გამომცემლობის სურვილი — მკითხველთა ფართო მასას მიაწოდონ მშობლიურ ქვეყნის, ხალხის ისტორია, მაგრამ ეს უნდა მოხდეს მაღალ პროფესიულ დონეზე და აკურატულად. რეკლამირებაც (პიარი) სწორედ ამგვარად დანერგულ წიგნს უნდა გაენიოს.

გურამ ყორანაშვილი

კოტეტიშვილთა არტისტული ჯიჟი

— რომ არ მცოდნოდა, ვერ დავიჯერებდი, რომ მთავარი გმირი, — გუგა კოტეტიშვილი, — დიზაინერია და არა მსახიობი.

ამას ლიანა ელიავა იტყვის პოლემიკური ყაიდის სტატი-
აში „ახალგაზრდებო, ან კი თქვენ...“ („ჩვენი მწერლობა“, 2013, №3), ქართული კინოს დღევანდელ მწარე ხვედრზე რომ გამოთქვამს გულისტკივილს, ახალ თაობას აგულიანებს და მათი მონაპოვრიდან ლევან კოლუაშვილის ფილმს — „ქუჩის დღეები“ — რომ ასახელებს ნიმუშად, საგანგებოდ გამოარჩევს მთავარი როლის შემსრულებელს.

მის ასეთ შეფასებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ქალბატონი ლიანა ხომ არამარტო ჩინებული რეჟისორია, არამედ — არანაკლები რანგის პროზაიკოსიც, და შეუძლებელია გამოარჩენოდა ის ღრმა და მრავალფეროვანი ფსიქოლოგიური ნიუანსები, რითაც აღბეჭდილა გუგა კოტეტიშვილის თამაში.

გასაკვირია არაპროფესიონალი მსახიობისაგან?

მხოლოდ ერთი შეხედვით, თუმცა გაცემა მაშინვე გავიქარწყლდება, როგორც კი წამოგვაგონდება — ლიანა ელიავას შესხენებისა არ იყოს — მისი ორი უაღრესად არტისტული წინაპარი: პაპა — ვახტანგი, და მამა — ვახუშტი.

მართლაც მათგან უნდა მოსდგამდეს მსახიობური ნიჭი გუგა კოტეტიშვილს, ასე შესანიშნავად რომ იჩინა თავი და ფილმის მხატვრული ღირსებისა და რანგის ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელადაც იქცა.

ბედნიერი მიგნებაა რეჟისორისა, ვინც საერთოდაც ასე თამამად აშიშვლებს ჩვენი ყოფითი რეალობის ტრაგიზმს და ისედაც შემადრწუნებელ სურათებს ნატურალისტური ელფერით მოსაგვს.

თუმცა ამჯერად მხოლოდ ამ მიგნებას გამოვარჩევთ — გუგა კოტეტიშვილში ფილმის მთავარი გმირის დანახვას.

ძალდაუტანებელ შენამატს ამგვარი ბედნიერი მიგნებებისა ჩვენს კინემატოგრაფში.

სტატიის ავტორს განსაკუთრებით შეძრავდა გმირის სინაზე ცოლის — გაუსაძლისი ცხოვრებისაგან ქანცგანყვეტილი ქალის — მოფერების მცდელობისას:

— რამდენი რამ იკითხება ამ დროს მის თვალეში: სიყვარული, სევდა, დანაშაულის გრძნობა, მონანიება... რამდენი რამაა ამ ერთ წამში ჩატეული!

რაოდენ ფაქიზად და ზუსტადაა გახსნილი იმ წამის დანაშორებები კინოხელოვანის მხრიდან.

მთავარი კი ისაა, რომ ასეთი ტყვადი, შემძვრელი წამი არაერთი კინოგმირის თამაშში, ჯერ მარტო გარეგნული სი-

ლუეტიტით — ოდნავ აწურული ცალი მხრით — ასე ხელშესახებად რომ წარმოსახავს პერსონაჟის გაორებულ, ტრაგიკულ ბუნებას — პატიოსან ადამიანს, ვინც ვერ გაუძლო ყოფითობის წნეხს და სულიერ დავრდომილად იქცა, სრული მორალური განადგურებისაკენ რომ მიექანება, მაგრამ მის ნაცრისფერ, ბედსმერიგებულ ყოფაში უნდა გამოჩნდეს რაღაც ძალზე მძაფრი, სულიერების შემრყევი და იმ სრული დაცემის მაუწყებელი, რასაც პიროვნული ბუნების პატიოსანი სანყისი ვერაფრისდიდებით ვერ შეეგუება და... ამ სანყისის ამბოხი გმირის თვითმკვლელობით უნდა დაგვირგვინდეს — პროტესტით ყოველგვარი ძალმომრეობის, ადამიანურობის დამორგუნველი რეალობის წინააღმდეგ. და ზნეობრივი ბირთვის შეუბღალავად გადარჩენა.

არ უნდა მოკვდეს ლამაზი არსი კაცობის ჩვენისაო, — ვაჟამ.


აგერ, არც ამჯერად ენერა დალუპვა ამ ლამაზ არსს. უკიდურესი დაცემა ის ზღვარი უნდა აღმოჩნდეს, საიდანაც ერთბაშად ზეცისაკენ უნდა აიჭრა.

გახსოვთ თუნდაც ფრიდრიხ ნიცშეს „უცხო იტყოდა ზარატუსტრას“ მთავარი გმირის შეგონება, ნამდვილ ამალელებას უაღრესი დაცემის შემდეგ რომ ხედავდა?!

თუმცა ამ მსჯელობამ ძალიან არ გავვიყოლიოს.

ამჯერად ხომ მარტოდენ „ქუჩის დღეების“ მთავარი გმირის ჩინებულ შესრულებას ვუყვირდებით და... გვაოცებს და აღარც გვაოცებს!..

და ბუნებრივი შეკითხვა: მაინც როგორ შეიძლება წარმართოს გუგა კოტეტი-



გუგა და ვახუშტი კოტეტიშვილები

შვილის კინოკარიერა?

ითამაშებს კიდევ რაიმე როლს?

იქნება კი ის შესრულება ამ შესანიშნავი როლის ტოლფარდი ან მინამგვანი მაინც?

მაინც მგონია, სულ რომ აღარ მოუწიოს კინოფილმში გამოჩენა, ეს როლი ისევე დაუვიწყარი იქნება ქართული კინოს, საერთოდ ჩვენი კულტურის ისტორიაში, როგორც გელა კანდელაკის გმირი ოთარ იოსელიანის კინოფილმიდან „იყო შაშვი მგალობელი“, ლეგენდურობის ხიბლიც რომ გადაჰკრავს.


ასეთივე ლეგენდურობა შეეზავება გუგა კოტეტიშვილის სახესაც.

ვითომ ისეთიც რა — ოდნავ აწურული ცალი მხარი.

არადა, სწორედ ამ აწურული მხრის გარშემო ტრიალებს გმირის ხასიათი, ასეთი კოლორიტული და გამორჩეული, ცალკეულ ნამებში უამრავი განცდის ჩანურვაც რომ შეუძლია და... შენს ყველაზე ახლობელ ადამიანებსა და პერსონაჟებს შორის ისე ძალდაუტანებლად იმკვიდრებს ადგილს, თითქოს იმთავითვე მოგყვებოდეს თანამგზავრად — ასერიგად ნაცნობი და ასერიგად იღუმალი, მწვავედ რომ შეგახსენებს შენი ზნეობრივი ბირთვის, შენი კაცობის ლამაზი არსის გადარჩენის აუცილებლობას.

საბა სულხანიშვილი

ილია ჭავჭავაძის დაბადების თარიღის დადგენისათვის



საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ერის განვითარებასა და ცხოვრებაში. ძალიან ბევრი ადამიანისთვის უცნობია ის ისტორიულ-დოკუმენტური მასალა, რომელიც დღემდე სწორედ ეკლესიის წყალობით შემოინახა. აქ საუბარია XIX საუკუნის იმ დოკუმენტაციაზე, რომელიც „მეტრიკული ჩანაწერების“ სახელითაა ცნობილი. ჩანაწერები მრავალმხრივ საინტერესოა, რადგანაც წარმოადგენს საქართველოს ყველა მოქმედი ეკლესიის მრევლის დაბადება-ნათლობის, ქორწინებისა და გარდაცვალების ცნობებს მთელი საუკუნის, რეგიონებში კი საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე. ჩანაწერები სრულდებოდა ნათლობისას, ჯვრისწერისას და გარდაცვალებისას. ამჯერად მინდა ყურადღება შევაჩერო ყვარლის იოანე ნათლისმცემლის შობის ეკლესიაში, 1837 წლის 26 იანვარს გაკეთებულ ჩანაწერზე, რომელიც ილია ჭავჭავაძის დაბადების თარიღს ჰყენს ნათელს.

როგორც ცნობილია, 1837 წლის 8 ნოემბერს (ახალი სტილით) და 23 ოქტომბერს (ძველი სტილით) დაიბადა ილია ჭავჭავაძე. ამ ჩანაწერის თანახმად კი გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს თარიღი არასწორია. ვინაიდან 1837 წლის 26 იანვრის გაკეთებულ ჩანაწერში ვკითხულობთ: „ნიგნი მიცემული საქართველო-იმერეთის უწმინდესის მმართველის სინოდის კანტორიდან თელავის უფლის სოფლის ყვარლის იოანე ნათლისმცემლის შობის შტატის ეკლესიასა შინა კრებული-სადმი, ჩასაწერად დაბადებულთა, ქორწინებით შეუღწეულთა და გარდაცვალებულთა ჩეფხ (1837) წლისათვის (საერთო სათაურით)“.

ხოლო შემდეგ იკითხება: „იანვრის ოცში, ამავე სოფლის მცხოვრებელს, თავად

პორუდჩიკს გრიგოლ პაატას ძეს ჭავჭავაძეს და სჯულიერსა ცოლსა მისსა მაგდანას ქრისტეფორეს ასულს დაებადათ ვაჟი ილია. სახლი განუნათლეს და ნათლისცემა სრულეყავ ამავე სოფლის (ყვარელი) იოანე ნათლისმცემლის შობის ეკლესიის მღვდელმა დანიილ იოანეს ძემ ზურიევმან. ნათლისღების დროს იყო ამავე ეკლესიის მნათე მოსე ივანეს ძე ფხოტი-აშვილი. მიმრქმელად იყო თელავის უფლის სოფელს ქისტაურის მცხოვრებელი, გარდაცვალებულის თავადის, გიორგი ერისთავის მეუღლე ნინო მალხაზის ასული“ (საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი; ფონდი 489; საქმე 301).


გრაფაში „რიცხვი მონათვლის დღისა“ ჩანწერილია „კვ“, რაც ნიშნავს 26.

ამრიგად, ვხედავთ, რომ ნაცვლად ჩვენთვის ცნობილი თარიღისა, თავადი ილია ჭავჭავაძე დაბადებულა 1837 წლის 20 იანვარს, მონათლულა იმავე წლის 26 იანვარს და შესაბამისი ჩანაწერიც ამავე დროსაა გაკეთებული.

იმვით შემთხვევებში მსგავსი ტიპის ჩანაწერი შესაძლოა არ შეესაბამებოდეს რეალობას და დაბადების თარიღი არასწორად იყოს ჩანწერილი, ეს მაშინ, როცა ბავშვის დაბადებიდან ნათლობამდე რამდენიმე თვეა გასული. ჩვენს შემთხვევაში კი დაბადებისა და ნათლობის თარიღებს შორის ექვსდღიანი შუალედი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორივე თარიღი გარკვევით იკითხება და წაკითხვის ცდომილებაც გამოიწვევია. აგრეთვე ფაქტია, რომ სხვა ილია ჭავჭავაძე 1837 წელს არ დაბადებულა ყვარელში. თუ დავეუშვებთ, რომ ჩვენთვის აქამდე ცნობილი თარიღი — 1837 წლის 23 ოქტომბერი — რეალურია, იბადება კითხვა: როგორ შეიძლება საეკლესიო „მეტრიკულ ნიგნში“ მომხდარიყო ჩანაწერი ილია ჭავჭავაძის დაბადებისა და ნათლობის შესახებ მის დაბადებამდე თითქმის ათი თვით ადრე?

სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ ცნობა ილიას დაბადების თარიღის შესახებ ჩვენამდე არასწორადაა მოტანილი. უმჯობესი იქნება თუ ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეს ზუსტად იმ თვესა და რიცხვში, 20 იანვარს, ვიზეიმებთ, როცა იგი დაიბადა.

ქეთევან პავუნაშვილი



არა ორიბინალი, არამედ თარგმანი

1987 წელს გამოვიდა ილიას თხზულებათა I ტომი. აქ დაბეჭდილია სანტიმენტალური ლექსი „მოთქმა საწყლისა“. ამ ლექსზე ჭაბუკი მოშიარის მუშაობა დაახლოებით დაემთხვა მამამისის გარდაცვალებას და მკვლევარები ტექსტს მაინცადამაინც ამ ამბავს უკავშირებენ. კომენტარებში (გვ.523) უცნაურ რასმე ვკითხულობთ: თუკი შინაარსს დავეყრდნობოდით და ვირწმუნებდით, რომ მასში ასახულია რეალობა, მაშინ დაწერის თარიღის ფართო არეალი (1840-1850) უფრო დავინროვდებოდა: ის დაინერა 1852 წლის მერე, როცა ილია მამითაც დაობდა.

მოგვიანებით ეს იდეა გაიზიარა გურამ შარაძემაც.

უფრო საგულისხმოა კომენტარის მეორე ნაწილი:

„მაგრამ ლექსის ასეთ ბიოგრაფიულ ინტერპრეტაციას ადვილად შესაძლებელია შეცდომაში შევყვანეთ, რადგან ამ ლექსში ისეთი ფაქტებიც არის წარმოსახული, რომლებიც ილიას ცხოვრებაში არასდროს მომხდარა, ასე, მაგალითად: ილიას ყრმობის პერიოდში არ ყოფილა მომენტი, რომ მას არ ჰყოლოდა „შემნახავი“, არ ჰქონოდა სახლ-კარი თუ თავშესაფარი, და ლუკმაპურის სათხოვნელად კარ-კარ დასჭირვებოდა სიარული“.

მეც მანდა ვარ!

კომენტარის მეორე ნაწილი ცამდე მართალია, ხოლო ამ ლექსს არავითარი კავშირი არ აქვს 1852 წელსა და ავტორის მამის გარდაცვალებასთან.

მოკლედ მოვჭრათ:

გერმანელმა სანტიმენტალისტ-პრერომანტიკოსმა ლუდვიგ ულანდმა დაწერა „ბოსიაკური“ ლექსი „Das lid“ („სიმღერა“); უსახლკარო, ბოგანო „ბოსიაკი“ უთავბოლოდ დაეხეტება; ხედავს სხვის სასახლებს, ქონებას, სიმდიდრეს, მაგრამ გულში ბოღმა და შური მინც არ უჭაჭანებს. ის იმითაც კმაყოფილია, რომ საიქიოში ერთნაირად მიიღებენ მასაც და მდიდარსაც.

ეს ტექსტი გადმოიღო რუსმა მგოსანმა ვასილი შუკოვსკიმ. მას ეწოდება „Песня бедняка“. შუკოვსკის საქართველოში აღმერთებდნენ. განსაკუთრებით მოსწონდა იგი გრიგოლ ორბელიანს. შემთხვევითი როდია, რომ „სადღეგრძელო“ რუსი ავტორის პოემის ქარგაზეა აგებული; თვითონ გრიგოლმა მიანერა მას: „ნაბაძვა შუკოვსკისა“.

მითითებული სანტიმენტარბი ლექსი ჟურნალ „ცისკრის“ მკითხველთ ძალიან მოსწონდათ, რაკილა 1850-1860-იანი წლების ქართველ საზოგადოებაში სანტიმენტალური გრძნობიერება სჭარბობდა.

ამიტომაც შემთხვევითი როდია, რომ მითითებული ტექსტი, სულ ცოტა, სამმა ქართველმა მაინც გადმოიღო. ლიტერატურის ერთმა მოყვარულმა თავისი თარგმანი დაბეჭდა „ცისკრის“ სწორედ იმ ნომერში, სადაც გრიგოლ ორბელიანის რამდენიმე ტექსტიც იყო მოთავსებული. ეტყობა, ამან უბიძგა გრ. ორბელიანს, რომ შესდგომოდა „პესნია ბედნიაკას“ თარგმნას. ამ მცდელობის შედეგია „მუშა ბოქულაძე“.

ძირითადი იდეა აქაც იგივეა: მართალია, მე არაფერი მაბაძია, სხვებს ყველაფერი აქვთ, მაგრამ გულში შური და ბოროტება მაინც არ მიდულს. იქ, „მუნ“, ხომ მაინც თანასწორნი ვიქნებით. ეჰ, ძმავ, წადი შენ შენს გზაზე და მე ჩემს ბარგს როგორმე იქ მოვიხსნი, სადაც ვიქნებით თანასწორნი საუკუნოს განსავენსა ალაგსა!

მესამე ავტორი, რომელმაც ამ ლექსის გადმოთარგმნა სცადა ეს გახლავთ ჭაბუკი ილია. როგორცა ჩანს, მას წაუკითხავს „ცისკრის“ ის ნომერი, რომელშიც შუკოვსკის ქმნილების თარგმანი იყო გამოქვეყნებული და სურვილი აღძვრია, თავადაც ეთარგმნა იგი.

მაშასადამე, „მოთქმა საწყლისა“ გახლავთ არა ორიბინალური, არამედ გადმოკეთებული, თავისუფლად თარგმნილი „პესნია ბედნიაკა“.

სხვათა შორის, ამგვარად გადმოკეთებული ლექსები ილიას სხვაც ბევრი აქვს. მაგალითად: „მიბაძვა ჰეინესი“, „სიხარული“ (მიბაძვა) და სხვა.

მურმან თავდიშვილი

გურამ პეტრიაშვილი

ბავშვები

(წინათქმა)

საერთოდ, ასე ხდება: მწერალს გაუჩნდება რალაც იდეა ან მხატვრული ჩანაფიქრი, გადაწყვეტს ნაწარმოების შეთხზვას, დაისახავს გარკვეულ გეგმას და შეუდგება მის განხორციელებას. მაგრამ ის, რაც ახლა მინდა შევთავაზო მკითხველს, სულ სხვაგვარად განდგარა რაიმე იდეა მქონია, არც მხატვრული ჩანაფიქრი და ისიც კი არ ვიცოდი, რომ თურმე წიგნის წერას ვინყებდი. უბრალოდ ერთხელ ჩემი უბის წიგნაკში ეს ორი ჩანაწერი გავაკეთე:

„6 დეკემბერი, 1969 წელი.

ადამიანი დაიბადა. იგი იწყებს სიცოცხლეს წონით 3 ათას რამდენილაც გრამი და სიგრძით 51 სანტიმეტრი.

მეტი მის დასახასიათებლად ჯერჯერობით ვერაფერი ითქმის. შეიძლება კიდევ ის ითქვას, რომ ტირის და თვალებს აფახულებს“.

„18 დეკემბერი, 1969 წელი.

გუშინ ვნახე პირველად ჩემი გოგო.

შვილი!

ღმერთო დიდებულო, რა ყოფილა ეს საოცარი გრძნობა.

უნდა გამოვუტყდე ჩემს თავს, რომ აზრადაც არ მომსვლია, თუ ასე ამაღლევადა ეს პატარა უსუსური არსება-ჩემი შვილი.

მთელი დღეც და ღამეც თავზე დავკანკალებდი.

საშინლად მტკიოდა კბილი და კედლებზე მინდოდა ასვლა, მაგრამ კბილი მაკინცებოდა, ის რომ დაიწყებდა ტირილს“.

ბავშვს, რა თქმა უნდა, სახელი სჭირდებოდა.

ჩემი მეუღლე სანახევროდ ბებიის გაზრდილი იყო და მოინდომა მის პატივსაცემად ოლგა დაერქმია შვილისთვის. სიამოვნებით დავეთანხმე, რადგან ასე ერქვა ჩემს ერთერთ უსაყვარლეს ადამიანს ამ ქვეყნად-მამიდა-ჩემს. ქართულად მისი სახელი ასე ჟღერდა — ოლგა მამიდა.

მოსაფერებლად ჩემს შვილს ოლიკო ერქმეოდა. ძალიანაც კარგი...
ოლიკოს დაბადებამ შეცვალა ჩემი არსება. ვგრძნობდი, რომ უფრო ყურადღებიანი, გულისხმიერი და მიმტვევებელი გავხდი. ხოლო ჩემს მიზნებს, ამოცანებსა და საზრუნავებს დავმატათ, ალბათ მთავარი, რომ მუდამ კარგად მყოლიყო ოლიკო და არაფერი დამავებოდა. ამასთანავე იგი ვახდა ჩემი მუდმივი სიხარულის წყარო და თავისთავად მოხდა ისე, რომ უბის წიგნაკში ვინერდი ყველაფერს, რაც ჩემის აზრით მნიშვნელოვანი იყო შვილის

ცხოვრებაში, რასაც იტყვოდა საინტერესოს, რასაც მოი-
მოქმედებდა ყურადღების ღირსს...

აქ უნდა ვთქვა, რომ მეტად უიღბლო იყო ჩვენი მამა-
შვილობის დასაწყისი:

არა გვექონდა შესაძლებლობა, რომ ერთად ვყოფილიყა-
ვით...

ჩემი მშობლები სკოლის მასწავლებლები იყვნენ. თან
მამაჩემი განათლების სფეროში ცნობილი იყო, როგორც
კარგი დირექტორი და მას ხან საქართველოს ერთ რაიონში
გადაისროდნენ, ხან მეორეში. ვერ იყო პრაქტიკული კაცი.
რაჭაში ბაბუაჩემის დანატოვარი სახლი გაყიდა, მაგრამ სა-
მაგიეროდ ვერსად ვერაფერი შეიძინა.

ოლიკო რომ დაიბადა, მამაჩემი დიდი ხნის გარდაცვლი-
ლი იყო, დედაჩემი კი მუშაობდა სოფელი დიდი ლილოს
ფოსტის გამგედ და შეკედლებული იყო ფოსტის შენობაში.
პატარა ბავშვის გასაზრდელად იქ არავითარი პირობები არ
იყო, ამიტომ ოლიკო თავიდან იზრდებოდა უკრაინის ქალაქ
ჩერნიგოვში, ჩემი სიმამრის ოჯახში.

მე, ცხადია, მეშინოდა, ბავშვი არ გამირუსდეს მეთქი და
სულ იმის მცდელობაში ვიყავი, რომ ჩემთან მყოფოდა. მაგ-
რამ რამდენჯერაც ჩამოვიყვანე საქართველოში, იმდენ-
ჯერვე ავად გამიხდა ელემენტარული საყოფაცხოვრებო
პირობების უქონლობის გამო.

საერთოდაც, მაშინ მძიმე მქონდა ცხოვრება. თან შორ
სოფელში ვმასწავლებლობდი, თან ვცდილობდი თავი და-
მემკვიდრებინა ლიტერატურაში...

მეუღლე და მე ვქირაობდით იაფად ღირებულ ოთახებს,
ხან ცალკე ხუხულებს, ხან კი ვინმეს ბინაში. თბილისის
თითქმის ყველა რაიონი მოვიარეთ ასე.

როგორც კი შესაძლებლობა მომეცემოდა, შვილთან
მივფრინავდი. მაღლობა ღმერთს, მაშინ თვითმფრინავის
ბილეთი მრავალჯერ უფრო იაფი იყო, ვიდრე ახლან.

რომ ჩავიდოდი, სულ ოლიკოს გვერდით ვიყავი. ქართუ-
ლად ველაპარაკებოდი, ქართულ ლექსებს ვუკითხავდი, ვას-
წავლიდი ცალკეულ ქართულ სიტყვებს და ძილის წინ ქართულ
„იავენანა“-ს ვუმღეროდი...

ჩემმა ჯახირმა შედეგი
გამოიღო:

ოლიკო სამი წლის რომ
იყო და რუსულ საბავშვო
ბაღში დაჰყავდათ, ბავშვებმა,
მათი ქუთით, გავაბრაზებოთ,
და ძახილი დაუწყეს „გრუზინ-
კა, გრუზინკა“-ო (ქართველო,
ქართველო). ოლიკომ კი
მშვიდად მიუგო: დიას, ქარ-
თველი ვარ. მამაჩემი ქართვე-
ლია. აბა, მითხარით, თქვენს
შორის ვისა ჰყავს ქართველი
მამაო.

ეს ხომ კარგი, მაგრამ
ბავშვი სწრაფად იზრდებო-
და და რაც შეიძლება მალე
უნდა მომეწყვიტა რუსული
გარემოსთვის. ამიტომაც
დაახლოებით ხუთი წლის
ასაკში ოლიკო ჩამოვიყვანე

ლილოში და გადავწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა,
ალარ მომეცილებინა გვერდიდან.

თავიდან იყო უსიამოვნო დღეები, როცა ქართველ მწე-
რალს შვილი „პაპას“ მეძახდა, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრ-
ძელებულა. ოლიკოში იმძლავრა ქართულმა ჯიშმა. იგი და-
ინტერესდა ყველაფრით, რაც ქართულია, დაუამხანაგდა
თანატოლ გოგონებს და მათთან თამაშში და ურთიერთო-
ბაში სამიოდე თვეში მშვენიერი ქართულით ალაპარაკდა.

1976 წელს უფროსი კოლეგებისა და განსაკუთრებით
იოსებ ნონეშვილის დიდი მონდომებითა და მეცადინეობით
მწერალთა კავშირმა ბინები მოგვცა ეგრეთ ნოდებულ ახალ-
გაზრდა მწერლებს და, როგორც იქნა, ნორმალური საყო-
ფაცხოვრებო პირობები შემექმნა ბავშვის გასაზრდელად.

1983 წელს დაიბადა ჩემი უმცროსი ქალიშვილი ირინე.
იმ დროისთვის ასე თუ ისე აწყობილი მქონდა ცხოვრება და
მატერიალურადაც უკეთ ვიყავი.

ირინე სულ გვერდითა მყავდა და ამიტომ არაა გასაკვირი
თუ ჩანაწერები მასზე გაცილებით მეტია, ვიდრე ოლიკოზე...

მერე იყო და უგუნურმა, სულგაყიდულმა და სიმდიდ-
რეს დახარბებულმა ქართველებმა ანენ-დანენეს საქარ-
თველოს ცხოვრება და ათასი უბედურება დაგვატყუეს თავს
თანამოძმეებს.

მე იძულებული შევიქნენ სამშობლო დამეტოვებინა.
ცხადია, შვილების ჯავრი მქონდა პირველ რიგში.

ოლიკო უკვე გათხოვილი იყო და მას ჰყავდა დამცველი —
მისი ქმარი, შესანიშნავი ქართველი ვაჟკაცი ლევან ხახიაური.
ირინე კი თან წამოვიყვანე.

გადაგვხდა მრავალი თავგადასავალი, მათ შორის სახი-
ფათოებიც...


და ისევ ჩემმა სიმამრმა შეგვიკვებდა ჩერნიგოვში.

ირინემ უკრაინულ სკოლაში განაგრძო სწავლა და... მის
სულს ბავშვობის ბოლო წლებში იგივე საფრთხე დაემუქრა,
რაც ოლიკოს სულს ემუქრებოდა მისი ბავშვობის და-
საწყისში — საფრთხე გარუსებისა.

მაგრამ ირინე, ისევე, როგორც თავის დროზე მისი უფრო-
სი და, მტკიცედ და ღირსეუ-
ლად დაუხვდა საფრთხეს:

უკრაინულ სკოლაში მის-
ვლისთანავე თანაკლასელებ-
მა დაცინვა დაუწყეს ირინეს
„გრუზინკა, გრუზინკა“-ო.
ირინემ უპასუხა: დიას! ქარ-
თველი ვარ და ვამაყობ ამით!
თქვენ კი რა გეშველებათ,
თქვე უბედურებო, რომ ვერ
გაგიგიათ ვინა ხართო (საქმე
ისაა, რომ ჩერნიგოვი ძალიან
გარუსებული ქალაქი იყო და
თუმცა სწავლება უკრაინუ-
ლად მიდიოდა, ბავშვები ერ-
თმანეთს რუსულად ელაპა-
რაკებოდნენ).

ვცხოვრობდით მთლად
უცხო გარემოში ორი ემიგ-
რანტი — ირინე და მე. და
გვყავდა ერთადერთი მფარ-
ველი და გადამრჩენელი —



ქართული ენა. იგი გვყავდა სანაცვლოდ სამშობლოსი, მშობლიური გარემოსი, ახლობლებისა და ყველაფრისა, რაც ქართულია...

როცა ირინე თოთხმეტი წლისა გახდა, და ბავშვი უკვე აღარ ეტყმოდა, აუტანლად მოენატრა საქართველო და, განსაკუთრებით, თავისი და-დისშვილები (უმცროსი მათგანი ანუ გურამი არც ირინეს და არც მე საერთოდ არა გვყავდა ნანახი).

გავაფრინე ირინე თბილისში...

როცა დაბრუნდა, უამრავი საინტერესო ამბავი ჩამოიტანა. და მათ შორის ყველაზე ძვირფასები: ჩემი შვილიშვილების ამბები.

სანდროსა და გურამის ამბები, რა თქმა უნდა, საგულდაგულოდ ჩავიწერე.

მერე წაიკითხე ოლიკოსა და ირინეს ამბებთან ერთად.

ბოლოში რომ გავედი, სრულიად ჩამომიყალიბდა აზრი, რომელიც, ეტყობა, დიდი ხანია მნიფდებოდა ჩემში, რომ შეიძლება მკითხველისთვისაც საინტერესო ყოფილიყო ეს ყველაფერი.

ჰოდა, გადავწყვიტე გამეკეთებინა წიგნი.

ამისთვის ჩანაწერები ქრონოლოგიურად დავალაგე და ყოველ თარიღს მივუწერე, თუ რა ხნისა იყვნენ იმ მომენტში ჩემი შვილები. არაფერი მიმიატებია და არაფერი შემიცვლია, მხოლოდ სტილისტურად გავმართე წინადადებები, სადაც ეს საჭირო იყო.

გთავაზობთ წიგნს იმის იმედით, რომ საჭირო საქმე გავაკეთე.

ეს ჩანაწერები ალბათ გამოადგებათ იმ მეცნიერებს, რომლებიც ბავშვთა ფსიქოლოგიას იკვლევენ. მათთვის საინტერესო იქნება კონკრეტული ფაქტები იმისა, თუ რა ასაკში როგორია ბავშვის ცნობიერება, როგორ ეცნობა იგი გარე სამყაროს და როგორ ასახავს ამ სამყაროს ენით.

აქვე უნდა ვთქვა, რომ ჩემი მთავარი მიზანი მაინც ისაა, რომ გავუადვილო არჩევანი იმ ქართველ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, რომლებსაც ვერ გადაუნყვებიათ, შექმნან ოჯახი, თუ არა. კი უყვართ ერთმანეთი, მაგრამ აშინებთ პრობლემები (ძირითადად მატერიალური), რომელთა დაძლევაც მოუწევთ, თუ ერთად იცხოვრებენ.

მინდა ვუთხრა მათ:

ჩემო კარგებო, საყვარლებო და ძვირფასებო!

რომც არ დაოჯახდეთ, პრობლემები მაინც უამრავი გექნებათ. ასეთია ცხოვრება!

მესმის, რაც გაშინებთ. თუ დავოჯახდით, შვილები გვეყოლება და ათი ათასი საზრუნავი და სადარდელი მოგვემატებაო. ეგეც მართალია.

მაგრამ საზრუნავებთან ერთად წინ გელით მრავალზე მრავალი სიხარულები.

ამ ჩანაწერებს რომ წაიკითხავთ, უსათუოდ იგრძნობთ, რომ მუდამ სიხარულით ავსილი ვინერდი შვილების ამბებს, ხშირად კი — ბედნიერიც!



სტანისლავ ეჟი ლეცი

ადამიანის არჩევანი — პოლომდე ადამიანად დარჩეს

ენის შესახებ

მეუბნებიან, მწარე და მჩხვლეტავი ენა გაქვსო. მე მათ ენას ვუჩვენებ და ვეუბნები: აი, ნახეთ, ჩვეულებრივი, პოლონური ენაა! მჩხვლეტავია, რამდენადაც პატრონის საკუთარ აზრებს გამოთქვამს. მაგრამ საკმარისია ვინმეს მლიქვნელობა დაუწყოს, რომ მაშინვე დაბლაგვდება.

ფილოსოფოსის ამოცანა

სხეულს მცირეოდენი სული მაინც ჩაბეროს.

ორივე მხარე

მედლის ორივე მხარე ერთი და იმავე მეტაფიზიკისგანაა გამოჭედილი

ერთობა

საწყალი სული: მას და სხეულს ერთი და იგივე კუჭი აქვთ.

ადამიანის შესახებ

სულს იმიტომ აქვს სხეული, რომ სული სტკიოდეს.

შემრიგებლური „ფრაჰკა“

კეთილი, ბოლოს და ბოლოს, თანახმა ვარ ვიცხოვრო უკუნიითი უკუნისამდე.

დაუპარცხნელი აზრები

პირდაპირ საკვირველია: რა ძნელია ექოს გამოწვევა ცარიელ თავებში.

უცხო ენის ცოდნის გარეშე ვერასოდეს გაიგებ უცხოელის დუმისს.

ყველას როდი უხდება სიცოცხლე.

ერთი ბრძენი ისეთი ფორმით სცემდა თავვანს ხელისუფალს, რომ იმავდროულად მის მოსამსახურეთათვის ზურგი ეჩვენებინა.

რომ გარდაიცვალა, სრულადაც არ ნიშნავს, რომ ცოცხლობდა კიდევ.

ზუსტად 95 წლის წინათ, 1909 წელს, დაიბადა ცნობილი პოლონელი მწერალი და ჟურნალისტი, პოეტი და დრამატურგი სტანისლავ ეჟი ლეცი, რომელიც ნაადრევად გარდაიცვალა 1966 წელს.

პოლონელი ხალხი სათუთად უფრთხილდება მის ხსოვნას. მათ განსაკუთრებით უყვართ და ახსოვთ ლეცის აფორიზმები: „ყველაფერი ადამიანის ხელთაა. ამიტომ საჭიროა კარგად და ხშირად დავიბანოთ ისინი,“ – აი, ერთ-ერთი აფორიზმი იმ თითქმის ორი ათასამდე ნიმუშიდან, რომლებიც მწერალმა შექმნა და შთამომავლობას დაუტოვა.


აფორიზმებს პოლონურ ენაზე „ფრაშკები“ ეწოდება. ლეცის ფრაშკები განსაკუთრებით პოპულარული იყო II მსოფლიო ომამდე, ვიდრემდე მისი სამშობლო დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა და საბჭოეთის ხელში მოხვდებოდა.

ლიტერატურის ამ ჟანრს პოლონეთში საფუძველი ჩაუყარა XVI საუკუნის გამოჩენილმა მწერალმა და მოაზროვნემ იან კოხანოვსკიმ. მის ამოსავლად იქცა ლათინური ეიგრამები და პოლონურ ეროვნულ ანდაზათა ნაჯვარი. „ფრაშკები“ განსაკუთრებით ლეცის ხელში გამდიდრდა და დაიხვეწა.

თავის აფორიზმებში (ლირიკაშიც, სატირაშიც) ლეცი გვევლინება უდიდეს ჰუმანისტად, რომელიც უმღერის ადამიანის ამაღლებულ იდეალებს და ეზიზღება ნიჰილისტური განწყობილება, ცდილობს მხარში ამოუდგეს სუსტებს, საზოგადოებისგან გარიყულ ადამიანებს.

ლეცი ერთხანს რედაქტორობდა სატირულ ჟურნალ „შპილკს“, შემდეგ იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ვენის საელჩოს ატაშე პრესისა და კულტურის საკითხებში.

სიცოცხლის ბოლო წლები ვარშავაში გაატარა. აქ იგი კაფეში, ტრამვაიში, ქუჩაში იწერდა თავის „ფრაშკებს“, აფორიზმებს, ლირიკულ მინიატურებს. აქვე გარდაიცვალა. მის დაკრძალვაზე პოლონელ ჯარისკაცთა ასეული აძლევდა სალუტს ყოფილი პარტიზანის, ომში გამოჩენილი გმირობისათვის მრავალი ორდენის კავალერის საფლავთან.



შეიძლება პირი გაალო აღფრთოვანებისაგან, მაგრამ მთქნარებით დახურო.

ყოველ საუკუნეს აქვს თავისი შუა საუკუნეები.

ოპტიმიზმი და პესიმიზმი ოდენ სამყაროს აღსასრულის ზუსტ თარიღის განსაზღვრაში ვერ თანხმდებიან.

თქვენ ფიქრობთ, რომ ავტორმა ცოტა რამ ილონა? მან დაბლა დასწია მწერლობის საერთო დონე.

ძროხა თუ გინდა სულ კაკაოთი კვებე, შოკოლადს მაინც ვერ მოინველება.

სეზამ, გააღე, მე გასვლა მინდა!

პურიტანებს ლეღვის ორი ფოთოლი უნდა ჰქონდეთ გამუდმებით თვალეზზე აფარებული.

ცხოვრება შუაზე გაიხლიჩა. და ახლა თითოეულს აქვს ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, ძალზე სასიამოვნო ცხოვრება.

თუკი იტყვი: „ამქვეყნად არაფერია წმინდა“ – ამაზე ათეისტებიც კი ნანწყინები დაგრჩებიან.

ისინი დიდი სიამოვნებით ატარებდნენ მკერდზე წარწერას იმ ფასის შესახებ, რა ფასადაც მათი ყიდვა შეუძლებელი იყო.

მასში იგრძნობოდა რაღაც საშინელი სიცარიელე, რომელიც კიდებამდე იყო გადავსებული განსწავლულობით!

მოშალეთ ძეგლები, მაგრამ შეინარჩუნეთ კვარცხლბეკები. რა იცით, როდის გამოგადგებათ.

მე მირჩევნია წარწერა: „შესვლა აკრძალულია“, წარწერას: „გასასვლელი არაა“.

აზრები, როგორც ბალნეოლოგიები, ხტებიან ერთი ადგილიდან მეორეზე, მაგრამ ყველას როდი კბენენ.

ეს, რა კარგი იქნებოდა „განტყვევის ვაცის“ მოწვევლაც რომ შეიძლებოდა.

ნუ უკიყინებ კრეტინს შედეგრი დაწეროს. მას რომ ეს მართლაც გამოუვიდეს?!

როდესაც ქარი არა ქრის, სახურავზე დამაგრებული ფლიუგელიც აჩვენებს ხოლმე თავის ხასიათს.

**პოლონურიდან თარგმნა
ამბროსი გრიშჩაკაჰვილია**

დაიბადა 1989 წლის 10 სექტემბერს სოფელ მულახში (მესტიის რაიონი). აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და 2007 წელს ჩააბრა თბილისის აგრარულ უნივერსიტეტში, ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა 2011 წელს. მისი პირველი მოთხრობა „გაზაფხული“ დაიბეჭდა 2012 წელს გაზეთში „გალაკტიონი“. წერს ნოველებსა და მოთხრობებს.

მხატვრის თვალი აქვს. ფერმწერის თვალით უყურებს ცხოვრებას, ადამიანებს, საგნებს, მოვლენებს, თუმცა მისი მოთხრობები ფერთა სიმრავლით არ გამოირჩევა, აქ უფრო შავ-თეთრი ჭარბობს. ისევე გასაგებია. როგორც არის ცხოვრება, ისეთია პროზის პალიტრა. ყოფიერება კარნახობს არამართო თემებსა და მოტივებს, არამედ სტილსაც.

განსაკუთრებით პორტრეტის ხატვა ემარჯვება. პერსონაჟის მხატვრულ სახეში აქსოვს სათქმელს. ყოველდღიურობას ადამიანის სულის სარკეში არეკლავს, როგორც მხატვარი „ზიბე“, მეტროპოლიტენის შემოქმედი, რომელიც მოკისკისე გოგონების თვალში ჯვარცმას ხედავს.

გიორგი გუჯეჯიანი ნიჭიერი ახალგაზრდაა, როგორც ყველა დებიუტანტი, ისიც ეძებს საკუთარ გზას, საკუთარ თავს და, იმედია, ძიების პროცესში, მეტ ყურადღებას დაუთმობს მხატვრული აზროვნების საფუძველთა საფუძველს — ენას.

გიორგი გუჯეჯიანი

მეტრო

მეტროს ვაგონში რამდენიმე კაცი იდგა ფეხზე. ისინი ჩაფიქრებული სახით ათვალიერებდნენ ირგვლივ ყველაფერს. ხშირად გახედვდნენ საკუთარ თავს მოპირდაპირე კარებში არეკლილ მინაზე და ერთხანს უყურებდნენ. შეიძლება რაღაც შეეცვალათ საკუთარ გარეგნობაში. ბოლოს გულგრილად სწვევდნენ მზერას იქაურობას და ისევ ჩაფიქრდებოდნენ. ზოგიც მოთმინებით იდგა, ზოგსაც ჩამოჯდომა სურდა, მაგრამ ადგილი აღარსად იყო. გრძელ სავარძლებში ერთი-მეორის მიყოლებით ჩამომჯდარიყო ხალხი. მატარებელი ხმაურით მიდიოდა. ვაგონში მრავლად იყო გაკრული რაღაც განცხადებები, რეკლამები და სხვა მისთანები. ხალხი ხშირად კითხულობდა მათ, უფრო მონყენის გამო. ახლაც მგზავრთაგან ერთ-ერთი ინტერესით მისჩერებოდა თეთრ ქალაქს, რომელზეც ეწერა:

— თუ ნააწყდით უკანონობას, მაშინვე დაგვირეკეთ ნომერზე!..

მგზავრმა რამდენჯერმე ჩაიკითხა ქალაქი და თითქოს უკმაყოფილო, კვლავ მიეყრდნო კარებს.

რუხი ფერის ბატინკები ეცვა. შავი, ჭუჭყიანი შარვალი და ბუსუსებიანი, ჩალისფერი ჯემპრი. უცნაური სახე ჰქონდა. იმდენად მიაბიტი, რომ კაცს ლენჩი ეგონებოდა. ქვედა ყბა მკვეთრად ჰქონდა შენეული, ზედა კი, ცხვირის ჩათვლით, ზევიდან დაჰყურებდა მას. ტუჩები ტალღისებურად ჰქონდა დაკლაკნილი და ლაპარაკის დროს ნახევრად ხსნიდა. მარჯვენა კუთხეში ლაპარაკობდა და ოდნავ ჩლიფინებდა. მსუქანი ლოყები ჰქონდა. ქოსა წვერი ისე ამოსვლოდა, როგორც მივარდნილი ციხის კედლებზე ამოსული ბალახები, საუკუნეები რომ გამოიარა ჟამთასვლაში. თავზე ბორდოსფერი, სპორტული ქუდი ეხურა. ქუდს ორი კუთხე ჰქონდა. ის ყურიდან, მეორე ყურის მიმართულებით ეხურა. ქუდი ავად გამხდარიყო. ერთიანად ბუსუსები ეყარა ზედ, თითქოს ალერგია სჭირსო. ღრმა, მრგვალ ქუთუთოებს კი მთელი სისასვით ესამებოდა მისი ჭროლა, ჟღალი თვალეები. აი გამოხედვა კი ერთ რამედ ღირდა!.. თითქოს წყალი ჩასდგომოდა თვალეებში. მუდამ როგორღაც მშფოთვარე, ლამის შეძრწუნებამდე მისული იხედებოდა. ინტერესით ათვალიერებდა ყველაფერს. მისი ნაცნობი ბრგე, შავტუხა ვინმე იყო. გაუნძრევლად იდგა მხოლოდ. მატარებელი სწრაფად შეიჭრა სადგურში. თანდათან შეანელა სელა. ბოლოს გაჩერდა. მგზავრები ჩა-

მოსხა და ისევ დაიდრა. ვაგონი უფრო დაცარიელდა. ბოლოში ვილაც ქალი შემოვიდა და მკვეთრი ნაბიჯით წამოვიდა შუა ვაგონისკენ, სადაც ცარიელი ადგილი მოჩანდა. მოჭუტული თვალები ჰქონდა. თეთრი სახე და ცხვირის აქეთ-იქიდან რკალად დაშვებული ორი ნაკვეთი მოუჩანდა. მხარზე კოხტა, ოთხკუთხედი ჩანთა ეკიდა გრძელი ზონარით. ჩამოჯდა თუ არა ჩანთა მუხლებზე შემოიღო და იქიდან შავ საქალაქედში ჩაკრული თაბახები ამოიღო. ბოლოს ფეხი ფეხზე გადაიღო და ხალხის თვალიერებას მოჰყვა. ეს გახლდათ მხატვარი. იგი ხშირად დადიოდა მეტროში და ადამიანებს ხატავდა. მას იცნობდნენ როგორც მხატვარ „ზიბე“-ს. სახეზე არ შორდებოდა მისთვის განუყრელი ღიმილი. ერთი სიტყვით, ეგეც კარგი ბედნიერი ვინმე იყო. მხატვარი „ზიბე“ კარგა ხანს ათვალიერებდა ირგვლივ მყოფთ და ბოლოს ჭროლა შენიშნა. უცებ ღიმილით ააყოლა თვალი და მკვეთრი, თამამი მოძრაობით დაიწყო ხატვა. უნდა გენახათ ჭროლა ამ დროს. თავისი შემოფოთებული თვალებით როგორ გაშმაგებით მისჩერებოდა „ზიბეს“. ხანაც შეგტუხას გადახედვდა და ხანაც მხატვარს. ისე შესცქეროდა თითქოს, ეს ვილაც შემოხეტებულს სასიკვდილო განაჩენს უწერდა ქალაქდზე. მხატვარი ბევრი ფიქრის გარეშე, სულმოუთქმელად ხატავდა. მოპირდაპირე სავარძლის ბოლოში ორი გოგონა იჯდა. ლამაზი, თუმცა ქერქეტები იყვნენ. ერთი რაღაცას ჩასჩურჩულებდა მეორეს და შემდეგ ორივე მოჰყვებოდნენ კისკისს. და ასე კისკისებდნენ გაუთავებლად. ორივე ერთმანეთს ჰგავდნენ. სახე ოქროსფრად უელავდათ და ზედ ამავე ფერის კულულები ეყარათ. მათ პირდაპირ ახალგაზრდა კაცი იჯდა. იგი ახლახან შემოჰყვა გაჩერებას. საშუალოზე ოდნავ მაღალი იყო. შავი შარვალი და ფეხსაცმელი ეცვა, ტანზევით — ზოლებიანი სვიტრი. სადაც ჩაცმული სჩანდა. ქვედაყბა ოდნავ განიერი ჰქონდა. პირი მუდამ მოკუმული. ნაყვავილარი სახე ძლიერ აუშნოებდა. გამხდარი არ ეთქმოდა, თუმცა მხრებში მოკუნტული იჯდა. ერთი შეხედვით საბრალო ვინმე იყო. მავანიდამავანი კიდევაც იფიქრებდა ასე, თუმცა დაკვირვებული თვალი მყის გაარკვევდა მის ვინაობას. იყო ამ კაცის გარეგნობაში ისეთი რამ, რაც უცილობელ სიმართლეს ამხელდა. ეს მისი გამოხედვა გახლდათ. მას ჰქონდა შავი, კუმტი თვალები.



ასე იშვიათად რომ იცვლიდნენ ადგილს. ჩაფიქრებული იჯდა და ყველაფრისაგან ცალკე რჩებოდა. არც არაფერს ენიხანდებოდა უცნობი. გრძელი ნაბიჯებით, დაქნეული ხელებით დადიოდა. ასეთი ადამიანები ვერ აღწევენ საზოგადოების სიღრმეში. გარე-გარე დაეხეტებიან. ეს ალბათ თავიანთ უთქმელ ხასიათს უნდა მივანეროთ. თუმცა რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, გადამწყვეტ დროს სწორედ ისინი ამბობენ მთავარ სათქმელს. მათ აქვთ გაუტყეხელი გული. ყველა და ყველაფერი შეიძლება გატყედეს, მაგრამ ვაჟკაცის გული არა.

მატარებელი ხმაურით მიდიოდა. ისევ სწრაფად შეიჭრა მორიგ სადგურში, შემდეგ შეანელა და მგზავრები ჩამოსვა. კვლავ დაიძრა. ამჯერად მათხოვარი ბიჭი შემოვიდა კარებში. მას ფეხდაფეხ მოჰყვა ვაჭარი. წინ ბიჭი დადგა. პატარა იყო. მრგვალი, ჭუჭყიანი სახე ჰქონდა. მძიმედ დაეცა მუხლებზე და მჭახედ დაიწყო:

— ობოლი ბიჭი ვარ, ღარიბი, ლატაკი და!..

გაჰკიოდა იგი. მისი ხმა სავსებით ფარავდა მატარებლის გუგუნს.

— ვზივარ დაჩოქილი ხატების წინაშე და!.. — აქ პაუზა გააკეთა მან, შემდეგ კი ელვისებურად მიაყარა — დეიდებო, ბიძებო, მამიდებო, დამეხმარეთ!..

სახეზე ისეთი მხიარული იერი დაჰკრავდა, ვერაფრით რომ უგებდა მის პროფესიას. ეს ეხმარებოდა კიდევ. ხალხს არაფერი სძულს სიყალბეზე მეტად. რამდენიმე ნაბიჯში ხანშესულმა ქალმა გააჩერა. სჩანდა დიდად არ ეხატებოდა გულზე.

— ხატი რა არის? — მკვახედ ჰკითხა მან.

ბიჭმა ახედა უცნობს.

— ეკლესიაში რომაა, ის! — უპასუხა ცოტა ხნის შემდეგ.

— ჰო, მაგრამ რა არის? — ჰკითხა ისევ ისე.

ბიჭი ჩაფიქრდა.

— ხატი ის არის, ღმერთი რომ არის ხატზე! — უპასუხა ბიჭმა და სახეზე კმაყოფილების ღიმილი აესახა, აქაოდა მოვუჯოკოერო!

— აიი, აიი, აიი! — უკმაყოფილოდ გააქნი თავი ქალმა და ხუთთეთრიანი უგულოდ ჩაუგდო რკინის ყულაბაში.

ბიჭმა მადლობის ნიშნად თავი დაუკრა და წყნარი ნაბიჯით ბოლომდე ჩაჰყვა ვაგონს.

— ქეჩები! — მოისმა გამყიდველის ხმა, ასე მოთმინებით რომ უცდიდა საკუთარ ჯერს. შავტუხა, ახალგაზრდა კაცი იყო. ლაპარაკის დროს მეტად ალებდა პირს და დაწვეტიანი, თეთრი კბილები მოუჩანდა.

— იყიდეთ ქეჩები, ქეჩები იაფად, ქეჩა თბილია, ზამთარი ცივია, გაცივდებით, მაშინ ნამალი ძვირია, თუ გინდათ სით-

ბო იყიდეთ ქეჩები. ერთი წყვილი ლარად, სულ იქნებით კარგად! — ჩააბულბულა მან და წყნარი ნაბიჯით დაიძრა — როგორ არ უნდა იყიდოთ ქეჩები, როცა ასეთი გითხარით ლექსები! — დაასრულა ბოლოს და ვაგონს დაჰყვა ბოლომდე. არავის უნდოდა ქეჩები. ისინი სწრაფად გადავიდნენ მორიგ ვაგონში. მხატვარი „ზიბე“ ისევ ხატავდა. თითქოს ენაფებოდა თავის საქმეს. წამდაუნუმ შესცქეროდა ჭროლას. ჭროლაც თავის მხრივ ინტერესით შესცქეროდა მშფოთვარე თვალებით. როგორც ჩანს, „ზიბე“ ბოლო შტრიხებს ავლებდა ნაშრომს. ბოლოს ღრმად ამოისუნთქა და ღიმილით წამოსწია თავი, შემდეგ თაბახი სხვა ფურცლებიდან ამოაცურა და ჭროლას გაუნოდა. ჭროლა თავიდან დაიბნა, თუმცა უმალ მოეგო გონს და ნახატი ჩამოართვა.

— თუ შეგიძლიათ, ცოტა ფული გაიღეთ!.. — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა მხატვარმა.

ჭროლას შემფოთებული თვალები მოულოდნელად წამოენთო და ჯიბიდან ლარიანი ამოაცურა.

— ინებეთ! — გაუნოდა შემდეგ.

ლარიანი, მხატვარს რომ ახლდა იმ კაცმა ჩამოართვა და მადლობა გადაუხადა. ჭროლამ შეხედა სურათს და ღიმილი მოადგა სახეზე. ჩანდა, ძალზედ მოეწონა ნახატი.

დუგ, დუგ, დუგ!.. — ისმოდა მატარებლის ხმა. „ზიბემ“ ხალხი შეათვალიერა და ბოლოს იმ ვაგონებზე შეაჩერა მზერა, გამუდმებით რომ კისკისებდნენ. შემდეგ ფანქარი მოიმარჯვა და

ისევ ისე, სწრაფად დაიწყო ხატვა. ვაგონები აკისკისდნენ და ადგილი შეინაცვლეს. მოშორებით ჩამოსხდნენ. მხატვარს არ შეუწყვეტია. ხატავდა ისევ.

— ხალხნო! — მოისმა ვაგონის ბოლოდან — მე მინდა ქართულ მწერლობაზე გესაუბროთ!..

ხმამალლა ლაპარაკობდა უცნობი. დაბალი, ხანშიშესული კაცი იყო. მისი დასიებული სახე იმას მოწმობდა, რომ სასმელთან ძალზე დაახლოებული უნდა ყოფილიყო. ლაპარაკის დროს ტუჩები ედორბლებოდა. გამოთქმით საუბრობდა, თითქოს მოხსენებას კითხულობსო.

— მე მინდა გამსახურდიაზე მოგახსენოთ. მას ანალოგი არ ჰყავს არც ქართულ და არც უცხოურ მწერლობაში. რამდენიც მან დანერა, ამდენი არავის დაუნერა! ილია ჭავჭავაძე ხომ არის ერის მამა, მაგრამ უკაცრავად და მწერლობაში კონსტანტინე გამსახურდიას ბადალი არ ჰყავს. მარტო დავით აღმაშენებელზე დანერა ოთხი ტომი. დანერაა, ხომ დანერა?!.. დანერა.

აქ ცოტა ხნით შეისვენა მან და ღრმად ჩაისუნთქა. ალელკებული ჩანდა.



მხატვარი ნოდარ ბადურაშვილი

— რამდენი გვერდი დაწერა მან! — დაიწყო ისევ მალა-ლი ხმით — რამდენი სიტყვა!..

— ვაიმე ნუ ხმაურობთ რა, არ შემიძლია, ცუდად ვარ უკვე! — მოისმა მახლობლად მჯდომი ქალის ხმა. იქნებო-და ასე, სამოც წლამდე.

— ჰააა? — გვერდით მდგომ ახალგაზრდა ქალს გადა-ხედა კაცმა.

— ხმაური ანუხებს ქალბატონს, აღარ შეუძლია!.. — აუხსნა იმან.

— ხმაური ანუხებს? — დაბალი ხმით იკითხა კაცმა — აღარ ვიხმაურებთ! ხომ აღარ ვიხმაურებთ, აღარ ვიხმაუ-რებთ!.. მაგრამ ხომ იყო გამსახურდია დიდი მწერალი?! — შეჰკითხა ქალს.

— ალბათ იყო, ალბათ. ოღონდ თქვენ ნუ ინერვიუ-ლებთ! — დაამშვიდა ქალმა.

— ხომ იყო?.. იყო!.. — აქ შეისვენა. ჩაფიქრდა.

— შეილიც კარგი ჰყავდა! — სხარტად დაიწყო ისევ — ზვიად გამსახურდია იყო ნამდვილი პატრიოტი. მან ერი გადაარჩინა. ხომ გადაარჩინა?!.. გადაარჩინა!.. ზნეობრი-ვად გადაარჩინა, მაგრამ ზვიად გამსახურდია პოლიტიკა-ში იყო ფერფლი!.. მას არ აღმოაჩნდა ნიჭი დამპლური. ხომ არ აღმოაჩნდა?!.. არ აღმოაჩნდა!.. სარაჯიშვილია? — ჰკითხა ქალს.

— დიახ, სარაჯიშვილია. — აუხსნა ქალმა.

— ნავედი ახლა მე! — განაცხადა მან და მძიმედ წა-მოდგა, შემდეგ წყნარი ნაბიჯით დაიძრა კარებისაკენ. მა-ტარებელი შეჩერდა. კარები გაიღო.

— რალაც მოსაწყენი მშვიდობაა!.. — დასძინა ბოლოს და ბაქანზე გადააბიჯა. მატარებელი კვლავ დაიძრა. სა-ერთოდ მატარებელი იმ კაცს ჰგავს, ყოველთვის ურად რომ იცვლის სისხლს. ძველი მგზავრები ჩადიან, ახლები ამო-დიან. ისევ ჩადიან და ისევ ამოდიან, ასე განუწყვეტილ-ე. ჩაფიქრებული სახეები, გარინდებული ადამიანები, დინ-ჯი, დარბაისელი კაცები. მშვენიერი ქალები, გოგონები, ბავშვები. ვის არ ნახავს აქ კაცი. აგერ მხატვარიც, ასე გა-აფთრებით რომ ხატავს. ხალხის დაუდგრომელ, შემოიღ-ფუსფუსს ბოლო არ უჩანს. არც უნდა გამოუჩნდეს.

მატარებელი საცაა მომდევნო სადგურში შეიჭრება. აგერ შეიჭრა კიდეც. საცაა გაჩერდება. მხატვარმა „ზი-ბემ“ ლიმილით წამოსწია თავი და თაბახი გაუწოდა გოგო-ნებს. ისინი ყოყმანობდნენ. ბოლოს ერთ-ერთი მიეჭრა და სწრაფი, ლამის უხეში მოძრაობით გამოსტაცა სურათი და შემდეგ ბაქანზე გადავიდნენ. მხატვარი მყის მოჰყვა ხალ-ხის თვალიერებას. გოგონები რამდენიმე ნაბიჯში შეჩერ-დნენ და დახედეს სურათს. უეცრად შეწყვიტეს კისკისი და სახეზე გაოცებამ გადაურბინათ. ნახატზე გამოსახუ-ლი იყო ჯვარცმა. მეტად შთამბეჭდავი ჩანდა ნახატი. გო-გონები ერთხანს შესცქეროდნენ სურათს. ბოლოს ერთ-ერთმა გაულში ჩაიკრა და მატარებლისკენ გაქანდა. თუმ-ცა მატარებელი მძიმედ მიბზუბუნებდა უკვე. ცოტაც და გვირაბში შეიჭრა, შემდეგ კი ხმაურით გაუჩინარდა. გო-გონებმაც განაგრძეს გზა. უთუოდ გაემარჯვა მხატვარ „ზიბეს“. მდუმარე და ჩაფიქრებული ჩანდნენ. ელმავალი ერთიანად ხალხით იყო სავსე. ისევ იახლებდა სისხლს მეტრო. ძველი მგზავრები ტოვებდნენ სადგურს და ახალი მგზავრებით ივსებოდა ბაქანი.

იოსებ ჭუმბურიძე

ჩანაწერები

როგორც უფალი, სამშობლო...

ყველა შედარება არ მოიკოჭლებს. მაგალითად, ეს: „როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა“.

„მკრეხელობა“

მაკა ჯოხაძის, ლევან ბრეგაძის, როსტომ ჩხეიძისა და საკუთარი ნაწერების მიხედვით ლიტერატურულ-პუბ-ლიცისტური კომპოზიცია რომ შევადგინე, ასე დავარქვი: „სამშობლო, როგორც უფალი“... დიდხანს ვყოყმანობდი — მკრეხელობას ხომ არ ჩავდივარ, რაფიელ ერისთავის ლექსს ასე რომ ვცვლი-მეთქი.

მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ მსგავსი „მკრეხელობა“ გაცილებით ადრე ბატონ გია ყანჩელს ჩაუდენია. რამდენ-ჯერ მომისმენია მისი განთქმული სიმღერა („ჰეროი, ბიჭე-ბო, ჰეროი...“) და ვერ შემინიშნავს, რომ იქაც ასეა: „სამ-შობლო, როგორც უფალი“...

კიდევ უფრო მოგვიანებით, სრულიად საქართველოს კა-თოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ არაერთ ქადაგებაში შეახსენა მრევლს ცნობილი ლექსი და ბრძანა, ქართველმა პოეტმა სამშობლო უფალს გაუტოლათ.

დავმშვიდდი.

აი ია

(პოლემიკის მაგიერ)

„პირველი გაკვეთილი „დედა ენის“ ანბანისა აკმაყოფი-ლებს ყოველს პედაგოგიურს მოთხოვნილებასა სასვეებით და უნდა ჩაითვალოს იდეალურ გაკვეთილად და ეს უნდა მიენე-როს ქართული ენის ღირსებასა და არა ჩვენს ოსტატობასა“.

— მარტო ამ სიტყვების (და, რა თქმა უნდა, პირველი გაკვეთი-ლის) გამო უნდა შეირაცხოს წმინდანად იაკობ გოგებაშვილი. ის, რასაკვირველია, წმინდანია.

ეს, უბრალოდ, უნდა გაფორმდეს.

ჰოდა, გავჩუმდეთ?!

„მახსოვს, მწერალთა კავშირში ერთ-ერთ შეხვედრაზე დისკუსიის დროს გურამ ასათიანმა გააკრიტიკა ძველი რეპ-რესიების ეპოქაში მოღვაწეები, თქვა, რომ „გასვრილი“ თაო-ბა იყო. მაშინ ბესო ჟღენტმა წრიბუნიდან გურამს ჰკითხა:

— გურამ, შენ ბერიას თვალეზი გინახავს?!

— საიდან! როგორ ვნახავდი?..

— ჰოდა, გაჩუმდი“...

ამ ეპიზოდს თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძე ისეთ კონ-ტექსტში და ისე იხსენებს, რომ დაუფარავად ეთანხმება... ბესო ჟღენტს („ჩვენი მწერლობა“ 25, 2012).

ვერ ვიტყვი, რომ გამოიკვირდა.

პირველი ოქტომბერი

არჩევნებზე მივდივარ. კართან მეუღლის ხმა მენევა: „გეხვეწები, ბარემ ხელს ნაგავი გააყოლე“. რა თქმა უნდა, თხოვნას ვუსრულებ. მივდივარ საარჩევნო უბანზე. შევდივარ კაბინაში. გადავხაზავ „5“-ს, შემოვხაზავ „41“-ს.

სხვათა შორის?!

2013 წლის 13 იანვარი. საზეიმო წირვა სამების დიდ ტაძარში. ილია მეორე რამდენიმე ქვეყნის პატრიარქთან ერთად. პირდაპირ ეთერში მამა გიორგისა და ზაზა აბაშიძის კომენტარებს ვისმენთ. რუმინეთის პატრიარქის ქადაგებისას, ზაზა ვითომ ისე, სხვათა შორის, ამბობს: „ჩაუშესკუს მმართველობის პერიოდში, ამ ქვეყანაში 17 დიდი მონასტერი აშენდა“.

მივიხვდი, ჩემო ზაზა... ანკი რა მიხვედრა უნდოდა?!

დავანთე სანთელი... (ისევ პოლემიკის მაგიერ)

ავანთე სანთელი და დავინყე შოთა ნიშნიანიძის ლექსებში პოეზიის ძებნა. უმაღლეს ნავანყდი:

ჩიტო, ჩიტო, ოქროს ჩიტო,
ბავშვობისკენ ფრინდი, ფრინდი.
ბონდის ხიდი მაპოვნინე,
ზღაპრის ხიდი...
ოქროს ხიდი.

კვლავ გადავფურცლე:

ჩვენს სახლს, ძვირფასო, სამი კარი აქვს,
სამი ფანჯარა:
მე,
შენ და ბავშვი.

ისევ გადავფურცლე:

მოსე თუ ასე ღვთაებრივია,
შენ რაღა უნდა იყო, უფალო.

ჩაეაქრე სანთელი და ძებნა ისე განვაგრძე:

იმაზე დიდი რა უნდა იყოს,
კაცს თაფლი მისცე,
ღმერთს კი — სანთელი.

კიდევ:

განოლილა ქვაში ხავსად
ყამი ნალაპარი,
ხომ არ გიმხელს ხვაშიაღსა
ქვის გრძნეული ზღაპარი?

კიდევ:

აქ ისეთი სიჩუმეა,
ღვთის ისეთი წყალობანი,
არ იქნება, არ მოგესმას
ანგელოსთა გალობანი...

დავანთე სანთელი...

ბამარჯვეპული დამარცხება

„...თორემ მტერს ისიც კი შეაშინებს, ერთხელ ხმამაღლა რომ ვთქვათ: „მარაბდა“.

ცნობილია, რომ ლადო ასათიანს უთხრეს, მარაბდაში ხომ დავმარცხდითო, და ამ სტრიქონის შეცვლა ურჩიეს. ლადომ არ დათმო.

თერთმეტი წლისა იყო თორნიკე, როცა სკოლაში აფხაზეთზე „თავისუფალი თემა“ დაანერჩინეს. თორნიკემ სწორედ ზემოხსენებული ფაქტი გაიხსენა და დანერა: „ლადო ასათიანმა ლექსი იმიტომ არ შეცვალა, რომ მარაბდის ომი გამარჯვებული დამარცხება იყო, აფხაზეთის ომი კი დამარცხებული დამარცხებაა, რადგან იქიდან გამოვიქეციით“.

ეს ამბავი გამახსენა თამაზ ნატროშვილის ესკიზმა („ჩვენი მწერლობა“ 2; 25 იანვარი, 2013), სადაც აღნიშნულია: „ბრწყინვალე დამარცხებაო — ასე დანერა ბრწყინვალე ქართველმა მკვლევარმა ზურაბ ავალიშვილმა მარაბდის ომზე“.

სახადი

„2003 წელი საქართველოსთვის წარმატებული იყო თუ წარუმატებელი — ეს უახლოეს მომავალში გამოჩნდება და, თუ წარუმატებელი აღმოჩნდება — დიდხანს დაღად დააჩნდება ჩვენს ქვეყანას; და თუ წარმატებული — არც ეს იქნება ძნელი შესამჩნევე. საერთოდ კი, რევოლუციები, რაგინდარა თიკუნით უნდა მოვიხსენიოთ, მძაფრ მოვლენებს იწვევს ხოლმე ქვეყნის ცხოვრებაში და, ღმერთმა ქნას, ეს სიმძაფრე სახადივით მოგვეხადოს“. — ასე უპასუხა გაზეთ „ახალი ეპოქის“ (8 იანვარი, 2004) შეკითხვას პარლამენტის ყოფილმა წევრმა — ქალბატონმა.

რა ჭკვიანური პასუხია — ზომიერიც, ფრთხილიც, გაბედულიც, ნინასწარმეტყველურიც... დღეს ის ქალბატონი პოლიტიკაში არ არის, სამაგიეროდ იქ არის, სადაც ჭკუა უფრო მეტადაა საჭირო.

პოლიტიკამ ნააგო.

ბიზნესმა მოიგო.

სახადს კი თანდათან მოვიხდით...

პირველი ოქტომბრის შემდეგ ვინც კი დაიჭირეს, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა ყველა უცოდველად გამოაცხადეს. მეტიც, ბაჩო ახალაია ცოტნე დადიანსაც (?) კი შეადარეს.

ყოველთვის, როცა ასეთ უტიფრობას ნავანყდები, თვალწინ დამიდგება „დამნაშავე“ ზვიად გამსახურდია — ორგულობითა და ღალატით გაოგნებული, სამშობლოს სიყვარულისთვის დევნილი და ჯვარცმული.

თუ არ მეშლება, ნუგზარ ნიკლაურს ის ცოტნე დადიანისთვის არასოდეს შეუდარებია...

უფნიკვლონი

პიროვნება ერთი ფრაზითაც იცნობა. „მარტო ასაკის ბრალი არ არის, ახლა ცრემლს რომ ვერ ვიკავებ“. — ამ სიტყვებით გამოეთხოვა ორიოდ წლის წინათ ჯუმბერ ჭუმბურიძე თავის მეუღლეს, ცნობილ ექიმს (საქართველოში ბავშვთა ნევროპათოლოგიის ფუძემდებელს) ლილი ჟღენტს.

ამ ერთ წინადადებაში ჩანდა ბატონი ჯუმბერის ბუნება, მისი სიღრმე და ინტონაცია.

რამდენიმე თვის წინათ, თვითონ ბატონ ჯუმბერს რომ ვეთხოვებოდით, იმაზე ვფიქრობდი, თუ რას ეტყოდა იგი დიდებულ თანამეცხედრეს იქ, ცათა სასუფეველში შეხვედრისას.

მაინც როგორ შეხვდნენ ერთმანეთს აქ, დედამინაზე, ასეთი მსგავსნი. როგორ გამოიარეს ქარიშხლები ასე მშვიდად, ასე უმნიკვლოდ...

აი, ექსპერტი?!

2013 წლის 3 იანვარი.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

აკრედიტაციის საბჭოს სხდომა.

განიხილება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი. ექსპერტი — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების სრული (!) პროფესორი დალი ოსეფაშვილი.

ირკვევა, რომ პროგრამა არ ითვალისწინებს ქართული ენის სავალდებულო სწავლებას. ამის თაობაზე კი ექსპერტს გამოთქმული აქვს არა შენიშვნა, არამედ რეკომენდაცია: „სასურველია, ისწავლებოდეს“.

სხდომის წამყვანი (აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე) მიმართავს ექსპერტს:

— ქალბატონო დალი, თუ სტუდენტი არ აირჩევს ქართულ ენას და ისე გაივლის ბაკალავრიატს, მიაღწევს იმ მიზანს, რასაც პროგრამა ითვალისწინებს?

— ვერა.

— მაშასადამე, ფიქრობთ, რომ ქართული ენა აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს?

— დიახ.

— მაშინ რატომ წერთ რეკომენდაციას და არა შენიშვნას?

— მე ხომ ვწერ, რომ სასურველია, ისწავლებოდეს...

აი, ასე: ექსპერტი (თსუ-დან!) ერთმანეთისგან ვერ არჩევს სასურველსა და სავალდებულოს.

ძნელი სათქმელია, რომელი უფრო შესაბრაღისია — ქართული ენა თუ ჯავახიშვილის უნივერსიტეტი.

სამშობლო, როგორც უფალი...

ყველა შედარება არ მოიკოჭლებს. მაგალითად, ეს: „სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა“...

ვარლამ შალამოვი

უზანბთან

ბებერი იყო, გრძელხელებიანი, ღონიერი. ახალგაზრდობაში სულიერი ტრავმა გადაიტანა. ათი წელი მიუსაჯეს, როგორც მავნებელს და ჩრდილოეთ ურალში გაამწესეს — ვიშერის ქალაქკომბინატის მშენებლობაზე. აქ გამოირკვა, რომ სახელმწიფოს მისი საინჟინრო ცოდნა სჭირდებოდა და მინის სათხრელად როდი გაუგზავნიათ, არამედ მშენებლობის ხელმძღვანელად დანიშნეს. მშენებლობის სამი უბნიდან ერთ-ერთს თავკაცობდა, სხვა ტუსაღ-ინჟინერთა — მორდუხანი-ბოლტოვსკისა და ბუძკოს მხარდამხარ. პიოტრ პიოტროვიჩ ბუძკო მავნებელი არ ყოფილა. ეს იყო ლოთი, მსჯავრდებული ასმეცხრე მუხლით. მაგრამ უფროსობისათვის „ბიტოვიკი“ უფრო ხელსაყრელი იყო, ამხანაგთათვის კი ბუძკო გამოიყურებოდა, როგორც ნაღდი ორმოცდამეთვრამეტე მუხლი, მეშვიდე პუნქტი.

ინჟინერს ენადა მოხვედრა კოლიმაზე. ბერზინი, „ვიშქიმზის“ დირექტორი, უკვე აბარებდა საქმეებს, ოქროს საბადოებზე უნდა გამგზავრებულიყო და თავისიანებს კრებდა. კოლიმაზე კი ელოდათ თავლის ნაპირები და ლამის დაუყოვნებლივ — ვადამდელი გათავისუფლება.

პოკროვსკიმ შეიტანა განცხადება და ვერ გაეგო, რატომ მიჰყავდათ ბუძკო და რატომ არ მიჰყავდათ პოკროვსკი. გაურკვევლობამ გასტანჯა და გადაწყვიტა, რომ მოეხერხებინა მიღება თვით ბერზინთან.

ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ ჩავინერე პოკროვსკის ნაამბობი.

ეს ამბავი, ეს კილო პოკროვსკის, დიდ რუს ინჟინერს, თან მიჰყვებოდა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე.

— ჩვენი უფროსი დიდი დემოკრატი იყო.

— დემოკრატი?

— დიახ, ხომ იცით, რაოდენ ძნელია მოხვედრა დიდკაცთან, ტრესტის დირექტორი იქნება თუ ოლქკომის მდივანი. წინასწარ უნდა ჩვენერო მისაღებ პირთა სიაში. მერე უნდა უპასუხო შეკითხვებს: ვინა ხარ, რისთვის მოსულხარ, გულში რა გიღვეს?

აქ კი, შენ, უფლებაყრილი ტუსაღი, აი ასე უბრალოდ ხვდები დიდკაცს, თანაც ასეთი ბიოგრაფიის პატრონს — ლოკარტის საქმე, მუშაობა ძერჟინსკისთან. ეს ხომ სასწაულია!

— მაშ ხვდები გენერალ-გუბერნატორს?

— სწორედაც ეგერა. შემოძლია მოგახსენოთ დაუფარავად, დარცხვენის გარეშე — თავად მე რალაც-რალაცები გამიკეთებია რუსეთისათვის. და ჩემს ხელობაში მთელი მსოფლიო მიცნობს. ჩემი სპეციალობაა წყალმომარაგება. ჩემი გვარია პოკროვსკი. გსმენიათ?

— არა, არასდროს მსმენია.


— დახეთ, სხვა გზა არ არის, უნდა გაგეცინოს. ჩეხოვის სიუჟეტი გახლავთ ანდა, როგორც ახლა იტყვიან, მოდელი. ჩეხოვის მოდელი მოთხრობიდან „პირველი კლასის მგზავრი“. გახსოვთ? კეთილი. დავივინყოთ, ვინა ხართ თქვენ და ვინა ვარ მე. ჩემი საინჟინრო კარიერის დასაწყისში იყო დაპატიმრება, ციხე, ბრალდება და განაჩენი — მავნებლობისათვის ათი წლით ლაგერში.

ვარლამ შალამოვი თავის ავტობიოგრაფიაში აღნიშნავდა: „მე იმდენადვე ვწერ ლაგერზე, რამდენადაც ეგ ზიუპერი — ცაზე, მელვილი — ზღვაზე“.

შალამოვის მოთხრობა „უზანგთან“ საუცხოო დადასტურებაა ზემოთქმულისა. ანტურაჟი, რეალურად არსებული პერსონაჟები საკუთარი გვარებით, სულისკვეთება — ყველაფერი არქიპელაგ გულაგის კუთვნილება გახლავთ, მაგრამ შეცდომა იქნებოდა, რომ მწერლის სათქმელი ამ ჩარჩოებით, თუნდაც ძალზე თავისებური და ფართო ჩარჩოებით, შემოგვეფარება, ვინაიდან შალამოვის სიტყვითვე, მოთხრობაში წინა პლანზე წარმოჩენილი სწება ახასიათებდა არა მარტო გულაგის ჯოჯოხეთსა და რუსულ ბუნებას; ავტორი სამაგალითოდ ასახელებს ე.წ. „მანჰეტენის პროექტს“, სადაც კომფორტული და მაძლარი სამოთხე მასპინძლობდა.

უზანგთან ქედმოხრილი დგომა საბჭოთა ეპოქის მონოპოლია არ ყოფილა და, ცხადია, მასთან ერთად არ გადაშენებულა. როგორც ჩანს, წარმატებით განაგრძობს არსებობას თავისუფალი სამყაროს წევრობის კანდიდატა შორისაც, დემოკრატიის გზას დამდგარი დამოუკიდებელი სახელმწიფოები რომ ჰქვიათ.

ასე რომ, შალამოვის მოთხრობა „უზანგთან“ დღესაც ინარჩუნებს თავის აქტუალურობას.



მე მოვხვდი მავნებელთა პროცესების მეორე წყებაში. პირველს, შახტელებისა რომ ერქვა, ჯერ კიდევ ვძრახავდით, ვგმობდით. ჩვენ წილად გვერგო მეორე რიგი — ცხრა-ას ოცდაათ წელს. ლაგერში მოვხვდი ოცდათერთმეტი წლის გაზაფხულზე. რას წარმოადგენდნენ შახტელები? ბევრს არაფერს — ეტალონების დამუშავება, მოსახლეობისა და თავიანთი კადრების მომზადება რალაც სიახლეთათვის, რაც ნათელი შიქნა ოცდაჩვიდმეტში. მაგრამ მაშინ, ათას ცხრაას ოცდაათ წელს, ათი წელიწადი თავზარდამცემი ვადა იყო. ამხელა ვადა — რისთვის? უუფლებობა თავზარს გცემს. და აი, უკვე ვიშერაზე ვარ, ვაშენებ რალაცას, აღვმართავ. და შემოძლია მოვხვდე მიღებაზე თვით მთავარ უფროსთან. როგორია?

ბერზინის მისაღები დღეები არ ჰქონდა. კანტორის წინ, ყოველდღე, ცხენს მოჰგვრიდნენ ხოლმე, ზოგჯერაც ორთვალას, და ვიდრე უზანგში ფეხს შედგამდა და უნაგირს მოახტებოდა, ტუსაღთაგან ნებისმიერ მთხოვნელს იღებდა. ათი კაცი დღეში, ბუროკრატიზმის გარეშე — გინდ ბლატარი ბრძანდებოდა, გინდ სექტანტი, გინდაც რუსი ინტელიგენტი. თუმცა არც ბლატარები და არც სექტანტები ბერზინს თხოვნილ არ მიმართავდნენ. ცოცხალი რიგი იდგა. პირველ დღეს რომ მივედი, დამავიანდა — მეთერთმეტე ვიყავი და ათი კაცი რომ მიიღო, ბერზინმა ცხენი დაძრა და მშენებლობისაკენ გააჭენა.

მინდოდა მიმემართა სამუშაო ადგილზე, მაგრამ ამხანაგებმა გადამათქმევინეს — საქმეს ნახდენ, წესი წესიო. დღეში ათი კაცი, ვიდრე უფროსი უნაგირს მოახტება. მეორე დღეს უფრო ადრე მივედი და სანადელს ვენიე. ვთხოვე, კოლიმაზე გამიყოლიეთ-მეთქი.

ეს საუბარი ზუსტად მახსოვს, ყოველი სიტყვა.

— შენ ვინა ხარ? — ბერზინმა განზე გასწია ცხენის დრუნჩი, კარგად რომ გაეგონა პასუხი.

— ინჟინერი პოკროვსკი გახლავართ, მოქალაქე უფროსო. ვმუშაობ უზნის უფროსად ვიპქიმზე. მთავარ კორპუსს ვაშენებ, მოქალაქე უფროსო.

— მერედა რა გინდა?

— გამიყოლიეთ კოლიმაზე, მოქალაქე უფროსო.

— ვადა რომელი კაქკს?

— ათი წელი, მოქალაქე უფროსო.

— ათი? ვერ აგიყვან. სამი რომ გქონდეს ან თუნდაც ხუთი — ეგ სხვა საქმეა. მაგრამ ათი? ესე იგი, რალაც იყო. ჰო, რალაცა იყო.

— გეფიცებით, მოქალაქე უფროსო.

— კეთილი. ჩაგწერ ნიგნში. რა გვარი ხარ? პოკროვსკი. ჩაგწერ. პასუხს გაგცემენ.

ბერზინმა ცხენი დაძრა. კოლიმაზე არ წავუყვანივარ. ვადამდე გათავისუფლება ამავე მშენებლობაზე მერგო და დიდ ზღვაში გამოვცურე. სად აღარ მიმუშავია! მაგრამ იმაზე უკეთესად, ვიდრე ვიშერაზე ბერზინის დროს, არსად მემუშავებოდა. ერთადერთი მშენებლობა იყო, სადაც ყველაფერი დროულად კეთდებოდა და თუკი ვადები დაირღვეოდა, ბერზინი ბრძანებას გასცემდა და გაუჩენელს გააჩენდა. ინჟინრებს (ტუსალებს, წარმოგიდგენიათ?) ნება ეძლეოდათ, რომ ხალხი სამუშაოზე დაეკავებინათ ნორმის გადაჭარბებით შესასრულებლად. ყველანი პრემიებს ვიღებდით, ვადამდე გათავისუფლებაზე წარგვადგენდნენ. სამუშაო დღეების ჩათვლა მაშინ არ ყოფილა. და უფროსობა გვეუბნებოდა: გულიანად იმუშავეთ, გულიანად იმუშავეთო. ვინც ცუდად იმუშავებს, აქედან ჩრდილოეთში გააბრძანებენო. და ხელით უთითებდნენ ზევით, ვიშერის დინებაზე. ჩრდილოეთი კი რა არის, არც ვიცო. — ამას ამბობდა პოკროვსკი.

შალამოვი: მეც ვიცნობდი ბერზინს. ვიშერიდან ვიცნობდი. კოლიმაზე, სადაც მოკვდა ბერზინი, არ მინახავს — კოლიმაზე მოგვიანებით ჩამიყვანეს.

გენერალი გროვსკი აუნერელი ზიზლით უყურებდა „მანჰეტენის პროექტის“ სწავლულებს. და არ ერიდებოდა ამ ზიზლის გამოხატვას. თუნდაც რობერტ ოპენჰაიმერის დოსიე ერთ რამედ ღირს! გროვსკი მემუარებში განმარტავს თავის წადილს, მიულო გენერლის ჩინი „მანჰეტენის პროექტის“ უფროსად დანიშვნამდე: „მე ხშირად ვამჩნევდი, რომ ხელისუფლების სიმბოლოები და რანგები გაცილებით დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ სწავლულებზე, ვიდრე სამხედროებზე“.

ბერზინი აუნერელი ზიზლით უყურებდა ინჟინრებს. ეზიზლებოდა ყველა ეს მავნებლები — მორდუხაი-ბოლტოვსკი, პოკროვსკი, ბუძკო, ტუსალ-ინჟინრები, ვიშერის კომბინატს რომ აშენებდნენ. ვადაზე ადრე შევასრულებთ! ელვა! გეგმა! ეს ადამიანები ზიზლის გარდა არაფერს ინტენდენ უფროსში. ბერზინს უბრალოდ დრო არ ჰყოფნიდა, რომ ადამიანის დამცირების უძიროებისა და უსაზღვროების გამო, ადამიანის რღვევის გამო გაცოცხლებულიყო, ფილოსოფიურად გაცოცხლებულიყო. ძალა, რომელმაც იგი უფროსად აქცია, ადამიანებს მასზე უკეთესად იცნობდა.

მავნებელთა პირველი პროცესების გმირნი — ინჟინრები ბოიარშინოვი, ინოზემცევი, დოლგოვი, მილერი, ფინდიკაი — მუყაითად მუშაობდნენ ულუფისათვის, ბუნდოვანი იმედისათვის — ვადამდე გათავისუფლებაზე წარმადგენენო.

ჩათვლები მაშინ არ ყოფილა, მაგრამ უკვე ცხადი იყო, რომ აუცილებელია რაღაც სტომაქსიული სკალა, იოლად რომ ემართათ ადამიანის სინდისი.

ბერზინმა ვიშერის კომბინატის მშენებლობა ჩაიბარა 1928 წელს. ვიშერიდან კოლიმაზე კი გაემგზავრა 1931 წლის დამლევს.

მე, რომელიც ვიმყოფებოდი ვიშერაზე 1929 წლის აპრილიდან 1931 წლის ოქტომბრამდე, მოვეცნარი და ვნახე მხოლოდ ბერზინისეული სურათი.

ბერზინის პირადი პილოტი (ჰიდროპლანზე) იყო ტუსალი ვალოდა გინცე — მოსკოველი მფრინავი, რომელსაც სამი წელი ჰქონდა მისჯილი მავნებლობისათვის ავიაციისში. სიახლოვე უფროსთან აიძულებდა გინცეს, ვადაზე ადრე გამათავისუფლებენო. და ბერზინს, ადამიანთა მიმართ აუნერველი ზიზლით აღჭურვილს, ეს კარგად ესმოდა.

თავის მგზავრობაში ბერზინს, სადაც დაულამდებოდა, იქ უთენდებოდა. ეძინა, რასაკვირველია, უფროსობასთან და არ ელტვოდა რაიმე დაცვის დაყენებას. გამოცდილება კარნახობდა, რომ რუსებში ნებისმიერი შეთქმულება გაიცემოდა, გაიყიდებოდა; მოხალისე მატებლარანი შეთქმულების ნატამალსაც კი აუნყებდნენ, სადაც ჯერ არს. ეს მატებლარანი, ჩვეულებრივ, იყვნენ ყოფილი კომუნისტები, მავნებელნი ან გვარიშვილობით ინტელიგენტები ანდა მოდგმით ბლატარები. ნუ სწუხართ, დააბეზლებდნენ. იძინეთ მშვიდად, მოქალაქე უფროსო! ლაგერის ცხოვრების ეს მხარე მშვენივრად ესმოდა ბერზინს. მშვიდად ეძინა, მშვიდად მგზავრობდა, მშვიდად ფრინავდა და მოკლულ იქნა, როცა დრო დადგა, თავისივე უფროსობის ხელთაგან.

სწორედ ის ჩრდილოეთი, რითაც აშინებდნენ ახალგაზრდა პოკროვსკის, არსებობდა და მერე როგორ არსებობდა! ჩრდილოეთი ჯერ მხოლოდ იკრებდა ძალებს, ტემპს. სამართველო ჩრდილოეთისა იყო უსტ-ულსაში, სადაც მდინარე ულსა ერთვის ვიშერას, — იქ ამჟამად აღმასები აღმოაჩინეს. ბერზინიც ეძებდა აღმასებს, მაგრამ ვერ წაანყდა. ჩრდილოეთში მიმდინარეობდა ხე-ტყის დამზადება — ყველაზე მძიმე სამუშაო ტუსალისათვის ვიშერაზე. კოლიმის ქრილები, კოლიმის ქვისსამტეხლოს წერაქვები, მუშაობა სამოცგრადუსიან ცინვაში — ეს ყველაფერი ჯერ კიდევ წინ იყო. ვიშერამ ცოტა როდი ქნა, რათა შექმნილიყო კოლიმა. ვიშერა — ესაა ოციანი წლები, ოციანი წლების მიწურული.

ჩრდილოეთში, ტყიან უბნებზე პელესა და მიკაში, ვაესა და ვეტრინაკაში, ტუსალები ითხოვდნენ, რომ გადარეკვისას (ტუსალები განა დადიან, მათ „ერეკებიან“ — ეს ოფიციალური ლექსიკონია) მათთვის ხელები შეებოჭათ ზურგსუკან, რათა ბადრავს გზაში არ დაეხოცა ისინი „გაქცევის მცდელობისას“. გადაჭრით ითხოვდნენ: „ხელებს თუკი შემობოჭავთ, მაშინ წამოვალ. შეადგინეთ აქტი“. ისინი, ვისაც ვერ მოეფიქრებინა შევედრებოდა უფროსობას, ხელები შემობოჭეთო, სასიკვდილო საფრთხეში იგდებდნენ თავს. „გაქცევის მცდელობისას მოკლულთა“ ოდენობა ძალზე დიდი იყო.

ლაგერის ერთ-ერთ განყოფილებაში ბლატარები ნებისმიერ ამანათს ართმევდნენ ფრაერებს. უფროსმა თავი ველარ შეიკავა და სამი ბლატარი მიახვრიტა. მერე კუბოები ცხედრებითურთ ვახტაზე გამოფინა. ცხედრები სამი დღე და ღამე იყვნენ აყუდებული. ფრაერთა ძარცვა-გლეჯა შეწყდა, მაგრამ უფროსი სამსახურიდან მოხსნეს, სადაც სხვაგან გადაიყვანეს.

დაპატიმრებანი, პროვოკაციული საქმეები, შიდალაგერული დაკითხვები, გამოძიებანი — დულდა და გადმოდულდა ლაგერში. შტატებგაბერილი მესამე განყოფილება გროვდებოდა მსჯავრდებულ ჩეკისტთაგან, სპეცბადრაგით რომ მოეყვანათ ბერზინთან, რათა მაშინვე დაპატრონებოდნენ გამოძიებელთა მაგიდებს. არცერთი ყოფილი ჩეკისტი არ მუშაობდა არა თავისი სპეციალობით. პოლკოვნიკ უშაკოვს, დალსტროის განყოფილების უფროსს, რომელიც სავსებით მშვიდობიანად მოესწრო ბერზინის სიკვდილს, ასმეათე მუხლით მისჯილი ჰქონდა სამი წელი ძალაუფლების გადამტებისათვის. უშაკოვმა ერთ წელიწადში მოათავა ვადა, ბერზინთან დარჩა სამსახურში და ბერზინთანვე ერთად გაემგზავრა კოლიმის აღსაშენებლად. და ცოტანი როდი ისხდნენ „უშაკოვისგან“, აღმკვეთ ღონისძიებად — წინასწარი დაპატიმრება... ოღონდ უშაკოვი „პოლიტიკოსი“ არაა. მას ეხებოდა ძებნა, გაქცეულთა ძებნა. უშაკოვი სარეჟიმო განყოფილებათა უფროსადაც მუშაობდა კოლიმაზე, ხელს აწერდა „ტუსალთა უფლებებს“, უფრო სწორად — ტუსალთა შენახვის წესებს, რომელიც შედგებოდა ორი ნაწილისგან: 1) მოვალეობანი — ტუსალი იყო ვალდებული, ტუსალი არ იყო ვალდებული. 2) უფლებანი — უფლება ჩივილისა, უფლება წერილების წერისა, უფლება ცოტაოდენი ძილისა, უფლება ცოტაოდენი კვებისა.

ახალგაზრდობაში კი უშაკოვი იყო მოსკოვის სისხლის სამართლის სამძებროს აგენტი, რაღაც შეცდომა მოუვიდა, სამწლიანი ვადა აიკიდა და ვიშერაზე წააბრძანეს.

ჟიგალოვს, უსპენსკის, პენსიაკევიჩს მიჰყავდათ დიდი საქმე მესამე განყოფილების უფროსის წინააღმდეგ (ბერეზნიკში). ეს საქმე — ქრთამებზე, მინერებზე — უშედეგოდ დამთავრდა რამდენიმე ტუსალის სიმტკიცის გამოისობით, რომლებმაც გაუძღეს გამოძიებას, მუქარებს სამი-ოთხი თვე ჯდომისას ლაგერის იზოლატორ-საპყრობილებებში.

დამატებითი ვადა იშვიათი არ ყოფილა ვიშერაზე. ასეთი ვადა აიკიდეს ლაზარენკომ, გლუხაროვმა.

გაქცევისათვის მაშინ ვადებს არ აძლევდნენ, დანებებული იყო სამთვიანი იზოლატორი რკინის იატაკით, რაც საცვლებში დარჩენილთათვის ზამთრობით სასიკვდილო იყო.

იქ ორჯერ დამაპატიმრეს ადგილობრივმა ორგანოებმა, ორჯერ გამგზავნეს სპეცბადრაგით ბერეზნიკიდან ვიჟაიხაზე, ორჯერ გავიარე გამოძიება, დაკითხვები.

ეს იზოლატორი თავზარს სცემდა იმით, ვისაც ერთხელ მაინც გამოეცადა. გამქცევი, ბლატარები ევედრებოდნენ პირველი განყოფილების კომენდანტს ნესტეროვს, იზოლატორში არ ჩამსვათო. არაფერს აღარ დავაშავებთ, აღარასოდეს გავიქცევითო. კომენდანტი ნესტეროვი ცხვირწინ დაუტრიალებდა ბაღინან მუშტს და ამბობდა:

- აბა, აირჩიე, ქოთი თუ იზოლატორი!
- ქოთი! — საცოდავად პასუხობდა გამქცევი.

ნესტეროვი ხელს აიქნევდა და სისხლში ამოთხვრილი გამქცევი ძირს იმხლართებოდა.

1929 წლის აპრილში ჩვენს ეტაპში ბადრაგმა დაათრო კბილის ექიმი ზოია ვასილიენა, მსჯავრდებული ორმოცდამეთვრამეტე მუხლით „წყნარი დონის“ საქმეზე. და საბრალოს ყოველდამე კოლექტიურად აუპატიურებდნენ. იმავე ეტაპში იყო სექტანტი, გვარად ზაიაცი. უარს ამბობდა გამოსულიყო ამოძახებაზე. ბადრაგი ნიხლებით სცემდა ყოველი ამოძახებისას. ერთხელაც გამოვედი მწყობრიდან, პროტესტი გამოვთქვი და იმავე ღამით გამატიტვლეს, ყინვაში გამოიყვანეს და თოვლში ვიდექი იმდენხანს, რამდენიც ბადრაგმა ინება. ეს იყო 1929 წლის აპრილში.

ოცდაათი წლის ზაფხულში ბერეზნიკის ლაგერში თავი მოიყარა სამასმა ტუსალმა, აქტირებული რომ იყვნენ ოთხასორმოცდამეთვრამეტე მუხლით — სნეულებათა გამო თავისუფლდებოდნენ. ესენი იყვნენ უკლებლივ ჩრდილოეთიოვლიანი — მოშავო-მოლურჯო ლაქებით, კონტრაქტურებით სურავანდისგან, მოყინვის შედეგად დარჩენილი ტაკვებით. თვითდასახიჩრებულთ არ ათავისუფლებდნენ, და თვითდასახიჩრებულნი, ვადის დამთავრებამდე ანდა შემთხვევით სიკვდილამდე, რჩებოდნენ ლაგერებში.

ლაგერის განყოფილების უფროსმა სტუკოვმა განკარგულება გასცა, მკურნალობის მიზნით გასეირნება შემოეღოთ, მაგრამ ყველა ტრანზიტნიკმა იუარა სეირნობა — ვაითუ გამოჯანსაღდე და მერე რალა გეშველება, ისევ ჩრდილოეთში გიკრავენ თავსო.

დაიხ, პოკროვსკის ტყუილად როდი ამინებდნენ ჩრდილოეთით. 1929 წლის ზაფხულში მე პირველად ვიხილე ეტაპი ჩრდილოეთიდან — ვეება მტვრიანი გველი, გორაკიდან რომ მოცოცავდა და შორიდანვე ჩანდა. მერე მტვერში აელვარდა ხიშტები, მერე — თვალეები. კბილები არ აელვარებულა, სურავანდისგან დაცვენილი ჰქონდათ. დამსკდარი, გამომშრალი ტუჩები, რუხი სოლოვკური ქუდეები, მაუდის უმანკები, მაუდის ბუშლატები, მაუდის შარვლები. ეს ეტაპი სამუდამოდ დამამახსოვრდა.

განა ყველაფერი ეს არ არსებობდა ბერეზნიკის დროს, ვის უზანგთანაც თრთოდა ინჟინერი პოკროვსკი?

ეს ხომ სამინელი ნიშანია რუსული ხასიათისა — დამამცირებელი ფეხქვეშ გაგება, მონინება ყოველი ლაგერის უფროსის წინაშე. ინჟინერი პოკროვსკი — მხოლოდ ერთია იმ ათასებიდან, მზად რომ იყვნენ ელოცათ, ხელები აელოკათ დიდი ნაჩაღნიკისათვის.

ინჟინერ-ინტელიგენტი ქედს სხვაზე ნაკლებად როდი იხრიდა.

— ასე ძალიან რა მოგეწონათ ვიჟაიხაზე? — ვეკითხები პოკროვსკის.

— რას ბრძანებთ! საცვლები გაგვარეცხინეს მდინარეში. ციხის შემდეგ, ეტაპის შემდეგ — ეს დიდი ამბავია. ამასთან — ნდობა. გასაოცარი ნდობა. მდინარის პირას ვრეცხავდით, დაცვის ბიჭები გვხედავდნენ და არ გვესროდნენ!

— მდინარე, სადაც თქვენ ბანაობდით — დაცვის ზონაშია, ტაიგაში განლაგებული საყარაულო კოშკებით არის გარშემორტყმული. საცვლებს რომ გარეცხინებდათ, რა იყო სარისკო ბერეზნიკისათვის? და კოშკურების რკალს მიღმა კიდევ ერთი რკალია საფრებისა — პატრულები, ოპერმუშაკები. და კიდევ მფრინავი საკონტროლო პატრულები, ერთიმეორეს რომ ამომხებენ.

— ჰო-ო-ო...

— ის იცით, რომელი იყო უკანასკნელი ფრაზა, რითაც გამომაცილა ვიშერამ, ჩემმა და თქვენმა ვიშერამ, როდესაც გავთავისუფლდი ოცდათერთმეტი წლის შემოდგომაზე? მაშინ თქვენ უკვე რეცხავდით თქვენს საცვლებს მდინარეში.

— რომელი იყო?

— „მშვიდობით. ხომ იცხოვრეთ პატარა მივლინებაში, დიდშიც მოგიწევთ ცხოვრება“.

ლეგენდა ბერეზნიკე მისი ეგზოტიკური დასაწყისისა — „ლოკარტის შეთქმულება“, ლენინი, ძერჟინსკი! — და ტრაგიკული დასასრულის გამო — ბერეზნიკის დახვრეტილია ეუოვისა და სტალინის მიერ ოცდათვრამეტე წელს — იზრდება გაზვიადებათა ბრჭყვიალა ფერებით.

ლოკარტის საქმეში რუსეთის მცხოვრებთ უნდა გაეკეთებინათ არჩევანი, აეგდოთ მონეტა — არიოლ თუ რეშკა. ბერეზნიკა გა-

დანყვიტა გაეცა, გაეყიდა ლოკარტი. ამგვარ საქციელს ხშირად შემთხვევითობა კარნახობს — ცულად ეძინა კაცს, და ბაღშიც სასულე ორკესტრი ძალზე ხმამაღლა უკრავდა; ანდა ლოკარტის ემისარს სახეზე რალაც ისეთი ეწერა, ზიზლს რომ ინვევდა. ან ეგებ მეფის ოფიცერი თავისი საქციელით საფუძვლიანად უმტკიცებდა იმ ხელისუფლებას, რომელიც ჯერ კიდევ არ დაბადებულიყო, შენი ერთგული ვარო?

ბერეზნიკი გახლდათ ლაგერის ყოველად ჩვეულებრივი უფროსი, ზემდგომი ნების ბეჯითი აღმსრულებელი. ბერეზნიკი კოლიმის სამსახურში ინახავდა კიროვის საქმის დროინდელი ლენინგრადის „ოგეპეუს“ ყველა მოღვაწეს. იქ, კოლიმაზე, ისინი უბრალოდ გადაიყვანეს სამუშაოდ — ინარჩუნებდნენ სტაჟს, ხელფასის ნანამატს და ასე შემდეგ. ფემედვედი, ოგეპეუს ლენინგრადის განყოფილების უფროსი, კოლიმაზე მსახურობდა სამხრეთის სამთომრეწველობითი სამმართველოს უფროსად და ბერეზნიკის საქმესთან დაკავშირებით დახვრიტეს. მიაყოლეს ბერეზნიკს, რომელიც მოსკოვში გამოძახებული ჩამოხსნეს მატარებლიდან ალექსანდროვოსთან.



მხატვარი ალექსანდრე სლოვინსკი

ვერც მედვედი, ვერც ბერზინი, ვერც ეჟოვი, ვერც ბერმა-ნი, ვერც პროკოფიევი თავს ვერ მოინონებდა იოტისოდენა ნიჭითა და გონიერებით. სახელი მათ მოუხვეჭა მუნდირმა, სამხედრო წოდებამ და ფორმამ, მაღალმა თანამდებობამ.

ბერზინიც ხოცავდა ზემდგომი ბრძანების თანახმად 1936 წელს. გაზეთი „სოვეტსკაია კოლიმა“ გადაჭედლია ცნობებითა და სტატიებით სასამართლო პროცესების შე-სახებ; გატენილია მოწოდებებით სიფიზილისაკენ, მონაწი-ლების სიტყვებით, სისასტიკისა და დაუნდობლობის მოწო-დებებით.

ოცდათექვსმეტი და ოცდაჩვიდმეტი წლების განმავ-ლობაში ამგვარი სიტყვებით გამოდიოდა თავად ბერზინი — გამუდმებით, ბეჯითად, იმის შიშით — მხედველობიდან რამე არ გამომრჩეს, არ გამომეპაროსო. კოლიმაზე ხალხის მტრების ხვრეტა მიმდინარეობდა ოცდათექვსმეტ წელსაც.

სტალინური დროის მკვლელობათა ერთ-ერთი მთავარი პრინციპი იყო პარტიულ მოღვაწეთა ერთი წყების მიერ მე-ორე წყების მოღვაწეთა განადგურება. ისინი კი, თავის მხრივ, ილუპებოდნენ ახლებისგან — მკვლელთა მესამე წყებიდან.

არ ვიცი, ვის უღიმოდა ბედი და ვის ქცევაში იყო გულ-დაჯერება, კანონზომიერება. ანკი ამას აქვს მნიშვნელობა? ბერზინი დააპატიმრეს 1937 წლის დეკემბერში. იგი და-ილუპა, თუმცა იმავე სტალინის გულისათვის უღელტდა ხალხს.

გააქარწყლო ლეგენდა ბერზინზე — არ არის ძნელი. საკმარისია გადაათვალიერო იმდროინდელი კოლიმური გაზეთები ოცდათექვსმეტი წლისა! დიახ, ოცდათექვსმეტი წლისა! და ოცდაჩვიდმეტი წლისაც, რა თქმა უნდა. „სერ-პანტინის“ მივლინება, ჩრდილოეთის სამთო სამმართვე-ლოს საგამომძიებლო ციხე, სადაც პოლკოვნიკი გარანინი 1938 წელს ატარებდა მასობრივ დახვრეტებს, — ეს მივლი-ნება გაისხნა სწორედ ბერზინის დროს.

სხვა რამ არის ძნელად ასახსნელი. ნიჭიერი კაცი რა-ტომ ვერ პოულობს თავის სულში საკმარის შინაგან ძა-ლებს, ზნეობრივ სიმტკიცეს საიმიხოდ, რომ პატივისცემით მოეპყროს საკუთარ თავს და უკიდურესი მოწინებით ქედს არ უხრიდეს მუნდირსა და მუნდირის მფლობელს?

რატომ არის, რომ ნიჭიერი მოქანდაკე ალტაცებით, გა-ტაცებითა და მოწინებით ძერწავს გულაგის რომელიღაც ჩინოსანს?

ასე მბრძანებლურად რით იზიდავს ხელოვანს გულაგის დიდმოხელე? მართალია, ოვიდიუს ნაზონიც გულაგის უფ-როსი იყო, მაგრამ განა ლაგერებში მუშაობით გაითქვა სა-ხელი ოვიდიუს ნაზონმა?

კეთილი და პატიოსანი. ვთქვათ, მხატვარი, მოქანდაკე, პოეტი, კომპოზიტორი შეიძლება ილუზიამ შთააგონოს, ემო-ციურმა ალტკინებამ აიტაცოს და გააქროლოს ცაში, და შექმ-ნას ნებისმიერი სიმფონია, აინტერესებდეს მხოლოდ და მხო-ლოდ ნაკადი ფერებისა, ნაკადი ბგერებისა, მაგრამ რატომაა, რომ ეს ნაკადი გამოუწვევია გულაგის უფროსის ფიგურას?

რატომაა, რომ მეცნიერი ხაზავს ფორმულებს იმავე გუ-ლაგის უფროსის წინაშე და მისი მატერიალური ინჟინრუ-ლი ძიებანი შთაგონებულია სწორედ ამ ფიგურით? რატო-მაა, რომ სწავლული განიცდის იმავე მოწინებას ლაგერის ცალკეული პუნქტის უფროსისადმი? მხოლოდ იმიტომ, რომ ის უფროსია.

სწავლული, ინჟინრები და მწერლები, ინტელიგენტები — ჯაჭვით დაბმულნი — მზად არიან ყურმოჭრილი ყმები-ვით ფეხქვეშ გაეგონ ნებისმიერ უვიცსა და რეგვენს.

„არ დამლუპოთ, მოქალაქე უფროსო“, — 1930 წელს, ჩე-მი თანდასწრებით, ეუბნებოდა ოგეპეუს ადგილობრივ რწმუნებულს ლაგერის განყოფილების პატიმარი მნე. გვა-რად ოსიპენკო იყო. ხოლო ცხრაას ჩვიდმეტ წლამდე ეს ოსიპენკო გახლდათ მიტროპოლიტ პიტირიმის მდივანი, მონაწილეობდა რასპუტინის ღრეობებში.

დიდი ამბავი ოსიპენკო! ყველა ეს რამზინები, ოჩკინები, ბოიარმინოვები ასევე იქცეოდნენ.

იყო მაისურაძე, ლაგერამდე კინომექანიკოსად მუშაობ-და, ბერზინის კალთის ქვეშ კი კარგი კარიერა გაიკეთა ლა-გერში, სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილების უფროსის თანამდებობა დაიმსახურა. მაისურაძეს ესმოდა, რომ „უზანგთან“ იდგა.

— დიახ, ჩვენ ჯოჯოხეთში ვართ, — ამბობდა მაისურა-ძე. — ჩვენ იმქვეყნად ვართ. ლაგერს გარეთ ვიყავით უკა-ნასკენლნი. აქ კი ვიქნებით პირველნი. და ნებისმიერ ივან ივანოვიჩს მოუწევს ანგარიში გაუწიოს ამას.

„ივან ივანოვიჩი“ — ეს ინტელიგენტის მეტსახელია ბლატართა ენაზე.

კარგახანს მეგონა, რომ ყოველივე ეს არის მარტოოდენ „Peace“ — წარმოუდგენელი ქვესკნელი რუსული სულისა.

მაგრამ ამერიკელი გენერლის გროვსის მემუარებიდან (ატომური ბომბის შექმნაზე) შევიტყვე, რომ პირმოთენობა არანაკლებ ახასიათებს სწავლულთა სამყაროს, მეცნიერე-ბის სამყაროს.

რა არის ხელოვნება? რა არის მეცნიერება? აკეთილშო-ბილებენ ისინი ადამიანს? არა, არა და არა! ადამიანი ხე-ლოვნებიდან და მეცნიერებიდან როდი იძენს იმ ერთი ბე-ნო, პანანკინტელა დადებით თვისებებს. ადამიანს სხვა რა-ღაც ანიჭებს ზნეობრივ ძალას, მაგრამ პროფესია თუ ტა-ლანტი — არა და არა!

მთელი ცხოვრება ვაკვირდები ინტელიგენტის ქვემძ-რომობას, მამებლობას, თავის დამცირებას; ხოლო საზო-გადოების სხვა ფენებზე ხომ ლაპარაკიც არა ღირს.

სიჭაბუკეში ყოველ გარენარს პირში ვახლიდი, გარენა-რი ხარ-მეთქი. სიმნიფეში იგივე იყო. არაფერი შეცვლილა ჩემი წყევლა-გინების შემდეგ. მხოლოდ მე შევიცვალე, უფ-რო ფრთხილი გავხდი, უფრო მშობარა. მე ვიცი „უზანგთან“ მდგომი ადამიანების საიდუმლო; ეს არის ერთ-ერთი საი-დუმლოთაგანი, რომელსაც სამარეში ჩავიტან. ვიცი და არ გაგიმხელთ.

კოლიმაზე ყოფნისას კარგი მეგობარი მყავდა, მოისევი მოისევიჩი კუზნეცოვი. რა მეგობარი, რის მეგობარი — იქ რა ესაქმება მეგობრობას, — უბრალოდ კაი კაცი იყო, პა-ტივისცემა მქონდა მისი. ლაგერში მჭედლად მუშაობდა, მე კი უროსმცემლად ვყავდი. მან მიაბო ბელორუსული ივავი იმაზე, რომ სამი პანი — რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ნიკო-ლოზის დროს — სამი დღე და ღამე შეუსვენებელი როზგავ-და ბედმავე ბელორუს მუჟიკს. ის კი ტიროდა და ყვიროდა: და მე რო უჭმელი ვარო...

რისთვის არის ეს ივავი? არაფრისთვისაც არ არის. იგა-ვია, მორჩა და გათავდა.

რუსულიდან თარგმნა
თაბაზ ნატროპვილა

* * *

„სოკრატე“: მსოფლიო სამზარეულოთა ათეულში ქართული შედის?

ანაქსაგორა: ულაპარაკოდ, ჩემო სოკრატე“.

არა, ძალიანაც ნუ აფოფინდებით — ეს არ არის პასაჟი პლატონის რომელიმე დიალოგიდან, ეს მხოლოდ ლევან ბერძენიშვილის მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების — „წმინდა წყვილი“ — პანია ნაწყვეტია.

აბა, მამ ეს: სოკრატეო? ანაქსაგორაო?

უბრალოდ თხრობაში ჩართულია ეს ერთგვარად პაროდული მონაკვეთიც — პლატონის დიალოგების სტილით შესრულებული კამათი გულაგის ორ ტუსადს შორის... ქართული კულინარიის მწვერვალის, საცივის შესახებ.

ტუსაღათა შორის ერთი „წმინდა წყვილი“ მომავალი ავტორია, მეორე კი ვადიმ იანკოვი, პოლიტიკური ბანაკის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილის, მოსკოვური კოლონიის ნამდვილი ვარსკვლავი, რომლის მრავალმხრივსა და სრულყოფილ განათლებაშიც თავსდებოდა ძველი ბერძნული ენის ისეთი ღრმა ცოდნაც, რომ ერთობლივი სემინარებისას, რომელსაც მორიგეობით ატარებდნენ ის და ლევან ბერძენიშვილი დაინტერესებულ პირთათვის, ჰომეროსის პოემებიდან ციტატებს უნაკლო ჰექსამეტრით კითხულობდა და ერთი შეცდომა რაა, ისიც არ მოსვლია.

— კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტები მიმიხვდებიან, ენის რა დონის ცოდნას აღნიშნავს ეს.

თუ შეიძლება, რომ თვით ჰომეროსიც კი ჩათვლემდეს ხანდახან, ვადიმ იანკოვს ესეც არ დამართნია „ილიადასა“ და „ოდისეას“ დეკლამირებისას!..

და პლატონის ცოდნაშიც არანაკლებ გამოიჩინდა თავს და მოგვიანო ხანის ეს ჩანაწერი — გულაგის მოგონებათა ამ ციკლში შესული — ხელშესახებად აირეკლავდა იმ კამათს, რომლის თაობაზეც ძველი პატიმრები დღესაც ეუბნებიან ან სწერენ ლევან ბერძენიშვილს: მსგავსი სპექტაკლი, რაც მაშინ თქვენ ორმა დადგით საცივის თაობაზე პოლიტიკურ ბანაკში, არასოდეს გვინახავსო.

პოლიტიკურ ბანაკში კი არა, ბევრი ბარემ საუკეთესო პირობებშიც არ შესწრებოდა ასეთ სპექტაკლს.

დიალოგისას ლევან ბერძენიშვილი, ვითომდა გულუბრყვილო სოკრატე, კითხვებს უსვამდა გამოცდილ სოფისტს, ვადიმ იანკოვს, მსოფლიო კულინარიის ექსპერტს, რომელიც ბოლოს აღიარებდა, რომ არ შეიძლება არსებობდეს რაიმე საცივზე უკეთესი.

ვიდრე საცივის აღიარებამდე მივიდოდნენ, მოკამათებებს საკმაოდ გრძელი და დახლართული გზა უნდა გაე-

ლოთ, რომლის ერთ-ერთი მოსახვევიც (გრიგოლ რობაქიძე ხრტილს რომ იტყოდა!) ასე გამოიყურება:

ეს ის პასაჟია, როდესაც დიალოგის მონაწილენი მსოფლიო კერძებიდან ამოაგდებენ უზბეკურ ფლავს და დარჩებათ შესანიშნავი ხუთეული — ავღანური კაბობი კუბიდეჰით, ინდური კარი, იტალიური პიცა, მექსიკური ტაკო და ქართული საცივი.

„სოკრატე“: იტალიური პიცა, ქართული ხაჭაპური, რუსული ვატრუშკა ტიპოლოგიურად ერთნაირი ხომ არ არის?

ანაქსაგორა: შენ იცი, ჩემო სოკრატე, ჩემი დამოკიდებულება ხაჭაპურთან; ამოვადგოთ პიცა, მაინც არა ვარ დიდი მოყვარული.



სოკრატე: მექსიკური

ტაკო რაღაა, „სბორნაია სალიანკა“ არ აჯობებს, რომელიც იგივეა, მაგრამ გაცილებით მეტი კომპონენტით?.. შევჩერდეთ ავღანურ ქაბობზე, იგივე ქართულ მწვადზე, სომხურ ხორევაცსა და საკავშირო „შაშლიკზე“. შენ შეგინგავს მწვადი, ჩემო ანაქსაგორა?

ანაქსაგორა: როგორ არა, პერედელკინოში სულ მწვადებს არ ვწვავდით?

სოკრატე: აბა კუბიდეჰი, ქართველები რომ ქაბაბს ვეძახით, ისაა და ეგ აზერბაიჯანელებს რომ აქეთ, ავღანური იმას ვერ აჯობებს.

ანაქსაგორა: მართალი ხარ, ჩემო სოკრატე, მე რომ კარგად გამოძის, ის ვერ იქნება მსოფლიოს საუკეთესო კერძი. თან ყველა მწვადს სომხური ხორევაცი სჯობია.

სოკრატე: იწყება ნიგვზიანების კონკურსი. კარი თუ საცივი?“

და საცივის სრული უპირატესობის დამტკიცებას უნდა მოჰყოლოდა მისი რეცეპტიც და დამზადების წესის აღწერაც. მშვიერი პატიმრები ტირილდნენ და დიალოგის წარმატებას ულოცავდნენ „სოკრატესა“ და „ანაქსაგორას“, რომელნიც, ემოციურად დაცლილები და მსახიობურად დაღლილები, ორ თერმოს მაგარ ჩაის დალევდნენ და დაიფიცებდნენ: თავისუფლებას რომ მივალწევთ, საუკეთესო ინდოელ და ქართველ მზარეულებს, შესაბამისად, კარისა და საცივის დაფუკვითავე და კულინარიული ბრძოლის ველზე გავარკვევთ გამარჯვებულის ვინაობასო.

და ეს შთამბეჭდავი, ნოველური ეპიზოდი მოხდენილი აკორდით უნდა დაგვირგვინებულიყო:

— ეს მარტივი გასტროცენტრული ოცნება ჯერაც აუსრულებელი გვაქვს.

არ ვიცი, იმათ რა გასტრონოცენტრული ოცნებანი ჰქონიათ ან აქეთ და შეისრულეს თუ ჯერაც ოცნებაში არიან, გასტრონომიული შინაარსის თხზულებანი ვისაც შეუქმნია ანდა ვრცელ პასაჟებად ჩაურთავს თხრობაში, ყოველ

შემთხვევაში ამ ყაიდის ლიტერატურული მიდრეკილებანი მრავალმხრივ საგულისხმო რომ არის, ამას დაადასტურებდა ესპანელთა მიერ გამართული ორიგინალური სულისკვეთების კონკურსი, სახელწოდებით: გასტრონომიული ლიტერატურა, — რომლის გავლენითაც ჩვენს სამწერლო ცხოვრებაში ამ ათიოდე წლის წინათ ჟურნალ „ომეგასა“ და გაზეთ „ჩვენი მწერლობის“ თაოსნობით გაიმართებოდა ამავე შინაარსის კონკურსი, რომლის გამარჯვებულებიც ლუარსაბ თათქარიძის პრემიით დაჯილდოვდებოდნენ.

საკმაოდ მაღალი რანგის კონკურსი გამოვიდოდა და ვითარება გვიკარნახებდა, რომ ნაცვლად წინასწარ განსაზღვრული სამი ჯილდოსი, ხუთი პრემია გავგეცა. ის კი არა, ირაკლი ლომოური, ჟიურის ერთ-ერთი წევრი, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების სერიასაც ჩაუჯდებოდა შემოსულ მასალებზე დაყრდნობით — მერე რა, რომ ლამის ასამდე თხზულება გამარჯვებულთა შორის ვერ მოხვდებოდა. სამაგიეროდ, მსჯელობისა და ანალიტიკური განსჯისათვის — არამარტო ლიტერატურული, არა-

მედ სოციალური, ფსიქოლოგიური თუ ფილოსოფიური თვალსაზრისით — საკმაო საზრდოს იძლეოდნენ.

ის კონკურსი შემთხვევით არ გამხსენებია.

ლევან ბერძენიშვილის წიგნი მოგვიანებით დაინერებოდა, თორემ ეს კულინარიული ნოველა იმხანად რომ შექმნილიყო და კონკურსშიც მიეღო მონაწილეობა, დარწმუნებული ვარ, გამარჯვებულთა შორის დაიკვიდრებდა ადგილს.

ჩემს გარდა ჟიურის სხვა წევრებიც გამოიდებდნენ თავს, პლატონური დიალოგის ეფექტური პაროდით მოხიბლულნი. ჯერ მარტო ეს სიტყვათშეთანხმება — გასტრონომიული ცენტრული ოცნება — ღირს ერთ რამედ!..

...იტყვი: განა რა გაუხდათ მისი ასრულება?!

თქვენი და ჩემი არ იყოს, ყველას უსაზღვრო გვეგონია ნუთისოფელი და დარწმუნებულნი ვართ, რომ ხვალე არასოდეს დასრულდება... და არ გვეჩქარება, აღარაფერი აღარ გვეჩქარება, მითუმეტეს, კარისა და საცივის შეჯიბრის გამართვა, გამარჯვებულის ვინაობაში წინასწარვე რომ ვართ დარწმუნებულნი.

* * *

ოთარ ჩხეიძის რომანში „ნაკრძალი“ ერთი პერსონაჟი მეორეს ამასაც ეტყვის:

— „რედაქტორიც არ დათანხმდებოდამეთქი“, ისე გავიფიქრე, ფიქრი წამომცდა და ჰო მოგეხსენება ჩემი მემანქანის ამბავი, ფიქრებსაც ჩაბეჭდავს ხოლმე...

და ახლა შიშობს, ტექსტის ჩაკითხვა რომ ვეღარ მოასწრო, ეს ფრაზა მართლაც ხომ არ აღმოჩნდა შიგ, ვაითუ ვინმემ განგაშიც ატეხოს და მეც და ჩემი პროტეჟეც დავზარალებეთო!...

1970 წელს დაწერილი რომანი ხომ იმ ხანას წარმოსახავს, როდესაც რედაქტორებზე, როგორც ოფიციალურ პირებზე, ასეთი რამეების თქმას უნდა მორიდებოდი — როგორ შეიძლება რედაქტორს არ ეყაბულა ის, რაც სიმართლე გახლდათ?!

არადა, ტექსტში მართლა ჩაბეჭდილია ეს სიტყვები, როგორც დასტური მემანქანის ხელოვნებისა, ლამის სრულყოფილებისათვის რომ მიუღწევია.

ფიქრის ჩაბეჭდვა ჰიპერბოლური გამოთქმაა, მაგრამ ზუსტად კი გამოსატყვევს, თუ როგორ შეიძლება დაოსტატედეს მემანქანე თუ ოპერატორი ტექსტის აწყობაში — კორექტურული შეცდომა ხომ იშვიათზე იშვიათად თუ გაეპარება და... ვინ იცის, მოკარნახის უნებლიეთ გამჟღავნებული ფიქრიც მიადევნოს სტრიქონებს.

რომანი რომანად და ყოფით რეალობაშიც შესაძლოა აღმოჩნდეს ამ რანგის ოსტატი თავისი საქმისა, ალტაცებით რომ წამოგაძახებინებს: ფიქრებსაც კი ჩაბეჭდავსო.



მეგობრული შარჟები კარლო ფაჩულიასი

ვის — დიახაც ალტაცებით.

მაგრამ ვის — შიშით: ემანდ ჩემი ფიქრებიც არ აღმოჩნდეს ტექსტში.

ეს მაშინ, როდესაც ნაწერი ძალიანა ნასწორები და ნაჯღაბნი და სჯობს შენ თვითონვე უკარნახო.

შესაძლოა აღმოჩნდესო, მთლად ვარაუდადაც არაა ნათქვამი.

აღმოჩენილია და ეგაა ამ რანგის მცოდნე თავისი საქმისა — მაშ თამარ ჩიხლაძე ვინაა, ისე რომ დაასრიალებს თითებს კომპიუტერის კლავიატურაზე, თითქოს ფორტეპიანოსა თუ როიალის კლავიშები იყოს და... თუ არ იფრთხილებ, ფიქრებსაც მიგიყვლებს ნაკარნახევს.

კორექტურული შეცდომა იშვიათზე იშვიათად რომ გაეპარება, ისიც ალბათ იმიტომ — თამაზ ნატროშვილის მხურვალე მტკიცებისა არ იყოს — შეგვახსენოს: მანქანა არ გვეგონოთ, ადამიანი ვარო. ასე რომ, განზრახ დაშვებული უფრო გამოდის ის კორექტურები — ყოველ ას გვერდზე ერთი თუ ორი.

ისე კორექტურის კითხვაშიც დიდადაა დახელოვნებული.

გნებავთ რედაქტირება მიახდეთ, დარწმუნებული იყავით, რომ სრულფასოვან ტექსტს ჩაგაბარებთ, და აღარავის გადახედვა რომ აღარ დასჭირდება.

და მგონი...

მგონი, ფიქრების ჩაბეჭდვის უნარი მთლად ჰიპერბოლაც არ უნდა იყოს.

კრილოვის ქურა

ამას წინათ მოსკოვის „ლიტგაზეტამ“ პირველსავე გვერდზე გამოაქვეყნა უაღრესად მრავლისმეტყველი და საგულისხმო ცნობა, რომელიც მწერლობის ყოველი მოყვარულისა თუ მცოდნის გულში ალტაცებას გამოიწვევდა.

როგორც ირკვევა, მოსკოვ-ქალაქის ღრმად პატივცემულ მესვეურთ დაუმტკიცებიათ ოციოდე ახალთახალი სახელწოდება რუსეთის დედაქალაქის ქუჩებისა.

გაზეთი გვაუწყებს, რომ აგარაკ პერედელკინოს ახლომდებარე ახალ მიკრორაიონში მოთავსებულ ქუჩებს ეწოდეთ მთელი კულტურული სამყაროსათვის ნაცნობი და საყვარელი სახელები: ბორის პასტერნაკი, ანა ახმატოვა, ბულატ ოკუჯავა და ა.შ.

„ლიტგაზეტა“ ასკვნის, რომ ქუჩების სახელთა გადარქმევის არცთუ მარტივ საქმეს დასაბამი მიეცა, მაგრამ გამოთქვამს გარკვეულ უკმაყოფილებას: მაღლობა ღმერთს, უკვედავება მივანიჭეთ ახმატოვას, მაგრამ ცვეტაევამ რალა დააშავაო? (მართლაც რა დააშავა, ნეტა რით ჩამოუფარდება ახმატოვას?). იქვე უსტოლიზინობასაც ჩივიან, უკატკოვობას, უსიმონოვობას... მერე პროტესტს გამოთქვამენ, როდემდის უნდა ყვაოდეს შუა მოსკოვში მეფისმკვლელობის ქუჩაო?!

ყველაზე დიდ შემფოთება-ალმფოთებას კი ის იწვევს, რომ გამოჩენილი რუსი იგავთმწერალი კრილოვი (სიყვარულით „ბაბუ კრილოვს“ რომ ეძახიან) კვლავ დაიწვიებიათ!

ამას ქართველი მკითხველი რომ შეიტყობს, ცხადია, გული სიამაყით აუჩქროლდება. მოსკოვში, ვინ დათვლის — ათ თუ თხუთმეტმილიონიან მოსკოვში, თქვენ წარმოიდგინეთ, არ ყოფილა კრილოვის ქურა, რომელიც ჩვენს თბილისში, ქალაქის კაკალგულში, 1894 წლიდან არსებობს და დღევანდელ გადაფასება-გადარქმევათა ნიაღვარს ჯერჯერობით არ ნაუღეკავს.

სურავის ეგონება, რომ თბილისური კრილოვის ქურა რუსხემნიფის რესკრიპტით განჩნდა. დიხაზაც, გოლოვინისა თუ მიხეილის პროსპექტები მეტროპოლიისთვის გუნდრუკის კმევა იყო, მაგრამ კრილოვი არც გვარამვილობით გამოირჩეოდა, მთელი სიცოცხლე წვრილმოსხედე მოღვაწეობდა და საიმპერატორო კარზე სიზმარშიც არ მიუწვევიათ.

მაშ, კრილოვის ქურა შუაგულ თბილისში! მაინც რით დაიმსახურა ესოდენ დიდი პატივი? რამდენადაც ცნობილია, პუშკინ-ლერმონტოვივით საქართველოს უღამაზესი მთა-ბარი არ შეუქია არც ლექსად, არც პროზად (რაც თვალთ არ უნახავს, როგორ შეაქებდა?), გრიობედოვივით ქართველი მზეთუნახავი არ შეურთავს ცოლად და არც ჩვენთვის ჩვეული ჭორის გმირი გამხდარა — ეგ კაცი კრილოვი კი არა, სინამდვილეში კრიალაშვილი არისო. ვინ იცის, ეგებ საერთოდ არც სმენია ტურფა საქართველოს სახელი და იმქვეყნად ფრიად გაუკვირდებოდა კრილოვის ქურის გაჩენა მისთვის უცნობ ტიფლისში.

ისლა დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ კრილოვი თავის თბილისურ უკვედავებას უნდა უმაღლოდეს სულწინათ აკაკის, უფრო ზუსტად — დიდი ქართველი პოეტის ღვთივეურთხეულ ოქროს კალამს.

იოსებ გრიშაშვილის სიტყვით, კრილოვს საქართველოში თხუთმეტამდე მთარგმნელი ჰყოლია (მათ შორის — გრიგოლ ორბელიანი, რაფიელ ერისთავი, ანტონ ფურცელაძე ანუ თვალსაჩინო ფიგურები ქართული მწერლობისა), მაგრამ ვერც ერთ მათგანს ვერ მიუღწევია მკითხველის გულამდე. შთამომავლობამ მხოლოდ აკაკის ნათარგმნი შეიყვარა და დაიმახსოვრა, ვინაიდან აკაკი მონა კი არ იყო რუსი ავტორისა, არამედ — მისი ღირსეული მოქიშპეო.

ხარისხი ხარისხად, მაგრამ ოდენობაც რომ შთამბეჭდავია! თურმე აკაკი ნერეთელს ივანე კრილოვის 152 იგავ-არაკი უთარგმნია.

კრილოვი და აკაკი განუყრელ სახელებად ჩაიწერა ჩვენი მწერლობის ისტორიაში. აკაკის ნიჭმა ლამის ქართველ პოეტად აქცია სულით და ხორციით რუსი კრილოვი.

რომელი ერთი დავასახელოთ კრილოვ-აკაკის შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან, ბავშვობაში რომ გვისწავლია, დიდხანს

მოგვეყება და, შესაძლოა, ჩვენი ცხოვრების ამსახველ სურათებად მოგვეჩვენოს. აგერ სპილო და ფინია (ანალოგია არ გელანდებათ?), მაიმუნი და სათვალე (თითქოსდა დღეს დაუნერიათ!), ღორი მუხის ქვეშ (არაფერს გაგონებთ?)... გაიხსენეთ, კარგად გაიხსენეთ და თუკი აღარ გახსოვთ, ნუ დაგეზარებათ, ხელახლა რომ გადაიკითხოთ — ამით არაფერს წააგებთ. აკაკის ეცით პატივი, ჩვენს უძვირფასეს აკაკის.

დაუჯერებელია, რომ სხვა რომელიმე ენაზე ასე საუცხოოდ ეთარგმნათ რუსი იგავთმწერალი. ზოგჯერ ფანტასმაგორიული ეჭვიც კი გაგიჩნდება — ეგებ დიდ ქართველ პოეტს, მოცალეობის ფამს, თავად შეუთხზავს ეს ლექსები და კრილოვის საკუთრებად გაუსაღებია.

ჩვენი მთავრულ გამოთქმებად ქცეულა აკაკისეული: მკვახე იყო ის ყურძენი და მომკვეთდა კბილებსაო... დაჭრიჭინობდა, დახტოდა ჭრიჭინობელა პატარა... მამალი ამკობს გუგულსა, გუგული აქებს მამალოსო...

როგორც აღნიშნავენ, აკაკის მიერ ისე ოსტატურად არის გადმოღებული (გადმოქართულებული!) „ჭირვეული თამადა“, რომ მისი შინაარსი ქართული ქეიფის შთაბეჭდილებას ტოვებს. კრილოვის იგავში სტუმარს აძალებენ ჭამას, აკაკის თარგმანში — ღვინის სმას: „და თავს უშველა, გაიქცა, თავს ვერ შევსწირავ ღვინოსო, მასპინძელიც და თამადაც ღმერთმა კი შეარცხვინოსო“.

მაგრამ, უეჭველია, ყველას დაჩაგრავს და გადაასწრებს მგლისა და კრავის იგავი, საკუთარ ტყავზე არაერთხელ რომ გვიწვნივია კომუნისტურ ჯოჯობეთშიც და დამოუკიდებელ-დემოკრატიულ სამოთხეშიც.

დიდ კაცთან პატარა კაცსა როდის ვასვლია მართალიო... ალბათ გული აუჩუყდება მკითხველს, უმნიფარი იქნება თუ მონიფული, როცა პირველად ეცნობა პატარა ბეკეკას ამბავს, რომელსაც ზაფხულში წყალი მოსწყურდება, მდინარის პირას მიადგება წყურვილის მოსაკლავად და იქ მგელს გადაეყრება. წყალს რატომ მიმღვრეო, ტუქსავს მგელი და ბეკეკა აკანკალეული ხმით თავს იმართლებს: თქვენ ზეითა ხართ — მე ქვეით, როგორ ავიმღვრეო წყალსაო?... ჯერ ერთი წლისაც არა ვარ, შარშანწინ როგორ მნახეო?... არც ძმა მყავს ჩემო ხელმწიფე, ტყვილა რადა მდევთ ბრალსაო?

ჩვენი იმდენად გაითავისეს ეს უბადლო იგავი — ყველა დროისა და ყველა ხალხის კუთვნილება, რომ მიხილ ბებუთაშვილის თარგმანში (1876 წ.) ამგვარი ტექსტი დაიბადა: „ყოველთვის ღონიერთანა უღონო არის მტყუანი, ამის მაგალითს ჩვენ ვხედავთ საქართველოში სშირად“.

ამ საბრალო ბებუთაშვილის მისევე დაუტატანებდნენ: შენ ნაღდად ბებუთოვი ხარ და ჩვენი იც ვნადიაო. მერე ურყევი არ-გუმენტებით დაუმტკიცებდნენ: ჩვენი მგლები ისე კეთილნი არიან, ისეთი კეთილნი, რომ ბეკეკა რა სათქმელია, ჭიანჭველასაც კი უბატონოდ ხმას არა სცემენო. ჩვენი მგლები ჩვენს ბეკეკებთან ერთად ტკბილად სძოვენ მთელს მსოფლიოში სახელგანთქმულ ქართულ ბალახსო.

...სანთლით საძებარია რუსეთში ქართულის მცოდნე რუსი, თორემ აკაკისეული კრილოვი რომ წაეკითხა, ისე მოეწონებოდა, ისე შეუყვარდებოდა, აღფრთოვანებული მთელ ქვეყანას შეანრიადებდა, ხალხნო და ჯამათნო, ეს რა კაი რამე ყოფილაო. მაშინ ნახეთ არნახული აჟიოტაჟი — კრილოვის ქურას მარტოდენ მოსკოვში როდი იკმარებდნენ, იმავეს ჩაიდენდნენ ევებურთელა რუსეთის დიდრონ თუ პანანკინტელა ქალაქებში; ვერც სანკტ-პეტერბურგი გადაურჩებოდათ და ვერც ნიჟნი ნოვგოროდი, ვლადივოსტოკი და ვლადიმირი, ეკატერინბურგი და ნოვოსიბირსკი... ერთი სიტყვით, განიავარდ-გაიკრილოვებდნენ ყველგან, ყველგან, ყველგან, სადაც კი ქურას სახელი უნდა ერქვას.

აკაკის წყალობით ჩატარდებოდა საყოველთაო კრილოვიზაცია, აკაკის წყალობით!

რას ჩურჩულავენ ხელნაწერები

ხელნაწერები არ ინვიანო — ამ მოხდენილმა, ოღონდ რეალობას ოდნავ მონყევტილიმა ფრაზამ თამამად გადმოაბიჯა ბულგაკოვის რომანიდან და ლამის ეჭვმიუტანელ აქსიომად იქცა. თუკი ვინმემუნებთ, რომ ხელნაწერები არ ინვიან, ეგებ ისიც დაიჯეროთ, რომ შორეული თუ ახლო წარსულიდან ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებს უფრო მეტიც ძალუძთ — ისინი გულლიად ეჩურჩულებიან მკვლევარს, მადლობას უხდებიან გულისხმიერებისა და ზრუნვისათვის, სიყვარულს სიყვარულითვე პასუხობენ, ცოცხლდებიან და გვიცოცხლებენ გარდასულ საუკუნეთა აკვარეს.

...გამოჩენილი ქართველი მკვლევარი სარგის ცაიშვილი წერდა: „გიორგი ლეონიძე რუსთაველოლოგიის ისტორიაში შევიდა, როგორც პოემის ერთი უნიკალური ხელნაწერის მოპოვებისა და საქართველოში ჩამოტანის ინიციატორი. მანვე პირველმა აღწერა იგი მეცნიერულად და სანიმუშო არქეოგრაფიული გამოკვლევა მიუძღვნა მას. მანვე დაადგინა როგორც მისი გადამწერის ვინაობა (იოსებ ტფილელი), ასევე გამოავლინა ხელნაწერის პირველი მფლობელი, რომლის სახელი უკვე გადამწერი იყო ხელნაწერი. რუსთაველოლოგიაში დღეს ეს ხელნაწერი თვითონ გიორგი ლეონიძისადმი რეკომენდაციით მისი პირველი მფლობელის ზაზა ციციშვილის ანუ „ზაზასული“ ხელნაწერის სახელითაა ცნობილი“.

მთელი ის მასალა „ზაზასული“ ხელნაწერის გარშემო, რომელსაც იკვლევდა მკვლევარის მანტიამოსხმული დიდებული ქართველი პოეტი, აძლევდა მას უფლებას, რომ გაერღვია მშრალი მეცნიერული ჩარჩოები. ამოფხეკილი სახელის აღდგენა, ზაზა ციციშვილის ვინაობის დადგენა და უსამართლოდ დასჯილი კაცის ტრაგიკული ბედი თითქოსდა სხვა სტილით ამეტიყველებას იმსახურებდა. ცხადია, ეს არ გაუჭირდებოდა გიორგი ლეონიძეს, ვისი პოეზიაც, თანამედროვეობასთან ერთად, საუცხოოდ ახასხავს ქართლის ცხოვრების თვალსაჩინო გმირებსა და დაუფინყარ მოვლენებს, მაგრამ საფიქრებელია, რომ მან შეგნებულად შეიკავა თავი იმისგან, რომ პოეტი ჩარეულიყო მეცნიერის გარჯაში. ალბათ ამიტომაც ცდილობდა, მარტოოდენ ფაქტების აღწერასთან და წამოჭრილ კითხვებზე ლაკონიური პასუხებით დაკმაყოფილებულიყო, მხოლოდ ისტორიული სინამდვილის აღდგენაზე ეზრუნა. ვინ იცის, ეგებ მიმოიბდა კიდევ, ვაითუ ჩემდაუნებურად პოეზიის სტიქიაში შევიჭრე და მეცნიერულ კვლევა-ძიებას ჩრდილი მივაცენო. ერთი სიტყვით, მკვლევარმა უყოყმანოდ და გულცივად დაჩაგრა პოეტი, მაგრამ ამით არავის არაფერი წაუგია.

არ ვიცი, თუ რას განიცდიდა პოეტი-მკვლევარი, როდესაც დაუფინებდა დაჰყურებდა ხელნაწერის შერყენილ-შებლაღულ სტრიქონს და ბევრითად ლაბობდა თავდაპირველი ტექსტის აღდგენას. არც ის ვიცი, როგორ იპყრობდა მის სულს კვლევა-ძიებისა და მიგნებათა, დიდთა თუ მცირეთა, შეუდარებელი ექსტაზი, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება პოეტის შთავგონებულ ალტკინებას სიტყვებთან ჭიდილის დროს. შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, როგორ ბორკავდა პოეტი თავის კალამს მეცნიერული სიძინჯით.

გიორგი ლეონიძეს აღაღლებდა არ აღუბუქდავს თავისი განცდები ხელნაწერთა კვლევისა და ისტორიული სინამდვილის დადგენის თაობაზე, მაგრამ ყველა იმ მეცნიერის მაგივრად, ვისთვის-

საც კვლევა-ძიება წარმოადგენს განსაკუთრებულ შემოქმედებით პროცესს და ვენების მგზნებარებით თითქმის უტოლდება პოეზიას, თავისი შთაბეჭდილებანი გავავიზიარა გამოჩენილმა საბჭოთა არაბისტმა იგნატი კრაჩკოვსკიმ.

უძილო ღამეთა თუ სწეულების ჟამს, როდესაც გადახურებულ გონებას აღარ ძალუძს აზრის წარმართვა, ხელნაწერები ჯგუფ-ჯგუფად შემოეხვევიან მეცნიერს, მორცხვად, თითქოსდა შიშითაც, უახლოვდებიან და მათი შრიალი ამგვარად ხვდება კრაჩკოვსკის სმენას: „ხომ არ დაგვივინყე? ხომ არ მიგვატოვებ? ალბათ გახსოვს, როგორ გვიბრუნებდი სიცოცხლეს, როგორ ჩაჰპირკიტებდი ნახევრად წაშლილ სტრიქონებს და გულდასმით ამჟღავნებდი მათში ჩაქსოვილ საიდუმლოებას, ნაჩქარევ მინანქრში როგორ მიაკვლევდი ხოლმე ჩვენს ისტორიას და მლეღვარების ჟრუნატელი დაგივლიდა ტანში. ასობით ნღები გავგიტარებია მინაში ანდა დავინყების ზანდუქებში, შენ კი გვაცოცხლებდი, ამიერიდან უკვე სამარადისოდ“.

მთელს მსოფლიოში სახელმოხვეჭილი არაბისტი დაჰყურებს ხელნაწერებს. ზოგიერთი ფურცელი სუფთაა, თითქოსდა ეს-ეს არის გამოსულა პირველი მფლობელის ხელთაგან. ზოგი კი დამწვარია ანდა წყლით გაჟღენთილი — თვალნათლივ ემჩნევათ წარუშლელი კვალი უბედურებათა, რომლებიც არ ინდობენ არც ადამიანებს და არც ხელნაწერებს. ზოგიერთ მათგანს ფურცლები აკლია თავსა და ბოლოში, საზარელი ხებიარვიტა გამოიყურება. მათი პირქუში მზერა ლაღადებს საყვედურს ადამიანთა დაუდევრობისა თუ სისასტიკისადმი. და მეცნიერიც გულისტკივილით შეჰყურებს ხელნაწერთა ნაიარევესა თუ პირგახსნილ ჭრილობებს.

ხელნაწერები გარს ეხვევიან მკვლევარს და გულახდილად ეჩურჩულებიან, როგორც უახლოს ადამიანს, როგორც უპირველეს მეგობარს: „ხომ არ დაგვივინყე, ხომ ისევ მოხვალ ჩვენთან? განა ჩვენ ასმაგად არ გადაგიხადეთ საზღაური იმისა, რომ სიცოცხლე დაგვიბრუნე? ხომ გახსოვს, გულნატკენი და მჭმუნვარე, დაღლილი და შემფოთებული მოდიოდი ჩვენთან და ჩვენი ფურცლებიდან შენკენ მოისწრაფოდნენ ერთგულ მეგობართა ხმები, რომლებიც მუდამ სიხარულით გეგებებიათ, რომელთაც ვერავინ წაგვართმევს. ისტორიის ამოსაცნობი საიდუმლოებანი იხსნებოდა შენს ნინაშე, ცოცხალი ადამიანები გადმოდიოდნენ ჩვენი ფურცლებიდან და გესაუბრებოდნენ“.

მკვლევარი შეჰყურებს აჩურჩულებულ ხელნაწერებს, ესალმება, როგორც ძველისძველ ნაცნობებს და უღიმის. მეერ თვალნინ წარმოუდგება წარსულის მკაფიო სურათები, აწყობს თან რომ შეზავებულიან.

სახელოვან ქართველ პოეტ-მკვლევარსაც, ალბათ, მოეღანდებოდა თითქმის სამი საუკუნის ნინათ დაღუპული ზაზა ციციშვილი. როგორ არ მოეღანდებოდა ხელნაწერთა ტრფიალს, მათი ყოველი საიდუმლოების მწხრეკელსა და ამომხსნელს, მართალი სამართლის მაძიებელსა და უდანაშაულოდ დასჯილი კაცის უანგარო ქომაგს, დაუნდობლად ამოფხეკილი სახელის აღმდგენელს.

ჭმუშარიტება ჯიუტად იკვლევდა გზას საუკუნეთა ნისლიდან. ხელნაწერი გულახდილად ეჩურჩულებოდა მკვლევარს.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა ორი აფხაზურენოვანი წიგნის პრეზენტაცია. სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით აფხაზურ ენაზე გამოიცა **აკაკი წერეთლის „გამზრდელი“** და აფხაზი პოეტის **დიმიტრი გულიას კრებულის „ლექსები და შაირები“**.

კრებულში „**ლექსები და შაირები**“ წარმოდგენილია აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის **დიმიტრი გულიას** მიერ 1912 წელს თბილისში დასტამბულ ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებთა პირველი გამოცემის სკანირებული ვერსია და ამ ვერსიის თანამედროვე აფხაზურ ანბანზე ადაპტირებული ვარიანტი. დიმიტრი გულიას ამ წიგნით საფუძველი ჩაეყარა აფხაზურ მხატვრულ ლიტერატურას. წიგნი გამოსაცემად მოამზადეს **სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტის** უმცროსმა მეცნიერმა თანამშრომ-

ლებმა **სოფიკო ჭავჭავაძე** და **თამარ გითოლენდიამ**. პროექტის ხელმძღვანელია სრული პროფესორი **თიემურაზ გვანცელაძე**.

აკაკი წერეთლის „გამზრდელი“ პირველი ილუსტრირებული საბავშვო გამოცემა აფხაზურ ენაზე. პროექტის იდეის ავტორი და რედაქტორია პროფესორი **სალომე კაპანაძე**, გამოცემას კორექტირება აფხაზოლოგმა **ესმა კოკოსკირმა** აუკეთა, ილუსტრაციის ავტორია სოხუმელი მხატვარი **ელდარ ქაქუშია**. პროექტის მიზანია ქართულ-აფხაზური ლიტერატული ურთიერთობების აღდგენა და ამ ურთიერთობათა შესახებ აფხაზი მოზარდების ინფორმირება. სწორედ ამის შესახებ მოუთხრობს მათ გამოცემის ნინასიტყვაობაში **სალომე კაპანაძე**. პრეზენტაციას ესწრებოდნენ მწერლები, პოეტები, გამომცემლები, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრები. მინისტრმა **გურამ ოდიშარამ** აღნიშნა ამ სახის პროექტების მნიშვნელობა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა აღდგენის პროცესში.